

644 / 2  
2011



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ცეცხი

12

ქართული  
სილყვიერებითი  
ჟურნალი



10  
2011

ასი წელიწადი

რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს

ქართველებს



არჩილი

\*\*\*

ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,  
აზვადებთან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმლერეთა?“  
დაბალს კაცს არ ახსენებენ, იტყვიან „დამიჭირეთა“,  
კაცი სჯობს საქმეკეთილი ანგაარ, მოგულძვირეთა.

# ცისკარი

ქართული  
სიტყვიერებითი  
ჟურნალი

2011/10

რედაქტორ-გამომცემელი  
სურგი კაკალაშვილი

რედაქტორის მოადგილეები  
ანდრო ბუაჩიძე  
ელზა მეტრეველი

პოეზიის განყოფილების გამგე  
ბალათერ არაბული

მხატვარი  
გიორგი წერეთელი

---

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო  
ლაშა ბაქრაძე  
ანდრო ბედუკაძე  
ამირან გომართელი  
ლევან თაქთაქიშვილი  
თეონა იაშვილი  
როსტომ ჩხეიძე  
გიორგი ჭანტურია  
ედიშერ ჭელიძე

---

დამკაბადლონებელი  
თამარ ტყაბლაძე

კორექტორი  
ნანი ჭულუხაძე

დაარსებულია 1852 წელს  
გამოდის თვეში ერთხელ  
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2011

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1

ტელ.: 98-36-43, 98-47-62

emciskari@gmail.com

www.jurnaliciskari.ge

# სარჩევი

## პოეზია

უჯრავი ჩაკეტილი ლექსები  
რაჟდენ გვეტაძე - მარო მაყაშვილს 3

პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი  
თემურ ჩალაბაშვილი 15  
მარიამ ნიკლაური 22

პოეზიის უსახელო უფლისციხელები  
უცნობი ავტორი 87

ახალი ლექსები  
ელგუჯა მარღია 60  
გენრი დოლიძე 67

გვასსოვდეს აფხაზეთი  
ირმა მებურიშვილი - ლექსები 72

ინტერვიუ  
ირაკლი ღვალაძე - ავტორებმა უნდა  
გაიცნობიერონ საკუთარი უფლებები 88

ლიტერატურული მისხეთი  
ავთანდილ ბერიძე - რობაიები 91  
*მემნიერება*  
ვახტანგ ინაური - სარგის თმოგველის  
ისტორიულ-ლიტერატურული სახე 93  
მერაბ ბერიძე - მორიელის სინდრომი 107

*ლექსები*  
ალიოზ ოკოშვილი 98  
ბექა ოთანაძე 100

კობა მოდებაძე 103  
შალვა კედოშვილი 102  
თამარ ლომიძე 104  
მარიზა ჯიქია 112

*ახალციხის უნივერსიტეტის  
სტუდენტთა შემოქმედება*  
მაია ბლიაძე 113  
ნინო ჯიქურაშვილი 114  
ნინო გვირჯიშვილი 114  
ნინო კაჭკაჭიშვილი 115

თეატრი  
*პრინტიპ*  
გოგი დოლიძე -  
გლახა ჭრიაშვილის არღანი ანუ... 74

პროზა  
მიხეილ ანთაძე - მოთხრობა 4

უჯრავი ჩაკეტილი რომანი  
ავთანდილ კვასცაძე - სიკვდილ-სიცოცხლის  
როკვა 32

მემუარები  
ჩეკას პირველი  
თავმჯდომარის კოტე ცინცაძის  
მოგონებები 116

ასი სამარცხვინო ლექსი  
გიორგი მაისურაძე 127

მეგობარი

მეგობარი  
გადასჩვენა

ტაქტიკა  
გვეცაბე



### მარო მაყაშვილს

მე არ გიცნობდით, ამორძალო, სწორო თამარის, –  
მაქვს სანანებლად თქვენი სახის უნახველობა.  
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა  
თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ვარდი ფარავს სამარის.

ო, არ დაგცალდათ ნაზი ცქერა მზიან კამარის  
და როს იგრძენით გშორდებოდათ უნაღველობა,  
გტანჯავდათ უხმოდ განწირული ბედის ქველობა  
და სიყვარული საქორწინო თეთრი ქამარის.

მოჩანს მთვარეზე განწირული მამაცი ჯარი  
და უჩვევ შიშით ვეფარები ქვის მოაჯირებს:  
მოულოდნელად თქვენს სასთუმალს მოძვრება ჯვარი –

ვით ქაფის სვეტი, ნამოდგებით გაშლილ ქოჩორით,  
და მოგონებით გულდანყვეტილს დიდხანს გაჩერებთ:  
ქოროლლის ციხე, ტაბახმელა, რუხი კოჯორი.



# მისყილ ანთაბე

## ქართულენოვანი დიპტიქი

აკაკიანი ნინო

ნებისმიერი მწერლისთვის რომ მშობლიური ენა მთავარია, ამას რაღა თქმა უნდა. მწერალი თუ თავის მშობლიურ ენას არ ემიჯნურება, არ ელოლიავენება, არ უკირკიტებს, არ მიმოჩხრეკს, აღსაფრთოვანებელს და იდუმალს თუ არ პოულობს შიგ, თუ არ ცდილობს შეერწყას, მასთან ერთად გარდაიქმნას და ეგება იქით გარდაქმნას რამე კიდევ – ამას თუ არ შერება მწერალი, თავი მწერალი ნუ ეგონება. იქნებ კიდევ სწადიოდეს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს და მწერლად მაინც არ ვარგოდესო? ეგ სულ სხვა საქმეა, მაგრამ, მშობლიური ენა საკუთარი სულიერების ერთადერთი სტიქიად თუ არ მიიჩნია მწერალმა, შანსი არ არი.

ამეგრად, ქვემოთ მოყვანილ დიპტიქში, ჩემს მშობლიურ ენასთან, უფრო ზუსტად კი მის ლიტერატურულ პროფილთან ნახევარზუმრობიანი ცდის ჩატარება ვინდომე. პო, სიტყვამ მოიჭანა და, ნახეთ, რა სიტყვაა თვითონ ეს ზუმრობა. ლათინური „ჰუმორ“ ერთხელ ხანმეტ ეპოქაში გაქართველებულა და მოქართულზმნავებულა „ზუმრობის“ ფულქმუქუმშული ფორმით, ავერ ამასწინათ კი, ახალს დროებაში, ევროპიზირებული „იუმორის“ სახით მერუედ დამკვიდრებულა. გრანდიოზული ტავეტოლოვიაა.

ჩემი ნახევარზუმრობა კი აი რაში მდგომარეობს: დიპტიქის პირველი მოთხრობა „მიზეზი“ ისტორიული ჟანრისაა და ამიტომ ლიტერატურული ქართულის ისტორიული ნიმუშების პაროდიებით არის დაწერილი – ცოტა შუა საუკუნეების არქეს, ცოტა XVIII საუკუნის „მაღალის შტილის“, ცოტა მეცხრამეტე-მეოცის მანერების მიბაძვით. ცხადია, მეცნიერული სიზუსტისა და, საერთოდ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე უბრალოდ, დაახლოებით ხომ ასე იყო-თქო, ხომ ასე იწერებოდა-თქო, აი, ასეთი ისტორიული პიკნიკი მშობლიური ლიტერატურის დაბურული ტყის, უკეთ, ტყისპირა მიდამოებში-თქო. მერე, ახლა შემდგომ, მომავალში ვითომცდა რა იქნება, რას დააკლებს გლობალიზაციის ლექსიკური ექსპანსია, უცხო სიტყვების ურიცხვი ურდო ქართულ სინტაქსს და მორფოლოგიას-მეთქი და, ეგრეთ ნოდებული „მეცნიერულ-ფანტასტიკური“ ამბავი, „სიენს ფიქშენს“ რომ უხმობენ ახლა, აი ასე დავწერე, როგორც ქვემოთ იხილავთ, „შორეულ ვარსკვლავებში“, ანუ დიპტიქის სექნდ ფართში.

რა გინდაო, მაინც თუ მკითხავთ, ამ წინათქმითო, გეტყვით. მინდა ვთქვა, რომ ქართული ენა უძლიველი და უკედავია.

ს.ს.ს.

# მიზეზი

1

## ნიგნი დიდბატონისა ფარნაოზისაი ბრძენთაბრძენსა საბასა მინერლი:

ჰოი, უფალო ბრძენთაბრძენო საბავ, მოხუცო, მენცართ-უბრძენო ფილასაფოს, სალამი შენდა. კიდით-კიდემდე განთქმულია სახელი შენი, ვითარცა დიდად განსწავლულის მეცნიერისა და მკურნალისა, აქიმისა, დასტაქარისა ჯანაოზისა, ჯარაექიმის, ადამის ძის ბეთაღისა. ამიტომაც მე – ფარნაოზ ქველი, თავადი დაბისა სათავისა, მისისა გარემოისა და გარემო თვისთა ატეხილ ქალათა და გართა მალალთა და გინა დაბალთა და სავანეთა ანუ აგარაკთა მუნ აღშენებულთა, უფალ-პატრონი სათაველთა, სათავისკარელთა, ობჩელთა და ლოდოთუნელთა, ალაჭანთა, ბლაჭანთა, გურთა, ხურთა, აჩაბთა, ბიჭებთა, ყულევთა, გაღმაყულევთა და გამოღმაყულევთა – გთხოვ ამოსვლასა მუნ სათავესა, რამეთუ ცოლი ჩემი იგი თამარ შეიქმნა ავად სნებოვნებითა უცნაურითა, სიავადითა სახადითა სენითა ჭირმოარულითა, სატკივრითა ხიზმუზითა, სალმობითა სინდილისათა ზერე-ქვერეთა, უფურთა მატირებელითა, რომელი არს ფუფუა. მძიმედ არს ბოლო ამა ჟამსა მეუღლეი ჩემი, მზეი ლომსა შეყრილი ოდიტგანვე იგი. პატივითა აღმავსებ, ნუუკუე ისურვებდე აღსრულებასა ჩემისა თხოვნა-აჯისა საწყალობლისასა. დაინერა ნიგნი ესე დიდბატონ ფარნაოზისა თქმითა და ბრძანებითა მისისა იბ ქრისტეს აქეთ ჩულთ...

რაო, რაო? – მომკითხვოდეს მკითხველი იგი თანამედროვეი, უნიგნური ფრიად, – რაი არს „იბ ჩულთ“ ეგე, მოშირივე ვაგლახო შენე?

ვეტყუი მე მკითხველსა მას და მიუგებ: – ათას ოთხას ოცდაცხრამეტი წლის თორმეტი მაისი, ძმავო.

– აზრზედ მოვედ მეყსულად, ძმავო მოშირივეო ჩემო, – მარქმევი მკითხველი იგი მე.

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ ნიგნი იგი დიდბატონისა ფარნაოზისადმი პასუხად მიწერილი ბრძენთაბრძენისა საბაისა მიერ:

დიდებულო თავადო ფარნაოზ! მუდამრე თქვენი მონა-მოჩილი ყურმოჭრილი ფერხთა მტვერი და ყული-ქაშავი, თავყანისმცემი თქვენის დიდებისა მე – საბა ბერი, რა შევიტყვე ნიგნითა, შენგნით ჩემზედა მოწერილითა, ავადსნებოვნებაი დიაგნოსტიკური იგი თქვენისა დიდებულისა მეუღლისა თამარისი დიდებულობისაი, პოი დავდომნი ფრიად. ვითარ გავებდო მე – თავებდმან, ლირფმან და უტიფარმან,

უგბილმან და კადნიერმან, ლიზლმან და მოურიდელმან – უარი ვკადრორე ბრძანებასა შენსა მეფურსასა, მაგრამ, ავაპაი, დამწუხრებული უაღრესითა დამწუხრებითა და კრძალვა-ძრწოლითა მოვახსენებ, რომე თვით მე ცოდეილი ავადყოფობამ მიმაჯაჭვა სარეცელსა განკითხვისასა და დიდის სურვილისა მოუხედავად, ვაი, ვერ შევძლებ ამოსვლასა მუნით თქვენთანა, რამეთუ გზაი ტფილისიდან სათავემდინა მომავედინებს უშალ საბარლოსა და საწყალობელსა. ნუ გასწყრებ-განმირისხ-გამიჯავრდები ცეცხლისა დაყრითა ჩემსა ცოდეილსა და ბებერსა თავზედა. მიპატივე უარი ესე, დიდო თავადო!

მიპატივბია, ლირსო საბა! – განიფიქრებდა გუნებასა თვისსა შიგან დიდბატონი ფარნაოზი, ოდეს ნაიკითხვიდა სტრიქონთა ამთ, ვიგო ნებე.

კვლავაც განავარდითა ნიგნი იგი დიდბატონისა ფარნაოზისადმი პასუხად მიწერილი ბრძენთაბრძენისა საბაისა მიერ:

უსტარსა ამას ავითათსა, ბართსა მოკითხვისასა ანუ ნიგნსა ეპისტოლეუსა ვატან ჩემსა ნაზარდესა შერდრისა, მონაფესა გამოზრდილსა გიორგის, რომელმან განისწავლა დასტაქრობაი და ყოველი მნიგნობრობაი კურთხევითა ანჩისხატის მენცართაგან და დაავდო რა ანაფორაი, იქმნა მკურნალი საუცხოო და გარდაწყვიტა ამა საქმესა შესწიროს სიცოცხლეი თვისი.

ავღიარებ ნინაშე შენსა, მკითხველო სანატრელო, რამეთუ მაკვირვებს ფრიად სისტემაი განსწავლისაი მედიცინობისაი ჩულთ წელსა ქართლსა შინა ტფილისისასა. ვითარმედ აკურთხევდენ მოძღვარი ანჩისხატისანი სწავლასა დასტაქართასა მკურნალთა, გინა ხირურგთა, გინა გინეკოლოგ-სტომატოლოგთა ანუ ექიმბაშთა?

არა ვიც... მომიტევენ და კვლავაცა უკუ მივექცევი უსტარსა მას საბაისასა:

მერწმუნე, ჰოი, თავადო ფარნაოზ, მრავალი ჭაბუკი აღმიზრდიან, მრავალთა მოყმეთათვის გარდა-მისწინა კარიბჭენი ცოდნისანი, მრავალთა მოძღვართ-მოძღვარი ყყოფილვარცა ცხოვრებისა გზასა ჩემსა ზედან, და ნდობაი უყავ თმასა ჭადარასა სვეტაკსა ჩემსა, გარნა გიორგი ესე უმჯობეს არს ყოველთა მათსა... კადნიერებითა რჩევასა გებდე მე უღირს: ენედ ნიქსა გიორგისასა სრულად. გეაჯ, ნუუკუე გაჭოქმანებდეს სინედლეი მისი ესრეთი, არამედ იხილოვდე მენცარებაი მისი.

1918

ქრისტეს აქეთ ჩულთ ბე მაისისა. მონაი შენი საბა.  
მაშასადამე 25 მაისი იმავე წლისაი... ზედაველა  
ვითარმედ გაეიწრთუენ ქორინიკონსა შიგან, ძმარ  
მკითხველო, სანატრულ-გაუნათლებლო ჩემო!

2.

სამი დღე მონადრმა ახალგაზრდა მკურნალმა  
გიორგიმ დიდბატონ ფარნაოზის სამფლობელოსკენ  
– ნალკოტისებრის დაბა სათავისაკენ მგზავრობასა  
და საკმაოდ მომქანცველი როჭიკობის შედეგად  
მიუახლებდა თვისის მოგზაურობის მიზანს.

სისხამ ალიონზე მივახლა გიორგი დაბა სათავე-  
სა და თვანინ მთელის მშვენიერებით გადაეშალა  
ქართლის დიდებულის ბუნების სურათი.

ყოველის მხრიდამ დაეტყვევებინათ მალალსა  
მთებსა პანია მდინარე ძირულაი... იგი კი – ეს  
ცელქი და გიჟმავი ძირულაი, თითქო სულაც არა  
ენადვლება, რომ მწვანე გოლიათები შემორტყმინ  
გარსაო, თავის ციციქნა კალაპოტშიდ მხიარულად  
მოსჩუხჩუხებდა, მოხტოდა, მოჭკროდა და ნა-  
პირებს მბზინვარე შეხვებდასა სტყორცნიდა.

არა ენადვლებოდა რა ამ პატარას მდინარესა,  
რადგან იცოდა, რომ ამწვანებულ გომჭათა გარე-  
მოცვაშიდ მაინც ნახვიდა გასასვლელსა, გაიგნებდა  
გზასა, დაუსხლტებოდა მრისხანე ბუმბერაზებსა,  
გაეცეცოდა და მერმე სამშვიდობოს გასული მხნედ  
განსქედა არავისაკენ...

თვითონ მთებია ცეცვიობაში ჩაცვიენულიყვენენ,  
ყოველის მხრიდამ შემოხვეოდა მათს კალთებ-  
სა მწვანე საფარველი. სდგა გაზაფხული, მაისის  
მწუხრი. ფრიად ზეიმობდა ბუნება, ღვრიდა ისცო-  
ცხლებ, თითქო მთელი გარემო ფარულად ამზადებ-  
და მაცოცხლებელის მნათობის აღმოსვლასა.

აღმოსავლით, ორს მთას შუა სხივი აღმოიწვერა  
და მიდამო გაანათა... ამას სხივისა, ვითარ ღუზა  
აღმოჰყვება ხოლმე ჯაჭვსა, ესრეთ აღმოჰყვა ცხო-  
ველსყოფელი მზეი და ძლევამოსილი ნათელი  
გარდააღვარა დედამინასა...

მზეი არათუ ამოდიოდა – ამოიღვენთებოდა...  
მნიშვნელობა დაჰკარგვოდა ფორმასა და მთავარ-  
ქმნილიყო ფერი განუმეორებელი, ენით აღწერ-  
ებელი, იფრი ამომავალის მზისა... ოდეს მთლიანად  
აღმოიღვენთა ტატნობსა ზედან, მაშინველა მიიღო  
სახე ბურთისა დისკური, გინა სფერული, მაშინ-  
ველა აკაშკაშდა თვალისმომჭრელის მბრწყინვალე-  
ბითა მელუფე ბუნებისა მნათი.

გაქვავებული შესცქეროდა გიორგი ამა ჩვეულ-  
სა და იმადროულად მუდამ საოცსა სურათს აისი-  
სასა... მინამ დიდებული მნათობი მთელის ძალით  
არ აკაშკაშდა, მანამ ვერ შესძლო თვალის მოცი-  
ვება ქალაქს გაზრდილმა ყმაწვილკაცმა...

დამტკბარი და გაოგნებული ფრიადისა ბუნების სი-  
ლამაზისა ხილვით, ფუნდაფუნ შეუდგა გიორგი საცალ-  
ფუნოსა ქვე-ბილიკსა, რომელიცა მას ყრმასა ერთ-  
ერთის ვეება მთაზედ შეუფინო სოფლისაკენ გაუძღვა.

რამდენიმე წუთის განსწყვეტელის სიარულის შემდ-  
გომად ბილიკი იგი გაგანივრდა და დიდთავად ფარ-  
ნაოზის ზვარ-ვენახებს შუა გაეგო მინასა. უეცრი...  
გიორგიმ გლხნიკაცი დაინახა, რომელიცა რომა ჯდა  
დადლილი გზისა პირსა – დასასვენებლად...

შეკრთა...

– გამარჯობა, კეთილო კაცო.

– გაგიმარჯოს, ბატონო ჩემო.

– ვისი ხარ?

– დიდჩემისა და მამიჩემისა.

– დაიცა, კაცო! ვისი ყმა ხარ-მეთქი, ბატონი  
ვინ არს შენი? ნუუუუუუ თავადი ფარნაოზი არს?

– დიად, ბატონო, იგი არს ბატონი ჩვენი მამფალი.

– ვითარმედ შორსა არს სამყოფელი ბატონისა  
შენისა? ვინძლო შორსა არს, გლეხო?

– არა, შენი კენესამეი, სავალია მარტოოდენ  
წუთისა ოციოდისა.

– მაშ, გამომე-გამიძიდელ, მიჩვენე გზაი იგი.

– აღმართ-აღმართ შეუყვენენ გლეხი და გიორგი  
ნელა.

გიორგიმ გადასწყვიტა, გამოლაპარაკებოდა გლეხსა.

– ძოდან ჩემის სიტყვებისა გამო ეგე სახე შე-  
გეჭმუხნ-შეგეჯვლანა, გლეხო, შენის ბატონის სახე-  
ლის სახეგაზედა. რაი არს? არ გიყვარსა ბატონი  
შენი ბატონ-პატრონი?

გლეხი დასდუმდა.

– რამან დაგამუნჯა, კაცო! ხმა ამოიღე!

– კი... დიად... ბატონო... ძლიერ... უფალი...

– ნუუუუუ ჩემი გეგინიანა, კაცო?!

– აა-ა-არა... ჰო...

– მე ქალაქელი აქიმი ვარ.

– ო... დიდად... დიდად... ბატონო...

– ქალბატონის განსაკურნავად მიხმო ბატონმა  
თქვენმა...

რამოდენიმეს ფაშსა მდუმარენი მიაბიჯებდენენ  
აქიმი და გლეხი გზაზედა.

– რაო, დია ჭარბად მაკაციო ხომ არ არის ბატონი  
შენი, ანუ მრისხანე უსუსხანი, მტარვალი მჭინ-  
ვარეი, ან თუ მოძალადე ურჯუეკი, გინა მტანჯვე-  
ლი ბორგნული, მგვემელი, მწვალბეგელი, სისხლის  
მწოველი უზოგველი, გააფთრებული?

– აბა, რა ვითხრა, ბატონო ჩემო, ღარიბია და  
უქონელი სოფელი ჩვენი, მხარე ჩვენი ჭირგანავალი.  
თუმც რა ხანია ურჯულო არ შემოგესვია, მაინც  
ვერ ვცხოვრობთ ნელგამართულად. ხალხი ბევრია  
ჯამაათი, საკვებ კი მცირედ ცოტაი არს, არავის  
ყოფნის საკმარისად სარჩო-სახრავ-საბადებელი.



- ჰო-ო-ო?

ჟამსა ამასა ბილიკმან სოფლისამან გიორგი და გლეხი იგი მიუახლოვდა იმა სერსა, რომელზედ თავადიშვილის ფარნაოზის სრა-სახლი აღმართულიყო გოროზად მზირი.

დიდებულ იყო სასახლეი იგი, მედიდურად წამოჭიმული კარგა მოზრდილს ბორცვზედა, საიდა-მაც ამაყად გადმოსცქეროდა გარემამოსა.

ამა აღნაგსა ნაშენ-ნაგებსა შენობასა შიგან გამოსჭვიოდა იეროვანი არსი იმდროინდელის საქართველოსა, იავარქმნილისა მრავალგზისა და ფენიქსებრ აღდგენისა მოწანიდნისი.

ქვეყანა, თავისუფალქმნილი ურდოისაგან თათართა, აღორძინებისაკენ მიქცეული სანატრელად ფრიად მადლითა - ეგე იყო სახეი იეროვანი სასახლისა მისისა ძლიერებისა ამა ქართლისაი. სასახლეი იყო განხორციელებია აღორძინებისაი ჭირთა შემდგომად.

მაგრამ ამასთან სასახლეი იყო მრისხანეი და ამპარტავან ნამეტნავითა სასტიკობითა და ნიშნითა ამითა იყო ხატი მომავლისა, ვითარმედ სიმბოლოი ფეოდალის დიდებულებისა და თავადთა მით ძალმედიდობისაი.

ანუ სიმბოლოი აბსოლუტოვანის სამეფოსი დაცემისა და დამარცხებისა, რომელ არს დაქუცმაცებულიოლი ფეოდალური ეგე.

... ოდეს გიორგიმ თვალნი მოსწყვიტა სასახლესა ფარნაოზისასა, მისი მეგზური გლეხი იგი აღარსად იყო...

გიორგი გულოვნად მივახლა ვეება ბჭისკარს და ჩამოჭრა ზარსა, იქავ მკიდარევი.

გაილო ბჭისკარი ჭრიალითა დიდითა...

- მოახსენეთ თქვენსა ბატონსა, რამეთუ ქალაქიდან მკურნაეი აღმოვსულვარ და მიართუთ ნიგნი ესე...

საბას წერილი გაუწოდა გიორგიმ გამლებსა ბჭისკრისასა.

გიორგის უკანრე ჭრიალითა დიდითა დაიხურა ბჭისკარი იგი...

3.

იყო აღდგომილ ძილისაგან ფარნაოზ ძოდან, ოდეს მიართუეს წერილი ღირსისა საბაისი. წარიკითხა რაი წერილი იგი თვინიერ აჩქარებისა უსულსწრაფოდ ანუ დინჯადრე, ვერა ვინმეი იტყოდა, რამეთუ კმა ყოფილებია გამოეხატა სახესა მისსა.

- თუმც ვცემ ქალარსა მამა საბაისა პატივითა დიდითა, არარაი მატვის სასოებაი ქაბუკისა ამისა და არარაი მრწემს სიტყუათა მამისა საბაისა, რამეთუ თქმულ არს: მეცნიერებასა შიგან ხანიერი გამოცდი-

ლები მთავრობს და არა სათნობანი და გულმოდგინებანი მოყმეთა უნიფართა, გინა უწვევრულთა.

ესე სიტყუანი ფრიად თქუა ფარნაოზსა ხაზილითა დიდითა, ოდეს გარმოვიდა აივანსა ზედა და თვალი ჰკიდა გიორგისა მას უჰსასაკოსა.

თუმცა, ნებითა უფლისათა გიორგის არა სმენილ ეყო მწარეი და გულდამკოდავი სიტყუანი ესე. გიორგი წარსდგა წინამე დიდთავადისა ფარნაოზისა და მდაბლითა საღმითა თავყანისცა ამა შთამბეჭდავისა ახოვანებისა აზნაურსა დიდ-დიდსა, ფიგურაცა რომლისაცა მრისხანებითა და დიდებულებითა მსგავს იყო სასახლისა მისისა.

- რაო? გარნა თუ ძნიად ავად არს მოძღვარი იგი საბაი, ყმანვილ-ჩემო? ვიეთ ნება ჰყო ზეც-თასკნელმა, თავს დარეტყვა სნებეი ბოროტი და ხორშაკეული თვით სნებათა მმუსვრელისა თავსა ზედა? ჰფარვიდეს მალლისა ზეცისა მადლი მას საბრალოსა. ამინ!

- ავაი, ბატონ-ჩემო, ავაჰაი! სიავადემ ბილმან და დაუნობელმან სასთუმალსა ზედან დააკრა მოძღვარი ჩემი უსათნოესი, რომელ ნუხდა და იხახდა ფრიად, რამეთუ ვერა შეეძლო აღსრულებია თხოვნა-ბრძანებისა შენისა, დარდობდა მეტად.

იმგვარის დარწმუნებითა და გულითადობით წარმოსთქვა ეს სიტყვა გიორგიმ, თითქოს თავად ფარნაოზის ფიქრებს გულისეულამდინ მოუხვდაო.

თავადიშვილ ფარნაოზს, სჩანს, არ სურდა, დიდხანს გაეგრძელებინა ახალგაზრდა მკურნალთან საუბარი.

აქა კვლავაც დაეღვევის მოთმინებაი იგი უგრძესი მკითხველსა ჩემსა და მარქუის მე, რამეთუ: ვითამე უზნობ, ღირსი მამაირევ პიტიკოსო ჩემო, უცხო-სა კილოსა ქართულსა, გარნა უნდა დეტექს, რომე დიდთავადსა ფარნაოზსა, ვითარმედ იგი სჩნდა, მრავალსა ჟამსა განცავეგრძო საუბნარი იგი უწვევრულად მკურნალთანა თანა.

ხოლო მე ვიტყვ:

- კი, კი, თანა, თანა, აბა რა!

ამით ამონურულ ვყეთ ინციდენტი იგი მცირეი და განავგრძოთ თხრობაი იგი დიალოლური:

- ნამგზავრ ხარ, ქაბუუკო, ვინძლო დალილიცა. მოისვენებდე სახლსა ჩემისასა და უფლობდე თავსა შენსა, ვითარცა გსურდეს.

- მადლობა შენდა, თავადო დიდო... -

- დაისვენე, ისაუზმე, ეგებ ცოტა მომჯობინდე...

თავსა ძალა დაუბრუნე, რომელ ხარჯე მოგზაურმან...

ასრე უთხრა ფარნაოზმა, მრისხანემ და მედიდურმან...

უაუ!

- თავადო სვიანო, ნურცა იფიქრებ, რამეთუ დამეწყოდესა მიზანი ამოსვლისა მუნ ჩემისა. გარ-



ნა მერმედ ვერ მოვასწრებ დასვენებას? ახლა კი მოვსულვარ აღსასრულებლად ნმიდისა მოვალეობისა ჩემისა. გთხოვ და გაეჯე, მაცნობოთ მდგომარეობაი ჯანმრთელობისაი დიდებულისა მუღლიისა შენისა და დამროთ ნები, ლირსებობია დაეგე ადგილსა მოძღვრისა საბასი, გამზრდელისა ჩემისა, ფრიად მოყვარულისა ღირსებისა შენისა. გთხოვ ყურადმღებელ იყო სიტყვებისა ჩემისა...

ეს ახალგაზრდულის მგზნებარებით თქმულნი სიტყვები იამა თავად ფარნაოზსა, ხოლო ოდეს რამოდენიმე ჟამის შემდგომად ორთავენი კენინას ოთახიდან გამოდრიდნენ, მთელი თავის ქაბუკური ცეცხლი ვადმოუფრქვია თავადსა გიორგიმ. ელვარის მჭყერმეტყველებით აღმოთქმულთა სიტყვათა, შეზავებულთა გონებისა არომადითა და აღმატებულთა განათლებითა და ნიჭითა მალლით ბოძებულთა, უკეთ გასჭრა, ვინემ რაიმე რამ ბარათმან სარეკომენდაციომან. სწამდა გიორგისა, ხოლო ფარნაოზ ხედიდა ამას რწმენასა ქაბუკისასა, რწმენასა საკუთარის ხელისა და თვისაისა ცოდნაგანათლებისა. ფარნაოზმაც იწამა სიტყუი გიორგისა, რამეთუ „ვადასა ერთისა თვისასა ფერხთა ზედა დავაყენებ მუღულესა თქვენსა“.

და იწამა სიტყუი ესე ფარნაოზ. იგი იყო კაცი მნახველი ბევრისა სოფლისა ჭირთა და ლხინთაი და უწყყდა იმან გარჩევი ავისა და კარგისაი. ხოლო მოწონა გიორგი იგი მას ენთუზიაზმითა მისითა და შეიყვარა ფრიად. არაოდეს დავიწყნია გიორგისა ორი თვე, რომელიცა რომა გაატარა მან სათავეში მუნ.

4.

ორი თვე იყო, რაც სათავეში ვიმყოფებოდ და ჩემი ტფილისი არ მენახა. ორი თვე! იცი, მკითხველო, ეს ორი თვე რა ორი თვეა? ჯერ ერთი, რომ სათავე გავიცან, შევიცნე იგი. თუმცა იქაური გლეხკაცობა არ გამიცნია, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერ დავუხალგოვდი მის ერთ მუჭა ბატონებსა. მომხიბლა თავადის ქალების – დების – თამარისა და ელენეს სათნოებამან, კაცთმოყვარებამან და სინაზემან. მეორე, ამ ორს თვეშიდ მონდომებით ვუმჭირნაღე ავადმყოფ კენია თამარისა და პირნათლად შევასრულე დანაპირები, სწეულს ფეხი ავადგმევიენე. ეს ის ორი თვეა, როცა ყოველ ცისმარე დღესა მსიამოვნება საუბარი კენიან ელენესთან, რომელიც ნაირფერ კითხვებით აღმვასებდა ქალაქისა თუ მეციხიერების საკითხებზედა. ერთობ მოწონდა მისი ამგვარი ცნობისნადილი, მით უფრო, რომ ელენე უმფროსი იყო თამარზედა ათიოდ წლითა, თუმცე კი ტყუპისცალივით ჩამოჰგვანდნენ ერთმანეთსა. მთელი სიცოცხლე უმ-

ცროსის დისთვის შეენირა ელენესა და ამა სამოცდაათ წელს გარდასულმა ბანივანმა ჩემს ტვინსა და გულში კვანძი შეუქრა უბიზობისა და სინმინდის კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია...

5.

გაიცნო გიორგიმა ძეი ფარნაოზისა ალექსანდრე, ჰასაკითა კბილი თვისი, ოდნაოდენ უფროსი ეგებ. ამო იყო საუბნარი მათი, რამეთუ იყო ალექსანდრე დინჯ, გონიერ და მამაცი გულთვანი და შეიყვარა გიორგი, ვითარცა ძმაი თვისი. ყოველსა დღესა გადინადირებდნენ სერთვად აღმა ქალებსა და ხეულად ჰქონდათ ხოცა ნადირთა მცირეთა, გნოლთა და ხობობთა, ანუ შეუდგებოდნენ მათა მალათა ირმისა და შველთა მოკვდინებად. თან იახლებდნენ ერთსა სახლთმოურავსა ფარნაოზისასა და კიდენ დათასა – ყმასა მავანსა უჰსაკოსა, რამეთუ არა უყვარდა ფარნაოზსა ნადირობაი ამალთა დიდოთა. გიორგიმან მოკლესა ხანსა დაუფულა ხელთვინები ნადირობისაი და მეტად ჰხარობდა ჯირითითა ველებსა ზედან...

და გაიცნო გიორგიმან ქეთევან – ასული ფარნაოზისა, ათვრამეტ წლისა შობითვან თვისისა, დიახი მომხიბლავი, დიდრონ-ლაყვარდ თვალანი, მსგავსი კამარისა ციურისა და წარბნი მორკალულინი მშვილდად და ფერად ნაბლი, ხოლო თმაი მისი კუნაპეტ ღამისა მსგავსად.

შეიყვარა გიორგიმან ქეთევანი, ხოლო ქეთევანმაც შეიყვარა ქაბუკი იგი მალულად.

იყო ორთა ამათა მიჯნურობაი საიდუმლო ყველათვან, გარნა თვით მათთა მიჯნურობანაც გიორგისა და ქეთევანისა, რამეთუ უმაღლედნენ გრძნობასა წრფელსა ამას თავთა თვისთაცა.

იყო გრძნობაი ესე უტყვე და მუნჯ. მთელსა ხანსა გიორგისა მიერ გატარებულსა სათავესა შიგან ათჯერსა მეტად არა მიუმართავი ერთმანეთისთვისა რაიმითა სიტყვითა, არცა ერთხელა დაშთნილან მარტონი პიროსპორ ურთიერთასა, მართ მარტოდენ თვალნი მათნი საუბრობდნენ მუდამ და უწყოდნენ მეტყველები თვალთა უსიტყვოდ ერთმან მეორისა.

თვლებმან გიორგისამან უწყოდნენ, ვითა ყვარობდნენ მათ თვალნი ქეთევანისნი და თვლებმან ქეთევანისამან უწყოდნენ აგრეცა, ვითა აღმერთებდნენ მათ თვალნი გიორგისანი. და არა სურდეთ სიყვარული სხვაი...

მარტოდენ ერთი უამური მოგონება გამოჰყვა გიორგი დასტატარს სათავიდან – იქაურის მღვდელის, მამა პეტრეს სიძულელივითა და იჭით აღსავსე მზერაი, რომელსაცა რომა პეტრე ხუცესი მაშინ ტყორცნიდა ხოლმე გიორგისა, ოდეს ქეთევანის თვალბთან, ვითარცა იგი ვთქუთ, მიჯნურობის

სხივთაშეყრას გააბამდა ხოლმე ჭაბუკი. რად ესობო-  
და გულსა ლახერადა სიყვარული ესე მამა პეტრეს?  
ჰაკი ესე ღვთისა მსახური უკვეყამსა არღარა იყო  
უპასაკო, რამეთუ ერგასი იყო რიცხუი წელთა მისთა.

უნყოფდა გიორგიმ, რამეთუ ქეთევან იყო აღზრ-  
დილი პეტრესა მიერ და აწვალეზდა ჭაბუკ მკურ-  
ნალსა კითხვა თუ ეჭვი პეტრეს შესახები.

რად უზმერდა ხოლმე ასრერიგადა?

სხვობა მამა პეტრე არცა ცივგულად ეკიდებო-  
და ყრმა დასტაქარსა, თუმცა არც ტფილადა, არც  
მეგობრულადა და არცა მტრულადა.

ნეიტრალურადა.  
მამ, რალა იყო? რა მიზეზი?

ბერი რამე შეიცვალა. ჩემი ცოლი თამარი მოკვდა.  
მერე ჩემი ცოლისდა ელენეც მიყვა, მარა არ იფიქრო,  
შენ გაბრალებდი, ვითომ ცულად გენამლის. შენ  
არ მომიკვდი. ეტყობა, ასე იყო საჭირო, ნამეტანი  
შენაწებეს დედამინა. შენა იქითობას, ორი თვის თა-  
ვზე შეუბრუნა თამარს აწვადყოფობამ და ორ დღეში  
მოულო ბოლო. გაანათლოს, ხსოვნა და არდავინყება  
ქონდეს. ველარც სანყალბა ელენემ აიტანა ეს უბე-  
დურება. დარდს გადაყვა საცოდავი ერთ კვირაში.  
ეკ... ასეა, ჩემო გიორგი, ჩვენი საქმე.

ახლა მხოლოდ ქეთევანი და ალექსანდრე, ჩემი  
ბარტყები შემჩენ იმედად და სასოებად ბერი-  
კაცს, ისინია ჩემი მზეც და ჩემი მთვარეც, მაგათ  
უნდა დამიკრიფონ გულზე ხელი, მაგათ ამიტანონ  
სასაფლაოზე და მაგათ დამიტვირონ. მარა მაგათ  
თვალზე კურცხალი არ დევინახო. მღერა-სიცილით  
გამასვენონ. მე ჩემი საქმე მოვათავე უკვე. მაგე-  
ნი უნდა მყავდნენ კარგად, მარა ჩემს ქეთევანს  
ხელზე რაცა უცნაური ლაქა გამოუვიდა, მარჯ-  
ვენაზე - გოუნითლდა და დოუსივდა. ეფხანება  
თანაც. შვილო გიორგი, არ მოაკლო შენი წყალობა  
ჩემს სისხლსა და ხორცს ქეთევანს...

- სდექ! - იგრავინეებს მკითხველი ძახილითა  
დღითა, - რაი ფარცავ და ავი თვალ არს თავსა  
შენსა, ღირსო მესტყევე, პიიტკიოს მომბარეო ჩემო?  
ხოლო მე განცხადებულად გეტყუით თქუენ:

- ბრმაი ნანღვეი იგი, რომელ არს აპენდიქსოსი,  
უნყალოდ სჯივდგინს ხორცსა ჩემსა, ღირსო მკი-  
თხველო, და მით ამერია ტვინი ჩემი უზადრუკი,  
რისისთვისა ბოდიშს გეაჯვი აჯითა დიდითა და  
უშველებლითა.

ხოლო მკითხველი მეტყუის:  
- გაძღვე შანსა ერთსაცა, პიიტკიოს ჩემო, ის-  
მინე კვლავაცა:

**წიგნი თავადისა ფარნაოზისა მეორე, რომელ დაინერა  
თვით გიორგისა ტფილისელი მკურნალისა მიმართ.**

სალამი შენდა, მეგობარო ჩემო უმრწმესო გეორგ,  
შვილო ჩემო საყუარელო. მოკითხვითა გრძობიერ-  
ითა გიხმობს სათავეი ჩვენი, ნალკობის მსგავსი,  
სადარო ედემ-ბალ-საცნობარისა. უკუღმართ და-  
ბრუნვიდა ბორბალი ნუთისოფლისაი მას შემდგომად,  
რაც ჟამსა დაუტყენე ადგილი საცხოვრისა ჩვენისაი  
და ნახუდე ტფილისსა შიგან. პირველ, ვაჰმე, არღარა  
მყვანს მუთლელი ჩემი თამარ და დაი მისი ელენე. სუ  
გჭურვის, ვითემ რგებაი შენის ნამლობის მაიკლდენ,  
არამედ, აგრე სურდა მამასა ზეციერსა ჩუენსა, რამე-  
თუ შემდგომად ნასვლისა შენისა გასრულდა რა ორი  
თვეი, სნებამ უკუუყვლა სანყალობლსა მას თამარსა  
და ორიოდ დღისა ჟამსა მიიკვალა. უფალო, უღზინე  
სულსა მისსა! ხოლო დამან ჩემმან ტვირფასმან ელენე  
ვერღარა აიტანა მწუხარებაი სიკუდილისა დისა თვი-

6.

ისრეთ ჩაეფლა ჯერთ უწვერული გიორგი ნაირ-  
სგვარს სიამეებში, რომ სრულად გარდავიწყდა  
თვით სოფელ სათავისა მოხილვა და იქაურის ყმა-  
გლეხობის ცხოვრების ავანჩავნობის შეტყობაი. მა-  
ლედ შთაუქრა ინტერესი იგი, რომელიცა აღუძრა  
მას პირველ სათაველ გლეხკაცთან ლაპარაკმან.  
აბა, გლეხთა ჭმუნვა და ისრით ნაჩხვლეტობა რად  
მიეტანა გულთან ჭყლინტსა ამას აქიმსა, ოდეს  
ამოტოლა სითბო, ზრუნვა და სიამოვნება დააბერ-  
ტყეს თავადებმა თავსა ზედა...

დიდის პატივით გააცილა გიორგი იგი ფარნაო-  
ზმა მან.

საამური ტკივილი განშორებისა დიდხანს არ გა-  
ნეშორა გიორგისა მას და გულსა მისსა, ოდეს შორ-  
დებოდა ბილიკითა მითა სათავესა და ხეთა ჩურ-  
ჩული ჩაენსობდა ხმად ქეთევანისა და მადა, რომელ  
ხმობდა „მშვიდობითა ვალ, ჩემო“ ოო.

თავისებურითა - ბასის მანერითა უბნობდა  
ქეთევან: ბოლო ხმოვანსა ყოვლისა სიტყვისასა  
უტყბოდ აგრძელებდა: ოო. და ფრიად ევასებოდა  
ესე გიორგისა აა.

მას ჟამსა უქანასკნელსა მიუგო ფარნავაზ  
გიორგისა და რქუა:

- ხშირად ამოივლიდე ჩვენსა, ჭაბუკო, ხშირად.  
უმალ გვესტუმრე, რაჟამს მენცარებისა და სწა-  
ვლობისაგან დაგრჩეს დროჟამი თავისუფალი...

7.

თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა ამას შემდგომ...

8.

წიგნი თავადისა ფარნაოზისა მეორე, რომელ  
დაინერა თვით გიორგისა, ტფილისელი მკურნა-  
ლისა მიმართ.

შვილო გიორგი!

მოგიკითხა სათავემ და ყველამ. რატო დაგვი-  
ყნიწყ, რა წესია. მას მერე, რაც ქალაქში წახვედი,

სისა და შემდგომად კვირიაკის ერთისა აღასრულნა დღენი თვისნი მანცა.

მართმარტოოდენ ასული ჩემი ქეთევან და ძეი ჩემი ალექსანდრე მყვანან ნუგეშისცემად დღეთა სიბერისა და უძლურებისა ჩემისად. იგინი ორნი ბლარტნი შემორჩნენ უძლურთა და დაცალენილთა ფრთათა ჩემთა. იგინი არიან ორნი მნათობნი ჩემნი - შვიი და მთოვარე, გასაყრელად დღისა ღამისაგან ჩემდა შთონილთა, აღმნიშვნელად დრო უამისა - დღეებისა და წელიწადებისა მცირეოდენისა, რაიცა მაქვის ანცა. მათ ჩემთა შვილთა დაფოფინებ სასობითა, ვითარცა დედაი და ვლოცულობ მათ-თვინ, რამეთუ აშოროს ზეცამან უბედურებაი თავთა მათთა. ქეთევანსა ასულსა ჩემსა მარჯვენასა მტევანსა ნატოფ-მსხმოიარესა გამოუჩინდა ლაქაი რაიმე უგვანო ფირად, ფერად ნითელ და აღმძვრელი ქაგილისაი მანუხრად. ღალადყოფ ციურთა ძალთა: შეგვიწყალენ! რამეთუ ასრეთ თქმულ არს წინაპართაგან, ვითემე ასრეთ უწყს საწყისი სნებისა საშინლისა, რომელ მონგოლთა მოეტანათ ქვეყანად ქართლისასა და რომელ თუალსა ანუ ვილქესსა უხმობდინ. იჭვი მისურვილებს გულსა ნაავადარსა, რომელი გაეცანდა ხუცესსა ჩვენსა პეტრესა და შემოვითდა იგიცა, თუმცა არა დაითქვ ესე და ნუგეშისნი მცა წესისამებრ მღვდელთა. არა არს აქიმი სოფელსა ამას, რომელ მგვირდეს ნდობასა უფროესა, ვინემ შენ ხარა, საქუცო ჩემო საყუარელი. გვედრი ნუ შეუშინდები ჭიჭუნებისა გზისასა, სიცივისასა და განსაცდელისასა. თხოვნითა და ბრძანებითა გიხმობ. დაინერა წიგნი ესე დიდბატონ ფარნაოზისა თქმითა და ბრძანებითა ნოენბერსა იე ქრისტეს აქეთ ჩუმ...

## 9.

უკვე ხელმოკრედ გადაეშალა თვალნი ნაცლობი ხედი ტფილისადამ ნამოსულს გიორგისა, მაგრამ ასრერგად მზიარული და მშვენიერი აღარ ეჩვენა იგი. საღამოს ბინდბუნდი მძიმედ დასწოლოდა გარეშამოსა. იგრძნობოდა ღამის მოახლოება. აღარ ისმოდა ჩიტუნების იმგვარი მზიარული მოძახილი, რომელმანაც ესოდენ მოხობლა გიორგი, როს პირველად ეწვია ამ ტურფა მხარესა. ნეტავი სით გაფრენილიყვნენ ის ჩიტუნები? აგრე ვფიქრობ, ჩემო მკითხველო, ტბილ ქვეყნებისკენა-მეთქი, რაკილა ზამთრის მოახლოება უგრძვნიათ, თუმცა კი ჯერ ტფილი ამინდი იდგა არემარეხედ. მარტოდმარტო გიორგი აპყვა ბილიკს ფარნავაზის ციხე-დარბაზისკენა და თვალნი დაუდგა სახე იმ პირველის შემოხვედრილი სათაველი გლეხისა, სახე გატანჯული და დამაშვრალი. ჩაენსა მისი სიტყვები ყურსა.

უნინამდელის მედიდურობით გამოიშვირებოდა ფარნაოზის დიდებული ციხე-დარბაზი, თუმცა

უფროვე კუჭტი და დაღვრემილი სჩანდა ავადარის გამოსიბობით. ასრევ თავადიც სახეშეცვლილი მოეჩვენა გიორგის. თმები გასაშუტაკებოდა და უღვაძშიდაც გამოჩნოდა მეტი ჭალარა.

ერთობ შეაშფოთა გიორგი ქეთევანის სწეულება-მა. კვირაც არ იყო გასული ფარნავაზისგან წერილის დანერიდამ, ხოლო ლაქა ქეთევანის ხელის პანა მტევანზედ გაღორჯებულოყო და შუაგულ ალაგა მუქმული გამოჩენილიყო, სისხლბოვანის სითხით აღსავსე. არც თავადი ფარნაოზი და არცა პეტრე მღვდელი არ შემცდარიყვნენ. ვი რომ ეს მართლაც იყო საწყისური ნიშნები დაუნდობელის სნებისა, რომელი მესყუელად ამოიკითხა გიორგის ქეთევანის ხელზედა და მეტის თავგანწირულის სულისკვეთებით ჩაება მასთან ფიცხელსა ოშიმ. სათავენი ასვლის მეორსავე დღეს გაპყვთა გიორგიმ საბედისწერო წყლული და სითხე დიდის სიფრთხილით გამოიწვია, შემდგომ ამისა თავისის ხელით დაამზადა მთის ხალხებისგან მალამო, ქალაქიდან ამოტანილი ბალზამითაც შეაზავა და ასრე დაადო ავადმყოფ ადგილს. შემდგომად ორიოდისა დღისა თვალბედით ბუშტული კვლავ აღმოცენდა საბრლო ქალის ხელზედა. გიორგიმაც კვლავად გამოიწვია იგი. ამგვარად მეთოდმან მკურნალობისამან მოახედა ავანტყოფი, სიცხე შთაუცხრა, დამწყარდა თვითცა, წყლული მოუღობო მალამომან და გიორგიმ გამოაცხადა სწეულების მალე გაქრობა.

გიორგის განცხადებამ ერთობ გაახარა ფარნაოზიცა და ალექსანდრეც, რომელიც თითქმის არ შეეცოლიყო მას შემდგომ, რაც გიორგი არ ენახა, მხოლოდ დადინჯებულოყო და გულწათხრობილი გამხდარიყო, რადგან დიდად ემოქმედნა მის ბუნებაზედ დღისა და დღდის დის სიკვდილსა. ალექსანდრეს გამოხაფხულებისთანაც ქალაქად წასვლა და ხელმწიფის კარზედ სამსახურად დადგომა ჰქონიყო გადაწყვეტილი.

კმაყოფილი იყვნენ გიორგის ჩამობრძანებითა ფარნავაზიცა, ქეთევანიცა, ალექსანდრეცა, მოურავიცა და სასახლის მსახურნიცა, მარტოდენ ხუცესი პეტრე სჩანდა მეტად უკმაყოფილოდ დაკუჭმული და გიორგის უცქეროდა ბოროტის თვალებით ყოვლად უმიზეზოდ.

არ შეცვლილიყო თითქმის სათავე, კვლავ თვალწარმტაცად აბიბინებდა გარემო თვისთა ატვიხლ ჭალებს, მაგრამ სოფელზედ ზამთარი ეპირებოდა დავენებასა და იგრძნობოდა მისი სუსტი შინაც, გართეთაც.

## 10.

ერთი თვე გავიდა ამასობაში. ქეთევანი ჩინებულად გრძნობდა თავსა. დადგა დეკენბერი, ქრისტეშობა მოახლოვდა და მოულოდნელად ავადარიც

დაეცა მადლიანს დედამიწასა. ვახ, დედას ჩემსა, ზამთარო, რა მძლავრად შემოიჭერ ხეობაში. შვიდს დღე-ღამეს გადაუდებლად ითოვა, მუხლამდე დადო ნამჭერი და გვალვიანი ზაფხულის მერმე ისედაც მცირე ნაჭირნახულეც სოფელს შიმშილი დაელირა სიცივესთან ერთად. ჩაიხერგა გზები, კარგა გვა-რიანის ხნით მოსწყდა სათავე დანარჩენს ქვეყნიერებასა. დაიჭირა დიდძალი ყინვა.

## 11.

აი რა უამბო ქეთევანმა გიორგის ჩუმად: ჩემი საყვარელი ირემი დაიკარგა შენს ჩამოსვლამდე ათი დღით ადრეო უგზო-უკვლოდ. მწუხრის ყამს ვუბრძანეო მისი დაბინავება სახლელუს, მაგრამ თითქოს არ სურდაო პატრონთან განშორება სულდგმულს, ჩემკენ მოინეგდაო უმწეოდ, კალთაზე მეკვროდაო თვალცრემლიანი. კარი რქებით გაემტვერია იმ ღამეს, შეჭვარებოდა ფარილო ქიუსს. ჩამიკლაო საყვარელი ცხოველის დაკარგვამ გული.

## 12.

შავი ქერქი გადაეკრა ქეთევანის წყლულს, სულ უფრო და უფრო უარესად გრძობდა თავს. ძლიერ შემუფოთდა გიორგი...

1440 წლის ზამთარი იდგა. მემპატონის ცნობით, სწორედ ამ წელს შემოიჭრა ქართლში საზარელი სნეულები – ციმბირის წყლული – მძლავრი ეპიდემია. ძნელი სათქმელია, როგორ და რა გზით, მაგრამ ინფექცია სათავეშიც დამკვიდრდა, ერთი კვირის განმავლობაში მთელი პირუტყვი განყდა, აღარც მენველი დატოვა, აღარც გუთნეული. დაიცალა ფარნაოზის ბოსელი, არც გლეხთა გომურებს დაადგა ნაკლები დღე. მალე ჯილბიხი ადამიანებსაც მოედო და ორიოდ კვირაში ოცამდე კაცი იმსხვერპლა. ხუცესი პეტრე მიცვალებულებს ყოველდღე რამდენიმეჯერ უხდიდა ჰანაშვიდს, ცოცხლად დარჩენილებს კი პარაკლისს. ნირვა-ლოცვას არავინ აკლდებოდა, მაღალ ღმერთს შეპლალადებდნენ გადარჩენას. ამ უბედურებას ზედ შიმშილიც დაერთო და რამდენიმე ადამიანი შეიწირა. იქმნა ვამი, ლული, ხართა, ბალა, ბავთი და ბედშეობა ადამიანებსა ზედა.

## 13.

კი მაგრამაო, იკითხავს გაოცებული მკითხველი, არც რო იკითხავს, წამოისერის ჰაიპარადა, გულსიკითა, თუნდაც რო გულსაქეთა, გიორგიო, ამას იკითხავს, გიორგი რასა შერებოდა ამ დროსაო, ამასობაში რასა შერებოდაო, იკითხავს და არც რო პასუხს დაელოდება.

არ იწამა ხალხმა გიორგისი, ან თუ თვითონ გიორგი არ იწამა არც აქიმადა, არც არუფრად. ავადმყოფი რო ჰყავდათ მიმედა, არც მამონა სჯეროდათ, თუ უფრო მამინ არა სჯეროდათ, არა სწამდათ ახალგაზრდა დასტაქრისა, ვითომ რო რამე იცოდა, რამე უნარი გააჩნდა სნეულებასთან მებრძოლსა.

ხედებოდა გიორგი, პეტრეს ხელი რო ერია ამ საქმეშიდა, პეტრე ხუცესისა, პეტრე მღვდლისა, ლევისმსახურისა. მართალიც იყო მიხედვითა, რადგან პეტრე მოუწოდებდა ხალხსა, არ ნდობოდნენ ექიმსა, რო თუ ენდობოდნენ, ხელშეზღოდა ეპიტამითა, შექრენებითა, ბატზე გადაცემითა და ანათემითა, ვინც რო გაბედავდა გიორგის შინ შეშვებასა.

თვითონ თავის მხრივ აიმედებდა უბედურ ხალხსა პეტრე ხუცესი, შეულოცავდა მღვდლურადა, იქნებ აზიმაბუარადა, ან კიდევ მწიხიბაუარადა. დადიოდა ჭონითა, მგალობელთა გუნდითა კარდაკარა, შინდაშინა, განდაგანა და ფსალმუნ-ფსალმუნ უვალბოდა მომაკვდავებსა...

ფარნავაზის სასახლეში ბევრს ლაპარაკობდნენ სოფლის ამბებზედა, ან კი სხვა რა ქონდათ სალაპარაკო და ლაპარაკობდნენ ისინიცა. ზარდაცემული იყო თავიდი ფარნაოზი, რო ხედავდა, რასაცა რო ნათლად ხედავდა: საუკეთესო ყმები მოუღლიდნენ სააკიოდანა, ეცლებოდნენ ხელთაგანა, გლეხთა ურჩობითაც რო ზარდაცემული იყო და განრისხებულიცა, ავი დასასჯევინა კიდეცა ორი გლეხი საჯაროდა, ყველას დასანახადა და დასაშინებლად, გიორგის ავადმყოფი რო არ გაასინჯეს, ამისთვისა, ამ მიზეზითა.

თუმცა არ გასჭრა ამან გლეხებზედა, ჯიუტებზედა, ავად შთავიანებულებზედა, რო მომკვდარიყვენენ ერჩიათ და რო არ მიუშვებდნენ თავისიან მომაკვდავთანა მკურნალსა, არ გადააბიჯებინებდნენ კარის ზღურბლსა არასგზითა, არც არასგზითა, არც არანადირსგზით არ გადააბიჯებინებდნენ, არა.

ქალი იყო ერთი ბედდამწვარი, რო არცა ყოფნა ერქვა იმის ყოფასა. მიადნია გიორგის ყურამდინა მისმა უბედურებამა, ჯველობაში დაქვრივებულისა, ერთადერთის ვაჟის იმედად დარჩენილისა, ახლა რო იმ ერთადერთ იმედსაც დაღირებულად უმოწყალოდა თვალი თუ ჯილბიხი თუ წყლული უმოწყალო. აღარ იცოდა, რაღა ექნა. მიადგა გიორგი მის სახლსა, სახლი რო ერქვა და ქოხი რო იყო ნამდვილადა, იმად მიადგა, რო სნეული ბავშვის ნახვა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, რო რაც არ უნდა მომხდარიყო, ენახა ბიჭი. გაიწოდა ხელი კარის შესაღებადა და წინაღმართა ძაძამოსილი დედაცაიცი უეცრად.

– ვინ ხარ? რა გინდა? – ჰკითხა ქალმა უცნაურად და უცნაური მზერაა რო მოაყოლა სიტყვებსა.



- გამეცა, ქალო, მკურნალი ვარ და ბავშვი უნდა გადავარჩინო.

- განვედი ჩემგამ, უწმინდურო, განვედი-მეთქი! - ამბობდა ჩელი პირფურისწერითა, ვახს ულობავდა ძაძამოსილი სხეულითა, არ უშვებდა ქოხის კართან თავგანწირულად.

- გამეცა-მეთქი, უბედურო! - შეჰყვირა გიორგიმა ანთუ კი არ შეჰყვირა, მიაყივლა, მიაძახა, მია-მუნათა. მოინდომა გვერდის ავლა, ანთუ შესვლა მოინდომა, მაგრამ ჰკრა ხელი ქალმა და იყვირა მთელის ძალ-ღონითა, მთელის ხმითა და არსებითა:

- მიშველეთ, ხალხო, მიშველეთ, უწმინდურო მეძალემა, თავს მესხმის, მიქლავს! მე არ მოგცემ, ეშმაგ, ჩემს ბიძინას! განვედ ჩემგან! მიშველეთ, ხალხო! მე შენ ჩემს სახლში არ შემოგიშვებ! შვილს არ გაგატან, ჩემს ერთ შვილს შენ არ მოგაკვლევინებ! შენი ბრალაა ეს სწეულება, შენ მოიტანე სენი წყუელი ამ ჩვენს სოფელში, ეშმაკს მიჰყიდე ეგ შენი სული, მიეც უწმინდურს! შენ გაავრცელე სწეულება! შენა, შენაო!

იკივლა ქალმა, ქვითინიც წასკდა განწირულადა. ველარ გაუძლო გიორგიმ და საშინელებას, უკუიქცა და შერწუნებული განერიდა იქაურობას, ან კი როგორ არ გარიდვოდა გასარიდებელს.

14.

შენ გაავრცელე სწეულებათ, ეს ალესილი სიტყვა, გესლით და შხამით შეკაზმული, ელვის სისწრაფით მოედო სოფელს, თვით იმ სწეულებაზე უჩქარესად და მომაკვდინებლად გავრცელდა ხალხში, გადაედო კაციდან კაცს, სახლიდან სახლს და ღობიდან ღობეს. წყუელმა ქალაქელმა დაგვატყდა თავს ღეთის რისხვა, ჯოჯობების მოციქულა, თვით სატანაა, მის მოსვლამდე უბედურება არ იყო, მაგან დაგვასწებოვნა, დიდბატონიც გვიცდუნა, მოგვიხიბლაო, ხუცესი პეტრეც სულს უბერავდა ცილისნამების გიზგიზა კოცონს, ცეცხლს უმატებდა, შრევლს აგონებდა: თუ განვდევნით მაგ უწმინდურს ჩვენი სოფლიდან, ღეთის განრისხებას გადავრჩებითო და, რადგან აღვიღად უჯერებს ხოლმე შიმშილით და ეპიდემიით განამებული ხალხი სულიერ მოძღვარს, ერთ მშვენიერ დღეს ჯოჯად დაიძრა მთელი სოფელი ფარნაოზის დარბაზისაკენ, როგორც მენყერი და თან მოჰქონდათ თხოვნა, მოთხოვნა, მტკიცე სურვილი, ან განედევნათ ქალაქელი მკურნალი, ან ჩაეყო-ღათ, ან სხვა რამ ექმნათ ამის მსგავსი დაახლოებით, რადგან ბრბოდ აძრული ხალხის მიზანსა და სურვილს სიმტკიცე დიახ, მაგრამ სიცხადე და გარკვეულობა არასდროს არ აქვს.

სასახლის მახლობლად შვიყარა უამრავი მამაკაცი და ამდენივე დედაკაცი, ყრუდ ყაყანებდნენ.

მოახსენა მოურავმა ფარნაოზს, ასეთი და ასეთი ამბავი. განრისხდა ფარნაოზი, მაგრამ თავი დაიოკა, მშვილად გამოვიდა აივანზე და გადასძახა თავის ყმა-გლეხებს:

- რა ამბავია, ვეყო, რა უბედურებას აჰყო-ლიხართ? ამ ადრიანად რას მომხდომიხართ, ადამიანო, ვიცოდე მინდა. მამაშვილურად გვევდრებით, არ მოგერიდოთ, სრულად მიბრძანეთ, რა გნებავთ და რამ შეგანუხათ.

- მეტი რალა უბედურება უნდა დაგვემართოს, შენი კვნესამე.

- რახედ ამბობ, ჩემო ვაჟიკა. მითხარი, შვილო, ვატყობ შენა ხარ მეთაური ამ თავყრილობის.

- შენ კარგა იცი, ბატონო, რომა მოსავალმა გვიმტყუნა წელსა. ჭაპანწყევტა და შიმშილი არ კმაროდა განა, რო უწმინდურის ავი თვალით ჩამოთესილი ჭირი არ დართოდა ზედა ამ ჩვენ ვაინაჩრობასა, დიდო ბატონო?! ეშმა ოხერი შემომძვრალა შენს კალთის ქვეშა, შენ კი გვანაცვლის შენი ვაჟიკა, მამავ ჩვენო და მარჩენალო, უწმინდური და ბილნი სული შემოგჩვევია.

- რა უწმინდურო, რის უწმინდურო, ვეყო, რაება ჩამავა. ეშმაკს რა უნდა ჩემს სახელელში, ხო არ გაგიყვებულხარ, შე ოჯახაშენებულო შენა, ჰა? აღლეგებულმა ფარნაოზმა სამგზის პირფუარი გადაისახა.

15.

ბერიკაცი თეოფილე

ვაი, ავაპი, ოო, დიდო ბატონო, თავად შენც მოუხიბლიხარ მაცდურს, ვაი ჩვენს დღესა უბედურსა.

(შემოდინ მოძღვარი პეტრე, მნათე და დიაკვანი.)

ფარნაოზი

ეგებ ამიხსნა, სულთ მოძღვარო, შეჭირვებულსა,

რას გაიძახის მრევლი შენი, რა უწმინდურსა ლანდავს ხალხი, ვინ ცდებდა აქა, მე თუ თქვენ ყველა, რას მოჯარულა ვამაათი, რაისთვის დელავს?!

ხუცესი პეტრე

ო, დიახ, ვიცი, დიდო ბატონო, ამის მიზეზი, აქ შეკრებილ ხალხს ვარაუდი აქვის ისეთი, თითქოს რომ სენი სასიკვდილო სულის და ტანის აქ მე ექიმმა ქალაქელმა ჩამოგვიტანა. მაგას უწოდებს უწმინდურს და სატანას ერი, ითხოვს განვიდეს, გაგვერიდოს შლეგი, ოხერი, ეგებ ეშველოს ჩვენი ხალხის უბედურებას, უეჭველია, შენც მოგყირჭდა ამის ყურება.

ც. ს. ჯ.

**გიორგი**

შენ კარგად იცი, მამაო, რომ ტყუილს ღალატობს  
- მჭექარედ შესძახა გიორგიმ, რომელიც ამ დროს  
აივანზე გამოსულიყო მოურავთან და ბატონიშვილ  
ალექსანდრესთან ერთად, ხოლო ქეთევანი, რომე-  
ლიც ავადმყოფობას ამასობაში თითქმის სიკვდი-  
ლის პირას მიეყვანა, მარტოდ დეტოვებინა.

**16.**

- შენ კარგად უწყი, ხუცესო,  
ვინა ვარ ანდა რა ვარ და  
ისიც ხო იცი, მუხთალო,  
ხალხი რამ დააავადა.  
მაგრამ შაკერისხარ ბილნს ზავით,  
ჩადიხარ ბოროტებასა,  
თვითონ მსახურებ ეშმაკებს,  
პგმობ უფალსა და ზეცასა.

შენ კარგა იცი, მღვდელი ხარ,  
წყულულები უნდა მოპყვეთო,  
მალამო უნდა დაადო  
სნეულს, რომ გახდეს უკეთო.

კურნება უნდა სნებასა  
და არა ჯადო ლოცვები,  
რა გინდა, რა გსურს, ვერ ვიგებ,  
მხოლოდ მივიკის და ვცოცდები.  
შენ მოგიყრია ეს ხალხი  
შენგან არს დარაზმულია,  
შენი წყალობით დღეს ჩემთვის  
ყოველი კარი ხშულია.  
ეგებ მეშველა რაიმე  
საბრალო სნებოვანისთვის!  
ფუი, მამაო, გრცხვენოდეს,  
გასაკიცხი ხარ ამისთვის.  
რად მოგაქვს თავი უფლის და  
საწყალი ხალხის მსახურად,  
მტერი ხარ მათი, სატანამ  
თვისი უსუპით გასხურა.  
ბნელეთის მოციქული ხარ,  
იუდას შთამომავალი,  
იქ განვიკითხნეთ მე და შენ,  
სადაც ყველანი წავალით.

ყრუ ჩურჩულმა გადაურბინა გლევთა ყრილობას:

- დაუგდეთ, ყური დაუგდეთ,  
თავზედი ვითარ თავზედობს,  
რაებს უბედავს ჩვენს მოძღვარს,  
მაუსმინეთ და ნახეთო!
- დაიშალენით, შვილებო,  
მიხედეთ თქვენ თქვენს სახლებსა,  
თორემ ჩემს რისხვას ცოცხალნი

ველარ გაასწრებთ აქედან! - მრისხანედ დაიქუხა  
ფარნაოზმა და თვალებიდან ცეცხლი აკვესა არე-  
მარეს.

**17.**

- ხედავთა, შვილნო ჩემნო, ვითარ გამათათხა უნ-  
მინდურმა, ლაფში გამსვარა. დიდება შენდა, ღმერთო  
ჩვენო, დიდება შენდა! - მიმართა ხალხს ხუცესმა  
პეტრემ.

- ამინ!

შემდეგ კვლავ ყრუდ აგუგუნდა ბრბო. გიორგის  
განდევნას ითხოვდა ხალხი.

ალექსანდრეს მოთმინება გამოეღია. შესძახა  
ძალმუ ხმაზედ:

- აქედან გაეთრიეთ. რა ხანსაც გინდათ იდე-  
ქით მანდა, გიორგის თთისაც ვერ დააკარებთ! გაე-  
თრიეთ-მეთქი, ძაღლებო, დღეს სტუმარია ეგ ჩემი!  
დაგზოცავთ ყველას, ვფიცავ მაღლა ცას, დაბლით  
- ქვეყანას!

მრისხანე გრგვინვამ გადაუარათ გლევებს. ვა-  
ჟიკა მთელი ტანით აღიმართა შემალღებულს კბო-  
დეზე და შემზარავად დასჭყივლა:

- სტუმარიც ძაღლია და მასპინძელიცა, შვი-  
ლიც ძაღლია და მამაცა! ხალხნო, ძალა ვინმართო,  
ჩავექლოთ მაგათი უწმინდური სტუმარი! ძაღლის  
ყევას ნუ შეუშინდებით.

თოფი გავარდა უცებ. ვაჟიკა უსულოდ გადმო-  
ეკიდა კბოდეს, ჩამაანთინა ქვიშანი. გიორგიმ ეს-  
როლა, მოთმინებადაკარგულმა. ლულას ჯერ ბოლი  
ამოსდიოდა, იხუვლა ბრბომან, დაიძრა სასახლის-  
კენ. ერთი გლევკაცი ბჭისკარს ააფორთხდა და  
უსახმნოდ დაიღრიალა:

- ძმებო, ქალაქელს რას ვერჩით, განა არ იცით,  
რომ ჭირი ესე ძაღლის ძუენა ლეკვმა გაგვივრცე-  
ლა! ფარნავაზის ასულმა ქეთევანმა მიჰყიდა სული  
ეშმაკს და მალავს. არ იცით, განა, რომ პირველს  
მას შეეყარა ეს წყეული თვალ-ჯილეზი. ახლა, ამ-  
ბობენ, კარგად არისო, განიკურნაო! ჩავექლოთ  
ძაღლიშვილი, ჩავექლოთ და ეგ ძაღლებიც თან  
მივაყოლო! მომყვეთი, ვისაც არ გეშინიათ!

გიორგიმ ამ თავზეხელაღებულ გლევკაცში ის  
პირველი სათაველი შეიცნო, ერთ ბედნიერ დღეს  
სათავეში ახლად ამოსულს რომ გადაეყარა.

გლევკაცის ყვილზე ხუცესს პეტრეს თმა-წვერი  
ყალყზე დაუდგა და ბეჭებში გასცრა. განწირულის  
ხმით მოჰყვა ბლაგილს.

- შესდექით ყველა! უმალ შესდექით!!! შეს-  
დექით, თორემ შეგაჩვენებთ, ხატზე გადაგცემთ,  
წყულულებო!!!

მაგრამ მღვდლის სიტყვა აღარავის აღარ ესმოდა.

18.

გლოვობდა ქვეყნიერება. მშვენიერი ქეთევანის სიკვდილის ნუთი მოახლოებულიყო. უკურნებელ სენს უმონყალოდ დაეუძღურებინა მისი სრულქმნილი სხეული. სიმშვიდე და ღუმელი სუფევდა სავანეში, მხოლოდ შორიდან ჩქამად აღწევდა სამიწველების ბორბოტი ხმანობა.

აჯანყებულნი შინაყმებს, ვინაც კი ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა, ქვეითა და ღობეებიდან დადრობილი სარებით ხოცავდნენ. ფარნაოზი და აღრექსანდრე იარაღასხმული იცავდნენ ჩუქურთმიან კიბეს.

ქეთევანის სასთუმალთან გიორგის ჩაემუხლდა და სიყვარულს ემშვიდობებოდა. ჩურჩულით წარმოთქვამდნენ გამოსათხოვარ ტრფობის სიტყვებს ახალგაზრდები და არიალებულ ანგელოზთა შეხებას გრძნობდნენ.

აღრექსანდრეს სისხლი უდღვლდა და გადმოდიოდა. ხმალმოპარვებული გადაეშვა შუაგულ ბრბოში.

- შეჩერდი, შეილო! - მიძახა ფარნაოზმა. გვიანდა იყო. ხანჯლით გულგანგმირული აღექსანდრე მამის თვალწინ დაეცა მიწას.

19.

ქეთევანის უკანასკნელი ამოსუნთქვა რომ ჩაისუნთქა, გიორგი წამოვდა, წამოიმართა, ფიცხლად გამოიჭრა გარეთ და ბრძოლაში ჩაება.

ფარნაოზი მარჯვნივ და მარცხნივ ჩეხავდა ადამიანებს, მუსრავდა, არავის ინდობდა, შვილის მკვლელობას ათკეცი ძალა შთაებერა ბერიკაცისთვის.

- შესდექით, უგუნურნო! კენებო! იუდებო! დაწყველილებო! - გაპკოდა ზუცესი პეტრე.

უეტრად პეტრეს თავზე მახვილი აღიმართა.

- ჩააღბდე ძაღლურად, ძაღლთაპირო! - შესძახა ფარნაოზმა, მაგრამ იქვე ჩაიკეცა ზურგში ნატყორცნი ისრით განგმირული.

კეტებით შემოჯარულმა გიორგიმ უკან დაიხია ხმლის ქნევით. ზურგით მიებჯინა ვილაცას ზურგზე. თავი მოაბრუნა და მოურავი შეიცნო, მისებრ გარშემორტყმული გააგებული მკვლელებით. ტყუპად შეეფარნენ აივანქვეშ. მერმე უცებ გმინვა ჩაესმა, ერთ წამს საკუთარი კვნესა ეგონა და იქვე მოურავი დაინახა სისხლით მოსვრილი...

ციხე-დარბაზში შეიჭრნენ მეამბოხენი ბოლოს, მიეჯარნენ ქეთევანის სავანეს. წინ გიორგის ძველი ნაცნობი მოუძღვდათ, ის პირველი სათაველი გლეხი. ის-ის იყო, კარი უნდა შეეღვინათ, რომ უეტრად წინ დათა გადაუდგათ, ფარნაოზის ხელზე მოსამსახურე ბიჭი.

- არა! არ შეგიშვებთ! გინდათ მოკვლათ? არა! არ დაგანებებთ! არ მოკვდება! არა-მეთქი, არა! მიყვარს პატარა ქალბატონი, გაიგეთ, მხეცებო! მიყვარს!

- იქით გაგვეცა, ლეკვო!  
დათა ვიქურ იდგა. გლეხმა ხელი შემოჰკრა და იმავ წამს პასუხად გულში ხანჯალი მიიღო. გამძინავრებულმა ბრბომ გადათელა ყმანვილი. ჯოგად შეცვივდნენ კარში და...

- შესდექით, ცოდვის შვილებო! რალა გსურთ?! აკი მოკალით ყველა. აღარც ბატონი გყავთ, აღარც პატრონი. ან თქვენია ეს ციხე-კოშკი, ეს მამულე-ბიჭ თქვენია და მიწაც, ვენახიც, თქვენია-მეთქი, დაწყველილებო ყოველივე, მაგრამ ცას ვფიცავ, ეს სავანე, ეს სასთუმალი და ნეშტი ესე ჩემი არის, ჩემი და ღვთისა! რაც რომ რა გსურდეთ, ის უყავით ქონებას თქვენის თავადისას, გინდა ცუცხლს მიეცით, გინდა შესჭამეთ და გადაყლაპეთ, მაგრამ აქედან გაეთრიეთ, ახლავე წადით, თუ არ გინდათ, რომ ღვთის მთელი რისხვა არ დაატყდეს თქვენს ბოროტ თავებს, არ იქუხოს და თვით გინა არ დაეშვას თქვენს განსაკითხად! წადით, ბნელებო, წადით-მეთქი. მომიღვს ჩემი ქეთევანი, ერთადერთი ასული ჩემი. რატომ, მკვლელებო? გაეთრიეთ, გადით აქედან, თორემ გარწმუნებთ, ჩემი ხელით დაგალრჩობთ ყველას! - ზუცეს პეტრეს ქვითინი წასკადა.


გლეხები როგრიგობით გაიძურნნენ ოთახიდან.

20.

მძიმედ მიაბიჯებდა ცხენი თოვლში, ფეხები ევლობოდა. გიორგის სული ისევ იყო აფორიაქებული, როგორც მთელი სათავე იმ ბედნავს დღესა. ჩამოსცდა მთის ძირს, ხმა მოესმა, მოურავი იცნო, სისხლით ნაბანი, დაქანცული. ცხენზე შეისვა და დიდხანს ასე იარეს თოვლში. სიტყვა არ დასცდენიათ. არავინ იცის, რას ფიქრობდნენ უტყვი კაცები, თუმცა ორთავეს გამოვლილი ჯოჯოხითი ელანდებოდა. გზაჯვარედინს რომ მიუახლოვდნენ, მოურავი ჩამოხდა ცხენიდან, ჩემი გზა მცხეთისკენაო, ჩაიორსიტყვა, მშვიდობით, ჩემო ბატონოო, და გაუყვა თოვლიანს გზასა.

„რაც კი რამ ქართლის ცხოვრებაში ურჩობა და ამბოხება მომხდარა, ყველას თავისი მიზეზი ჰქონია. აქ კი, აქ რა მიზეზი იყო? ამის შეცნობა გამიჭირდება,» გაიფიქრა გიორგიმ და უნებლიეთ მზერა გააყოლა შორს მიმავალს მოურავსა. შემდეგ იქითაც იბრუნვა პირი, საითაც სათავე ეგულვებოდა, მუშტი მოუღერა გასპეტაკებულ არემარეს, მერმე ზურგი აქცია ჭაღარა მთებსა, ცხენს მათრახი გადაჰკრა და მძიმედ გასწია ტფილისისაკენ.





თეიმურაზ ცერეტელი  
საქართველო

# თეიმურაზ ჩალაბაშვილი

ცნობილ ქართველ პოეტს თეიმურ ჩალაბაშვილს 60 წელი უსრულდება; ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს სახალ-ახალ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

## შტრიხები ჩემი ბიოგრაფიიდან...

ჭეშმარიტი სიყვარულის ნაყოფი ვარ და, ტრიაბახად თუ არ ჩამითვლით, სიყვარულიანი გულიც დამყვა. დავბადებულვარ ვიორგობისთვის 12-ში, 1951 წელს. ქიზიყში, ჩემი დედა-მამის მშობლიურ სოფელ ძველ ანავაში. მოვსულვარ განთიადისას. დედაჩემი თავისივე მშობლების სახლში ბებიაქალს, ევგენია მჭედლიშვილს მოულოგინებია.

ჩემ მშობლებს (დედა ახლახანს გარდამეცვალა, მამა ცოცხალია) ბავშობიდანვე ჰყვარებიათ ერთმანეთი. საშუალო სკოლის დამთავრების მერე დედაქალაქში წამოსულან სასწავლებლად და სწორედ აქ დაკავშირებთან ერთმანეთს სამუდამოდ.

ისევ მშობლიურ გარემოს მივუბრუნდეთ: ახლაც თვლინ მდგას ჩემი დედულიეთი, პაპაჩემის, ტრუბკა ვიორგის (ასე ეძახდნენ ზედმეტსახელად), სახლი. პაპა სარქალი იყო, ცხვირის დიდალი ფარები მესხეთ-ჯავახეთს დაუდიოდა (ოცდაათიან წლებში სწორედ ამიტომაც „გააკულაკეს“ თურმე).

ფანტაზია ადრე გამეღვიძა. - თითისტოლა ბავშუს სამუდამოდ ჩამამახსოვრდა ბუხრის პირას ჩემი ჩიტაკოპმოუცილებელი ბებო თამროს მოყოლილი ზღაპრები. დანყებით კლასებში დეიდაჩემი ეკატერინე მასწავლიდა. სახლში დეიდას ვეძახდი, სკოლაში - კატუშა მასწავლებელს.

ლექსების წერა, უფრო სწორად, თხზვა, ჯღაბნა (რაც გინდათ, ის დაარქვით) სულ პატარამ დავიწყე. ახლაც მახსოვს პირველი უმნიშვარი, მაგრამ ანკარა ვულიდან წამოსული სტრიქონები.

ჰეი, სანატრელო ბავშობის დღეებო, დაუბრუნებელი სიყრმე! ვის დაბრუნებინარ, რომ მე დამიბრუნდე?! 1969 წელს დავათავარე საშუალო სკოლა და სამუდამოდ ჩამოვსახლდი ჩემს საოცნებო დედაქალაქ თბილისში (ღმერთო ჩემო, რამდენი რამ შეიცვალა ამ 45 წლის განმავლობაში!).

სტუდენტობა... პირველი ლექსების სერიოზული პუბლიკაცია (კინლამ დამავიწყდა, სკოლის პერიოდშივე ვიბეჭდებოდი რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეში“).

არასოდეს დამავიწყდება, ჟურნალ „დროშაში“ როგორ მიმიღო ვიორგი ნატროშვილი (ვერ კიდევ სტუდენტობამდე), როგორ დამიბეჭდა ლექსები, როგორ გამახარა. ასე მეგონა, მთელი თბილისი ჩემს ლექსებს კითხულობდა. და ყველა მიცნობდა, როგორც პოეტს... 1984 - სიყრმის შვილივით საყვარელი პირველი ნიგნი „შეე მამულის კვამლი...“

შემდეგ ოჯახი. მეუღლე, შვილები. ქიზიყური სიამაყით უნდა ვთქვა: ამ ქვეყანაზე შეძლებისდაგვარად ჩემული მართალი გზით ვიარე. უღირსად არ მიცხოვრია. ჩემი გრძნობა და გონება არ გამიყიდა. თანამდებობა არ მიძებნია. ლექსებს მივუძღვენი ჩემი არსება.

მეც, როგორც ყველა ნამდვილ ქართველს, მტკივა ჩემი ჩამოქუფრული, განამებული ქვეყანა. დარდი მანამებს სამშობლოსი - მოუშორებელი დარდი!

ლექსების გერდა ვწერ ნეოლოჯისტურ ნერილებს, რომელთაც უამ-უამ ვაქვეყნებ კიდევ ჟურნალ-გაზეთებში. შეძლებისამებრ ვეხმარები ჩემი ერის დარდას და ვარამს. ხანდისხან თავს ვიძნევებ კიდევ: რაჟი ვწერ, ეი ცოცხალი ვარ!..



## სანთელი

ნიკო ფიროსმანაშვილის

შენ ციური ხარ, უფლის ხმობილი,  
 ო, პანანინა თაფლის სანთელი.  
 გყოლია მრევლი ხელაპყრობილი,  
 შენ შეგინახავს ეს საქართველო.  
 ჩამოგიქროლებს სული ტაძართა  
 და ეგ სინმინდე გასაკვირია:  
 ბევრჯერ მომხდურმა ცრემლი წაგართვა,  
 ბევრჯერ დაღვრილხარ და გიტირია...  
 ... შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო,  
 მაგრამ რამდენი კვნესა გიგრძნია.  
 შენ, საქართველოს ჭირისუფალო,  
 ბედნიერი ხარ, ნვა შეგიძლია...

## ო, დედოფალი..

გარეთ ქარია, ხორშაკნი ჰქრიან,  
 ევლება სენაკს ნათლისღებანი.  
 ო, დედოფალო, სხეული გტკივა  
 თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!.  
 ვინრო სენაკში შუქად კიაფობ,  
 ამაყობ კიდევ გულის ნიაღში.  
 ფეხმორთხმით ზის და მოთქვამს იაკობ: –  
 ტანჯვას მოგანევს ხელ პიტიახში!  
 ო, დედოფალო, უარყავ რნმენა! –  
 კვლავ ჩავიქროლებს მარტვილს სატანა...  
 და წუთით თითქო დაგეხშო სმენა –  
 უბრძანებ სხეულს მეტის ატანას.  
 ო, დედოფალო, იცვალენ მხარი,  
 თორო დაწყლულდენ წყლულზე წყლულები,  
 დასთმე სასახლე და შლეგი ქმარი,  
 ვითა ბრჭყვიალა სამკაულები...

გარეთ ქარია... ხორშაკნი ჰქრიან,  
 ევლება სენაკს ნათლისღებანი...  
 ო, დედოფალო, სხეული გტკივა  
 თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!

ც.ს.ა.

## ნაკადული

შენი ბედი ენატრება ოკეანეს,  
 ეხარბება შენი სიპატარავე...  
 გემი არ ჩანს, კაპიტანი იგვიანებს,  
 მღვრიე ტალღებს სევდა მიაქანავებს.  
 ქარიშხალი იმეორებს ნაცნობ ბოდვებს,  
 ცეცხლს აკვესებს ცა უძირო ღამეში,  
 ოკეანე დილით ითვლის ახალ ცოდვებს,  
 მკერდს უკანრავს ქარბორიას თარეში.  
 შენ კი გქვია პანანინა, მშვიდი წყალი,  
 არც არასდროს გინატრია დიდობა,  
 შენ არ გტანჯავს: - დაბრუნდება კაპიტანი?  
 შენს ნაპირებს ანერია - მშვიდობა.

## როცა ქართველი

ამ მოჯარებულს რა ვუყო ფიქრებს,  
 ვის გავემხილო ლექსად სათქმელი,  
 როცა დრო სულის ნალვერდალს მიქრობს  
 და ძლივსლა ბჟუტავს ხსოვნის სანთელი.  
 ჩანს შორით მგოსნის ძველი ნათელი  
 და ეფერება რითმას შავოსანს.  
 ღმერთო კი მომკალ, როცა ქართველი  
 არ ნაიკითხავს ვეფხისტყაოსანს.

●  
 კვლავ ავიარე მე წინამურთან,  
 მკერდს შემაფრინდა ეშმა ფრთოსანი,  
 ღმერთო, გულწრფელი ვიყავ მამულთან,  
 ვით სიკვდილის წინ დიდი მგოსანი.  
 მზე გაქცეოდა წვიმებს ღრუბლიდან,  
 სადღაც ყმუოდა ქარი ტიალი,  
 ასე მეგონა, დაჭრილ შუბლიდან  
 ჩამომდიოდა სისხლი თქრიალით.  
 და საქართველოს სუნთქვა მესმოდა,  
 როგორც ილიას დინჯი ქართული,  
 და ჩემი მზეურა მცხეთას ეკვროდა,  
 და ვიყავ მცხეთის ჯვარზე გაკრული...

28161

## ხომ შეიძლება...

ხომ შეიძლება, იყო მართალი,  
მავანს კი ცრუ და ყალბი ეგონო,  
და შენი გული სხვისგან დამწვარი  
მას ვერ მიუხვდეს, ვერ იედონოს.  
ხომ შეიძლება, იყო ცოცხალი,  
მავანთა ოდენ მკედრდადაც ჩავთვალონ,  
და შენი სული – თეთრი მოცხარი –  
ააშრიალონ, როგორც ფათალო.  
ხომ შეიძლება, იყო ერთგული  
და მოღალატის ჯვარი ატარო,  
და შენი სისხლი – შლეგი ენგური –  
ჭაობის მღვრიე წყალს შეადარონ.  
ხომ შეიძლება, გერქვას ლაჩარი,  
მაგრამ ნამდვილად იყო შესია  
და შენი მკერდის მწველი ნაცარით  
მწვერვალზე იდგე, ვით ეკლესია...

(ციკლიდან: — „ყინულს ქაღალაქი“)

ამიერიდან მე შენ გეკუთვნი,  
გადამავინყდა ძველი მითები.  
შენ ხარ მაღალი ჯვარი გეგუთის,  
მე კი დაღლილი ბერის თითები,  
და, როგორც მინა ლტოლვილთ მიუტევთ –  
ნუ გაგაოცებს ჩემი იერი.  
შენ ამაყი ხარ, ვით სიჯიუტე,  
მე, ვით სიმორცხვე, ვარ თვინიერი.  
აჰა, მორჩილი მონის კისერი,  
აღზევებულა ჩემი ქალაქი,  
ისევ და ისევ შენ თუ მიშველი,  
ცოცხლობდეს ჩემი ძვალთშესალაგი.  
მკვდარი იმედი მე არ მეკუთვნის,  
თვით სისხლის წვეთებს მწოვენ ქარები  
და, როგორც დაღლილ, ბებერ მეგუთნეს,  
ხნულზე დამცვივა, ალბათ, თვალები...  
რა ვქნა, სამოთხის სახე მაოცებს,  
შენი სიმშვიდე – მარად მეფური,  
ნეტავი, მინის დაღლილ ნაოჭებს  
თუ აქვს იერი კვლავინდებური.  
შენ გეკითხები, ჩემო სიცოცხლე,  
ველარ ვტყულებართ ფერთა გამაში,  
შენ ერთმა მაინც მინდა იცოდე,  
რომ არ არსებობს კაცი – თამაში,  
რომ ყოველივე არის ნუგეში,  
უცხო ლარნაკში დაჭკნენ ვარდები...  
რადგანაც ცრემლი სახლობს გუგებში,  
სადაც ვინყებით, იქვე ვმთავრდებით...

### ვიცი...

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა  
და წუთისოფლის ზანტი ეტლები,  
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,  
ასე შეშლილან სხვა პოეტები.  
ვიცი, გამამხელს სადმე ცდუნება,  
დრო ჩამემსხვრევა თვალში სიზმრებად,  
ქარი წამოვა ვით ერთგულება  
და შენკენ მავალს შემეზიზნება.  
თეთრი ქედნები მასხედან მხრებზე,  
ვილაც მაკავებს ცისკრის ძაფებით,  
თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ,  
მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები.  
ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა  
და წუთისოფლის ზანტი ეტლები,  
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,  
ასე შეშლილან სხვა პოეტები...

### გაგითავისე

გაგითავისე, მიყვარდი, მწამდი,  
ჩემი ოცნება შენს აჩრდილს სდევდა.  
შენ იყავ ჩემი უთქმელი დარდი,  
მე ვიყავ შენი ამაყი სევდა.  
და, როგორც ხდება, გაგვყარა ბედმა,  
გაცრეცილ სიზმრებს შემოვრჩით მართო, –  
ასეთ სიყვარულს რა ჰქვია, ნეტავ,  
ცალ-ცალკე ვართ და ერთმანეთს ვნატრობთ...

### ალსარება

ბუბა

შეგაჩვიე სიღარიბეს,  
ჩემს არეულ ყოფას.  
არ გაცალე, საყვარელო,  
შენს ფიქრებთან ყოფნა.  
ვაი, როგორ გაგიმეტე,  
„აგიმღვრიე“ სული, –  
ჩვილ ბავშვივით შეგაჩვიე  
შლეგი სიყვარული.  
შენ პოეტის ბედი გშვენის,  
დანახვამდე გიგრძენ...  
თუმც ვერ გავხდი დედაშენის



სასურველი სიძე.  
 წლები გადის, მედარდება,  
 გული მიაქვთ ეჭვებს, -  
 მაპატიე - ვერ გალირსე  
 შეპირებულ ბეჭედს; -  
 და, ცხოვრება ისე მიდის,  
 მიმდევს შენი ვალი,  
 შენ სულ სხვა ხარ - პოეტისთვის  
 საოცნებო ქალი.

## საუბარი ფილთან

ლექსების გარდა  
 რას დაგიტოვებ?  
 გრჩება ფიქრები -  
 სისხლით ნანური,  
 საფრენი წლები ჩამოვიტოვე,  
 მთებიდან მიხმოზს  
 მზე - გულდამწველი.  
 იცოდეს ღმერთმა,  
 ცასაც ავწევი,  
 შენკენ დაქროლილ  
 ქარს რომ შევბოდი,  
 და თითქოს, შვილო,  
 ლექსს კი არ ვწერდი,  
 ცეცხლნაკიდებულ  
 სახლში შევბოდი...  
 ...ნუ გამინყრები,  
 თუ შეგაყვარე  
 მჭკნარი ვარდები,  
 სველი ძახველი.  
 მე ვდარდობ, შენ რო  
 დაგედარდები,  
 ჯანდაბას ჩემი  
 გზა და სახელი...

## პოეტის დედას

რად გამიმეტე ასე, დედილო,  
ვით განიზრახე ჩემი ლალატი?  
სირცხვილით, ვის გსურს, გააგებინო,  
რომ შვილს ჩააცვი მგოსნის ხალათი?  
შენ ცისფერ ეტლებს მიმეც მსახურად,  
მიფრთხოვენ სიზმრებს შლეგა ქარები,  
მე თავზე ეკლის ჯილა მახურავს  
და შეშლილს მიგავს ხშირად თვალები.  
რად გამიმეტე ასე, დედილო,  
ჩემგან რა ნყენა მოგაგონდება?  
ჩემს ტვინში ახლაც ლექსი ნებივრობს  
და, იცი, ტანჯვა მიახლოვდება.  
რად გამიმეტე ასე, დედილო,  
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის.  
იცი თუ არა, დედავ, დედილო,  
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის,  
რომ ლექსს დაყვავარ უმისამართოდ,  
ავკვრივარ ქალაქს მზერადალლილი,  
რომ ეს ცხოვრება მე ვერ გამართობს  
და მომკლავს სადღაც ქუჩის ძაღლივით.

რად გამიმეტე ასე, დედილო,  
ვით განიზრახე ჩემი ლალატი,  
სირცხვილით, ვის გსურს, გააგებინო,  
რომ შვილს ჩამაცვი მგოსნის ხალათი?



# მატიამ წიკლაუტი

სულ ახლახანს მარიამ ნიკლაურის პოეტურმა კრებულმა „თეთრი ხბორები“ მიიღო თბილისის საკრებულოს ლიტერატურული პრემია „გალა“ ნომინაციაში „წლის წიგნი“. უორნალი „ცისკარი“ ულოცავს პოეტს ამ აღიარებას და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო „დარდინა ხშირად ჩემი ბედნიერება“, მაინც სულ ბედნიერებაზე ვერა! ანუ სიყვარულზე, უფალზე, სამშობლოზე, მეგობარზე, შზეზე, სამყაროზე, ადამიანზე, მარადისობაზე... განა ბედნიერება არ არის ლექსის წერით გათენებული ცისკარი? და, მკითხველიც თუ დამწევეა ამ „ბედნიერების ტრაპეზზე“, გავიხარებ. ღვინო ლალისფერი... დღე თაფლისფერი... ბალი ქარვისფერი...

12 ლექსი... 12 კაცზე გავშალოთ სუფრა... ბრონეულიც უკვე გაიპო... უკვე ლხინია... მაგრამ ლხინშიც არ დაგვაგინყდეს, რა თქვა უფალმა:

ეკრძალოთ თავსა შენსა... – დე, ასე იყოს... ჩვენსავე ადამიანობას ეკრძალოთ და სხვაც განაწყნოთ ამგვარადე... ეს დიდი სიბრძნეა... პოეზია ამ სიბრძნისთვისაცაა...

## საით მგტი ხარ

საით მგტი ხარ, საქართველოვ,  
ცისკენ?  
მინისკენ?  
რა სკნელში აღარ ჩანმახუნლან  
შენი ფესვები.  
რა მანაზე ხარ შებანრული  
სიკედელ-სიცოცხლით,  
მარადისობას წამივით რომ  
არა ბეზრდები?  
რა სიყვარულის ერთგულებით ხარ დაშანთული?  
ბალავრისა ხარ,  
ჩუქურთმის თუ  
ქვა ხარ პიტალო?  
და ყველაფერი, ყველაფერი,  
რაც დაგებდა,  
დედაკაცივით შეგიძლია,  
რომ აიტანო...



რიტუალი

ხარ ჩემი ძველი რიტუალი,  
 შენით სიყვარულს ვიტყუებდი.  
 მეგონა, აღარ მიმტყუნებდი,  
 როგორც სიბნელე – ღამეს.  
 თუმც ღამე არის პოლარულიც,  
 თეთრი გველივით მორკალულა,  
 ფსკერზე სინათლით მოკალული  
 აღარ ბნელდება თურმე.  
 ვიცოდი, როგორ იწყებოდი,  
 სიმარტოვე რომ მიწყებოდა,  
 რომ მონატრებას მისცემოდა,  
 როგორც სიმღერა – ქარებს.  
 და უშენობის შემუშუნაზე  
 დათენებების სიჩუმიდან  
 ცა, ვარსკვლავებს რომ იშუშებდა,  
 მე მაინც მაჩნდი – შეშლილს,  
 ნაპირს აძრული მიქცევებით,  
 ყოვლად აუხსნელ აქცენტებით.  
 დღეებსაც ველარ აძველებდა  
 ვნების მზისფერი ობი.  
 თითქოს ვიყავი სავანები  
 და ჩემ სიმშვიდეს ალაგებდი,  
 ვთრთოდი – სივრცეთა დარანები  
 ველურ ჯოგების რბოლით.  
 სიმარტოვეთა სენაკებში  
 ეგ ექო – ოქროდ შენაძენი,  
 ხან საჭიროზეც ენაძვერი  
 მუნჯი – „საუფლო სენი“,  
 ხშირად მრევდა ხელს საშროშანე  
 სიტყვებად. ველარც ამოვშალე –  
 შენზე ნაფიცებ-ნაროშავი  
 ათას სულელურ კერპად.  
 ვერა და ველარ დაილია  
 ტანჯვები, ქარის სავალივით.  
 თითქოს მე არა, ტრამალები  
 აღასრულებენ ლოცვებს  
 უსასრულობის დაფიწყების  
 და უშენობა არ იწყება,  
 და უშენობა არ იწყება,  
 როგორც მერვე დღე ქვეყნად.  
 მხოლოდ ყანის პირს საფრთხობელა  
 დგას, როგორც ძველი რიტუალი,  
 მე რომ სიყვარულს ვატყუებდი,  
 ახლა ჩიტები სხედან.  
 მინდა, ხელები ავუქნიო.  
 ხელები შენად – საიალქენე  
 და სიყვარულის უქმეები  
 ამ ჩიტებივით დაფრთხნენ.

## რატ გაზაფხულზე ვერ ვთქვი...

გაზაფხულიო, იტყვი,  
 აყვავებული ბალით...  
 მე შემოდგომა მიყვარს,  
 სევდის მზიანი ალით.  
 შემოდგომური სიტკბო  
 რანაირია, იცი?  
 ჰგავს მდედრის თვალში ჩამდგარ  
 ბედნიერების სიცილს.  
 ნაყოფიერი, სავსე,  
 მოელის რტოთა ახსნას  
 და მზით მარხული იცავს  
 ღვთით სავსეობის აღთქმას.  
 მეც, მსხმოიარე დარდი,  
 რტოებამლილი ხე ვარ.  
 სიტკბო ზუზუნებს ჩემში,  
 მზის სხივი ადევს ხემად.  
 ველური თაფლით სავსე  
 ათას ფუტკართან ერთად  
 ვხმინობ სასანაახლე  
 ტანში ქარვისფერ სევდად.

გაზაფხულიო, იტყვი,  
 ატმის რტოების ფერვით...  
 მე შემოდგომა მიყვარს,  
 მზის და უნაბისფერი.  
 ჩაშაქრებული ვნება,  
 დაოკებული ჟინი,  
 ბადაგის გემოს იკრავს,  
 რაც გადაურჩა ტკივილს.  
 მოსანეგია ხვალი.  
 გასამართია რთველი.  
 ღვთის ხარ და მაინც შემწედ  
 კაცის მარჯვენას ელი.  
 და უნდა იქცე სიტყვად!  
 და უნდა იქცე ღვინოდ!  
 ჩემში დაიდგა უნდა  
 ოქროს სასახლე, ღვინო!  
 მზეც მწიფს. სიბნელის ტკბობის  
 ხმა ღამის ქვევრშიც ისმის.  
 ვინც იცის სიტკბოს გემო,  
 აჰა, სავსე ვარ, მისთვის!

გაზაფხულიო, იტყვი,  
 თვალის გახელა მიწის...  
 მე შემოდგომა მიყვარს –  
 როცა დახუჭვა მიმძიმს...

არადა, ვიცი, მოვა  
ჩემი ბატონი, მკაცრი.  
ლალისფერ ვენების დღეთა  
ჩქამსაც თოვლისფრად გაცრის.  
გაჟღენთილია სივრცე  
ყუჩი სიჩუმით ნათლის...  
ვაზის და ხორბლის მარცვალს  
კრიალოსანზე ცა თელის.  
მე ვნებაც მიყვარს მზისკენ  
ანვდილი სუსტი ბნკალის,  
შეყვითლებული ფოთლის  
ზედ მოდარაჯე თვალი.

მოვინაყოფებთ ჩვენი  
არარსებობის სიტკბოს.  
ჰა, გაკრეფილი ბაღის  
იყო და არა იყო...  
დალოცვილია ღვთისგან  
წარმავალობის ძალა!  
ნაყოფის გულში ღმერთი  
მარადისობას მალავს.  
ჰა, თაფლიც, ღვინოც, პურიც,  
ვარ გზად გაშლილი სუფრა.  
მხოლოდ მზემ იცის, ასე  
ტკბილი რადა მაქვს სუნთქვა.  
რად ვგავარ ნათიბ მინდვრებს,  
ნაჭრელა ტყეებს, ცეცხლით.  
რად ვამბობ ახლა იმას,  
რაც გაზაფხულზე ვერ ვთქვი...

## დედაციცინათელა

„სინათლის დედა“ დამაქვს მუცლით და  
სკნელის ჭერხოზე დავალ კარდაკარ.  
ღამე კი არა, ათასწლეულიც  
ჩემ სიფრიფანა ფრთებზე გადატყდა.  
ან შარავანდედს მე რას ვზიდავდი,  
უფალი ირჩევს ნათლისთვის შუბლებს.  
სიტყვის ბალახში დავლოღავ მლილი,  
სკნელებს ციმციმით პერანგებს ვუბნევ.  
ღამეულ მინდვრებს ისე ვუხდები,  
თითქოს ცას ვმღერდე, ვარსკვლავქარიანს,  
როგორც ქადაგის დაყურსულ ფიქრში,  
ჩემშიც საუფლო ნათლის კვალია.  
მე ვარ, მე... დედაციცინათელა,

ტანის აზიდვა მიჭირს მიწიდან,  
 სინათლის ფესვი გავიდგი ბნელში.  
 სიხარული რომ ფრთიდან მიცვივია,  
 ნათლის ცვარ-ნამად ვაქუჩებ აქვე,  
 რომ ცას ემსგავსოს მიწაც, ღამეში –  
 მე და სიბნელე ერთმანეთს ვშვენით,  
 როგორც ენქიდუ და გილგამეში.  
 სხივის სკენილივით ვკიდივარ მთვარეს,  
 სიჩუმის ქნარზე სიმს ვარხევ ნათლის,  
 ღამე რომ ცისკრად იძვრება ხოლმე,  
 მზის ერთ სალამურს ჩემგანაც გათლის  
 და შეეხება, ვით პირველ საკრავს –  
 სიკვდილს! კენწერო დრიკონ კედრებმა.  
 ეს ღამეც, ვით სხვა ღამე ათასი,  
 თენდება, კვდება, ისევ თენდება...  
 ბალახის ნიკბზე მიცდება ფეხი,  
 ბალახიც სინას მთა არის ჩემთვის.  
 მე ცეცხლის ერთი კურცხალი დამაქვს,  
 ეზოს ბოლოშიც მიპოვის ღმერთი.

## ოქროს თევზი

ეი, მეთევზევ, სცადე ერთხელაც,  
 იქნებ, დღეს მაინც ამოგვევ ბადეს.  
 რა იცი, ეგებ ოქროს თევზი ვარ,  
 გცდის იღბალი და ფეხდაფეხ დაგდევს.  
 მიდი, უფრო შორს ისროლე ბადე,  
 ნაპირთან ახლოს არ მიყვარს ცურვა.  
 ნატერის წამია! ახლა დამიჭერ!  
 მელი და გულში კიდევაც გძულვარ.  
 იცი, რად მიღირს, მეფურ სურვილებს  
 ჩემი ძალა და ნება ვაკმარო?  
 ეი, მეთევზევ, ერთხელაც სცადე,  
 ფეხქვეშ გაგიგო ეგებ სამყარო.  
 მაგრამ გაშინებს სიღრმე და ვიცი,  
 ლუკმა იშოვო – ბევრია ეგეც!  
 გაუტეხელი ფიცვივითა ვართ –  
 ერთმანეთს დღემდე ვერაფრით ვერგეთ.  
 წყევლაა – მსურდეს, ეგ სილატაკე  
 გიქციო ხელში ჯადოსნურ კვერთხად,  
 შენ კი კოჭამდე წყალში იდგე და  
 ერთი სამეფო სურვილიც ვერ თქვა.  
 მე სასახლეებს ოქროთი ვავსებ,  
 ვახშმად რომ გექცი, სადა მცალია?!

შედი, მეთევზევე, შედი თამამად,  
 სადაც უფსკერო ლურჯი წყალია.  
 ისროლე ბადე! ღმერთს ასე უნდა,  
 ნატვრა გასწავლო, სანამ ვარ ახლოს.  
 ოქროს თევზი ვარ! ოქროს თევზი ვარ,  
 არ შეცდე, ხელი არაფრით მახლო!  
 ბადეს თავადვე ავცდები დღესაც,  
 ყველას ვუსხლტები ხელიდან მარჯვედ,  
 რადგან ღვთის თვალი ზღვის სიღრმეშიაც  
 ასი ათასი თევზიდან მარჩევს.  
 ან იქნებ მე ვარ... მე – მებადური,  
 შენს მოხელთებას თავად ვაპირებ  
 და ჩემთვის შენ ხარ ის ოქროს თევზი,  
 ბადით ხელში რომ ველი ნაპირზე...

## თოვლით გამოლოცვა

შობამდე შორია, მადროვე,  
 თოვლით გამოლოცვას გასწავლი.  
 მერე რა, ბერდედა რომ არ ვარ,  
 არც შენად თავმკვდარი წაწალი.  
 ოლონდ სათიბებში, იცოდე,  
 სისხლი გაუშრება ყაყაჩოს,  
 სულის დანრეტილი მდინარეც  
 ცრემლის ზვირთებისგან დაგვახრჩობს.  
 მწუხრსაც შეუშრება, ჩვენსავით,  
 მკერდზე ცეცხლისფერი მზის ცვარი,  
 ტუჩიდან გაქრება ნაცნობი  
 გემო – კოცნისაგან მიმწვარის.  
 თოვლით გამოლოცვას გასწავლი,  
 ძმებად გავეფიცოთ ლოლუებს,  
 ჩვენი სიყვარული, იცოდე,  
 უკანასკნელი და ბოლოა.  
 მერე რა, თუ თოვლი უთეთრეს  
 ვნებებს კოცონივით გვიკიდებს.  
 „არ მიყვარს! არ მიყვარს! არ მიყვარს!“ –  
 შენც გაიმეორე იგივე.  
 მერე ფიფქებივით ჩავადნეთ  
 ჩვენი გულის მზეებს ხელებში,  
 ვით ნისლს შეასხებენ მზერაზე  
 ჩაჩეხილ მთამსვლელებს ხევები.  
 შობამდე შორია... მარტში კი,  
 იქნება სიცოცხლე პირიქით –

უფალი სათიბში გვირილად  
 მომიყვანს ქვესკნელის პილიგრიმს.  
 გულიც გამისკდება, შენს ცელზე  
 სათივე ღერად რომ შერჩება  
 ამდენი უშენო სიზმრის და  
 უშენო სიკვდილის შეჩვევა.

## სადა მთავრდები, სიკვდილო

სადა მთავრდები, სიკვდილო,  
 სად არის შენი სამარე,  
 მოვიდე, ტკბილად გიტყრო,  
 მერე დაგძახო პარალე.  
 შესანდობარი დავლიო,  
 თან შეგიკურთხო დედაო,  
 რა ხარ ეგეთი, ტიალო,  
 შენს გარდა ყველა კვდებაო.  
 იქნება, გუთნისდედა ხარ,  
 სიცოცხლედ გეთესავ, ღვთიანო,  
 მაგ შენ ნაოფლარ-ნაბელტარს  
 კაცნი საფლავად თვლიანო.  
 მაშ, რისთვის აგითვალწუნეთ?!  
 რად გვზარავს შენი გარჯაო,  
 მინად გეთეს, ზეცად მოვდივართ,  
 ვერ კი გვლევ, ვერა გვხარჯავო.  
 შენი ნაჭირნახულევით  
 ივსება უფლის ბეღელი,  
 არც არვინ დაბადებულა  
 საშენოდ პირისმტყეხელი.  
 პატრონო, სახელდამდებო,  
 ქვის ყანა გიმზეკაბანებს,  
 გზად ანგელოზებს გვახვედრებ  
 და საპატრონოდ გვაბარებ.  
 გემოსავ და გვარგებ სხეულზე  
 მინის უკერებ კვართსაო,  
 მირონადა სდის ბალახი  
 მაგ შენი საყდრის კარსაო.  
 ნეტა, სად დაიმარხები,  
 სად დამთავრდები, სიკვდილო,  
 თუ თავს დაიხრავ, გამოსძოვ,  
 გარეთ გამოხვალ, მზის მლილო?  
 მინად – ნუგეშო ჭირისა,  
 ცად – ვარსკვლავების მკრეფავო.  
 რა იქნებოდა, სიკვდილო,  
 მარტო სამოთხე გებაროს?!

## შემომძახიან ლექსები

შემომძახიან ლექსები,  
ვით ყვავილები მინდიას:  
მე ამისი ვარ, მე – იმის,  
გულში მზეჯვარი მინთია.  
ვის შეუძლია, ლექსის მეტს,  
ბედისწერასთან გაგვეყაროს,  
ბნკარს გამომისკვნის ლაჟვარდი,  
დამკიდებს ხსოვნის ავგაროზს.  
სხვა თუ არაფრით, მზით მაინც  
დაიდაფნება სამყარო...  
ვილაცა ეტყვის დედაჩემს,  
პოეტის დედას გავხარო.

## ზამთრისპირი

თენდება... ზამთრისპირია უკვე.  
მზეს დავავინყდი, შენსავით, ალბათ.  
თენდება ისე რიდით და თრთოლით,  
თითქოს შენ მხდიდე ბინდისფერ კაბას  
და სხეულიდან ავარდნილ ნათელს  
შენი თვალების მღვიმე ისხლტედეს,  
თმებში გახლართულ სუნთქვით შეშლილი  
თვალებს ვერა და – სიზმრებს მიხელდე.  
როგორც ტყე-ღრეში – გზას შინისაკენ,  
ჩემს გულს ეძებდე და სურნელს – გეშით  
და მიდიოდე იქითკენ, სადაც  
სამრეკლოსავით გიხმობდე შეშლილს.  
მეკეროდე, როგორც მზის სხივს ბალახი  
და როგორც წვიმა – უდაბნოს, უჩვევს.  
არც სიყვარული არ გეტეოდეს  
სულში. მივსებდე სხეულით მუჭებს...  
ქარი თუ იყო მაშინაც ასე,  
როცა სხეული გვენთო უჩინრად,  
სულს ვუბერავდით ჭიაკოკონებს,  
კოცნა გვცვიოდა ცხელი ტუჩიდან.  
და ვერც ვხვდებოდით, რომ ეს ხანძარი  
ჩვენვე გვაქცევდა ნავლად და ნაცრად...  
ან რატომ იცის ბედნიერებამ  
უბედურების მაგიერ გაცლა.  
თენდება... ზამთრისპირია უკვე...  
ნეკერჩხლის ფოთოლს უშრება სისხლი.  
როგორც ამ თოვლზე ბელურის ფეხის  
ხმა, ისე შენი ხმაც არსად ისმის.  
და უშენობა ჩემს მარტოობას  
კვლავ სიყვარულის ფანტელით ავსებს.  
იქნებ ზამთარი კი არა, სულაც  
თოვლივით მოდის სიკვდილიც ასე.

## ბრალი რა მედო

სულში - სიცოცხლე,  
 გულში - შენ,  
 თვალებში ცა არ მეტია...  
 რაგინდ ფრთა შალოს ოცნებამ,  
 ცხადი ცხრა მტკავლით მეტია...  
 ეჰ, ჩემო ბედის პეპელავ,  
 მაინც საიდან სად გდიე,  
 ჩემი სახელის შროშანზე  
 ერთი ღამეც არ ათიე.  
 შენთვის რომ ნამს ვინახავდი,  
 სხვისთვის ცრემლებად ვანთხიე,  
 ბრალი რა მედო ეგეთი,  
 ნამს საუკუნოდ გავდიე,  
 სულში - სიცოცხლე,  
 გულში - შენ,  
 თვალებში ცა ვერ ჩავტიე...

## რა ვუთხრათ შვილებს?

რა ვუთხრათ შვილებს,  
 როცა ომიდან დაგბრუნდებით,  
 როცა მშვიდობიდანაც დაგბრუნდებით,  
 როცა სიკვდილიდანაც დაგბრუნდებით,  
 რას ვეტყვით შვილებს,  
 ყველგან სიყვარულს ვეძებდით  
 და ვერსად ვიპოვეთ,  
 თავისუფლებას ვეძებდით და  
 მონობაში მივაკვლიეთო?  
 ბედნიერებას ვეტრფოდით და  
 უბედურება ვიქორწინეთო?  
 რას ვეტყვით შვილებს,  
 ვერ ვიპოვეთო ღმერთი ცაში,  
 სახლი - მიწაზე,  
 შემოგვერღვაო ჰორიზონტები,  
 ვერ დავიცავით სიმყუდროვე  
 ჩვენი ტაძრების?  
 რას ვეტყვით შვილებს,  
 - რისთვის გაჩენდით?  
 თქვენს ჩვილ სულელებზე  
 რომ ვმდგარიყავით,  
 როგორც კიბის საფეხურებზე,  
 და გვეხოზა ზევით, ცისაკენ,



და მაინც მინა გვფარებოდა თავზე  
საბრალოდ.  
აბა, ტანჯვა – თქვენი ბეთლემი,  
თავად შვით ღმერთი,  
რომელიც თქვენი ტოლი იქნება,  
უფრო მეტად დაგიდგებათ  
მხარში დაღლილებს.

### დამიმასხოვრე მარიამი

აბა, რით ვერ დამიმასხოვრე?!  
მარიამი მქვია სახელად და აქვე ვცხოვრობ.  
ჩემს უმძრახ ცრემლებს შენზე ფიქრის ნაცარში გავრეე.  
გამანმინდავე, ტკივილებით მცვარე, ცისკარო!  
სულ მეშინია, სიყვარულს რომ ნავანყდე გზაზე,  
ვეცოტავო და ახლოსაც კი არ გამიკაროს.  
რამდენი გვრიტი ეყოფოდა შენს გამოსყიდვას?  
სევდას ვმღეროდი, სიყვარულს რომ ვყავდი ნახელთი.  
მთელი სამყაროს სახსოვარი მომქონდა გულით,  
როცა ვკვდებოდი და სიცოცხლეს შენში ვახელდი.  
მე მარიამი მქვია სახელად,  
მარიამი, დამიმასხოვრე!  
დროშაზე შებმულ ზანზალაკად ხმინაობს სული,  
უსაფუეროა, ხმიადივით, ჩემი ლექსები.  
საშენო გული გაბოროჯილი კვერთხივით დამაქვს,  
ხვდება, აღდგომის დადგომამდე შეიეკლები.  
და, რამდენჯერაც საუფლო ხსოვნა შენკენ მომიხმობს,  
ქვაცა და წყაროც ერთნაირად მდინდება ცრემლად.  
შენს გამო არის ყველაფერი ასე უბრალო,  
შენს გამო ვხდები ბედნიერიც ყოველთვის ძნელად.  
დამიმასხოვრებ?  
მარიამი, მარიამი მქვია სახელად და აქვე ვცხოვრობ.  
მოვეყვები ბილიკს ტკივილების კვრივისკენ კრავით,  
ქარად მომყვება ანგელოზი, ნისლისფრთიანი.  
მე რომ ცეცხლს ვანთებ, სიყვარულო, სხვის გასათბობად,  
შენ რატომ იწვი იმ კოცონის აღზე ბრიალით?  
ამ უდაბნოში უთვალავი ბილილა ყვავის,  
ვკრეფ და, როდესაც ყვავილებით მოვდივარ შენთან,  
რალატომ მხვდები ერთი კოცნით წინასწარ მკვდარი  
და ერთი ღერი ყვავილისთვის წასული ღმერთთან.  
აბა, რით ველარ დამიმასხოვრე,  
მარიამი მქვია სახელად!



# ავთანდილ კვასცვაძე

## სიკვდილ-სიტომცლის როკვა

რომანი

ნაწილი პირველი

● ჩეკას შენობა, მალალმესერშემოვლებული, მოედნის განაპირას იდგა. შენობის პირველ სართულზე რამდენიმე იზოლირებული ნესტიანი დილეგი იყო გამართული, სადაც პატიმრებს დიდხანს არ აჩერებდნენ. აშკარა „დამნაშავეებს“ ადგილზე ხვრეტდნენ. საგანგებო და მნიშვნელოვან პატიმრებს ოზურგეთის სამაზროს ან ცენტრალურ ჩეკას უგზავნიდნენ. ნინა ფასადი პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა, უკანა მხარეს ეზო ეკვროდა, სადაც რამდენიმე შეკაზმული ცხენი, ინგლისური ჯორები, ერთი ეტლი და ორი სამარქაფო საზიდარი იდგა. საზიდრით დროდადრო დასახვრეტი პატიმრები გადაჰყავდათ. დახვრეტა ფიჩორს-გალმა, ტყის სიღრმეში ხდებოდა. ამისათვის ერთი ადგილი იყო გამოყოფილი. ამიტომ არავინ იცოდა, სად სრულდებოდა ეს საზარელი საქმე და სად იყო დახვრეტილთა საფლავი. პატიმართა პატრონებმა არც ის იცოდნენ, ჩეკაში მოხვედრილი მათი მახლობლები ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები.

დახვრეტა ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე ხდებოდა და მთელ ამ ოპერაციას ერთადერთი კაცი – ჩეკას უფროსი განაგებდა. ვერავინ ბედავდა პატიმრის ამბავი ეკითხა, რადგანაც გამკითხავი თავს ხიფათში ჩაიგდებდა. ასეც ხდებოდა ხოლმე, თუ მაინც ვინმე ამბის გასაგებად ჩეკას მიაკითხავდა, უგზო-უკვლოდ დაიკარგებოდა და სასაკლაოზე მირეკილთა ბედს გაიზიარებდა. დაპატიმრებაც ღამით და ისიც მეტად საიდუმლოდ ხდებოდა, ამიტომ არც ჩეკაში შემსვლელი უნახავს ვინმეს და არც იქიდან გამომსვლელი.

მთელი დაბა ჩაბნელებული იყო. მხოლოდ ჩეკას შენობის ორი ფარდებდაშვებული ფანჯრიდან გამოკრთოდა სინათლე. გურამ იცოდა, რომ სწორედ ის ოთახი ჩეკას უფროსის სამუშაო კაბინეტი იყო. გულზე მოეშვა. ჩეკასთვის თავისი საიდუმლოს განდობა, არ უნდოდა, სახვალიოდ გადაედო; სახლში რომ ასულიყო და თავგადასავალი დედისა და ვახო კაჟიასთვის გაემჟღავნებინა, ვინ იცის, ამას რა მოჰყვებოდა, შეიძლება ქვეყანა შეძრულიყო,

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №7-8, 9, 2011.

# უჯრავი ჩაკეტილი რომანი

ცუდი და გაუთვალისწინებელი შედეგიც მოჰყოლოდა. არც სხვა ვინმესთან უნდოდა შეხვედრა. მხოლოდ ჩეკას უფროსს უნდა მოლაპარაკებოდა პირისპირ და მხოლოდ მისთვის მოეხსენებინა ყველაფერი, რაც ნახა და რაც თავს გადასცა. თუმცა ისიც აფიქრებდა, რომ შეიძლება ჩეკაში შესულიყო, მაგრამ გამოსასვლელი კარები სამუდამოდ დახურულიყო მისთვის. ვერც ვერაფერს გაიგებდა ოდესმე, თუ რა მოუვიდა გური ხალვაშს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. მხოლოდ ერთმა მოწმემ იცოდა მისი ამბავი და ისიც ღიად დარჩენილი ცალი თვალით ფიქრობს მახლობლად გულაღმა იწვა და შავ ღრუბლიან ცას შეჰყურებდა. შეიძლება არც არაფერს შეჰყურებდა და, დიდი ხანი, აყროლებული ლეშით გეგებმა ივხამეს.

შეყოვნდა გური. ცოტა ხნით კალათი დაბლა დადო, წვიმა თითქმის თავსმაში გადავიდა, მაგრამ ამით ხალვაშს არც არაფერი ემატებოდა და არც არაფერი აკლდებოდა. ცასაც ისე დაბლა დაწინა, რომ გვერდებოდა, ხეების კუნწეროები და სახლები სახურავები გადმოშობილი გუმბათს ებჯინებოდა.

შეჰყურებდა ჩეკას შენობას და უკვე გადანყვეტილ საკითხს ისევ უსინჯავდა თავსა და ბოლოს. რღაც უხილავი ძალა წინ უშიძგებდა, ვილაც კიდევ იჭრდა და ერთ ადგილს აჯაჭვავდა.

„ასეა ჩემი საქმე, - გაივლო გულში გურიმ, - როცა იერუსალიმში მიემგზავრები, ვერც ვერაფერს დაგმოსი და ვერც ვერაფერს გაგაპირდება. რაც მოსახდენია, ჯობია დროზე მოხდეს. სიცოცხლეს სიკვდილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე უთვალთვალებს, საქმარისია, ოდნავ ნაბიჯიკო და სვაფივით თავზე დაგაცხრება. გადაწყვეტილს აღარ შეეცვლი". კალათი აიღო და მტკიცე ნაბიჯით ჩეკას შესასვლელიაკენ გასწავა. სადღაც მახლობლად ისე იღვავა და დაიქუხა, რომ არემარე შეაზანზარა. ძლიერი ქვენა ქარი სახემი სცემდა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია.

ჩეკაში შესასვლელი მკრთალი სინათლით იყო განათებული, ორი მორიგე ჩეკოსტი იცავდა შენობას. ერთი კარის შიგნით იდგა, მეორე - გარეთ, კართან, შაშანას დაჰყრდნობოდა და ფხიზლობდა.

კართან მდგარმა მორიგემ ხმაძალდა მიმართა ხალვაშს.

- არ მოგვიახლოვდე, თორემ გესერი!  
- საქმეზე მოვიდვიარ, დიდ საქმეზე!  
- რა დროს საქმეა ამ შულამეზე. წადი, გაიარე, სიცოცხლე ხომ არ მოგებზრებია! - შეუყვირა ხელმეორედ. კარის შიგნით მყოფმა მორიგემ, - ეტყობოდა, ის პირველზე უფროსი იყო - კარი გააღო და გარეთ გამოვიდა. შესასვლელთან მოახლოვდული, თავიდან ფეხებამდის განუწული უცხო ვაჭი რომ დაინახა, წყნარად და აუღელვებლად უთხრა.

- რას შენუხებულხარ, ახალგაზრდავე?  
- ჩეკას უფროსის ნახვა მიწდა!  
- მერე და, დლით მოდი, შე კაცო!  
- დლით უკვე გვიან იქნება. საქმე, რომელიც უნდა მოვახსენო, დლიამდის ვერ დაიცდის.  
- ვინ ხარ, ადამიანი, არ იტყვი მაინც?!

- გადაეცი, რომ გური ხალვაში თხოულობს უფროსის დაუყოვნებლივ ნახვას, ისიც გადაეცი, რომ მე დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის - გიორგი ხალვაშის შვილი ვარ.

- ამ დროს უფროსი არავის იღებს, ის უფრო დიდი საქმეებით არის დაკავებული, - გაუმეორა უფროსმა მორიგე.

- თქვენ ის გადაეცი თუ უფროსს, რაც მე გთხოვეთ და, თუ არ მიმიღებს, წავალ ჩემს გზაზე.  
- კარგი, მოვახსენებ, მაგრამ საქვჯო, რომ მიგიღოს.

უფროსი მორიგე კარებში მიიმალა. უმცროსი, შაშანამომარჯვებული, ერთ ადგილზე გაყინული, თვალს არ აშორებდა გურის.

არ გასულა დიდი ხანი და მორიგე ისევ კარებში გამოჩნდა.

- შემოუშვი! - მოქრით მიმართა უმცროსს, - კარგად გასინჯე და შეამწმე. კალათი გამოართვი და გადმომეცი.

გურიმ თვითონ გადმოაწოდა კალათი.  
- რა არის ასეთი მძიმე ამ კალათში? - გაკვირვებით იკითხა მორიგემ.

- ერთი ბომბი და ოთხი რევოლვერია თავისი ვაზნებით.

მორიგე გაკვირვებულად, თან დამცინავი ღმილით მიაშტერდა ხალვაშს.

- ტანსაცმელი მთლიანად მიჰკვრია ტანზე, რა უნდა შევამოწმო? - უხეშად და ზიზღით ჩაილაპარაკა უმცროსმა მორიგემ.

გაჩხრეკის მოლოდინში გური ხელანუელი იდგა შესასვლელში.

- მარჯვენა მხარეს, შარვლის ჯიბეში ნაგანი მაქვს სამი დაუხარჯავი ვაზნით. მეტი, გარდა ცხვირსახოცისა და ამ სველი ტანსაცმლისა, არაფერი გამაჩნია.

უმცროსმა მორიგემ რევოლვერი ამოაცალა, გასინჯა, ხელში შეატრიალა, ცხვირსახოცით შეამშრალა და უფროსი მორიგეს გადასცა. უფროსი წინ გაუძღვა უფროსს, დახვეული დერეფანი გაატარა, კაბინეტის წინ შეჩერდა და უთხრა.

- სულ წყალი გაგდის, ასე როგორ შეგიყვანო უფროსთან?

- როგორც სჯობდეს, ისე მოიქეცი!  
ამ დროს კარები თავად გამოაღო ჩეკას უფროსმა ბონდო კვიციანმა და უცნობი კაბინეტში შეიპატოჯა.

- როგორ საშინლად განუწულხარ, ყმანვილო!
- გზაში ვიყავი და რა დამიფარავდა?!
- გაიყვანე ეს ყმანვილი, - მიმართა მორიგეს,
- ტანსაცმელი გამოუცვალე. შემდეგ ისევ შემოიყვანე ჩემთან, - განკარგულება გასცა კვიციანმა და კაბინეტში შებრუნდა.

●  
ბონდო კვიციანი კაბინეტში დაუხვდა გურის, მოჩუქურთმებულ ხის სანერ მაგიდასთან იჯდა. თავი ხელისგულზე დაეყრდნო და პირდაპირ კედელს გასცქეროდა, რომელზედაც ორი სურათი ეკოდა, ძერქუნისკისა და კვანტალიანისა.

ბონდო კვიციანი მალაღი, წარმოსადეგი კაცი იყო, ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა. თმანვერ-ულვაში ახალი გაპარსული ჰქონდა და ვერ დაადგენდი, ჭალარა გამორეოდა თუ არა. როცა დაილაპარაკებდა, ოქროს კბილები მოუჩანდა. შავი თვალები ღრმად ჰქონდა ჩამჯდარი და დამცინავად და ეშმაკურად გამოიყურებოდნენ. ოდნავ კეხიანი ცხვირი სახეს შნოსა და ლაზათს მატებდა, ვაჟაკ-ცურ იერსაც აძლევდა. ფიზიკურად მკვერივი აგებულებისა იყო, მოკლესაყლოიანი ხაკისფერი პერანგი ეცვა, ოდნავ გულსპირგახსნილი - შავი ხშირი ბალნით დაფარული მკერდი და მკლავები მოუჩანდა.

ლაპარაკის დროს ხშირად ილიმებოდა და ხმაც ნახი და ხავერდოვანი ჰქონდა. სულ სხვაგვარად წარმოედგინა ჩეკას უფროსი და სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა პირველმა შეხვედრამ. ეგონა, მრისხანე და შოშის ზარის დამცემი, ნახევრად ევლური და კაცის ხორცის მჭამელი დაუხვდებოდა კაბინეტში და, როდესაც სანდომიანი სახის, მოლომარი და კეთილი გამომეტყველების კაცი შეჩრა პირისპირ, ხასიათი გამოეცვალა და გამბედაობაც მოემატა.

ბონდო კვიციანმა გვერდით მოისვა გური და, ეტყობოდა, უბრალო, საქმიანი საუბრისათვის ემზადებოდა.

- მორიგემ მაცნობა, რომ გიორგი ხალვაშის ვაჟი ყოფილხარ, მართლა? - დაიწყო შემპარავად და ოდნავ მოგუდული ხმით.

- დიახ.

- მამაშენი საზღვარგარეთ გაჰყვა დემოკრატიულ მთავრობას, არა?!

- დიახ, გაჰყვა.

- თქვენ სად ცხოვრობთ, ვისთან ცხოვრობთ! - სცადა უფროსმა, საუბარი სხვა კალაპოტში გადაეყვანა.

- ჩვენ, მე და დედაჩემი აქაურები ვართ, ორაგველები, სოფელში პატარა სახლი გვიდგას და იქ ვცხოვრობთ.

- სხვა ოჯახის წევრები ვინ გყავთ კიდევ?

- სხვა არაა. მხოლოდ ბიძაჩემი, ვახტანგ კაჟია, ცხოვრობს ჩვენთან ახლოს. მას თავისი სახლკარი აქვს.

- შენ და დედაშენი რა საქმიანობას ენევით ამჟამად?

- დედა დასახლისია, მე ვსწავლობ. წელს ვამთავრებ გიმნაზიას.

- გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რას აპირებ?

- სახელმწიფო უნივერსიტეტში მინდა სწავლა განვაგრძო.

- ძალთან კარგია, ენერგიული ყმანვილი ჩანხარ და მიზანსაც მიაღწევ. მამა წერილებს იწერება პარიზიდან?

- მამაჩემი ამჟამად აქ არის და ალბათ პარიზში ვერასოდეს დაბრუნდება.

- აქ არის?! როგორ?! საიდან?!

- სწორედ ამ საქმეზე გაეხელით.

- საინტერესოა!

- მე დღეს მთელი დღე მამაჩემთან გავატარე და ახლა პირდაპირ იქიდან მოვედივარ. მინდა, თქვენ ყველაფერი იცოდეთ.

- საინტერესოა! მომიყვიე დაწერილებით!

- როგორც ჩანს, გიორგი ხალვაში რევოლუციასთან ისევ მტრულ დამოკიდებულებაში დარჩა. ნაგებული ბრძოლის ისევ თავიდან დაწყებას და გაგრძელებას ფიქრობს. ემიგრანტული მთავრობის საგანგებო დეალებით არაღეგალურად არის ჩამოსული და რომელიღაც პარტიტულ კომიტეტთანაც კავშირი დაუმყარებია. აქაც მოუძებნია თანამოაზრეები და ქვეყნის დამლუპველ საქმეში ჩაუთრევია. მამაჩემთან კიდევ ორი კაცია ჩამოსული, მაგრამ მათი ვინაობა ვერ გავიგე, პირადად არც მინახავს. მამაჩემის მთელი საქმიანობა მე დიდ დანაშაულად მიმაჩნია, შვილი ვარ, მაგრამ ვერც მე ავიტანე სამშობლოს და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გიორგი ხალვაშის საძრახისი საქმიანობა. ისინი აჯანყებას ამზადებენ, უნდათ, ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხონ. სიკვდილის ცელით საქართველოს მოედენ და სისხლის მორევი დააყენონ. არა, მე არც ასეთი მამა მნამს და არც არავინ.

- ეს ყველაფერი საინტერესოა და მეტად საინტერესოც! ახლა სად არის გიორგი ხალვაში? მაგრამ არა, ჯერ ის მითხარი, როგორ მიაგენი მას.

- მიგნებას რა დიდი აზბავი უნდოდა! მისი თანამოაზრე, კონტრრევოლუციონერი ლევან გლოგრე მომიგზავნა და ჩემი ნახვა ისურვა. დედამ ქვეყანა დააქცია, არ უნდოდა, რომ მამაჩემს შეეხვედროდი, მაგრამ მე ცნობისმოყვარეობამ წამძლია და წავედი, ლევან გლოგრეს წაყვიე.

- ვინ არის ეს ლევან გლოგრე?!

- ლევან გალოგრე - ეს იგივე ლევანა დალაქია. ცნობილი დალაქია ლანჩხუთში.

- ვიცი, ვიცნობ...

- ფიქროს გაღმა თუ ყოფილხართ, სადაც ძველი უღრანი ტყე გაჩნება და ახლა საყანე მინებია გადაჭიმული, რომელსაც ხალხი „მოხრანგულს“ უწოდებს; აი, იქ დაუდგია ბინა მამარჩეს და სხვა მის მეგობრებს, საფრანგეთიდან დაბრუნებულ ემიგრანტებს. აქ ამზადებენ აჯანყებას რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, თქვენს წინააღმდეგ. იქ, სასიმიანდში, რომელიც ტყის განაპირას დგას, მოწყობილია აჯანყების შტაბი და გიორგი ხალვაშიც იქ ცხოვრობს.

- დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ყმანვილო, ვერ წარმოიდგენთ, რა დაუფასებელ სამსახურს გვიწვეთ ამ ინფორმაციით. აი, სწორედ ასეთი, თქვენისთანა თავდადებული ხალხი სჭირდება რევოლუციას.

- რალა დაგიმალოთ, როდესაც მამარჩემ გაემცრო და დამავალა მის შავნელ საქმეებში თანაშემწეობა გამეწია, მიწოდდა იქვე ჩემი ხელით დამხმარა, მაგრამ ისინი ორნი იყვნენ - გიორგი და ლევან დალაქი, და ჩემს განზრახვას, სულ ერთია, მინც ვერ შევასრულებდი. შემდეგ ერთბაშად გონს მოვეცე. ვიფიქრე, ცოცხალი მამარჩემი მეტი სამსახურის განქვეყნა შეძლებს ჩეკასათვის მეთუი, და... მეც მოვთვინიერდი, ყველაფერში დავეთანხმე და ლევან გალოგრესთან ერთად აღვუთქეი, ყოველგვარ დავალებას უსიტყვოდ შევასრულებდი.

- სწორად მოქცეულხარ და კვირვებულად ბევრ გამოცდილ ჩეკისტსაც გაუჭირდებოდა ასეთი ჭკვიანური დასკვნის გამოტანა.

ბონდო კვიციანს თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფერი ახლად ესმოდა, მაგრამ ის მართლაც მოსწონდა, რომ ასეთი ახალგაზრდები იზრდებოდნენ და რევოლუციისათვის თავსაც არ დაზოგავდნენ.

გური ხალვაში დაწვრილებით მოუყვა ბონდო კვიციანს, რაც თავს გადახდა მოხრანგულის დატოვების შემდეგ. არც ერთი წვრილმანი არ გამოჩნებია. უამბო აცანელი ტყის მჭურლის შესახებაც, და ამბავი დაამთავრა იმით, რომ ველარ აიტანა მოღალატეები, რომლებიც მშრომელი ადამიანების გაბრყვებას აპირებდნენ, ძალით დაწოდდათ გადაუქციათ რევოლუციის მონაპოურის მტრებად, და ორივე ოთხი გასროლით მოკლა.

ბონდო ძალიან შეანუხა ჩეკას საიდუმლო აგენტების დაზოცვამ, მაგრამ გურის არაფერი აგრძნობინა. არც თვითონ შეიმჩნია რამე, ხოლო გურის კი უთხრა:

- საერთო საქმისათვის უკეთესი იქნებოდა, არ მოგეკლა, ცოცხლები უფრო მეტ სამსახურს გაგვინებდნენ, ვიდრე მკვდრები, მაგრამ შენ მაინც, როგორც ვაუკაცს შეშვენის, ისე მოქცეულხარ, მო-

ღალატეები ღალატში დაიჭირო და არ აპატიე. ხდება ხოლმე ასე, შეიძლება შენს ადგილზე იმ დროს მეც ასე მოვეცეულყოფიყ, - გამაზნევა ჩეკას უფროსმა.

- ალბათ დიდი დანაშაული ჩაიდინე, კაცის მკვლელობა მაინც კაცის მკვლელობაა. ახლა უფრო მწვავედ ვგრძნობ ყველაფერს, - ნალვლიანად ჩაილაპარაკა გური.

- კაცის კვლა ყოველთვის არ არის დანაშაული და არც რევოლუციური კანონი ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევაში სასჯელს. რევოლუციის მტრებისა და მოღალატეების მკვლელებს კი არ სჯიან, არამედ აჯილდოებენ კიდევ. შენც დაგავილდოებთ ალბათ. ნუ დარდობ, დაწენარდი, - კიდევ ერთხელ გამაზნევა ჩეკას უფროსმა.

- არ ვიცი, მგონი, რის გაკეთებაც შემეძლო, გავაკეთე, რაც სათქმელი მქონდა, ვთქეი, - ძლივს გასაგონად თქვა გური ხალვაშმა.

ბონდო კვიციანი დასცქეროდა მაგიდაზე დაწყობილ ნივთებს, სივებს, ყალბ მანდატებს და ფიქრობდა: ნამდვილი იდეოლოგიები აღმოჩნდნენ ეს ჩხაიძე და გალოგრე. ჩეკისტებისათვის საჭირო ფხა ვერ გამოიჩინეს, ყველაფერს ვერ ჩასწვდნენ და ვერ მოზომეს. ახია მათზე, დიდი და მნიშვნელოვანი საქმე ჩაშალეს. ახლა მთავარია, ისე უნდა დაეზურო ეს საქმე, რომ არ გამჟღავნდეს, არ გახმაურდეს. ეს ახალგაზრდა ჭკვიანი და მტკიცე ჩანს.

- სად არიან დაზოცვლები?

- ფიქროს გაღმა, ხიდან, ერთი ბებერი მურყნის ხის მახლობლად.

ბონდო კვიციანმა დილაკს დააჭირა თითი. კარებში მორიგე ჩეკისტი შემოიძარა..

- ქილიფთარს დაუძახე! - მიმართა უფროსმა.

არ გასულა წუთიც და კარებში ძლივს შემოეცია ზომბა, ახმახი, სახენაიარევი ჩეკისტი. გასწორდა, გაიჭიმა და შესძახა:

- რას მიბრძანებ, უფროსო!

- საზიადარში წვივმაგარი ინგლისური ჯორები შეპაბით, ორი ჩეკისტი წაიყვანე და ახლავე, დაუყოვნებლივ, მოხრანგულსაკენ გაემართე. ფიქროსის ხიდზე მისვლამდის მურყნის ხის მახლობლად, გზის პირად, ორი მოკლული კაცის გვამია და წამოიღეთ. ყველაფერი საიდუმლოდ და უხმაურად. მკვდრებს ეზომი შემოიტანთ, საცხადარზე დატოვებთ და ერთ-ერთი თქვენივე მნიშვნელოვანი დადგება.

- მესმის, უფროსო! - მკვეთრად წარმოთქვა მორიგემ, შემობრუნდა და კარები მიხიზრა.

ისევ მარტოდ დარჩნენ პირისპირ გური და ბონდო კვიციანი.

ერთბანს სჩიუტე ჩამოწვა.

გური თავდახრილი იჯდა და მის ტანზე უხეიროდ მორგებული სხვისი ნაცვამი ხაკისფერი ხა-



ლათის გრძელ სახელოებს აწვავდა, ღილებს იკრავდა და ისევ იხსნიდა. კვიციანი ადგა, ტელეფონთან მივიდა, სახელური რამდენჯერმე გადააბრუნა და ძლივს დარეკა შინ.

- ზინა ხარ? - როგორც იქნა, დაელაპარაკა ცოლს, - ბავშვებს სძინავთ? მე ჯერ საქმე მაქვს, შეიძლება დილაამდისაც ვერ მოვიდე, - შემოტრიალდა და თავის ადგილზე დააჯდა.

ბონდო კვიციანი ისევ ფიქრებმა გაიტაცა, კაბინეტში სრული მყუდროება და სიჩუმე დამკვიდრდა. გარეთ ელვა-ჭექა ძრავდა ცსას და ქვეყანას.

გადაუღებლად წვიმდა. ქვენა ქარი გააფთრებით უტყვდა სახლებს, სახურავებს გლეჯდა, ილენებოდა ხეები, ბოძები, ფიხურები. სადღაც ხაზი გაწყდა. სინათლე გამოირთო.

კვიციანმა მორიგეს გასძახა და სათადარიგო ნავთის ლამპა შემოათანინა. თან ბრძანება გასცა, მორიგეობა გაეძლიერებინათ.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჩეკას უფროსი მიუბრუნდა გურის და ჰკითხა:

- კომკავშირის წევრი ხარ?
- არა, პატივცემული უფროსო!
- ეს როგორ მოგივიდა? არ გინდოდა ახალგაზრდობის ორგანიზაციაში შესვლა?
- არ მიმიღეს, უარი მითხრეს.
- რატომ გითხრეს უარი?
- მამა გაყავს ემიგრანტი და კონტრრევოლუციონერიო. მამასთან მე არ გავზრდილვარ, მასთან ერთი თვეც არ მიცხოვრია. მეფის მთავრობის დროსაც ემიგრანტი იყო, ახლაც... მაშინ რევოლუციონერს ეძახდნენ, ახლა კონტრრევოლუციონერიო. მე საკმაოდ ვერ უყვარვო ამ ამბებში, მამა მამაა, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

- არა, მამის ავკაცობა დაგაბრკოლებს. თუ მამა ჩვენი მტერია, შვილი არ შეიძლება ჩვენი მოყვარე იყოს. აი, იმ სურათს ხომ ხედავ? - ხელი გაიშვირა ძერჟინსკისაკენ, - ეს რუსეთის პირველი და დიდი ჩეკისტია. მან რევოლუციის მტრები - მამებიც და შვილებიც - ერთიანად მოსპო, არავის არაფერი დაუთმო და არც არავინ დაინდო. ასეთია რევოლუციის რკინის კანონი და რას იზამ?!

გურის გუნება გაუფიჭდა. არ ენიშნა კარგად ჩეკას უფროსის შეგონება და გულში გაივლო: როგორც ჩანს, ამ ხალხთან არაფერი გაგივა. ცეცხლში რომ ჩადგე, სულ ერთია, მაინც არაფერს დაგიფასებენ. არა, თუ ახლა გადავგრძობ დახვედრას, უნდა გავცვალო აქაურობას, სხვა გამოსავალი არ არის. რაღაც ახალი გზა უნდა გამოვძებნო.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ხშირი ელვა ანათებდა და აბნელებდა ჩეკას უფროსის ნავთის ლამპით მკრთალად განათებულ კაბინეტს. ქარმა კიდევ უფრო

იმძლავრა. სახლების სახურავებიდან აგლეჯილი თუნუქის ფურცლები ხმაურით დაფარფატებდა შაერში და ქვეტა-ქუხილს უფრო მრისხანეს ხდიდა. ზანზარებდა ჩეკას შინაში. ბონდო წამოდგა და დარბაზშიც ჩაქცა. რამდენიმე წუთით ხელები ზურგზე დაიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა მაგიდაზე დანყობილი იარაღები. მაგდას შემოურა. ნავთის ლამპა შეამოწმა, შეანჯღრია, დარწმუნდა, რომ ჯერ კიდევ დილაამდის მაინც იკმარებდა ნავთის მარაგი. დარაბამიკეტელ ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გაასწორა, შემობრუნდა და გური ხალვაშს პირისპირ დაუდგა.

- მე ვფიქრობ, რომ შენ აუცილებლად უნდა მიგიღონ კომკავშირში! ვინ წავიდა, თუ გახსოვს, შენს წინააღმდეგ კრებაზე?

- ნესტორა ქვაბულაძე და ცალთვალა გიგაია. სხვას არავის თავისი აზრი არ გამოუთქვამს. ამის საშუალება არ მისცეს სხვებს.

- ახლა მე მოგცემ რეკომენდაციას და უარის თქმას ვერავინ გაბედავს. შენ მშვიდად იყავი, ეს ყველაფერი ერთ კვირაში მოხდება. შენ ნამდვილად ვაჟკაცურად მოიქეცი, დიდი სამსახური გაუწიე რევოლუციის საქმეს და კიდევ მეტის განეცას შენს მომავალში. შენისთანა მტკიცეს ან ერთხელ ახალგაზრდები უნდა მიიზიდოს ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ. ამას გვასწავლიან დიდი ლენინი და ძერჟინსკი.

გურის გულს მოეშვა, როცა ბონდოს სიტყვები მოისმინა. ისე კი გაიფიქრა: გადავრჩი და ეს არის. გადაწყვეტილია, არც დამპატიმრებენ და არც დამხვერტენ. თუ კომკავშირში მიმიღეს, უნივერსიტეტისაკენ გამეხსენება გზა.

- რაც მოხდა და რაზეც აქ ვილაპარაკეთ, ამ კედლებს იქით არ უნდა გავიდეს. არც დედამ უნდა გაიგოს, არც ბიძამ და არც სხვა ვინმემ, თორემ არაფერი გიმველის, ჩემს სიტყვას და რეკომენდაციას უკან წავიღებ და ჩემი ხელით დაგხვერტავ, როგორც უნებისყოფოს, თვალთმაქცსა და მოღალატეს. უნივერსიტეტში ჩარიცხვაზე ჩვენ დაგეხმარებით და ხელს შეგიწყობთ, იქაც არანაკლებ საჭიროა ჩვენი ხალხი, საქმეში გამოცდილი და შემომწებული ადამიანები.

ბონდო კვიციანი გავიდა კაბინეტიდან და ცოტა ხნის შემდეგ თავისი ხელით შემოიტანა გურის ტანსაცმელი, თან სანვინარი ლაბდაც მოაყოლა.

- აჰა, გამოიცვალე!

ის იყო, გურში თავისი ტანსაცმელი ჩაიცვა, რომ კარზე დააკაკუნა და ნებართვის მიღების შემდეგ კაბინეტში შემოიძმარა სახენაირევი ჩეკისტი.

- რა ქენით, რატომ დაიგვიანეთ? - ჰკითხა უფროსმა.

- იქაურობა სულ წყალს ჰქონდა დაფარული და მკვდრების მიგნება გაგვიძინდა.

- კი, მაგრამ ეს წყალი საიდან?!

- რიონს ნაპირები გადმოულახავს და კოლხეთის დაბლობის მთელი მარჯვენა მხარე წყლით იფარება. ასე გეგონება, შავი ზღვა ველარ დატყულა კალაპოტში და ხმელეთის შემოერთება გადაწყვეტილია. კიდევ კარგი, რომ ჯორები თება საზიდარში, თორემ ცხენებს გაუძნელდებოდათ წყლის დაფარული სივრცის გადმოლახვა. ჩანს, ძალიან დიდი წყალდიდობა იქნება. მთელი გზის მანძილზე წყალი სულ მატულობდა და მატულობდა, როგორც იტყვიან, ფეხდაფეხ მოგვედგა და დაბასთან მოახლოებისას, რკინიგზის ხაზიდან ერთ კილომეტრზე ქვემოთ, როგორც იქნა, დავადგით ფეხი მიწაზე, - დაამთავრა სათქმელი სახენიათებმა ჩუქისტმა და უფროსს თვალში გაუსწორა.

- თქვენ ახლა წადით და დაისვენეთ. დილით ახალი დავალება და დიდი საზრუნავი გაგვიჩნდება.

ისე გადაუღებლად წვიმდა და ქვენა ქარი მეტი გაავებით უბრავედა. პატარა მდინარეები ისე ადიდდნენ, რომ ნაპირები გადმოლახეს, გაერთიანდნენ და თავიანთ ვაზზე ყველაფერს გლეჯდნენ: ბაბ-ბოსტნებს, ყანებს, ასწლოვან კაკოებს და ცაცხვის ხეებს; გზები წაიშალა და წყლით დაიფარა. ლანჩხუთში მკაფიოდ ისმოდა ვავებული და აპირგებული შავი ზღვის ტალღების ნაპირზე შეხეთქების ხმა.

თენდებოდა, როდესაც ბონდო კვიციანიშა გური დაითხოვრა და სახლში გაისტუმრა. მთელი ღამე მოუსტუმრად გაატარა ჩუქას უფროსმა. კაცმა რომ თქვას, საფიქრალსა და სადარდებელს რა გამოუღვედა უშიშროების დარაჯს: ჯერ ერთი, დახოცილი აგენტები ისე უნდა ჩაებარებინა ოჯახებში სათვის და დასაფლავებაც ისე უნდა მოეწყო, რომ რაიმე გაუგებრობა და ზედმეტი მითქმა-მოთქმა არ მოჰყოლოდა ამ რთულ, დახლართულ და ბნელით მოცულ მკვლელობის საქმეს... მორეც - წყალდიდობამ და რიონის მიერ ნაპირების გადმოლახვამ გაუთვალისწინებელი სიძნელის წინაშე დააყენა კვიციანი. საქმე იმაში იყო, რომ ჩუქას ჩვიდმეტს საიდუმლო «ტყის მჭრელი» აგენტიდან თექვსმეტს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა კოლხეთის დაბლობის წყლით დაფარვა. მათი კარგები ალბათ მთლიანად დაიტბორებოდა და წყალდიდობას თუ ცოცხალი გადაურჩნენ, ხეებზე შეაფარებდნენ თავს და ემიგრაციიდან ჩამოსულებს თავსაღიანი და დაზვერვა მოაკლდებოდა. გარდა ამისა, ისიც მოსალოდნელი იყო, წყალდიდობით ესარგებლათ ემიგრანტებს და ხელიდან დასხლტომოდნენ, ეს კი კვიციანს კარგს არაფერს უქადდა.

დილით ყველაფერი ნათელი გახდა. ქარი და წვიმა არ ცხრებოდა. კვიციანი ცოლს დაელაპარაკა

ტელეფონით: საუზმეზე ნუ დამიცდით, ნურც დამელოდებით, მე თვითონ არ ვიცი, როდის შევძლებ სახლში მოსვლას. დაკე და ყურმილი და რამდენიმე ჩეკისტთან ერთად რკინიგზის სადგურისაკენ გაემართა. ცეცხლჩამქრალი ორთქლმავლები და მატარებლების შემადგენლობები უძრავად იდგნენ ხაზებზე და ჩიხებში. ლვარკოფებს მრავალ ადგილას ნაელევა და დაეზანაებინა რკინიგზა და მის აღდგენას დიდი დრო დასჭირდებოდა. სადგურიდან კარგად ჩანდა ზღვადექეული კოლხეთის დაბლობი. ყველაფერი წყლით იყო დაფარული, მხოლოდ ხის ზედა ტოტები და სასიმიინდეების სახურავები მოჩანდა, სხვა ყველაფერი წყალს ქვეშ მოექცია. საჭირო იყო საზრიანი და სწრაფი მოქმედება.

ბონდო კვიციანიშა ფეხზე დააყენა ჩუქა და მილიცია, ჯან-ლონით სავსე პარტოლები, რეკომი და კომკავშირი. განკარგულება გასცა, სასწრაფოდ მოემზადებინათ ნავები. ფოთსა და ბათუმს მსუველი ძალების დახმარება სთხოვა.

საქმის გადადება არ შეიძლებოდა, პირველ რიგში «ტყის მჭრელები» უნდა ეხსნათ დასაჭირისაგან. აუცილებლად უნდა ჩაეღწიათ მოხრანგულში და გიორგი ხალვაში და არალეგალურად ჩამოსული მისი ამხანაგები გამოეყვანათ სამშვიდობოს და მათი საქმისათვის შემდეგი მსვლელობა მიეცათ.

შუადღისთვის საყანე ადგილები კოლხეთის მთელ დაბლობზე შედარებით მაღლებით წარმოადგენდა და ზოგ ადგილას მიწა ჩანდა, წყალს ვერ დაეფარა. სიცხიანი, ავადმყოფი გიორგი ხალვაში სასიმიინდიდან ჩამოიყვანეს და საგანგებოდ შერჩეული სამი ჩეკისტის თანხლებით საიდუმლოდ ჩუქაში ამოიყვანეს, ერთი დღეობა გაათავისუფლეს და შვედ მარტოდ მოათავსეს. გიორგის ამხანაგები ვერსად იპოვეს, არც ხალვაშმა იცოდა, დამით სად გაქრნენ და გაუზინარდნენ. მხოლოდ ის უთხრა გამოძიებელს, შუალაისას ერთი ნაფი იმოფეს და გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრნენ.

რამდენიმე გლეხიც დარჩენილიყო წყალდიდობის დროს დატბორულ დაბლობზე, მათ მოესწროთ სასიმიინდეების სახურავებზე თავის შეფარება, მათაც მიეშველნენ და ხმელეთზე უვნებლად გამოიყოყვანეს.

მგლები, ტურები, გარეული ღორები, შვლები და სხვა ცხოველები წყლის ზედაპირზე დაცურავდნენ და ყველანიარად ცდილობდნენ, როგორმე თავი გადაეჩინათ. ხშირად დაინახავდით სასიმიინდის ან მიტოვებული კარვის სახურავზე წამსკუპებულ მგელს ან ტურას, რომლებიც დაფეთებულნი და შეშინებულნი თვალებს აბრიალებდნენ; ბევრიც ეკალბარდზე შერჩენილიყო და იქიდან თავის დაღწევა უჭირდა. უმეტესობა კი დაცურავდა და გადასარჩენ ადგილს ეძებდა, ყოველი მიმართულებით სერავდა

ზღვად დამდგარ კოლხეთის დაბლობს. საინტერესო იყო ისიც, რომ წყალზე მოცურავე გარეული და მტაცებელი ცხოველები ერთმანეთს აღარ გაურბოდნენ, ერთმანეთის მახლობლად დაცურავდნენ, საერთო უბედურებას და საშიშროებას დროებითი ზავი ჩამოეგდო მათ შორის.

ფრინველები არსად ჩანდნენ, სადღაც გაკრეფილიყვნენ და მათი ჟივილ-ხვილიც აღარ ისმოდა. მხოლოდ ყორნები და ყვავები დაფრინავდნენ ცალცალკე და გუნდ-გუნდად წყლის ზედაპირზე და ჩხავილ-ყრანტალით იკლებდნენ იქაურობას.

მთელი დღე არაფერი უჭამია ბონდო კვიციანს, არც სხვები მოუსვენებია და არც თავად მოუცლია მუხლის მოსახლეად. დაღლილ და მძიერ-მწყურვალე გვიან ღამით დაბრუნდა შინ.

შბათს, დღის სამ საათზე, ბონდო კვიციანის დავალებით კომკავშირის სადაბო ბუროს სხდომა მიიწვიეს. სხდომას „საგანგებო“ უწოდეს, რადგან ადრე ასეთი რამ გათვალისწინებული არ იყო და არც ბუროს წევრებმა იცოდნენ, რატომ იყო სხდომა საგანგებო ან რა საკითხები იდგა დღის წესრიგში.

საგანგებო სხდომა ნესტორა ქვაბულიძემ გახსნა. სხდომას ესწრებოდნენ კომკავშირის აქტივი და ბურო მთელი შემადგენლობით. აგრეთვე კვიციანის მოადგილე ოპერატორული მუშაობის დარგში კინი ურიდია, კაცი წარმოსადგინა, გარეგნულად ათასში გამოსარჩევი, მაგრამ პირქუში და გულჩათხრობილი. ამბობდნენ, ბევრი საკუთარი ხელით ჰყავს დახვრეტილი. კინი ურიდია ყველაზე მეტად ჰყავდა დაახლოებული ბონდო კვიციანს, ვიდრე რომელიმე სხვა ჩეკისტი. მძიმე და სახიფათო საქმეზე მას ზგავნიდა. როდესაც სოფელში მოსულს დანიხავდნენ, იტყოდნენ, სიკვდილი მოდისო და, თუ სამ-ოთხ კაცს ერთად მოეყარა თავი, სასწრაფოდ გაიფანტებოდნენ და თვალს მიეფარებოდნენ.

ბუროს წევრებმაც იცოდნენ, რომ კინი ურიდიას სხდომაზე დასწრება ჩვეულებრივი საქმე არ იყო, მისი უბრალო გამოჩენაც კი ბონდო კვიციანის თვალსა და ნებას ნიშნავდა და ზედმეტსიტყვაობის გარეშე უნდა გადაწყვეტილიყო ის, რასაც მოითხოვდა ჩეკის უფროსის დავალების უსიტყვოდ შესრულება.

ყველამ კარგად იცოდა, რომ ჩეკასთან ხუმრობა არ შეიძლებოდა, ისე, როგორც თვით სასვე საბჭოელი ცეცხლთან თამაში. ამიტომ ნესტორა შტერის და ცალთვალა გვიასის წინასწარ ჰქონდათ ყველაფერი გათვალისწინებული, აწონილ-დანონილი, მოფიქრებული და მოზომილი; ზედმეტი რამ არც მათ უნდა დასცდენოდათ და სხვებისთვის უნდა

მიეცათ აზრის გამოთქმის საშუალება. უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ წინასწარ დაუშვს ერთი დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა, რამაც კომკავშირის მდივნები და ბუროს წევრები კინალამ გამოუვალ ჩიხში მოაქცია. საქმე ის იყო, რომ გური ხალვაში არ მოიწვიეს და არ დაისწრეს სხდომაზე, რომელზედაც მისი კომკავშირში მიღების საკითხი წყდებოდა, მაშინ როდესაც ერთი თვის წინ დათვებული ცეცხლი ჯერ კიდევ ერთი და დღევანდაც არ იყო ქცეული.

ასე იყო თუ ისე, სხვა გამოსავალი არ იყო. კრება შესავალი სიტყვით გახსნა ნესტორა შტერმა. როგორც მიღებული იყო, ჯერ საერთაშორისო მდგომარეობას გადასწავდა, რისზეა და მეხი დაატეხა ევროპას და ამერიკას, რაც არსენალში ბომბი გააჩნდა, ყველა საზოგადოებრივი და ახარა. შემდეგ ოქტომბრის რევოლუციის ძველამოსილებაზე ილაპარაკა, მოაგონა მსმენელებს ისიც, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მსოფლიო რევოლუცია მოხდებოდა და კაცობრიობა გათავისუფლდებოდა ერთი მუჭა კაციჭამია კაპიტალისტებისაგან. კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკა, დალალო და გააბრუა ყველა და ბოლოს სხდომის მიზნად გააცნო კრებასა და დღის წესრიგზე ნაიკითხა. სწორედ ამ დროს მოხდა ის გაუთვალისწინებელი, რამაც კინალამ ჩაშალა სხდომა.

დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ ვილაცამ დაუფიქრებლად წამოიძახა:

— სად არის გური ხალვაში? თუ მის კომკავშირში მიღებას ვიზილავთ, რატომ არ გვესწრება სხდომაზე?!

— ერთი თვის წინ ხომ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი?! მაშინ ხალვაში უარი ვუთხარით, კონტრრევოლუციონერი ვუნოდეთ, გავიციებთ, გავაშავებთ და გავაგდებთ, ახლა რა მოხდა ასეთი? — წამოიძახა უკანა რიგიდან კონწიად ჩაცმულმა ბაფთებიანმა ქალიშვილმა.

სხვებმა კიდევ სხვა რეპლიკა ისროლეს და სხდომის დაოკება-დამოშინება ძლივს მოახერხა ქვაბულიძემ.

კინი ურიდია იჯდა თავისთვის ქორული მზერით გამჭოლავად ზეურავდა ყველას და რალაცას უბის ნიგნამში ინიშნავდა. სხდომის მონაწილეებს არც ეს გამოარჩენიათ შედეგელოდნენ და მათ დანწყარებაში ამ გარემოებამ საკმაო როლი ითამაშა.

მინყდა თუ არა ხმაური, ნესტორამ დღის წესრიგში დასმულ საკითხზე სიტყვა მისცა ცალთვალა გვიასს.

ცალთვალა წამოდგა, წელში გაიმართა, თავზე ხელი გადაისვა, ჩახხველა და რიხიანად დაიწყო:

— ამხანაგებო! მართალია, ჩვენ ამას წინათ განვიხილეთ გური ხალვაში ჩვენს რიგებში მიღების



საკითხი, მაგრამ ისე მოხდა, რომ არც უფროსებს მოთათბირებიათ, არც ვინმესთვის გვეკითხავს რამე და, სამწუხაროდ, არც ჩვენ შეგვისწავლია ღრმად საკითხი, აეჭარდით და სრულიად გაუმართლებელი განაჩენი გამოვიტანეთ.

კრება გატრუნული იყო. ხმას არავინ იღებდა, ისე უსმენდნენ ცალთვალას. უკანა რიგებში კი ვილაყამ ვერ მოითმინა და მაინც წამოიძახა: ვინ მოგდევდათ, რომ ჩქარობდითო. ცალთვალა ცოტა ხანს შეყოვნდა, ოდნავ ჩაახველა, ხმის ძალა შეამინდა და განაგრძო:

– არ არის დასამალი, რომ ხალვაში თითოეულ ჩვენგანს ბევრ რამეში გვეჯობს და სწორედ აქ დავფუთით შევცდომა, ვერ გამოვიჩინეთ შორისმჭვრეტელობა, არ ვაპატიეთ ხალვაშს, რომ ის ჩვენზე მეტად ნაკითხია, განათლებულიც, შრომისმოყვარეც. არ ვაპატიეთ ისიც, რომ ორავგელმა, სოფლიდან ჩამოსულმა ბიჭმა ჩვენ გვაჯობა და ჩვენც შური ვიძიეთ, ვერ მოვიქციეთ კარგად. ამიტომ ჩვენი გაფუჭებული საქმე ჩვენზე უნდა გამოვასწოროთ.

ისევე დაირღვა მყუდროება დარბაზში, ისევე ახმაურდნენ, აყვირდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დაანუნარეს აღელვებული კომკავშირელები და ცალთვალამ განაგრძო:

– გარდა იმისა, რაც მოვახსენეთ, თურმე ეს ჩვენ მართლაც არ ვიცოდით: ხალვაში ისეთ სამსახურს უწევს რეველუციას და სოციალიზმს, რომ ის უსიტყვოდ იმსახურებს ჩვენს ორგანიზაციაში მიღებას.

ისევე აყვანდნენ დარბაზში, მოითხოვეს, თუ რა სამსახურს უწევს რეველუციას, ჩვენც უნდა ვიცოდეო. კინი ურიდიამ ცალთვალას ყურში რალაც ჩასურჩულა. გვიგაიამ ხელი მაღლა ასწია ნიშნად იმისა, რომ დაწყნარებულიყვნენ და მოესმინათ:

– ამხანაგებო, ბევრი რამ არის ისეთი, რისი გამხლე და გახმაურებაც არ შეიძლება; ბევრი რამ ისეთიც არის, რომ საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ის არც არასოდეს ითქმება და ვერც ვერასოდეს გაივრება. არის ისეთი ორგანო, რომელიც ყველაფერს ხალხის საკეთილდღეოდ აკეთებს, დღე და დღემ მუშაობს, არ სძინავს, რათა ჩვენ მშვიდად ვიძინოთ. ამ ორგანოს წარმომადგენელი აქ არის, მათ იცნან, თუ რაშიც არის საქმე და ჩვენც ნუ ვიკითხავთ იმას, რაც ჩვენ არ გვეკითხება. ყველაფერი გავითვალისწინოთ, ჩვენი წარსული შევცდომა გამოვასწოროთ. ბიუროს წინადადება, გური ხალვაში მივიღოთ კომკავშირულ ორგანიზაციაში.

ცალთვალამ დაამთავრა სიტყვა, სახეზე ოფლი ცხერისაზოცით შეიმშრალა, გულისპირი გაიხსნა, რომ ცოტა შეება ეგრძნო, და თავის ადგილზე დაჯდა.

ნესტორმა შტერმა თვალეები გადაუბრიალა კრებას და მიმართა:

– შეკითხვა ხომ არავის აქვს? – სიტყვა დამთავრებული არ შტონდა, თვითონვე სულმოუთქვამლად დაუმატა: – არავის! სიტყვა ხომ არავის სურს? – და მექანიკურად გაიმეორა: – არავის! – შემდეგ კრებას ხმამაღლა მიმართა:

– ვინ არის შემოტანილი წინადადების წინააღმდეგი? – თვლით მოვაგო დარბაზს და, სანამდე გონს მოგვეტონდნენ, განაგრძო: – წინადადება მიღებულია ერთხმად! სხვა საკითხი დღის წესრიგში არა გვაქვს. კრება დამთავრებულია.

კრების დამთავრების შემდეგ ნესტორმა შტერი, ცალთვალა გვიგაიამ და ბიუროს რამდენიმე წევრი დარჩა. ოქმი გაფორმეს, ოქმში შეკითხვებიც გაითვალისწინეს, კამათში გამოსულ ამხანაგებსაც დღის წესრიგის მხარდამჭერი სიტყვები ათქმევინეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე კობხდა და ლამაზად გაკეთდა, რომ წყალი არსად გაჟონავდა.

XI

გური ხალვაშმა წარმატებით დაამთავრა გიმნაზია, მასწავლებელთა ქებაც დაიმსახურა და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველეს. მისი საქმე ყოველმხრივ გაიარა. ატესტატი ხელში ეჭირა. რაკი კომკავშირის წევრი გახდა, სიღარიბის მოწმობაც შეფერებულად მიართვეს. დანარჩენი მის ვაჟაკობასა და უნარზე იყო დამოკიდებული.

1924 წელს მისაღები გამოცდები პირველად შემოიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გური დანრწმუნებული იყო, რომ მას წინ ვერავინ დაუდგებოდა.

მთელი ზაფხული შეუსვენებლად მუშაობდა. საჭირო იყო ოჯახის საზამთროდ მომარაგება და უზრუნველყოფა. ბიძასთან ერთად უფლიდა სიმინდის ყანას, მთაში შემა დაამზადა და ჩამოიტანა კიდეც. ლობე-მესერი შეაკეთა, სახლის სასურსათ დაზიანებული ყვავილი გამოუცვალა და არც სხვა წერტილმანი საქმე გამოიჩინა გაუკეთებელი. ამავე დროს, გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებს უფჯა და იმეორებდა.

ერთხელ ბოხეზურში ჩასვლაც მოასწრო. სულ ორი დღე დარჩა სატრფოსთან, მაგრამ უქმად არც იქ ყოფილა, კონსტანტინე ხავთასს ეხმარებოდა ყანასა და ვენასზე. კმაყოფილი იყო გლუხაკიცი, რადგან შვილის ბედნიერებას ნათლად ხედავდა

ხავთასი იმით იყო კმაყოფილი, რომ ყოველგვარი ფიქრისა და დავიდარაბის გარეშე გვარდებოდა მისი ქალიშვილის საქმე და გვარდებოდა ისე, რომ უკეთეს ვერც ინატრებდა, თუმცა, ეს კი იყო, ცოტა იწილებოდა და ჭიანურდებოდა ახალგაზრდების შეერთება. მან გამოცდილებით იცოდა, რომ გაგრძელებ-

ბული საქმე ყოველთვის ისე არ სრულდება, როგორც თავიდან ჩათქმული იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში არც ის შეიძლება, რომ გურის განზრახვის წინ აღდგომოდა, ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლის გაგრძელებას აპირებდა. ამაზე უკეთესი რა უნდა ყოფილიყო?! მაგრამ სად უნდა იცხოვროს თბილისში?

კონსტანტინე ხავთასმა თავისი აზრი გაუზიარა ქალ-ვაჟს:

– ნაძალადევეში ელვისას ბიძა ცხოვრობს. საკუთარი სახლი, დიდი ეზო და ვრცელი ბინა აქვს. დიდი ხანია, მმირდება ერთ მოზრდილ ოთახს, თუ ელვისა თბილისში გადავა საცხოვრებლად და სასწავლებლად. წელს შენ იცხოვრებ გურის იქ. მომავალ წელს, როდესაც ელვისა სწავლას მორჩება, იცხოვრებთ ერთად და იქნებით ბედნიერნი.

– ვნახთო, კარგი საქმეა. ვახო ბიძისაც ჰყავს მოკეთე და მეგობარი თბილისში. ამას წინათ ჩვენთან, ორაგვეში იყო ჩამოსული ერთი თვით და მანაც შემოგვთავაზა ბინა. რაკი ასარჩევად გვექნება საქმე, ჩვენც უკეთესი შევარჩიოთ.

– თუ ყველაფერი კარგად მოეწყო, რა იქნება, რომ მე წელსვე გადავიდე თბილისში?! – თქვა ელვისამ.

– არა, შეილო, – უბასუბა კონსტანტინემ, – სულწასულობა არაფერში არ ვარგა და, მით უმეტეს, სიყვარულს არ ამშვენებს ის. წელს აქ დარჩები. გიმნაზიას დაამთავრებ, მანამდე გურიც ფესვებს გაიდგამს ქალაქში, მომადგრდება. ერთი წელი რაა, თვალის დასუფტავს ვერ მოასწრებ, ისე გაიორბენს.

ელვისა სწრაფად ნამოდა, თვალები ნაკვერჩხაღვით უელავდა. სახეზე სისხლი მოსძაღებოდა და გამაღილ ატმის ყვავილს დამსგავსებოდა. აღარაფერი უთქვამს, მამისათვის სიტყვა არ შეუბრუნებია, ნაზი რხევითა და კაბის შრიალთ მეორე ოთახში გავიდა.

კონსტანტინე და გური ყველაფერზე შეთანხმდნენ. მამა წერილს დაწერდა და ხალვაში თვითონ წაიღებდა თბილისში. თავისი თვალთი ნახავდა, შეამომნებდა მდგომარეობას, მომავალ მოყვარესაც გაიცნობდა, საბოლოო გადაწყვეტილებას ადგილზე მიიღებდა და შედეგებს დაწვრილებით მიწერდა მამა-შვილს.

– ელვისა, რატომ არ მეკითხები, რომელ ფაკულტეტზე ვაპირებ განცხადების შეტანას? – მიმართა გურიმ ელვისას, როცა ოთახში დაბრუნდა.

– რას ამბობ, გური?!

– არა, ისე. არაფერი გიკითხავს და შენი აზრი მინდა ვიცოდე!

– ერთხელ ხომ მითხარი, იურიდიულ ფაკულტეტზე ვაპირებო!

– ჰო, გითხარი, მაგრამ შემდეგ დედას ნებას დავეყვი და არჩევანი შევცვალე.

– მემრე და არ იტყვი?!

– იქნებ გამოიცნო?!

– აბა, მე სადაური გულთმისანი მნახე?!

– გადაეწყვიტე, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაივრიცნო. ხომ მოგწონს?

– ძალიან! – აღტაცება ვერ დამალა ელვისამ.

– არ დაიგვიანო, შეილო, – უთხრა კონსტანტინემ გურის, – გზაში შემოგალამდება და ეს გრძელი გზა სასევა ავკაცებითა და ყარალებით. ხომ გაგიგონია: ბოროტებას დღისით სძინავს და ღამით ქორწილში დადისო. თუ დედა არ შეუნხდება, სულ დარჩი ამალამ და ხვალ წადი.

– არა, ნამდვილად შეეშინდება, მელოდება.

– თუ არ დარჩები, მამინ დროზე წადი, გური. ღამემ არ მოგასწროს, ფრთხილად იარე, – თავის მხრივ დაუმატა ელვისამ.

კონსტანტინე ხავთასი მეორე ოთახში გავიდა, საწერ-კალამი და ქალაღი გამოიტანა და თავის ნათესავს წერილი მისწერა თბილისში. მისამართი ცალკე ქალაღზე დაწერა: ნაძალადევი. გადასასვლელ ხიდთან ახლოს, ბრძოლის ქუჩა, №7. სვერიან ინსკირველი. სიტყვიერად კი დაუმატა:

– არ არის ძნელი მისაგნები, როგორც კი გადახვალ ხიდზე, ცოტას პირდაპირ ნახვალ, შემდეგ მარცხნივ მოუხვევ. ნითელი აგურით ნაშენები ერთსართულიანი სახლია, თუნუქით დახურული. მისასვლელ მხარეზე ღია აივანი აქვს. ეზოში ორი დიდი კაკლის ხე უდგას. სხვისი სახლებისა და ენუებისგან ადვილად გაარჩევ. ჩვენი მოკითხვა გადაეცი. შედეგი დაწვრილებით მოგვწერე.

## XII

ავვისტოს აჯანყებამ ხალვაში მატარებელი მოუსწრო. ყოველგვარი მოძრაობა შეწყდა თბილის-ბათუმის რკინიგზის სახეზე. ასეთი იყო მთავრობის განკარგულება. მხოლოდ ჩეკისტებით გაჭედული მატარებლები მოძრაობდა შეუფერხებლად.

სამგზავრო მატარებელი, რომლითაც გური თბილისში მიდიოდა, წიფაში შეაჩერეს.

პირველად არავინ იცოდა, თუ რა იყო დაყოვნების მიზეზი, მაგრამ შემდეგ სადგურის მუშა-მოსამსახურეებისაგან გაიგეს, რომ მთელი საქართველო აჯანყების ქარცეცხლში იყო გახვეული. ბევრი ქალაქი და მსხვილი დასახლებული ადგილი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა, მაგრამ მსხვილ ქალაქებში – თბილისში, ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში – არავითარ მნიშვნელოვან გამოსვლას ადგილი არ ჰქონია და მშვიდობიანი ცხოვრება ადვილად იქნა აღადგენილი. აჯანყებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო გურია-სამეგრელოში, შედარებით ნაკლები – იმერეთში და კიდევ უფრო ნაკლები – ქართლსა და კახეთში.

მოუხედავად იმისა, რომ აჯანყების გეგმა წინასწარ იყო გაცემული, პარტიტული კომიტეტი - მთელი შემადგენლობით - დაპატიმრებული და მთავრობის ადგილობრივი ორგანოებიც საქმის კურსში ადრევე იქნა შეყვანილი, აჯანყებამ მაინც წარმოუდგენლად ფართო ხასიათი მიიღო, რადგან უკმაყოფილო ხალხი ერთიანად აღდგა მოძალადეების, მოსყიდულებისა და შავი ტერორის წინააღმდეგ. ცენტრალური მთავრობის დაგეგმილი ღონისძიება, ჯარი და ჩეკა, პარტია და კომკავშირი უძლური აღმოჩნდა სტიქიურად დაძრული ხალხის წინააღმდეგ, ნამდვილი სახალხო აჯანყების დასაწყისშივე ჩასაქრობად.

ასეთ პირობებში ვის სცხელოდა სამზაგრო მატარებლებისათვის და, მოძრავი შემადგენლობებით დატვირთვით რომ არ გადაქცეულიყო, ყველაფერი ადგილებზე გაყინეს. სადგურის გასწვრივ გაძლიერებული დაცვა განალაგეს, ტყვიამფრქვევები გაამკრივეს და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. დაცვა ნაბრძანები ჰქონდა, განკარგულენების მიღებისთანავე ვაგონებში მყოფნი ერთიანად დაეხვრიტათ. მზაგრები კი გააფრთხილეს, უნებართვოდ ვაგონი არავის დაეტოვებინა, შესასვლელ-გამოსასვლელები ჩაკეტეს და გამცილებლებს უბრძანეს, კარებთან მდგარიყვნენ და დაცვის გარეშე ფეხი ადგოლიდან არ მოეცვალათ.

დამფრთხალი და გაოგნებული ხალხი შიშით ძრუნდა და ხმას არ იღებდა. შიმშილისა და წყურვილის გრძნობაც დაკარგეს, სიწუმისა და შიშის პირობაში ბავშვებსაც გადაედოთ და ჭირვეული ტირილი აღარ ისმოდა.

არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა მათი პატიმრობა ან სანამდის გაგრძელდებოდა ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა.

გური, ფანჯარასთან იდგა და ვასცქეროდა წიფის თვალდაბნობილ ღამეს, უსინათლო სადგურს, ღანდებოვით მოპირაილე გუმბაგებსა და მთებზე აქოჩროლ ჩაშავებულ ტყეს. მხოლოდ მდინარის ხმაური აღვიძებდა ბუნების ჩამკვდარ სიციცხლეს და ძაღლების ყვფა-ყმუილილა აგრძნობინებდა მზაგრებს - შემთხვევითი პატიმრებს, რომ სადღაც შორიახლოს სიციცხლეს ეძინა და ჭოფაკები იცავდნენ სოფელს ავაცებისა და ავი თვალისაგან.

როგორც იქნა, საშველი დაადგა უსაშველო ღამეს. ცას ნათელი შეებარა. ვაიცი რიცა. ვარსკვლავები მიბჭუნდნენ. თავის ტახტს დიდხანს მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავი არ თმობდა. ბოლოს, როდესაც ნათელმა იძალა, ისიც გაფერმკრთალდა და მიიშალა.

გათენდა. მზემ ჯერი მისი წვერები დაუგზავნა მაცოცხლებელი ნათელი, შემდეგ ხევეებში ჩამოქვეითდა, ბოლოს სადგურსაც ეწვია, მაგრამ,

მოუხედავად დღის ძალაში შესვლისა, ისევ მყუდროება სუფევდა ირველივ. მხოლოდ ჯარისკაცები და თავიდან ფეხებამდის იარაღში ჩასმული ჩეკისტები სერავდნენ სადგურის ბაქანს, მისადგომებს, ფზიზლად დარაჯობდნენ მზაგრებით გაჭედულ ვაგონებს. საფარში მიმაღულმა ტყვიამფრქვევებზეც ვაამხილეს თავიანთი ვინაობა.

გურიმ იგრძნო, რომ საქმე მეტად სერიოზულად იყო და შეიძლებოდა მდგომარეობა მოულოდნელად გართულებულიყო, წინასწარ ვერავინ გაითვალისწინებდა, თუ რა შედეგებით დამთავრდებოდა სახალხო აჯანყება ან სანამდე დარჩებოდნენ წიფის სადგურში ასეთ გაყინულ მდგომარეობაში.

ორი დღე და ღამის ტყვეობაში ყოფნის შემდეგ, როგორც იქნა, ვაიხსნა გზა. განთიადისას ორთქლმავლის საყვირმა ამცნო მზაგრებს, რომ რამდენიმე წუთში დატოვებდა სადგურს და გეზს თბილისისკენ აიღებდა.

ხალხში ფრიამული შეიქნა. ყველა გამოცოცხლდა, ვახალისდა, პირიც დაიბანეს, კიდევაც ისაუზმეს, თავიანთ აზრსა და შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებდნენ.

კარგად იყო გათენებული, როდესაც ბათუმი-თბილისის სამზაგრო მატარებელმა გვირაბი დატოვა და აღმოსავლეთ საქართველოს განწილი კვამლის შავ-თეთრი თმებით და ხმაურით შეგება. ლიხში არც შეჩერებულა, ისე, შენელებული სვლით ჩაუქროლა და მატარებლებით გაჭედულ ხაშურის სადგურში მცირე ხნით შეჩერდა. სადგურის ბაქანზე ხალხის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ჯარისკაცები იდგნენ მწყობრში და გაურკვეველი მიმართულებით წასვლას ელოდებოდნენ. წესრიგს ჩეკისტები იცავდნენ. მატარებლის გამცილებლობაც მათ იკისრეს, ორთქლმავლის მეამაქანესაც ისინი თანამეშვეობდნენ.

გურიმ კარგად გაარჩია, რომ სამოქალაქო ხელი-სუფალი უკან დაეხიათ და ძალაუფლება მთლიანად ჩეკასა და სამხედრო ნაწილების ხელში იყო გადასული. ეს იმას ნიშნავდა, რომ მერყევი მდგომარეობა ძალაში რჩებოდა და მშვიდობიანი მმართველობის აღდგენა, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნით დაიგვიანებდა.

სამზაგრო მატარებელმა შუადღისას ჩააღწია თბილისში. აგვისტოს უკანასკნელი დღეები იდგა. ცხელიდგა. მთელი ქალაქი მტვრისა და სიცხის ბულში ცურავდა. გური პირველი გადმოვიდა ვაგონიდან. სახეზე ოფლი მოიწმინდა. მხოლოდ ერთი პატარა ხელნაწა ეჭირა ხელში, რომელშიც უწინვერსიტეტში შესატანი საბუთები და ერთი წყვილი საცვალი ედო. არფერი ამხივებდა. ადვილად გამოაღწია სადგურ-

რის მოედანზე. შეამჩნია, რომ ქალაქი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. არც ჩვეულებრივზე მეტი აჩქარება, დაბნეულობა და ნერვიულობა იგრძნობოდა. ეტყობოდა, აჯანყებას ხალხის ფენებში ჯერ ვერ შეედინა ან ხელისუფლებას დასაწყისში ჩაეჭრო და აღევეთა მოსალოდნელი გართულება.

მოედანზე ხელზე მოვაჭრეს ფუნთუშა გამოართვა და იქვე სულმოუთქმელად შეჭამა. მუხლში ძალა მოემატა. ბევრი აღარ უფიქრია, ტრამევის გაჩერებაზე ვილაღ უცნობს ჰკითხა: ვაკეში რომელი ნომერი გამიყვანსო. დიდხანს არ დაუგვიანია ზემელზე გამავალ ვაგონს. გურიმაც გზა გაიკვლია უნივერსიტეტამდის, რათა დროზე შეეტანა საბუთები და საგამოცდო ფული. მაშინ უნივერსიტეტში შემსრულები აბიტურიენტები გამოცდის ქირას, ხუთ მანეთს, იხდიდნენ.

უნივერსიტეტის შესასვლელში ახალგაზრდები იროდნენ, მაგრამ არც ისე ხალხმრავლობა იყო. უნივერსიტეტის შენობაში პირველად იყო გური და ყველაფერი აკვირებდა, ყველაფერი მოსწონდა, აოცებდა. ეს ჩუქურთმიანი სვეტები, საპარადო კიბე, მაღალი ჭერი, მოხატული ლავგარდანი, მუხის პარკეტის იატაკი, მაღალი ფანჯრები და კარები. ყველაფერი სუფთა და გაკრიალებული ჩანდა. გური ხალვაში გაოგნებული შეჭყურებდა ირგვლივ მომხიბლავ სანახაობას. ის კი არ იცოდა, სად, ვისთან უნდა მისულიყო და ჩაებარებინა საბუთები. ბოლოს ერთი სათონი სახის, უბრალოდ ჩაცმული ახალგაზრდა დაინახა, მივიდა, თავმდაბლად მიესალმა, თავისი ვინაობა გააცნო და დახმარება სთხოვა საბუთების ჩაბარებაში.

პირველი სართულის განიერ დერეფანს გაჰყვნენ. მეორე ოთახში შეუხვიეს. დიდი და მაღალი დარბაზი შუაზე იყო გადატიხრული. ტიხარში პატარა სარკმლები დაეტანებინათ, სარკმლის ზემოთ შავი ასოებით ამოკვეთილი წარწერა დაინტერესებულ პირს აცნობდა ფაკულტეტის სამდივნოს. მარჯვნიდან მესამე სამედიცინო ფაკულტეტის სამდივნოს ეკუთვნოდა. აქვე იყო მოთავსებული მიმღები კომისია. სარკმელთან ხუთიოდე ქალ-ვაჟი იდგა საბუთებით ხელში და რიგს ელოდებოდა. მთელ პროცედურას გური ნახევარ საათში მორჩა და შვებით ამოისუნთქა. გეგონებოდა, გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სიაში თავისი გვარი და სახელი ამოკითხაო.

მადლობა გადაუხადა ახლად შეერჩილ უცნობ ახალგაზრდას დახმარებისა და ყურადღებისათვის.

- აბა, რა გაგიკეთებ ისეთი, რომ მადლობად ლირდეს?! - თავაზიანად მიუგო ახლად გაცნობილმა, - განა თქვენც ასე არ მოიქცეოდით?

- აუცილებლად, - დინჯად დაეთანხმა ხალვაში.

- ახლა ამ ზედმეტ ბოდიშობას ის სჯობია, ერთმანეთი გავიცნოთ, - და ხელი გაუწოდა გურის, - არჩილ ბროძელი გახლავართ, თბილისელი, მთაწმინდაზე ვცხოვრობ.

- გურიმაც ხელი მაგრად ჩამოართვა და დაუმატა, - გურიდან ჩამოვედი, სოფელ ორაგვედან.

- ბინა სად გაქვს?

- ჯერ არსად. ეს არის, ახლახან ჩამოვედი. პირდაპირ სადგურიდან მოვედივარ. ორი წერილი მაქვს გადასაცემი და ალბათ ერთ-ერთთან დავბინავდები.

- იცი, სად უნდა მიხვიდე?

- არა, არ ვიცი. მხოლოდ მისამართები მაქვს და მივანებ, როგორც იქნება. მართალია, ქალაქს არ ვიცნობ, მაგრამ არა უშავს, არ დავიკარგები.

- მაშინ მეც წამოგყვები, დღეს თავისუფალი ვარ.

- თუ უხერხული არ იქნება... - სიტყვა გააგრძელა გურიმ, - დიდად დამავალბებ.

- აბა, მიჩვენე შენი მისამართები!

გურიმ ხელნაწილიდან მისამართები ამოიღო და არჩილს გაუწოდა. ბროძელმა გაშალა დაკეცილი ქაღალდი, წაიკითხა და გურის მიმართა:

- ერთი აქვე ყოფილა, შეიძლება ახლავე მივიდეთ, წყნეთის ქუჩა 13. მეორე კი შედარებით შორსაა: ნაძალადევი, ბროძეთის ქუჩა №7. ორსავე ადგილზე მივალთ. სულ ორ საათში მოვათავებთ საქმეს. მამ, გაუყუვეთ გზას.

- წავედით!

მისამართები არჩილმა გურის დაუბრუნა. აუჩქარებლად გამოვიდნენ უნივერსიტეტის შენობიდან, ეზო გაიარეს და ქუჩაში გამოვიდნენ.

- ტრამვაიში არ ჩავსხდეთ? - იკითხა გურიმ, როცა დაინახა, რომ არჩილი გზის გაგრძელებას აპირებდა.

- არა, - გაიცინა არჩილმა, - რად გვინდა ტრამვაი. ამ ქუჩას ცენტრისაკენ გავყვებით და წყნეთის ცამეტზე აქვე.

შესასვლელი კარები ყრუდ დაკეტილი უხედავად. დიდხანს აბრაზუნეს, მაგრამ ხმის გამცემი არავინ აღმოჩნდა. შემდეგ ეზოდან მოუარეს, დააკაკუნეს ჩარაზულ კარებზე, მაგრამ, ჩანდა, შინ არავინ იყო და კარებს ვინ გააღებდა?!

ეზოში ჩასული ორი ახალგაზრდა რომ დაინახა გვერდით ბინამ მცხოვრებმა მეზობელმა, გამოეხმაურა სტუმრებს და აცნობა, სახლის პატრონი, ელიზბარ უდენტო, მთელი ოჯახით ქვიშხეთში იმყოფება და პირველ სექტემბრამდის არ ჩამოვაო. წყნეთის №13 სწრაფად დატოვეს და ნაძალადევისაკენ გასწიეს.

რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი ფეხით გადაიარეს და არჩილმა უშეცდომოდ მიავნო მისა-

### შურაში ჩაპეტილი როვანი

მართზე ნაწევნებ სევე ინკორველის სახლს. სხვა შუნობათა შორის გამოირჩეოდა ინკორველის სახლი და ეზო. აი, ორი კაკლის ხეც. შემოსასვლელ კარებზე თითბრის მოგრძო ფირფიტაც მიეკრათ და მასზე ქართულ-რუსული ლამაზი ასოებით ამოტვიფრული იყო სახლის მფლობელის სახელი და გვარი.

კარებზე მოკრძალებით დააკაუნა არჩილმა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ სახლში არავინ იყო. უცნობების გამოჩენა არ გამოჰპარავია მეზობელი სახლის პატრონი: პატარა, ჩია ტანის მოხუცმა ეზოს კარებთან თავი გამოყო, ახალგაზრდები შეთვალაღერა და უთხრა, სახლის პატრონი ინკორველი ქალაქში არ იმყოფება და ერთი კვირით დაივიანებსო. თუ აუცილებელი საქმე გაქვს, სახლში ნათესავი ჰყავს დატოვებული, საღამოს დაბრუნდება და დაგერილებით შეიძლება მისგან საჭირო ცნობების დაგებაო.

ახლავეს და ბროძელს მეტი არაფერი ესაქმებოდათ ბრძოლის ქუჩაზე და ნაძალადევიც დატოვეს. გური შეანუხა ამ მდგომარეობამ. ვის უნდა მისდგომოდა კარებზე?

ისევ არჩილ ბროძელმა იხსნა მდგომარეობიდან. - ახლა ისეთი დროა, პირველ სექტემბრამდე ნაცონო-მეგობრებს ნაკელად შეხვდები ქალაქში. თბილისი ერთიანად დაეცარიელებულია. ვისაც ცოცხა შესაძლებლობა გააჩნია, ზაფხულობით პაპანაქება სიცხეს თავს არიდებენ ხოლმე. ხუთ-ათი დღემდე ყველა დაუბრუნდება თავის კერას. მანამდის ჩემთან ნამოდ. საკუთარი სახლი მაქვს მთან-მინდაზე, არსენას ქუჩაზე. მარტო მე და მამაჩემი ვცხოვრობთ ორ ოთახში. ერთი ოთახი მე მიჭირავს, მეორე - მამაჩემს, ერთმანეთს არ ვაწუხებთ. ორი ცარიელი ტახტისა და ფეხმოტეხილი მაგდის მეტი არაფერი მიდგას. ლამის გასათევად გამოდგება ჩემი ბინა. კარგია, ერთმანეთს მაინც შევეხმიანებით.

- ბევრი ბოდიშიც რომ გიხადო, ამაჟამად სხვა გამოსავალი არ მაქვს.

მეგობრები სადგურის მოედანზე გავიდნენ და თავისუფლების მოედნისაკენ მიმავალ პირველ შემხვედრ ტრამვაიში ჩასხდნენ. გური ისე დედლი იყო, რომ კინაღამ ჩაეძინა. ოპერის თეატრის წინ გაჩერებაზე ჩამოვიდნენ. ახლად გაცნობილი მეგობარი არჩილმა ლადიძის წყალზე დაბატიჭა. ცოცხა და სასიამოვნო სასმელმა გური გამოაფხიზოლა და კარგ გუნებაზე დააყენა, მოდუნება-დაღლილობამ გაუარა. გულში გაივლო: „რამდენი შენსაღმლოლობით საცხეა ეს ქალაქი. თუ კაცი ჭკუით იქნება, ადამიანს შეუძლია აქ ცხოვრება კარგად ააწყოს და ბედნიერებაც არ მოიკლოს“.

ბესიკის ქუჩის დასაწყისამდის მეგობრებმა ფეხით გაიარეს, შემდეგ აღმართს ნელი საუბრით აუყვნენ, მოსახვევ-მისახვევებაც უკან მოიტოვეს,

ქალაქს ზევიდან მოექცნენ, არსენას ქუჩაზე გავიდნენ და ერთი ძველი, გამაგებული გარბილი შემორაგული ეზოს ჭიშკართან შეჩერდნენ. გარბილი იმსიმაღლე იყო, რომ ერთსართულიანი სახლის აივნის ლავგარდანი და თუნუქის სახურავი მოჩანდა.

- აი, მოვალნით კიდეც ჩემს სასახლეს, - ხუმრობით ჩაუქრა თვალს არჩილმა. შიგნიდან ჩარაზული საკეტი ადვილად გააღო და ახალშემენილ მეგობარს ეზოში შეუძღვა. ბროძელი „ეზოს“ ეძახდა მინის იმ პატარა ნაჭერს, რომელიც სახლსა და გარბილის ლობებს შორის იყო მოქცეული. ეზოში სახლის აივანთან ახლოს ერთი ჯუჯა, თითქმის მინამდის ტოტებდახრილი თუთის ხე იდგა. ხოლო გარბილის გასწვრივ რამდენიმე იასამნის ბუჩქი იწონებდა თავს. ეს იყო და ეს მთელი ეზოს გამწვანება და სამკაულიც.

აივანზე ერთი დანჯღრეული ხის ტახტი იდგა ძველ ფარდაგადაფარებული. ქვეშაგები არჩილს სასთუმალთან მიეკეცა და ისე დაეტოვებინა. აივნის კუთხეში მოგრძო სასადლო მაგიდა და საღებავგადაცლილი ძელსკამი საცოდავად გამოიყურებოდა. ოთახის ორი ფანჯარა აივანზე გამოდიოდა, დარბაზში საკამო სინათლე ვერ აღწევდა და დღითაც კი სანახევროდ ბნელოდა. ერთი ძველი კარადა და ერთიც დაფანგული რკინის საწოლი ამშვენებდა არც ისე პატარა დარბაზს. კედლები საკმაოდ ჩამოშვებული იყო. ეტკობრად, წლების განმავლობაში ნათეთების ჭურჭლსა და კვამლს თავისი საქმე გაუკეთებინა. ჭერი სანახევროდ ჩამოგრეულიყო სახურავის დაზიანების გამო და ჩამონადენ წვიმის წყალს უცნაურად მოეხატა და მოექარგა ოდესღაც სწორად და ლამაზად გალესილი ჭერი. აშკარად ჩანდა, რომ სახლსა და ეზოს დიდი ხანია აკლდა დაიასახლისის ხელი. ისიც იგრძნობოდა, რომ სახლის ბინადარი მამაკაცები ლამის გასათევად თუ შემოდიოდნენ სახლში.

- ვერაფერი მოსაწონი ბინა დაგახვედრე, ჩემო გური, - მოიბოდიშა არჩილმა, - მაგრამ ამ სიღარიბეს წრფელი გული ახლავს.

- რას ამბობ, არჩილ, მე მორთულ-მოკაზმულობას ისედაც არ ვიციან. მართალი გითხრა, სხვაგვარ მდგომარეობაში სული შემეხუთებოდა, ალბათ ვერც შევეგუებოდი. სად შემიძლია ცერებზე დგომა და სიარული.

- ეს რკინის საწოლიც აივანზე გავიტანოთ. სანამდე ქვეშაგებს ჩამოიტანდე, ჩემი გავიანწილოთ ძმურად და... სანამდე არ მოგეწყინება, ვათიოთ ღამე ამ ჩემ ჩამოძონილ ჭერქვეშ. მართალი გითხრა, არ მიყვარს გადაპარანჭული სახლი.

- არჩილ, ალბათ ღმერთმა შემახვედრა შენი თავი, ასე თავისუფლად ალბათ თავს ვერსად ვიგრძნობდი. აქ ყველაფერი ისეა, რაც მე და ჩემი მდგომარეობას შეგვეფერება.

- ერთხანს ჩემი ხელფასიც პურის ფულად ორივეს გვეყოფა, შემდეგ ვნახით, ღმერთია მოწყალე, - ალალი გულით და გრძობით შესთავაზა თავისი შესაძლებლობა ახლად შეძენილ მიგობარს არჩილ ბროძელმა.

საუბარი არ შეუწყვეტიათ, ისე გაიტანეს სანოლი აივანზე, ძლივს აკინძეს და აანყვეს. ლეიბი და მაგიდის საფარი გურის ერგო, საბანი და ლოგინის საფენი - არჩილს.

არჩილი დატრიალდა, ნავთქურა აანთო, ძველ პატარა სპილენძის თუნგში წყალი ჩაასხა და ქურაზე შედგა. სანამდე წყალი აღვლენებოდა, მასპინძელმა სასმელ-საჭმლით „გავასო“ მაგიდა. კარადიდან ორი დღის გამხმარი პური გამოიღო, სამაქრე შაქრით შეავსო და დიდი სერობისთვის ყველაფერი მზად იყო.

სანამდე მაგიდას მოუსხდებოდნენ, გურამ აივანს გახედა, მეორე ოთახის კარები შეათვალიერა და მორიდებით ჰკითხა არჩილს.

- მამაშენი მუშაობს?

- მუშაობს. ძველი ხელოსანია, თერძი. თავის დროზე ქართული ტანსაცმლის განთქმული მკერავი იყო. თვით ვორნოცოვ-დაძუკოვს მისი ჩოხა-ახალუხი ეცვა თურმე. ახლა კი აღარც მას შეუძლია რამე და ქართული ჩაცმულობაც გადავიდა მოდიდან. ვიღას სჭირდება გვედონ ბროძელის ჩისტაკობი და მამაპაპური ქულაჯა?! ახლა ახალი დროის თერძებს შველის წერილმან საქმეებში და ახლებზე წყალობენ ძველი ამქრის შემორჩენილი დიდების ნაშთს.

- სახლში ადრე მოდის?

- არა, ისე მიდის და მოდის, რომ ერთმანეთს იშივიათად ვხვდებით. განთიადებსა ჩუმად გაიხურავს კარებს და მიდის. ბრუნდება ასე ღამის პირველ, ორ საათზე. ბრუნდება ყოველთვის ნასვამი, კარგ ხასიათზე. ცოტას ნაილიდინებს, დანებება და დაიძინება. თუ რამ აუცილებელი საქმე აქვს ჩემთან, მხოლოდ მაშინ რაკვიანებს ნასვლას ან ადრე დაბრუნდება სახლში, რაც ძალზე იშივიათად ხდება.

- კი, მაგრამ სულ ასე სვამს მამა?

- რაც მე თავი მახსოვს. იტყვის ხოლმე: რა დღესაც სამს შევწყვეტ, იმ დღესვე გავთავადებოი. სვამს, მაგრამ კეთილი და უწყინარი კაცია. ფული არასოდეს არ აქვს, მაგრამ პურ-ლეინოც არ აკლია.

- არჩილ, ნუ მინყენ, სიტყვამ მოიტანა და გკითხავ: და-ძმები არ გყოლია?

- მე არ მახსოვს, ისე კი დედა მეტყოდა: სამი და ორი ძმა გყავდაო. მე ყველაზე ნაბოლარა ვყოფილვარ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახადს დაუხოცავს ჩემი და-ძმები. განუწყვეტელი სმაც მამინ დაუნყია მამაჩემს. მე კი არაფერს მაკლებდა. ლაღად მზრდიდა. თავზე მევლებოდნენ მშობლები.

- დედა დიდი ხანია გარდაგეცვალა?

- ხუთი წლის წინ, სრულიად მოულოდნელად. სულ ჩემთან იწვა, გვერდიდან არ მშორდებოდა, ეგონა, ჩემს თავსაც ნაართმევდა ფუფუნა. მაგრამ მოხდა პირიქით, მთელი დღე ფუსფუსებდა, ვივახშმით, დაგნეჭით და დავიძინეთ. რომ გათენდა, გამიკვირდა, დედა ისევ იწვა და ეძინა. ყოველთვის ადრე დგებოდა, მამას დასაზუმებდა, ვაცოცლებდა და ჩემს ადგომამდამს იდგადა საქმის მოილევდა.

- არაფერი გაგიგია? - გაკვირვებით იკითხა გურამი.

- არა, არაფერი, სრულიად არაფერი. იწვა გაუნძრევლად. გამიკვირდა. თითის წვეგრებზე შემდგარი მივიღე, რომ ძილი არ დამეფრთხობო. იწვა გულამბა, გაცრეცილი და უფერული. ცალი ხელი გულზე ედო, ცალიც არ ჩანდა, საბანს ქვეშ შეცურებული. ხელი შევახა. გაქვავებულმა სიცოცემე შემაჟრჟოლა. ერთი ხმა მაღლა შევბლაგვე, მკვდარი დედა გულში ჩავიკარი და გულწასული მეც იქვე მივცვენე თურმე. ასე დაგვარგე დედა. ჩემს გვერდით გათავდა თურმე და მე არაფერი გამიგია.

ასე ნაღლიან საუბარში იყვნენ ახლად გაცნობილი მეგობრები, რომ ეზოს ცალპირი ჭიშკარი შემოაღო გედვონ ბროძელმა. მოდიოდა დალილი, მოთენთილი, თეთრი წვერი მკერდზე ფვინა, თავზე ძელი, გახუნებული კახური ქუდი ხუხარა, მელოტს მთლიანად უფარავდა, ტანზე ძველი ქალაქური განიერი შარვალი და ფერგადასული ქულაჯა ეცვა. აივანზე ძლივს ამოაბიჯა. ღრმად სუნთქავდა. ოფლს თავი, კისერი, სახე ერთიანად დაესველებინა. ძელ-საკაშზე დაფერომამი არჩილი მიეშველა. ფეხზე ნამომდგარი გურამ გაკვირვებით უცქერდა და დაკვირვებით ათვალერებდა უცხო მოხუცს.

- მამა, ცუდად ხომ არა ხარ?! - სიტყვა მიაგება არჩილმა.

- არც ისე! ცოტა უგუნებოდ გახეხი და პურის საქმელად აღარ გავყოლივარ ამქრის ხელოსნებს, - დიდი ხანია, ამქრის სახსენებელიც გაქრა, მაგრამ გედვონი მაინც მოწინებთ წარმოთქვამდა ამ სიტყვას და თავიც ძველი ამქრის წვერად მოჰქრდა.

- რა ვიცი, ასე ადრე არასოდეს მინახიხარ სახლში დაბრუნებული, - არჩილს უნდოდა დაემატებინა: არც ასე ფხიზელიო, მაგრამ მამის პოერიდა და თავი შეეკავა.

- წინათ სხვა იყო, შვილო, მაგრამ ახლა, როცა ოთხმოცს გადავაბიჯე, კიდევ სხვაა. ძალა აღარ მომდევს, აღარ შემიძლია ჯანმამარ ბიჭებთან გატარება. ცოტა ხანში ალბათ არსენას ქურასაც ვეღარ გავცედივ, მუხბობი მლალოტობს, - გურისკენ მიიხედა გედვონ ბროძელმა, შეათვალერა, ვერ იცნო და იკითხა: - ეს ყმანვილი ვინ არის, არჩილ?

- დღეს ჩამოვიდა სოფლიდან, გურული ბიჭია. უნივერსიტეტში აპირებს შესვლას. თბილისში ბინა

არა აქვს და მე ნამოვიყვანე, ჩვენი ჭერი ყველას დაგვიფარავს.

- კარგი გიქნია, შვილო, მომწონს შენი ალალი გული. ჩემს ყმანელიკაცობაში მივლია გურიაში. ვიცნობ ამ მხარეს. სულცხონებული დედაშენიც ხომ გურული ქალი იყო, ზემოხეთელი! - მიმბრიათ არჩილს და გურის მიუბრუნდა.

- რომელი სოფლიდან ხარ?

- ორაგვიდან, ბატონო, არის ასეთი პატარა სოფელი, მთის ხეობაში შეყუფული.

- დარჩი ჩვენთან და იცხოვრე. ჩემი შვილობით არ ვაქვებ, ისე კი არჩილი ნამდვილად სანდო ყმანელია, ალალი და მართალი. ღარიბები ვართ, მაგრამ სადაც კაცური კაცობაა, იქ ადამიანი სიღარიბით არ დაიწუნება. ღარიბს ჯიბე აქვს ცარიელი, ხანდახან - კუჭიც, მაგრამ გული აქვს სამაგიეროდ ყოველგვარი სიკეთით სავსე.

- ცოტა ხნით შეგანუხებთ, ბატონო, შემდეგ კი... ვხანოთ. სიმდიდრითა და ქონებით ვერც შე მოვანონებ ვინმეს თავს.

- მამა, ჩაის დაგაღვიენებ. კარგია, ძალას შეგმატებს.

- არა, შვილო, არაფერი მინდა. ახლა დავენებები, დავიძინებ, დადლიობა და უმადობა გამივილის, დლით კი ისევ ჩემს ძველ გზას გავეყვები.

ძლივს ნამოვდა. ხელები მუხლებს მიაშველა და, როგორც იქნა, ნელში გაიმართა. ახლა შეამჩნია გური, რომ ახალგაზრდობაში გედეონ ბროძელს წარმოსადგე, ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი იქნებოდა, მაგრამ დროთა ქარიშხალს გაეძარცვა ეს ტანკენარი ძელქვა და, სადაც იყო, მოერეოდა და ძირს დასცემდა. უღმობელია წუთისოფელი, არავის და არაფერს არ ინდობს, ყველაფერს ანადგურებს და ნაცარფერვლად აქცევს, - ფიქრობდა თავისთვის ხალვაში და არჩილთან ერთად, მხარში შემდგარი, საძინებელი ოთახისაკენ მიაცილებდა გედეონ ბროძელს.

არჩილმა მამა ფრთხილად ჩაანვინა ლოგინში, თხელი შალის საბანი თავიდან ფეხებამდის შემოუკეცა. გამახნვება და უთხრა: თუ რამ დაგჭირდეს, გამოგძახებ, ჩვენ აივანზე ვიწნებით და მოგხედავთო. ჭკით ახალი წყალი სასთუმალთან დაუფდა და ოთახი ფრთხილად, უხმაუროდ დატოვებს მეგობრებმა.

მაღე ჩაეძინა გედეონს. რამდენიმე წუთში მისი ხერხევა მთელ სახლში ისმოდა.

მეგობრებმა ცხელი ჩაი დალიეს, მცირეოდენი გამხმარი ქართული პურის ყუაც მიატანეს და დასაძინებლად მოემზადნენ.

დანოლის წინ არჩილმა ერთხელ კიდევ მიაკითხა გედეონის საწოლ ოთახს. კარიც შეაღო, ირგვლივ ყველაფერი მიათვალიერა და, როცა დარწმუნდა, რომ მოხუცს ღრმა ძილით ეძინა, უკან ისევ ფეხაკრეფით გამობრუნდა.

სიზნელეში კედლიდან დედისა და მამის ახალგაზრდობის დროინდელი მრევლიშვილისეული სურათის ღიმილმა გამოაცოცლა. არჩილს ყველაფერს ეჩრია ეს სურათი. ასეთები, როგორსაც ხედავდა, დედ-მამა არასოდეს ენახა. მხატვარსაც არ დაეზოგა თავისი ძალა და ღონე და პორტრეტაც შესანიშნავი, ფერმწერის ნიჭისა და უნარის შესაბამისი გამოსულიყო. როგორც გედეონი ამბობდა, თურმე მხატვარსაც ძალიან მოსწონდა თავისი ნახელავი და რამდენჯერმე გამოფენაზედაც გაეტანა.

ხშირად, როგორც ხატის წინ, იდგა არჩილი ამ სურათთან და ოჯახის ძნელბედობას მრავალნაირად უკავშირებდა გარდასულ დროსა და ჟამს.

მაგიდა არც კი აულავებიათ, ისე მისცეს თავი ძილს გურიმ და არჩილმა. მთელ სახლში მყუდრობამ დაიანადგურა, მხოლოდ ჭრიჭინობლას გაბმული, გულისწამლები ჭრიჭინი ისმოდა ეზოში. მახათას მთიდან ცალგანი მთვარე გვიან ამოვიდა და მთანმინდა მკრთალ სხივთა ქსოვილში გაახვია. ეძინა მთელ უბანს, ეძინა თბილისს. დროგამოშვებით მხოლოდ დაგვიანებული მგზავრის ფეხის ხმა სლოივით იჭრებოდა საერთო მყუდროებაში და სადაღაც ეზოს ჭიშკრისა და კარის ჭრიალიმ ინიჭებოდა.

იყო თბილისური გრილი, ხავერდოვანი და სიამოვნების აღმძვრელი ღამე. ბროძელის სახლში ერთხანს კიდევ ისმოდა გედეონის ხერხინვა, ბოლოს ისიც მინელდა და მიწყდა.

გვერდმოკვეცილ მთვარეს მამადავითის კალთებზე შემოათენდა. ისინისა და კრწანისის მხარეს ჯერ უქმნიელი საღებავი გადაღვარა, შემდეგ ღია-ნათელი ფერმა იძალა, მტკვრის ხეობას ამომავალი მზის გვირგვინის პირველმა სხივმა დაჰკრა და ვერა-დედუბეს თავზე გადაეველო.

მტკვრის გასწვრივ გართმებული ქალაქი ნელა იღვიძებდა, ხმაური და გვიანი უბნებს მოედო და ქუჩებზე გადაინაცვლა. გაიღვიძა მთანმინდის უბანამაც.

ჩვეულებრივზე ადრე გაეღვიძა არჩილ ბროძელსაც. გურის კი ისევ ღრმად ეძინა. მარცხენა ხელი თავქვემ ამოედო და მის სმენამდის გაღვიძებული ქალაქის ხმაური არ აღწევდა.

არჩილი სწრაფად ნამოვდა. არც კი ჩაუცვამს, ისე გაემართა მამის საწოლი ოთახისაკენ. სიჩუმე იდგა გედეონის ოთახში. შვილს კარი არც კი შეუღია, ფანჯრიდან შეიჭერიტა. ბინდებულში ვერაფერი გააჩნია. გედეონ ბროძელს, კედლისკენ პირმიქცეულს, ეძინა. არჩილი ფეხაკრეფით გამობრუნდა, რომ მძინარისათვის მყუდროება არ დაერღვია. ისევ თავის საწოლში ჩანვა და ფიქრების ქარავანს აედევნა.

უკვე კარგად ინათა, მოუსვენარი დღე თანდათან ძალას იკრებდა, მზის სხივთა ბადემი ქალაქის ყველა უბანი ერთნაირად გახვია.

ბაზრიდან მომავალი დედაკაცებიც გამოჩნდნენ მთანმინის უბანში.

ნაკისებელი და კიკეთელი მემანველებაც მოათავეს ქალაქის ჩამოვლა და ტვირთობისნილ სახედრებს სახლებსაკენ მიერეკებოდნენ. მხოლოდ წყნეთელი და ნახშირგორელი მენახშირეები შემორჩნენ გვიანამდე მთანმინის უბანს. ზანგები-თი შავი გლეხები ყველა მოსახვევში და გზაჯვარედინზე ჩერდებოდნენ ხანგრძლივად, სახედრებსაც ასვენებდნენ და, დროულად რომ გაესაღებინათ თავიანთი საქონელი, ხმაბლლა გაჰკვიოდნენ:

– აბა, კარგი ნახშირი, ნახშირგორული ნახშირი, ნამდვილი მუხისა და რცხილის ნახშირი, იაფად და ნისიად, დღეს იყიდეთ, თორემ ხვალ აღარ იქნება! მენახშირეთა ხმაურმა გურისაც დაუფრთხო ძილი. გაიღვიძა. გაიზმორა და წამოცადა.

არჩილს უკვე მოესწრო ხელ-პირის დაბანაც და ჩაის ადუღებაც. გურის ელოდებოდა, გედეონის გაღვიძებას უცდიდა. უკვირდა კი, რომ მამას ამდენ ხანს ეძინა და წამოდგომას აღარ აპირებდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ გედეონ ბროძელს არჩილმა დაასწრო ადგომა.

ერთხანს შეყოყმანდა. შემდეგ ველარ მოითმინა და გადაწყვიტა, შესულიყო მამის ოთახში და გაეღვიძებინა გედეონი. გურიმ დაუშალა: აცალე, კაცო, იძინოსო, უთხრა, მაგრამ არჩილმა აწილი არ ათხოვა და დახურული კარები შეაღო. აღმოსავლეთის მზეს ოთახი გაენათებინა. გედეონი ისევ კედლის-ქვე პირშეცეპული იწვა. სანოლს სიჩუმის შარავანდელი ადგა. გედეონ ბროძელი არც ხვრინავდა და აღარც სუნთქავდა. ღამით ჩუმად ამქვეყნიდან გახიზნულიყო ასე, მიძინარე.

მარცხენა გვერდზე მწოლარეს წამოსწოდა სიკვდილი და ხმის ამოუღებლად გაეთავებინა. ეს კი იყო, რომ ორთავე თვალი ღია დარჩენოდა და სახეზე ღმილისმაგვარი გამოხედვა შეჰყინოდა.

როცა არჩილმა ოთახიდან გამოსვლა დაიკვიანა, გურის გულმა არ მოუთმინა და მეგობართან შევიდა.

სახარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: არჩილი მამის სანოლთან ჩაოქილიყო, გედეონის მკერდს დამხოზოდა და ჩუმად, ხმის ამოუღებლად ქვითინებდა.

კვდილანე კი ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ღამაში ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ღმილით დასცქეროდა სიკვდილის ზეიმი და უბრალო ნუგეშსაც არ იმეტებდა მწუხარე და ცრემლად დაღვრილი შვილისათვის.

●

გურის სულითა და გულით უნდოდა, არჩილს სამედიცინო ფაკულტეტზე გადაეტანა საბუთები, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგანაც დღისით

მსახურობდა და ლუკმაპურისთვის ფული ხომ უნდა ეშოვა? სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა თავი-სუფლად დროს საჭიროებდა და ისიც აუცილებლად დღის საათებში. ყველა ლექცია დღისით იკითხებოდა, პრაქტიკული სამუშაოებიც დღის საათებში ტარდებოდა. ამიტომ შუარჩია ბროძელმა ეკონომიკის ფაკულტეტი, რადგანაც ლექციები ძირითადად მხოლოდ საღამოობით, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ იკითხებოდა. სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლისათვის მარტო სურვილი არ კმაროდა, ამისათვის სათანადო პირობები იყო საჭირო და არჩილს სწორედ ეს პირობები არ ჰქონდა.

გამოცდებით კმაყოფილი იყვნენ მეგობრები; მაღალ ნიშნებს ლებულოდნენ საგნებში. სამიანე-ბიცი კმაროდა ჩასარიცხავად, რადგან სინამდვილეში არავითარი კონკურსი აღარ იყო გამოცდებზე გამომსვლელთა სიმცირის გამო. გური ყოველთვის პირველი გადაიოდა საპასუხოდ და ყოველ ხუთიანსა და ოთხიანს ბავშვური აღტაცებით ხვდებოდა.

უკანასკნელი საგამოცდო საგანი გეოგრაფია იყო. გური, ჩვეულებრივ, პირველი წარდგა პროფესორ გეტსტმანის წინაშე. ყველაფერი იცოდა, რუკაშიც კარგად ერკვეოდა, მაგრამ მოულოდნელად ერთი კითხვა დაუსვა გამომცდელმა – შინამრეწველობის შესახებ ჰკითხა, მისი დარგებისა და მნიშვნელობის განმარტება მოსთხოვა. და... გურიც გაიჭვდა. არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა შინამრეწველობაზე. ისიც კი არ იცოდა, რა იყო საერთოდ შინამრეწველობა და მის დარგებსა და მნიშვნელობაზე რა პასუხი უნდა გაეცა? დაიბნა, აღელდა ხალვაში, აზრი გამოეთიშა, ხელი ჩაიქნია და ის იყო, უნდა დაეტოვებინა საგამოცდო მაგიდა, პროფესორმა შეაჩერა და მისდა გასაკვირად სულ სხვა რამეზე ჩამოუდგო ლაპარაკი. გამოსაცდელის ჩაჭრა მის გეგმაში სრულიად არ შედიოდა. გარდა ამისა, სხვა საკითხებზე გური სხარტად და მოსწრებულად პასუხობდა.

– სადაური ხარ, ყმანელი? – ჰკითხა გეტსტმანმა ხალვაში.

– გურიიდან ვარ ჩამოსული, ბატონო, ლანჩხუთის რაიონიდან.

– სოფელი?

– ორავე, ბატონო, არის ასეთი პატარა სოფელი გურიაში.

– დედ-მამა გყავს?

– დედა მყავს.

– მამა?

– არ ვიცი.

– როგორ თუ არ იცი?!

– ჩემს უნდა ჰყავდეს დაპატრიმებული, შეიძლება ახლა დახვერტილიც იყოს.

– გასაგებია! ზამთრობით თქვენი მეზობელი გლეხები რა საქმიანობას ეწევიან?



შპს რაიო ჩაპეტილი რომანი

- ზოგი რას და ზოგი რას.
- მაინც?
- ერთი მეზობელი გოდრებდა და გიძლებს აკეთებს, მეორე ხის მორისაგან გობ-ჯამებს, ქილებსა და როდინებს თლის.
- მერე და სად მიაქვთ ეს საქონელი?
- როგორ თუ სად მიაქვთ! ლანჩხუთში პარასკეობით ბაზრობა იციან, გააქვთ და ყიდიან.
- აკი თქვი, შინამრევენლობა რაა, არ ვიცოი. ძალიან კარგად გცოდნია!

გური სახტად დარჩა. მაინც ვერაფერი გაიგო და პროფესორს გაკვირვებით შეხედა.  
- აი, რაც ახლა ამინერე - სამინაო ნესით საქონლეს დამზადება და ბაზარზე გატანა - არის სწორედ შინამრევენლობა.

ეს ხომ ყველაფერი კარგად იცოდა გურიმ? მამ, რატომ დაიბნა და ვერაფერი უპასუხა? ახი კი იქნება მასზე, რომ გაშანსაღებელი ორიანი დაუნეროს.  
- ყმანვილო, კარგი ნიშნები მიგიღია, ყოჩაღ! გილოცავ უნივერსიტეტში ჩარიცხვას, - გაუღიმა გესტმანმა და ხელი ჩამოართვა, - გისურვებ ისეთსავე წარმატებას, როგორც მისაღებ გამოცდებზე დაგმოსაზრები.

გური ისე იყო გამარჯვებით ფრთაშესხმული, რომ კი არ გამოვიდა უნივერსიტეტიდან, არამედ გამოფრინდა და, როცა შუა ეზოში მიიღწია, მან გაახსენდა, რომ არჩილს უნდა დალოდებოდა მეორე სართულის კიბის თავზე.

არანაკლებ მზიარული შეეგება არჩილი გურის. უნივერსიტეტში ჩარიცხვის განცდამ ყველაფერი გადაიწყნა ახალგაზრდებს. ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაჰკოცნეს. გამოცდის შთაბეჭდილებები გაუზიარეს ერთმანეთს, ზოგ რამეზე გულიანად იცივნეს. საუბრით გადმოსერეს უნივერსიტეტის ეზო და ქუჩაზე გამოვიდნენ.

- ახლა მე გაკატიყებ, გური! სტუდენტური სიღარიბის კვალობაზე თითო კათხა ლუდი დავლით.
- საუზმედ და თითო კათხა ჩემზე იყოს, არჩილ!
- ჯერ წინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე წავიდეთ, გური, გედეონ ბროძელს უნდა ვახარო, რომ მისი შვილი სტუდენტია. ლუდიც იქ წავიღოთ, იქ დავლით. რომ იცოდე გური, როგორ ოცნებობდა მამაჩემი, სტუდენტად ვეზილე. ეს ერთი დარდი გაჰყვა საიქოს და მინდა მწუსხარე გული დაუამდეს.
- წავიდეთ, თანახმა ვარ.

წყნეთის ქუჩას დაუყვვნენ. ღრუბლიანი დღე იყო. ცოტას ჟინჯლავდა კიდეც. მტვერი გამქრალიყო ქალაქში და სუფთა ჰაერს ხარბად ენაფებოდნენ გამბედელ-გამომწველნი.

სალუდები შეუხვიეს მეგობრებმა. სამი ლიტრი ლუდი ჩამოასხმევინეს მელუდეს, მეზობელ დუქანში

ცხელი ქართული ლავაში და ძებვიც იყიდეს, წყნეთელ მემწვანილეს ერთი კონა ტარხუნა გამოართვეს და სასაფლაოსკენ გაემართნენ.

როცა სასაფლაოზე ბრუნდებოდნენ, არჩილს ისეთი გრძნობა დაეფლდა, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ მძიმე ტვირთი მოხსნა და შეება იგრძნო. ლალად ამოისუნთქა. მამის კმაყოფილი და ბედნიერი სახეც მოეჩვენა, მაძლობას უხდდა შვილს ნახვისა და სასიხარულო ამბის მოტანისათვის.

- ახლა საით წავიდეთ, არჩილ! - შეეხმინა გური მეგობარს.
- რუსთაველს დაუყვებთ, ლალიძის ცივი კახურიც გადავკვართ, შემდეგ ჩემთან ავიდეთ და საღამომდის დავისვენოთ.

- არა, არჩილ, ახლა წყნეთის ქუჩაზე დაბრუნდეთ. ელიზბარ ფლენტთან შევიართო, - ჯიბე მოიჩხრიკა გურიმ და ვახო ბიძიას წერული ამოიღო, - ამ წერილზე პასუხი ხომ უნდა მივიღო? მე მაგონი, თუ ფლენტის სახლში აღმოჩნდა რამე სარქმი, მაინც აჯობებს. უნივერსიტეტიც აქვეა, ფეხით ვივლი, დროსაც მოვიგებ და ენერგისაც დავზოგავ. თუ აქ არაფერი გამოვიდა, ნაძალადევიმ წავიდეთ ინსტიტუტთან.

მეგობრები საუბრით გაუყვვნენ წყნეთის ვიწრო ქუჩას და ელიზბარის სახლს მიადგნენ.

მასპინძლები სწორედ ამ დილით ჩამოსულიყვნენ აგარაკიდან და ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ დალაგებულნი. ბარგი სანახევროდ იატაკზე ეწყო, მთელი ოჯახი, უკლებლივ, შინ იყო.

გურის სტუმრობით ელიზბარ ფლენტი კმაყოფილი დარჩა. მოგვლიდით, უთხრა; ხოლო როდესაც გურიმ აცნობა, რომ უნივერსიტეტში უკვე ჩარიცხული იყო, ფლენტის თითხმეტ-თხუთმეტი წლის ქალ-ვაჟმა განსაკუთრებით გაიხარა. ელიზბარის ოჯახს სამი მოზარდილი ოთახი და ერთიც განიერი შუშბანდი ექირა. ორი, ნახევრად სარდაფის ოთახი გაქირავებული ჰქონდა და შიგ ერთი ღარიბი ხელოსანი ცხოვრობდა თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახით. ელიზბარის ბინას ერთი მოგრძო ოთახი ეკვრდა, რომლის ორი ფანჯარაც წყნეთის ტალახიან ქუჩას გადაჰყურებდა. ოთახს საკუთარი შესასვლელიც ჰქონდა ეზოდან და ბინის სასტუმრო ოთახთანაც იყო დაკავშირებული განიერი ორმაგი კარებით. ამ ოთახში ორი ხის ტახტი, ერთი მაგიდა, წინგების ძველებური კარადა და ორი სკამი იდგა. გვერდით ოთახს ელიზბარი იყენებდა საპატიო სტუმრების მისაღებად. აქ გაუშლიდა ხოლმე ლოგინს და თავისუფლად მოასვენებდა, რომ უხერხულად და ვიწროდ არ ეგრძნოთ თავი. დანარჩენ დროს ბავშვები იყენებდნენ სათამაშოდ და სამეცადინოდ. ეს ოთახი შესთავაზა ელიზბარმა გური ხალვაშს. გასაღებიც გადასცა და უთხრა:

– მე ისე მივლუე, როგორც მშობელი. თუ რამე დაგჭირდეს, არაფერზე მომერიდო. ვალი მაშინ გადამიხადე, როცა ექიმი გახდები. ტასო, – მიუბრუნდა ცოლს, – მოუშნადე ოთახი, წესრიგში მოიყვანე!

– ბატონო ელიზბარ, თხოვთქონი დღეა ამ ყმან-ვილთან ვცხოვრობ, – და გააცნო არჩილ ბროძელი, – მთანწინდაზე, არსენას ქუჩაზე. ჯერ ქვეშაგებიც არ ჩამოიტანია. დედას მიგნერე და ამ დღეებში ყველაფერს მივიღებ. მაშინ გადმოვალ, მგონი, ასე უმჯობესი იქნება! გარდა ამისა, დიდი ხანი არ არის, რაც ამის მამა გედეონ ბროძელი დავასაფლავეთ. მარტოს სახლში ღამის გათევა გაუძნელდება.

– არა, დღესვე გადმოვალ. დღეს ერთად ვისადილოთ, რასაკვირველია თქვენთან მეგობართან ერთად. ტასიკო, ორი ლოგინი გაშალე ოთახში. თუ გეუხერხულება ბროძელის მარტო დატოვება, მანაც აქ დაიძინოს. დღეიდან ოთახი შენია და მეგობრებიც ისე მიიღე, როგორც მოგესურვოს. ქვეშაგები საკმაოდ მოგამოკვება. რიდი და ზოდიში არ გამაგონო. დაიცა, დაიცა, – ახლა არჩილს მიუბრუნდა ელიზბარი, – მამაშენს რა ერქვა?

– გედეონი, ბატონო, გედეონ ბროძელი.

– თერძი, არა! მთანწინდა, არსენას ქუჩა. ერთი პატარა ბიჭი ჰყავდა მაშინ.

– მე გახლავართ ის პატარა ბიჭი.

– გედეონის გადაუხდელი ვალი მართებს, ბიძიკო, როდესაც მეტყვის ციხიდან გამოიქეცი, მეგობრებმა გედეონთან მიმოიყვანეს მთანწინდაზე და მთელი თვე იქ, თქვენთან ვიმალეობდი. რომ გაეგოთ, გედეონ ბროძელსაც ციხიბირი აქეთ დარჩებოდა. მე კი ან მუდმივი კატორღა, ან ჩამოხრჩობა არ

ამცდებოდა. რა კარგი შემთხვევაა. დღეის შემდეგ ჩემს ოჯახში ისე იქნები, როგორც გურამ ხალვაში, ვახტანგ კაჟიას დისშვილი, ან რომელიმე ჩემი შვილი, არც ერთი არ გამოგარჩევ. რა დიდი მოქალაქე და ვაჟკაცი იყო გედეონი. აფსუს! სიკვდილს დაუდგეს თვალები! ეს მეორე ტახტი ყოველთვის შენთვის იქნება გამშლილი. როცა მოისურვებ, მოდი, დაისვენე და ღამეც გაათიე შენს მეგობართან.

– გამადლობ, ბატონო, დიდად გამადლობთ მაშინ სიყვარულით მოგანებისათვის.

– ქალაქში რა საქმიანობას ენევი ახლა?

– სამხედრო ვაჭრობაში ვმუშაობ, ბატონო, პატარა თანამდებობაზე, თავისუფალი დრო მაქვს და ამჟამად ეს ჩემთვის უნერს ნიშნავს.

– არჩილი! ბენივერსიტეტის სტუდენტია. მან ეკონომისტიბა არჩია ექიმობას, – ჩაურთო საუბარში გურიმ.

– მამ, ასე, სამხედრო ვაჭრობაში! ილია ებრალიძესთან! შევეცდები, იქაც უკეთესად მოგიგვარო საქმე.

– გამადლობთ, ბატონო! გამადლობთ! – დაუმატა განმეორებით ბროძელმა.

გური ხალვაში კმაყოფილი დარჩა მიღებულად და ოთახითაც, განსაკუთრებით იმით, რომ დღეის შემდეგ არჩილი სასურველი სტუმარი იქნებოდა არა მარტო მისი, არამედ ელიზბარ ფლენტის ოჯახისა.

ოც სექტემბერს გური პროფესორ ალადაშვილის პირველ ლექციას დაესწრო. გადამიშალა ახალი ფურცელი თბილისში გური ხალვაშის სტუდენტური ცხოვრებისა.

## ნაწილი მეორე

სამი დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდა. გურიის კამკამა ცისა და ბრიალა შზის დანახვა სანატრელი გახდა. მდინარეები სულ გაიკოფდა და ნაპირები გადმოლახა. დაიტბორა ეზოები და ყანები. ნატანებსა და ბაგისწყალზე ლაგამანყვეტლმა ღვარცოფმა ხიდები დაანგრია და წაიღო. სამაზრო ცენტრთან კავშირი შეფერხდა. სოფლები ჩაიკეტა. ხეობებში განლაგებულ გლეხკაცობას ათას საზრუნავი გაუჩნდა. მოსვლის აღების დრო კარზე იყო მომდგარი.

ავგისტოს სახალხო გამოსვლებმაც ყველაფერი არია და გაართულა. გლეხობის ჩახლართული მდგომარეობა კიდევ უფრო ჩაიხლართა. ეს გაუთავებელი წვიმა, ღვარ-თქემი, შემოდგომის პირველ დღეებში მდინარეების გაუგონარი გადარევა სამინელ რეპრესიებს ზედ დაერთო. ჩეკა და თბილისის დამსჯელი ჯარი მთელ მაზრას მოედო და ისედაც ჩანყვეტილი სუნთქვა კიდევ უფრო შეიკრა და ჩაიხუთა.

ავანყების შემდეგ მრავალი ჯანმბაგარი გლეხი აღარ დაბრუნებია თავის კერას. – იარაღსამულე ტყეში დარჩა და ყაჩაღის სახელით მოინათლა.

გოგია დღონტისა და ხათუნა მუხამაშვილის ძმობა შეიგსო და ვაფართოვდა. ხალხის ორგულეებს, ჯაშუშებს, მტრის სამსახურში ჩამდგარ გადაგვარებულეებს ყოველ ღამით ესხმოდნენ თავს და გაუსამართლებლად განაჩენი გამოჰქონდათ: მხოლოდ ეს იყო, რომ დასჯილებს ცოლ-შვილს უტოვებდნენ დასაბჭირებლად.

სოფლებში გამრავლდა ოდა-სახლებზე და ჭიმკრებზე გაკრული, შავ ქსოვილზე ნითელი ასოებით ნანერული სამგლოვიარო განცხადებები.

ყაჩაღთა მომრავლებას გაძლიერებული რეპრესიები მოჰყვა. წვიმამ და წყალდიდობამ ვერ შეაკავა დამსჯელი რაზმები. სოფლებში დაგეშილი ქოფაკებივით დაძრწოდნენ და იჭერდნენ ყველა

## შპრაში ჩაპტილი რომანი

ეჭვირბრუნის, ვისაც ტყეში გასულთა მიმართ ოდნავ თანაგრძობობა შენიშნავდნენ.

პატიმრებით გაივსო ჩეკას დილევები, ყოფილი ყაზარმა. რამდენიმე კერძო მფლობელს სახლები დაცლევინეს და საპატიმროებად აქციეს.

გურულებმა ობოლაძეს მეტსახელად „აღიხანო-ავარსკი“ შეარქვეს.

ახალი დროის აღიხანო-ავარსკიმ თავის ნაკვალევზე ტრემლი, შვოსნები, ჩამკვდარი სიცოცხლე, გადამწერი სოფლები და გარუჯული საკვამურები დატოვა.

აღიხანო-ავარსკი მეფის სახელით წავადა გურიას, იკლებდა მშრომელ ხალხს, ყოველ გურულში ნიკოლოზ ხელმწიფისა და იმპერიის მტერს ხედავდა. ხოლო ობოლაძე ლენინისა და რევოლუციის სახელით თავის წინაპარს არაფერში ჩამორჩებოდა და ნერონიით ტყებოდა. ცეცხლმომებულ გურეას მალეოდან რომ დასცქეროდა. მკვლების თავისუფლებისათვის ცხერის ფარას ერთიანად მუსრს ავლებდა.

ხალხი და მთავრობა საბოლოოდ გაეთიშა ერთმანეთს. გურია ორ მებრძოლ ბანაკად გაიყო. ერთი მხრივ, ძალა და სიკვდილი დაუმეგობრდა ერთმანეთს, მეორე მხრივ – ხალხი და სიმართლე.

გოგია ლლონტი და ხათუნა მუხამაგვია ნამდვილ გამორედა იქცნენ. სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, ხალხის ნდობით სარგებლობდნენ და გზა მუდამ ხსნილი ჰქონდათ. გოგისა და ხათუნას ხელმძღვანელობით საქმიანობდნენ ჩეკას კლანჭებიდან თავდაღწეული ვაუკაცები: ვანო გუნიაშვილი, მეგვარკაცი ქიქოძე, მათე მამალაძე, ილიკო დუმბაძე, ლევან მეგრელიშვილი, სიო ხელაძე, მელიქო ბარამიძე და მრავალი სხვა. სწორედ ეს გარემოება აცოფებდათ ობოლაძეს და ოზურგეთის ჩეკას უფროსს მირიან ლაშს. მათ ხალხის ნება ვერაფრით ვერ გატყეხეს, არც მუქარამ უშველა, არც ხანძარმა, არც დახვერტამ და არც ხალხის ხელალებით დაპატიმრებამ. ყაჩაღები მთელ მზარაში თავისუფლად მოქმედებდნენ, თავი გამოიწვევად ეჭირათ, დღისით, მზისით სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ, ხალხის ნდობით და სიყვარულით სარგებლობდნენ, მოსიყვარული ვაშუმებიც ხალხისა და ყაჩაღების შიშით ხელფეხშეკრული იყვნენ და მეტწილად დუმდნენ, რასაც წონასწორობიდან გამოჰყავდა ობოლაძე და ლაშხი.

მირიან ლაშხის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია ბჭობდა იჯდა და განუწყვეტილვ გამოჰქონდათ ერთადერთი განაჩინა: „რევოლუციისა და მთავრობის წინააღმდეგობისათვის დაიხვერიტოს“. ყოველ ღამით, გვიან, ჩეკას დილევებიდან გამოჰყავდათ ალალ მართალი ადამიანები და ლეონიანის ბოლოში ხვერტდნენ. ხშირად ხვერტდნენ მხოლოდ დახვერტიისათვის – ხალხის დასაშიშვლად, ხალხსა და ყაჩაღებს შორის მტრობის ჩამოსაგდებად.

როცა მირიან ლაშხი თავის საქმეს აკეთებდა, ობოლაძესაც არ ეძინა. ხანძარი ხანძარს ეზმებოდა და მთელი ოჯახები ცეცხლში ინთქმებოდა, ხანძრისა და ოჯახების ამიხოცვის მიზეზი მხოლოდ ერთი იყო: „წუხელ გოგია ლლონტს ღამე შენთან გაუთვია და რატომ არ შეგვატყობინეო“, ან: „შენ იცოდი, რომ მეზობლთან ივანეშმა და ამ ამბავს გულდამშვიდებით უყურებდიო“.

ობოლაძეს უნდოდა, თვით ხალხს ამოეგლო გულიდან ხალხის წრიდან გამოსული მხენელ-მთესველები, ახლა ჩეკასაგან შერისხული და სიმართლისათვის თავგამოდებული მებრძოლები.

ერთ წვიმიან საღამოს მირიან ლაშხი ეწვია ობოლაძეს საგანგებო საქმეზე მოსალაპარაკებლად. მასპინძელს ცოლ-შვილი ჩამოსვლოდა თბილისიდან და თავისუფალ დროს ოჯახურ გარემოში ატარებდა დამსჯელი ექსპედიციის უფროსი. ობოლაძის ქალიშვილები გიმნაზიაში სწავლობდნენ და მხოლოდ რამდენიმე დღით ჩამოჰყვნენ დედას, დიდხანს ვერ დარჩებოდნენ ოზურგეთში.

ობოლაძის მეუღლე ქუთაისის ჩეკას უფროსის ქალიშვილი იყო და ოჯახურ წრეში დახვერტადარბევაზე ისე თავისუფლად და სახეზე ღიმილმორეული მსჯელობდნენ, თითქოს ამბავი რომელიმე თეატრალურ დადგმას და მსახიობთა თამაშს შეეხებოდა. დამსჯული ექსპედიციის უფროსის ოჯახში არავის ავიერივება ხალხის აწიოკებისა და დამსჯული რაზმების სათავადასავლო ამბების მოსმენა. მათ თვალში მამა ნამდვილი გმირი იყო და ასე ეგონათ, ხალხის დარბევა-აწიოკება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მამის გულკეთილობას მიანერდნენ, რომ გურული გლეხკაცობა ერთიანად არ იყო ამონყვეტილი, ხოლო სოფლები – მთლიანად გადაბუგული, და ჯერ კიდევ ზოგიერთი დაუფერფლავი ჭრაქი ისევ ბუჭავდა.

ობოლაძეს ბინა ქალაქის შუაგულში, მთავარი მოედნის მახლობლად ეჭირა. მთელი სახლი და ეზო მის განკარგულებაში იყო. ერთი დახვერტილი მოქალაქის კარ-მიდამო გადასცეს მას საცხოვრებლად. ეზოს მაღალი ქვითკირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ორსართულიანი ხის სახლი მუხისა და ნაბლის მასალით იყო აგებული და წინ ფართო, ლამაზად მოწყობილი რიკულებიანი იაფინა აკრავდა.

სახლის პირველი სართლის შემოფარგლავ ბოძზე მიბმული სამი სამარქაფო ცხენი მუდამ შეკაზმული, პატრონის სამსახურისათვის მზად იყო. ეტლი უფრო სიღრმეში შეგვორებინათ, ხოლო ეტლის ცხენები საჯინიზოდ ცქცულ-სამზარეულო სახლში წახვნიებდნენ და ახლად მოცლილ წიგლთივას ახრამუნებდნენ.

გალაენის მხრიდან ეზოში შემოსასვლელ ცის-ფრად შეღებილ რკინის კარებს გამუდმებით რამდენიმე კუნთმაგარი, შემონმებული და სანდო ჯარისკაცი იცავდა. ჭიშკართან სახელდახელოდ ხის ჯიხურ აგვით და მორიგეები იქ იყვნენ თავშეფარებული. ნაბრძანები ჰქონდათ, დამსჯელი ჯარის უფროსთან დაუკითხავად ნებართვის გარეშე არავინ შეეშავათ.

ობოლადის სახლში შესვლის უფლება დროის განუსაზღვრელად მხოლოდ სამაზრო კომიტეტის მდიანს, რეკომის თავმჯდომარეს, ჩეკას და მილიციის უფროსებს ჰქონდათ. თითოეულ მათგანს კარგად იცნობდნენ უფროსი შემადგენლობაც და მორიგე გუშაგებიც და, გამოჩნდებოდნენ თუ არა, მცველები ჩამოდგებოდნენ, რკინის კარებს სასწრაფოდ გაუღებდნენ და უფროსის მოუსხენებლად უხსნიდნენ გზას.

ხშირად მოდიოდნენ უფროსთან სხვადასხვა საქმეზე უფრო დაბალი რანგის მოხელეები და პროვოკატორ-ჯაშუშები, მათაც დაუბრკოლებლად უშვებდნენ ობოლადესთან, მაგრამ უცილებლად ამონებდნენ და უსმინობის ნესებს განუხრებლად იცავდნენ.

ასე მოხდა იმ საღამოსაც.

მიადგა თუ არა კარებს მირიან ლაშხი, მცველებმა მოკრძალებით გაუღეს კარები ისე, რომ წინასწარ არაფერი მოუსხენებიათ მასპინძლისათვის.

ბეგრი რამ ჰქონდათ სათქმელი და სალაპარაკო. უნდა დაეგეგმათ მომავალი დღეების მთელი სამუშაო. ერთმანეთისათვის შეედარებინათ და შეეპირისპირებინათ მიღებული ცნობები. ზუსტად უნდა განესაზღვრათ, რომელ სოფელში ვისი სახლ-კარი გადაეწვათ, ვინ დაეპატიმრებინათ, ვინ დაეხერხათ, დაერბათ, ძირფესვიანად ამოეგდათ, მოეთხარათ და ვინ ყლორტების ამოუყრელად მოესპოთ.

ოჯახის უფროსის მეუღლე და ქალიშვილები გვერდით ოთახში გავიდნენ, რომელიც სტუმრად ჩამოსულ დიასახლისს სამარეულოდ გადაეცია.

სამზარეულოდან შემწვრისა და მოხრაკულის საამო სუნი გამოიღო. ეტყობოდა, გემრიელი ვაშშიში მზადდებოდა პატიკისაცემი სტუმრისათვის.

- საკვირელია, მირიან! - დაიწყო ობოლადემ, - რა ხერხს არ მიემართეთ, რა არ ვიღონეთ, მაგრამ მაინც ვერაფერს ვხდებით. ამდენი ხანია, თითქოს მთელი პოლი მიფუსიეთ გურიას, ძილი ჩვენთვის არაა და მოსვენება, მაგრამ მდგომარეობა ახლა უფრო უარესია, ვიდრე ჩემს ჩამოსვლამდე იყო.

- სწორი ბრძანებაა, - დაეთანხმა ლაშხი, - სწორედ დღეს მეთასე გურული დაეხერხიტეთ, მაგრამ მაინც ვერ გავტყვებთ ხალხის ნებისყოფა. ჭიანჭველების შეუფერობას მაგონებს გურული მოქმედება. მახსოვს, ბავშვებისა ეზოში, სახლის წინ, ერთი საადრეო ბალი გვედგა, დამ-

ნივდებოდა თუ არა, ვერ ვიცავდით ჩიტებისა და ჭიანჭველებისაგან. მოვკლავდით რამდენიმე ფრინველს, დავკიდებდით ხეზე და ჩიტებიც დაფრთხებოდნენ, სადაღაც გადაიკარგებოდნენ, ჭიანჭველებს კი ვერაფერს ვუხერხებდით. პატარა შავი ყაჩაღები ერთი გატყუპნილი გზით ადიოდნენ ხეზე და იმავე გზით უკან ბრუნდებოდნენ. ერთ დღეს, ონაგრებზე გაბრაზებულმა, დავინყე მათი სრესა, ჭიანჭველების სავალი გზა თანამომეთა ნასრესით დაიფარა, მაგრამ გაგიგონია?! როგორ ფიქრობ?! შენაფელს მსვლელობა, დაშინდნენ ან გზა შეიცვალეს?! შენც არ მომიკვდე! ვერაფერს გავხდი, დავილაღე და თავი დავანებე. მეშინია, ჩვენც ასე არ მოგვივადეს.

- მეც ასე ვფიქრობ, ცვლავით, ვნავით, არავის ვინობთ, აყვავებული სოფელი ვადამწვარ უდამნოდ ვაქციეთ, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერაფერს მივალნიეთ. ყაჩაღები უფრო მომრავლდნენ. ხალხი გაატრუნა და გაყუჩდა, ვითომც არაფერი შუაშია. სინამდვილეში კი ტყეში გაგარდნილებს უდგას მხარში და ფარულად ერთიანი ძალა აღმდგარი ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენი ჯაშუშები და პროვოკატორები ვერაფერს ხდებიან. ჩვენს დაგებული ხაფანგებში უფრო ჩვენები ებმებიან, ვიდრე თავხეხილები. ჩვენ ვხვრეტით მათ, მაგრამ არც ჩვენ გვადგება კარგი დღე. მზევრავები თითქმის მთლიანად გაგვინადგურეს, აღარავინ შემოგვრჩა. რაღაც სხვა ხერხს უნდა მივმართოთ. თავს ვიტყვ, მაგრამ ჯერ ვერაფერს მივაგენი, - ნალვლიანად დაასკვნა ობოლადემ.

- როგორც ჩანს, თუ ხალხი ერთ ძალად შეიკრა, დაშინებით ძნელია ფონს გასვლა. ამის მაგალითს საქართველოს ისტორიაც ბლომად იძლევა.

- ეს ასეა, - ნაწიონყო ისევ ობოლადემ, - ხალხი ხალხით უნდა დაამარცხო, ხალხი უნდა გათიშო და ერთმანეთს მიუსიო, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ჯერჯერობით ამას ვერ მივალნიეთ პირიქით, ჩვენ და ხალხი დავრჩით ერთმანეთთან დაპირისპირებული.

- სადაც ვიყავი, ყოველგან წარმატებას ვაღწევდი, კვანტალიანს ჩემზე უკეთესი მუშაკი ჩეკისტთა შემადგენლობაში არ ეგულებოდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მონდობილი საქმისათვის თავი არ გაემერთვას. აქ, გურიამი რა მემართება, არ ვიცი! სწორად ეტყვი მიპყრობს, ვაითო ჩემი ურემი და ხარ-კამეჩი კოლხეთის გაუვალ ჭაობში ჩარჩეს?! -

- არც ასეა საქმე. თუ ისეთ წარმატებას ვერ მივალნიეთ, როგორც მე მსოფს და მინდა, მთელ გურიას ერთ გადამწვარ ნასოფლარად ვაქციე და შემდეგ კურდამწვარ და ზღარბები ხომ არ დავეინწყებენ ბრძოლას?! ცოტა მაკალონ ღლონტებმა, მუხანაპირებმა, გუნთაიშვილებმა და ბოლმით დატყ-

ნიღმა ხალხმა, მათ ადრე დავანახებ ჩემს ძალას, ვუწევნი, ვინ არის ობოლაძე და რა შეუძლია მას! - მუშტი შეკრა და ბნელ სივრცეში ვიღაცას მოუღერა, დაემუქრა, მაუხერი შეატრიალა, თითქოს ახლავე აბრებდა ბრძოლის ქარ-ცეცხლში გადაშვებას და ცოცხლად გადარჩენილი გურულების ერთიანად ამონივრებას. ჯუმათის მთაზე მბუზტავ მანათობელ ნერტილს მოჰკრა თვალი, იგრძნო, რომ ხალხი ჯერ კიდევ ცოცხლობდა, არსებობდა, სხვანაირადაც ფიქრობდა და მოქმედებდა. მკლავი მოუდუნდა. აზრი გაეყინა და მაუხერი მაგიდაზე დადო.

ორი ჯალათი ღრმა ფიქრში ჩაიძირა, ორივეს, სტუმარსა და მასპინძელს, ადამიანის სახე და ფორმა ჰქონდათ, მაგრამ მგლის ქცევა დაენათლა მათთვის ბუნებას და არაადამიანურ საქმეზე ფიქრობდნენ, ვინ მეტს დახვრეტდა, როგორ შეძლებდა მთელი გურიის ერთ დიდ დილეგად ქცევას, ვინ მეტს განყვეტდა, ბავშვს ბავშვობას ნაართმევედა და ქალს - ქალობას. ფიქრის ღია თვალებით ხედავდნენ ზეაღონდელ გურიას - ფერფლად ქცეულ ნასოფლარზე ტყის მოძაღვებსა და ადამიანების მაგივრად მზეცთა და ნადირთა მომრავლებას. ასეთ გურიაში, მათი ფიქრით, ღლონტები და მუხაშაგრიები ვეღარ გაძლებდნენ. იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ ასეთი ქვეყანა გურია აღარ იქნებოდა!!!

ფიქრებში გახვეული ობოლაძესა და ლაშხს ჭრელხალათიანი კოშნი დაისახლისი გამოეცხადა და სტუმარ-მასპინძელი ვახშამზე მიიპატიჟა. სასაძილო ოთახის ღია კარებიდან მოჩანდა საგანგებოდ და მდიდრულად განყოფილი სუფრა, რომელსაც, ჩანდა, არაფერი აკლდა. საამო სურნელი აიგანზე გამოჭრილიყო და მთელ სახლს მოსდებოდა. ქალიშვილები მაგიდას გარს უვლიდნენ და სურობის დაწყებას უცდიდნენ. ცისფერ კაბებში გამონყობილი, განიერი და სიფრფინა პატეებით ფარვანა პეპლებს დამსგავსებოდნენ. ერთმანეთს ეკეროდნენ, კოცნიდნენ, იციონდნენ. მათ არაფერი გაეგებოდათ იმისა, რაც გურიაში ამჟამად ხდებოდა. ცრემლსა და გოდებას მათ სძენამდე არ მიეღწია, დაობლებული თანატოლებისა და ნამუს-შეგინებულთა შესახებ არაფერი იცოდნენ, რომ სწორედ ახლა, როცა განცხრობით მიუსხდებოდნენ სუფრას, სადღაც, რომელიმე სოფელში ხანძარი გლეხის კარ-მიდამოს ნთქავდა და სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ჯგუფი, ხელფეხშეკრულნი და გათოვლნი, მდინარე ნატანების უკაცრიელ ადგილას მიჰყავდათ დასახვრეტად. მათ მხოლოდ ერთს ჩასჩინებდნენ: გურიაში რევოლუციად და კონტრ-რევოლუციად ერთმანეთს ებრძვის და რევოლუციამ სისხლი და მსხვერპლი იცისო.

ის იყო, წამოდგნენ ობოლაძე და ლაშხი სასადილო ოთახში შესასვლელად, რომ მოკრძალებით

ეხალა დაცვის უფროსი და მასპინძელს მოახსენა, ორი ცხენოსანი გლეხი მოვიდა და თქვენს ნახვას თხოულობენო. თან დაუმატა:

- გაკვრით მიმანიშნეს, რომ იციან ყაჩაღების ბუნავი და წინ ნაგიდღებინან ღლონტის, მუხაშაგრიას, გუნთაიშვილისა და კიდევ რამდენიმე სხვა ვახიზნულის შესაპყრობად. სხვა არაფერი უთქვამთ, თქვენს ნახვას კი ძალიან ჩქარობენ.

- მოიყვანეთ!  
რამდენიმე წუთის შემდეგ მცველთა უფროსმა ყაბალახით თავშეხვეული და ძველფარავადაც-წელი გლეხები წარუდგინა ობოლაძეს.

ობოლაძე ფეხზე წამოდგა და უცნობებს შეეგება.  
- სწორედ კარგ დროს მოხვედით, აი, ვახშამიც გველოდება...

გუშავი დაბრუნდა თუ არა, კარებთან ორი შავწვერულვაშიანი ჩეკისტი შემოეგება, სიტყვის ამოულებლად განაიარაღეს, ხელები ზურგს უკან შეუკრეს და ძელსკამზე დასვეს. ოთახის კუთხეში იატაკზე დახოცილი გვაგამი პირქვე დაშობილი ეყარნენ. მათთვის დანა ზურგში ჩაეცათ და მვეტარიანი დანები სხეულში ჩაეტოვებინათ. საზარელი სურათი იდგა. ხელშეკრულ გუშავს შიშისაგან თვალები დაეჭყიტა. მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. თვდამსხმელები ყაჩაღები იყვნენ. შიშისაგან სულ მთლად დამატარავდა და ცახცახმა აიტანა. ამ დროს მომცრო ტანის, მაგრამ მხარბეჭვანიერი, ჩეკისტის ფორმამი გადაცმული ახალგაზრდა შემოვიდა საგუშავოში და სხაპასხუპით მოახსენა უფროსს "ჩეკისტს":

- ირგველი სიწუმე და სინყნარეა. დამსჯელი რაზმის ჯარისკაცები თავისთვის ერთობიან ყაზარმის ეზოში. ტელეფონის ხაზი ორ ადგილზე საგულდაგულად გადავჭერთ. ობოლაძის ეზოს ქვითკირის გალაგანს ჩრდილოეთ მხარეზე საიდუმლო კარები აქვს დატანებული და შიგნიდან რაზით ჩაკეტილი, მაგრამ ბიჭებმა გახსნეს და იქ გუშავები დააყენეს. საიდუმლო კარებიდან ვინორ ბილიკი გადის და ერთ კილომეტრზე უერთდება შელექედურისაკენ მიმავალ გზას. ობოლაძის სახლს გვერდულ შემოუყარე, მაგრამ, გარდა სინათლისა, არაფერი ჩანს, სახლიდან არავითარი ხმა არ ისმის. ყველაფერი შევამონმე, დავალბა მთლიანად შესრულებულია.

- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გოგია და ხათუნა რატომღაც იგვიანებენ, ნეტავ, რაშია საქმე?!

- ვერაფერს გეტყვი. ალბათ თავის საქმეს აკეთებენ.

- კი, მაგრამ ამდენ ხანს არ უნდა დაყოვნებუ-

- მათ კარგად იცინან, რა უნდა აკეთონ, ჩვენი დახმარება რომ საჭირო იყოს, შეგვატყობინებდნენ.  
- მე ცოტა ხნით წავალ, შორიდან შევავთავლიერებ და დაუბრავ. შენ აქ დარჩი. სიფხიზლე განმარტავ, თუ რამ საეჭვო შეამჩნიო, კარგი შიგნიდან ჩარაზე და ჩვენკენ გამოფრინდი.  
- ყველაფერი გასაგებია!

სასადილო ოთახში მოულოდნელად დაუპატიჟებელმა გლეხებმა ყაბალახები მოიხადეს, ძველი ფარავები იატაკზე დაყარეს, წვერ-ულვაში თვალის დახამხამებაში მოიცილეს და გლეხების მაგივრად მასპინძლის წინაშე აღმართნენ თავით ფეხებამდის იარაღში ჩამჯდარი ყაჩაღები. გოგია ღლონტს ორსავე ხელში ყუმბარები ეჭარა, საკეტზე ცერა თითები ჰქონდა დადებული. საკმარისი იყო მასპინძელთა ოდნავი საეჭვო განძრევა და სახლი ერთიანად აფეთქდებოდა.

ხათუნამ ოსტატურად სისწრაფით მარცხენა ხელში ყუმბარები შეატრიალა, მარჯვენა ხელში კონდახზე წამოგებული მათური მოიმარჯვა და მისხანედ შესძახა ვერ კიდევ გონსმოუსვლელ მასპინძლებს:

- თუ სიცოცხლე არ მოგებურებით, არ გაინძრეთ! ხელები მალა! - ქალებს ცახცახი აუვარდათ და ხმა ჩაუწყდათ. სახტად დარჩენილი ობოლადე და ლაშხი ყაჩაღების ნებას დამორჩილდნენ და ხელები მალა ამართეს.

- ალბათ გაინტერესებთ ჩვენი ვინაობა, - მიუბრუნდა მასპინძლებს გოგია ღლონტი, - დროა, ერთმანეთი გავიცნოთ. გვიცნობდეთ გოგია ღლონტსა და ჩემს მეუღლეს ხათუნა მუხამაზავიას. ძალიან ვწუხვარ, რომ გუნთათიშვილი და მამალაძე ვერ წარმოგიდგინეთ. მათ ახლა არა სცალიათ, შემოსალვლეს იცავენ.

ქალები, ხელანულონი, ერთმანეთს ეკვროდნენ და შიშით მუხლები ეკეცებოდათ. ობოლადეს და ლაშხს ფერი ნასვლოდათ და აღსასრულის წინაშე მდგომნი აღარაფერს გრძნობდნენ. მათურის ტყეების ერთი ჯერი და მთელი ოჯახი თვალის დახამხამებაში დაიცხრილებოდა. თავდაცვაზე და, მით უმეტეს, შეტევაზე გადასვლის ფიქრი მთლიანად გამორიცხული იყო.

ბედთან შერიგებული ჩანდნენ ცნობილი ჯალათები. დარწმუნებული იყვნენ, რომ, რაკი ხელში ჩაუვარდნენ გოგია ღლონტს, ცოცხლები ვეღარ გადაარჩებოდნენ.

- აი, რას გეტყვით, - გამეხებული ხმით, მაგრამ საკმაოდ რბოლად მიმართა გოგიამ მასპინძელს, - ერთი მოზრდილი კალათი მჭირდება, სთხოვეთ ქალიშვილს, მომიტანოს.

მამამ თვალებით ანიშნა, ბრძანება შეესრულებინა. გოგონა ბარბაცით გავიდა ოთახიდან და ერთი წუთიც არ იყო გასული, მოზრდილი დანწული კალათი შემოიტანა და შუა მაგიდაზე დადგა. გოგია ღლონტმა ახლა დიასახლისს მიმართა:

- გამობრძანდით, ქალბატონო, და კალათი, რაკი შიგ ჩაქტიოს საჭმელ-სასმელი, გაავსეთ, გარე მშვიერი ბიჭები გვიცდიან.

დიასახლისი აკანკალებული მივიდა სუფრასთან და კალათი აავსო.

- ბიჭებს ღვინოც არ აწყენთ, - მოაგონა მასპინძელს ხათუნა მუხამაზავიამ, რომელიც იარაღმე-მართული კარებში იდგა.

- გადი, გოგო, ჩანთა შემოიტანე! სამზარეულოში კედელზე კილია, - და უმცროსმა გოგონამ, თითქოს ერთგვარად გამხმევებულმა, სწრაფად გამოურბინა დედას საგანგებოდ მოქარგული ხელჩანთა, რომელშიც ღვინოთ სავსე ბოთლები ჩააწყო.

- ბატონებო, გულითად მადლობას მოგასვენებთ დიდებული ვახშმისა და გულლია მიღებისათვის. ალბათ, როცა ბიჭები ივახშმებენ და ღვინოს დააყოლებენ ამ შესანიშნავ პურმარილს, არ დაივიწყებენ თქვენს სიკეთეს და სადღეგრძელოებით შეგამოხმონ. რა უნდა, ჩვენც ხომ დამიანები ვართ, ტყეში მხეცივით გავარდნილბს, ხშირად შიმშილი შეგვანუსუებს და თქვენისთანა პატიოსან ხალხს ვაწუხებთ. მართალია, დაუპატიებლად მივდივართ ოჯახებში, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არა ვაგაქვს, როგორ მოვიქცეთ?!

ობოლადე ხაფანგში გაბმული თავცივით აწრიალდა. ლაშხს თავი ძირს დაეხარა და ფეხზე მდგარ ფიტულს დამსავაცებოდა. მალა აწეული ხელები დაეღალათ, მოუდუნდათ, მაგრამ სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ: განმკარგულბებული კარებში იდგა და მალა ამართულ ყუმბარას დირიფორის ჯოხის მოძრაობის მსგავსად უნდა დამორჩილებოდნენ.

- ახლა რასაც გეტყვით, კარგად დახსომით. აი, ერთი საათის წინ თავი გმირებად მოგქონდათ და ალბათ გეგმავდით თივე უბრალო, უიარაღო მშრომელი ხალხის დახურეტასა და პატიოსანი გლეხების სახლ-კარის გადაწვას. გეგონათ, რომ თქვენს ნებას წინ ვერაფერი ალუდებოდა, წინასწარ ხედავდით გადაწვარა გურისა, პირქვე დამხობილ, შიშით შეპყრობილ ხალხს, სისხლის ნაკადულებს და გესმოდათ უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების, ქვრეგ-ობლებისა და შაოვსანი დედების მოთქმა-ქვითინი და...

ტყეობილი ჯოჯოხეთური სანახაობით. მინდა უკანასკნელად გაგაფრხილოთ: თუ კიდევ ჩვენი დევნის საბაბით ან სხვა რამის მომიზეზებით გურიანში რომელიმე გლეხის კერას ჩააქრობთ, ან რომელიმე ალალ-მართალ კაცს დილეგში ამოაღობთ

## უპრაზო ჩაპეტილი რომანი

და დახვრეტით, იცოდეთ, ჩემთან გეკენებათ საქმე და მხოლოდ ჩემთან. ვასხოვდეთ, დამატებით მთელი დღეიზია რომ გამოიწვიოთ, გოგია ღლონტი არ შემინდება, უკან არ დაიხვეს. ისიც არ დაიფიქროთ, გოგია სიტყვის კაცია და ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს. ახლა ჩვენ ნავალით, მჭიტი არაფერი გავქვაც-სათქმელი. როცა აქაურობას გავცდებით და განსაც-დელოს განვლოდნენ ჩათვით, დამშვიდდით, ერთმანეთი გაამხნევეთ და მაგიდას მიუხსენით. იმდენი კიდევ დარჩა, რომ ვახშმად გეყოთ. ჰო! კიდევ ერთი რამ: როდესაც აქაურობას დაეტოვებთ, შეგიძლიათ ეს სახლი ცეცხლს მისცეთ და ჩვენი მასპინძლობისათვის ერთმანეთი დახვრიტოთ. თქვენ ხომ ასე ექცევით ყველას, ვისთანაც კი გავივლით.

- ხათულა! - მიუბრუნდა ღლონტი კარებში გუმბავად მდგარ ქალს, - ყუმბარები ნელზე შეიბი, ნაგანი მოიმარჯვე და პატარა ქალბატონები წინ ნაიმძღვარე.

- ღრმად პატივცემული ბატონო ღლონტო! - როგორც იქნა, სიცოცხლისნიშნისა და ღუმბარუნ-და ობოლაძეს და ამოილოლულა:

- ქალიშვილებს ნუ ნაგვართმევთ. მშობლები ვართ, შეგვიბრალეთ.

ობოლაძის მუხლზე ხელაპყრობილი დაეცა მუხლებზე, გოგისათან მიახლოება შიშით ვერ გაბედა და მდულარე ცრემლებით შეევედრა ყაჩაღს:

- მე, როგორც დედას, მე დამითმე შვილები, მე მპატიე. ჩვენ, თუ გნებებთ, ახლავე დაგვხოცე, ოღონდ ქალიშვილების, განაბილვას ნუ მომასრუნებ.

- ნუ გემინიათ! თქვენს ქალიშვილებს არაფერს დაუშვებთ! თქვენ ახლა მე მითხოვთ იმას, რასაც თქვენ არასოდეს იცავდით. ქალბატონო, ჰკითხეთ ამ თქვენს ერთგულ მუხლეს, რეველუციის გულისათვის რამდენი დედა აუჭირებია, რამდენი დაუჭერებია და რამდენი ნორჩი ქალიშვილისათვის, მისი შვილების ტოლბისათვის, ნამუსი შეუფიქრებია, სიყვარული და სიხარული ნაურთივანა და შემდეგ გამხეცებული ჯარისკაცებისათვის მიუყვანა საცივჯვანად. თქვენი ქალიშვილები ერთ საათო უკან დაგიბრუნდებათ, ამაზე არც შენუხდეთ და არც იდარდით. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, გოგია ღლონტის სიტყვა ბეჭედა. ახლა მაინც დარწმუნდით, ვინ არიან ამ ქვეყანაზე უფრო დიდი ყაჩაღები, ჩვენ თუ თქვენ. ეს კითხვა დაუსვით თქვენს თავს და პასუხიც გაეცით. მაგრამ შეეჭვება, რომ ვინმემ შეძლოს თქვენში ადამიანის გაღვიძება.

ქალიშვილები იმიტომ მიმყავს, რომ ეს ჩემი და თქვენი უშიშროებისათვის მჭირდება.

ობოლაძის გოგონები ხათუნა მუხამაყრიას წინ გაუშლენ.

- ახლა ჩემი ნასვლის დროც მოვიდა, - თქვა გოგამ, - ნაადრევად განგამი არ ატყობთ, ქალიშვილებს უკან დაბრუნებას დაელოდეთ!

რეველუციური დაბლა დაუშვა, ხელჩანთა მხარზე გადაიკიდა, სახვე კალას ხელი წამოავლო და ყაჩაღური სისწრაფით სიბნელეში გაუჩინარდა.

•  
თითქმის ერთი თვე გავიდა გოგია ღლონტისა და მისი ძმაკაცების ობოლაძესთან სტუმრობის შემდეგ. ოქტომბერმა თავისი ქნა და არნახული კარგი დარებით გაახარა გურია. სიმინდის ყანები, მალაღლი და დაბლარი ვენახი მწიფე ნაყოფით გაივსო. სიმინდი ალებას მოითხოვდა, შავ-ქარვისფერი მტევნები - დაკრეფასა და დაწურვას. მწიფობისთვის ჰაერი საამო სურნელებით გაიჟღინთა.

გურიის შემოდგომის ბუნება ადამიანს კალთას უხსნიდა, სიცოცხლესა და ნექტარს სთავაზობდა, სიხარულისა და სიყვარულისაკენ მოუხმობდა. ტყისა და ბარის ამ არნახულ ზეიმს ფრინველთა ჭრია-მული და ჭიკჭიკი კიდევ უფრო სისხლსაესეს ხდიდა.

თითქოს მზეც სხვაგვარად ანათებდა და მთვარეც, ვარსკვლავებსაც ფერხული გაებათ და ეშმაკურად თვალს უფუფუნებდნენ პატარაძლივით მორთულ დედამიანს. ონავარი მნათობები ხშირად სწყნებოდნენ ცის გუმბათს, ტოვებდნენ თანატოლებს, ენთებოდნენ, ინებებოდნენ და უსასრულობაში საშუალოდ იკარგებოდნენ.

ბუნების ამ უცნაურ ჰამონიას მხოლოდ გურია გამოეითმა. სიცოცხლის, სიხარულისა და სიყვარულისათვის გაჩენილ ხალხს არც სიყვარულისათვის სცხელოდა და სიცოცხლაც ქვიშასავით ხელიდან ეცლებოდა. საქმე იმაში იყო, რომ ობოლაძე-ლაშქმა ყურად არ იღეს გოგია ღლონტის გაფრთხილება და საშინელი რეპრესიები დაატყვეს ხალხს.

დამსჯელი ჯარის მეთაური და სამაზრო ჩეკას უფროსი პირიად დორბლებს ყრიდნენ, ცოფმორეული დაძიროდნენ გურიამ და უფრო მეტი გაფრთხილებით და დაუნდობლად ებრძოდნენ ხალხს, იჭერდნენ და ჩეკას დილეგებში ამწყვედებდნენ. ახალი ნაკადისათვის რომ ადგილი გაეთავისუფლებინათ, სიკვდილის უღმობელი მანქანა მთელი დატვირთვით აამოქმედა. ხვრეტდნენ განურჩევლად - ლეკიანსა და მელიქედურთან, სუფსის ტრამალებსა და ფიჭორის ჭაობიან მისადევარში. ხვრეტდნენ ყველგან, სახლსა და ეზოში, დაპატიმრების დროს ვითომ წინააღმდეგობის განცხადება და გაქცევის ცდისათვის.

ადამიანები ერთიანად თავიანთ სახლებში ჩაიკეტნენ და მეზობელი მეზობელთანაც იშვიათად გადადიოდნენ. პურ-მარილიც დაქველდა და ღვიწიმაც ქვევრებში დამძარბა იწყო. ვინ ფიქრობდა სიმინდის ყანასა და მწიფე მტევნებზე.

შშს თვალები გადმოეკარკლა და შავფრთებგამოლილი გადაჰფარებოდა სოფელს.

საშინელი ტერორი ყველა კერასთან ჩასაფრებულყო, ყველა მოსახვევსა და გზაჯვარედინზე ცელ-შემართული იდგა და, სიკვდილთან დამძობილებულ-ლი, ადამიანთა სისხლისა და ხორციით ღრვობდა.

ცეცხლნაკიდებულ სოფლებს ცეცხლისა და კვამლის სისხლისფერი შარავანდედი ედგა თავზე. ხალხი გამოშწევდა განაგრძობდა დუმოილს.

გოგია ლლონტი ცეცხლს აფრქვევდა თვალნიბო-დან და იღრინებოდა.

წინააღმდეგობა ორ ბანაკს შორის განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც დილით ადრე გაღვიძებულმა ოზურგეთმა ქალაქის მთავარ მოედანზე, დამსჯელი ჯარის ყაზარმის, სამაზრო კომიტეტისა და აღმასკომის წინ აღმართულ ხალხთა „ბელადის“ ბრინჯაოს თავზე ჩამომხობილ სიბინძურით სავსე ქოთანს იხილა. ლაფად ქცეული სიმყრალე ძირს ღვარად მოედინებოდა და ძეგლის პირისახე ერთიანად დაეფარა.

ამ სამახსოვრო დღეს ობოლადე-ლაშხის ბრძანებით ძალით მორეკილი ხალხის თვალწინ თხუთმეტი გლეხი, მუშა და მოწინავე ინტელიგენტი დაიხვირტა. ხოლო დამსჯელი რაზმის ჯარისკაცებმა ახლომახლო სოფლებში თერთმეტი ნასახლარ-ნახანძრული დატოვეს.

ამავე საღამოს, ასე, ცხრა საათზე ორი გახვი-თქული ცხენოსანი ჯარისკაცი მიადგა ობოლადის სახლის გალავანის კარიბჭეს და უფროსის დაუყო-ვნებლივ ნახე ითხოვა.

გუშაგე ნაბრძანები ჰქონდა, არავინ შეეშვა ეზოში უფროსის განკარგულების გარეშე.

— აი, ეს წერილი გადაეცით. აქ ყველაფერი წერია, — უცნობმა ცხენოსანმა წერილი გადასცა გუშაგეს. ერთი ჯარისკაცი ჩამოქვეითდა და ცხენს მოსართავები გაუსწორა. სანამ მორიგე ჯიხურს დატოვებდა, დაუმატა: — ჩვენ აქ დავიცდით, იქნებ ხლება გვიბრძანოს.

გუშაგე სახლიდან გავიდა თუ არა, უცნობმა ჯარისკაცებმა მათრახის ერთდროული გადაკვრით ადგოლს მოსხლიტეს ცხენები და, ვიდრე ჯიხურში მყოფი სხვა მცველები გამოერკვეოდნენ, სიბნელე-ში ბედაურთა ფლოქების ხმა თანდათან მიწყდა.

ობოლადემ გუშაგეს წერილი ჩამოართვა ისე, რომ დამატებით არაფერი უკითხავს მისთვის. სინათ-ლისთან ახლოს მივიდა. შავარშიაშემოვლებული კონვერტი გახსნა და ორად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო. ბარათსაც შავი არშია ჰქონდა შემოვ-ლებული. პირი გამიფხრა, ავად ენიშნა. მრისხანედ შეუღრონა გუშაგათა უფროსს.

— ვინ გადმოგცათ ეს ბარათი?!

— არ ვიცი, ბატონო, ორი ჯარისკაცია და საქა-როდ თქვენს ნახვას ითხოვენ.

— ბრეცვო! ვერ დააპატიმრე!

— თქვენ ხომ ნაბრძანები გაქვთ, უფროსო, რომ თქვენს მოუხსენებლად...

— ახლავე გაქანდი. შეიპყარი და განკარგულე-ბას დაელოდე!

გუშაგე ადგილიდან მოწყდა. ჯიხურთან თვალის დახამამებში გაჩნდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: უცნობი ჯარისკაცების მაგივრად გამოღენებელი მცველები შერჩა ხელში.

წერილი მოკლედ, ორიოდე სიტყვით ატყობი-ნებდა ობოლადეს:

„ლაჩარი გმირად არასოდეს არ იქცევა. არც თქვენგან მოვლოდით უკეთეს რამეს. რასაც დაგ-პირდით, შეგისრულებთ. სიცოცხლის ერთი კვირის ვადა მოგვცით.“

გოგია ლლონტი და ხათუნა მუხამაგია“.

წაიკითხა წერილი ობოლადემ. ერთხელ კიდევ გადაავლო თვლი სტრიქონებს, რომ დარწმუ-ნებულები ამ აღქაჯის ნაჯღაბნის სინამდვილე-ში. წერილი რომ ვინმეს ხელში არ ჩაეარდნოდა და საქვეყნოდ თავი არ მოსჭროდა, ბარათი ისევ ორად მოკეცა, კონვერტი ჩააბრუნა და მარჯვენა გულის ჯიბეში ჩაიდო. თავისთვის კი გაიფიქრა: „ვნახოთ, ვინ ვის დაასრებს, ვინ დარჩება ლაჩარი საბოლოოდ და ვინ — გმირი! მანც ეს ძუქნა რას ასდევნება ამ ვოცხეხურის ნაშეიერს?! დავაგვიანე, ამდენ ხანს უნდა მომელო ბოლო ამ ძაღლთაპირ-ბისათვის. მაგრამ შენც დაავაგვიანე, არაკაცის ნაბუ-შარო, ბოროტო გოგია ლლონტო, ჩემს არწივებსა და განწერთლ ჯაბუყებს ველარსად გაექვევი-მეც ერთი კვირის ვადა მომიცია“. ეს უკანასკნელი სიტყვები, ბოღმითა და მუქარით წამოთქმული, მხოლოდ ოთხ კედელს და ავად ჩამოწოლილ ბნელ ღამეს შერჩა ჩამავებულ ხასაში.

ვინ ვის?! ვინ ვის?! ვინ ვის?!.. — ექოდ ჩავსმა ობოლადეს და გაურკვევლად სადღაც შორეთში ჩაიფერვლა და მიწყდა.

ყაჩაღების ობოლადესთან მეორედ სტუმრობის შემდეგ თითქმის მთელი კვირა მიწურა. ტყეში გა-ვარდნილები უკვალოდ გარჩნენ და გაუჩინარდნენ. ხალხმაც ამოისუნთქა და ავლათებმაც. ძეხორ-ცივალს არავითარი ამბავი არ მოჰქონდა ობოლადე-ლაშხთან. ჯაშუშები უსაქმოდ დარჩნენ. არც ერთ სოფელში არ გამოჩენილა კაცი, სადმე რომ თვალი მოეკრა გოგას ნაკვალევსათვის. არც მოამბე უნახავს ვინმეს.

ხალხი ნელ-ნელა გავიდა მიწვირად. ქვევრებისა და სანახელების რეცხვასაც შეუდგნენ. მაღალი ხებიდან ყურძნით სავსე გიდელებიც დაეშვა.

სოფლის ორღობები ურმებში აჭრიალდა. მა-გრამ გლეხების გახსნილ შუბლს, გაღიმებულ სახეს ვერსად დაინახავდა კაცი. გურული კრიმინაჭული



ჩანყდა. ასე გეგონებოდა, ხალხმა გლოვა ისწავლა და სიმღერა გადაივიწყაო. შეწყვეტილი სწავლა განახლდა და მკვირცხლი ბავშვები მოედგნენ ტალახიან და მტვრიან შარავზე. ოზურგეთის ქუჩებშიც მომრავლდნენ გვერდზე საკინძეახსნილი შავსალათიანი ყმანვილები და თეთრბაფთიანი გოგონები. ხალხის დაბატონება და დახვრეტა მაინც არ შეწყვეტილა, ოდნავ შენელდა, მაგრამ სიკვდილის ჩონჩხი შემართული ცელით ისევ ძველებურად დააბოტებდა გურიის შარავზეზე.

შაბათს, გვიან საღამოს, ობოლაძე სახლის აივანზე მარტო იჯდა სელის სავარძელში, თავი ერთიანად მარჯვენა ხელისგულში ჩაემალა, მარჯუთული თვალებით გასცქეროდა ფუმუთის ჩაშვებულ მთას და მერამდენედ ეკითხებოდა თავის თავს - რას უნდა ნიშნავდეს ყაჩაღების ასეთი ხელმოცარული გაქრობა, მოულოდნელი გაუჩინარება?! ალბათ უპოინდნენ. ბრძოლაზე ხელი აიღეს და უგზო-უკვლოდ გაიფანტნენ. სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ?! ხალხიც დაშინდა, გატყდა და ზურგი შეაქცია ლლონტს და მის ძმობილებს. გაჭირდა ამ გზით სიარული, მაგრამ, როგორც იქნა, მიზანს მივალნი, ხალხსა და ყაჩაღებს შორის მტრობა დავეთეს; ნაყოფიც ადრე აღმოცენდება და დიდებულ მოსავლასაც მოვიგო. აბა, რა გვონა ლლონტს! ყველაფერი კარგად მიდის, ჩემს მისიას ნარმატეხით დავამთავრებ და გამარჯვებულის ზარ-ზეიმით დედაქალაქის ქუჩებში გავივლი. ჩვენს დროში არ არის მიღებული, თორემ თეთრი ბედაურით გავლა რუსთაველის გამზირზე ნამდვილად დამამშვენებდა. ასეთ ოცნებაში იყო ჩაძირული ობოლაძე, როდესაც აივანს მოადგა მორიგე გუმბაგი და მოახსენა:

- ამხანაგო უფროსო, ჩოხატაურელი მოქალაქე თხოულობს თქვენს დაუყოვნებლივ ნახვას!
  - რაო, რა მინდაო?
  - საიდუმლო სიტყვა მაქვს და მხოლოდ მას უნდა მოვახსენო პირადადო.
  - კარგად გაჩხრიკეთ და ორი მცველის თანხლებით წარმომიდგინე!
- გუმბაგი სასწრაფოდ შემობრუნდა, ფიხურისკენ გასწია, რომ დაუყოვნებლივ შესდგომოდა დავალებიან შესრულებას.
- არ გასულა დიდი ხანი და ორი მცველის თანხლებით უცნობი კაცი ობოლაძეს წარუდგა.
- რა გვარი ხარ? სადაური ხარ? - ჰკითხა მკაცრი ხმით ობოლაძემ.
  - ზებედე ჩხიკვიშვილი.
  - რა საქმიანობას ეწევი გაუთურში?
  - მე გაუთურელი ვარ, ბატონო, მაგრამ... ამჟამად გორა-ბერეჟოვოლში ვმსახურობ, ბატონო, ტექნიკუმის დარაჯად.
  - რამ მოგიყვანა ჩემთან?

ზებედე შეყოვნდა, შეიშუმუნა, იქვე მდებარე გაქავებულ მცველებს აღმაცერად გახედა და უფროსს მიმართა.

- თუ შეიძლება, ბატონო, მხოლოდ თქვენ გითხრათ...
- თქვენ, - მიმართა ობოლაძემ გუმბაგებს, - დაბლა ჩადით, კიბის ძირში დაიცადეთ.
- მე, ჩემო ბატონო, საიდუმლო დავალებით გამოგზავნა თქვენთან ჩვენი მეურნეობის გამგემ გიტო შარაშიძემ, - დაინყო ჩხიკვიშვილმა და ირგვლივ მიმოიხედა დაფეთებული თვალებით.
- რის გეშინია, აქ ჩვენს მეტი არავინ არის.
- რა ვიცი, ბატონო, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ. ხომ გაგიგონია, კედლებსაც ყურები ასხივო.
- ამაზე ნუ წუხარ, ჩემი სახლის კედლებს არც თვალდებ ასხია და არც ყურები. რა მინდაო იმ თქვენმა გიტო შარაშიძემ?
- ახლავე მოვახსენებ, ბატონო! ხვალ, დღის ორ საათზე, გოგია ლლონტსა და სხვა ყაჩაღებს გამოსათხოვარი სადილი აქვთო დანიშნული. გორა-ბერეჟოვოლის ძველი ციხის ნანგრევებთან, ასწლოვანი ცაცხევის ქვეშ გაშლიანო სუფრას. ტექნიკუმის მუშა-მოსამსახურეებს ნაბრძანები აქვთ, ფეხი არ მოიცვალონ ადგილიდან, თორემ აქ ერთიანად ამოგწყვეტთ, იქ კი ცოლ-შვილს აგიტრებთო. ასე დამუქრებია გოგია ლლონტს ყველას. ტექნიკუმის გამგემ მოსახლეობი ერთი კვირით დათხოვა და სახლებში გაუშვა. მასწავლებლები და მუშა-მოსამსახურეები თავიანთ ოთახებში არიან ჩაკეტილი და გარეთ გამოსვლის უფლება არა აქვთო. ყუმბარებით შეიარაღებული ყაჩაღები მორიგეობენ ამ დიდებულ ტყე-ბაღში და ყველა მისასვლელი გზა შეკრული აქვთო. მე სამი დღით სახლში ვიყავი წასული, სანაყლმა გიტომ მოახერხა ჩემთან მოსვლა, ყველაფერი ეს, რაც თქვენ გითხარით, დამავალა ობოლაძისთვის გადმომეცა. ხომ ობოლაძე ბრძანდებით, ბატონო?!
- მერე და რატომ არის სანყალი ის ვიღაც შარაშიძე? ვაქაკი ყოფილა.
- მოკლეს, ბატონო, ყაჩაღებმა.
- სხვა არაფერი დაუბრუნებია?
- არაფერი, ბატონო! დანარჩენი მან იცისო.
- კარგი, ძალიან კარგი. შარაშიძეს ოჯახს არ დაუვკარგავ ჩვენი საქმისთვის თავდადებას. ახლა ეს ერთი მითხარ: კარგად იცნობ გორა-ბერეჟოვოლს და ახლომახლო სოფლებს?
- ვიცნობ რას მიქვია! მე ხომ იქ ვარ დაბადებულ-გაზრდილი.
- ძნელი მისადგომა გორა-ბერეჟოვოლი?
- როგორ გითხრათ, ძნელიც და რთულიც, საგანებო სათვალთვლო ადგილია. ჩოხატაურიდან

ნაგომარადის სუფსის გაღმა-გამოღმა ადგილები ხელისგულივით მოჩანს, ხუთ-ათ ვერსზე ჩიტის გაფრენაც არ გამოეპარებათ. გუბაზოულის ნაპირებია შედარებით შეკრული ტყით და სოფლებით თვით ხიდისთავამდე. თუ აქეთკენ ვინც გაიქრა, მას ხევ-ნაბელავამდის და სურებადის ვერავინ დაენევა. დადევნებაზე ფიქრიც ზედმეტია.

- კარგი, ძალიან კარგი, მამ ასე, ხვალ, სადილოების დროს. გორა-ბერეჟოლში!.. ხომ არ უთქვამს შემთხვევით, რამდენი იქნებიათ ყაჩაღები?

- ბევრიო, ასე თქვა; თუ მეხსიერება არ მღალატობს, ოცამდეო, მაგრამ რა ვიცი, ჩემს სიტყვას მთლად ნუ დაენდობით.

- კარგი, ძალიან კარგი. ჯერ მადლობას მოგახსენებ, შემდეგ მადლობასაც არ დაუჯერებდი, დაგასაჩუქრებთ.

- ჩაწუქარს ვინ ჩივა, ბატონო, ჩემი წერილი ცოლ-შვილი შეიბრალები, არ ჩამავლდით მათ ხელში!

- ნუ გეშინია! ხვალ ყველას ხაფანგში გავაბამთ და ამით მოვრჩებით ამდენი ხნის გაჭიანურებულ საქმეს.

- მე კი მაინც გეშინია. დღერთო, მშვიდობას ნუ მოაკლებ გურიის გლეხობას!

- დამიძახებთ გუშაგათა უფროსს! - შემოჰკრა ტაში და დავალება მისცა აიენის ზღურბლზე გამოჩენილ პირველ მცველს.

- ჩემი საყვინობიდან საუკეთესო ცხენი შეუკაზმით ამ პატროსან კაცს. დროებით სახარჯოდ ეს იმყოფინე, - უბის საფულიდან ათი ახლად გამოსული თეთრი ჩერვონეცი გაუწოდა ზებედე ჩხიკვიშვილს, - შემდეგში გასსოვდეს, სიკეთით ავაგებთ.

- გმადლობთ, ბატონო! - მდაბლად დაუქრა თავი ობოლადეს და გუშაგს უკან გაჰყავა.

- ხვალ სოფლიდან, სახლიდან ფეხი არ მოიცვალო, შეიძლება საჭირო გახდეს, - მიანია სიტყვა მხიარულ გუნებაზე დამდგარმა ობოლადემ კიბებზე ფეხაკრეფით ჩამავალ უცხო სტუმარს.

გოგია ლლონტი საგანგებოდ ემზადებოდა ობოლადესთან შესახვედრად, ამიტომ მთელი კვირა ერკეთის ტყიდან არ გამოსულა. ტყისთვის თავშეფარებულ ძმებსაც იგივე დავალება მისცა, მორიდებოდნენ ხალხს და სოფელს, არსად გამოჩენილიყვნენ. თვითონ ხათუნასა და გუნთაიშვილიან ერთად ერთი კლდის თავზე სახელდახლოდ გამართულ კარავში იჯდა და ძნელად გადასანყვებ ამოცანის ამოხსნაზე ფიქრობდა. ხშირად ლაშქრებსაც ათენებდა.

ობოლადესთან შეხვედრა უკანასკნელი და გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო. ან მტერი უნდა მოეპოო, ან თვით მას უნდა მოღებოდა ბოლო. სხვა

გზა არ არსებობდა და ხალხის ჯალათთან არც კი ჰქონდა რამე მოსარჩებელი.

საქმე ის იყო, რომ ობოლადე და ლაშხი მასთან შეხვედრის შემდეგ ქალაქგარეთ იშვიათად გამოდიოდნენ და, როცა გამოვიდოდნენ - მთელი ასულით გაძლიერებული, საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი განვითრული მცველებით. ასეთ მდგომარეობაში ჯალათებთან შეხვედრა სახუმარო არ იყო.

დილით, ჯერ ტყე არც კი იყო გაღვიძებული, ცის დასავალზე ნამგალა მთავარ და ცისკრის ვარსკვლავი სხივს ჯერ კიდევ გამოსცემდნენ, როცა გოგია მშვერბებს მოქმედების გეგმა გააცნო.

- მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, - დაიწყო გოგია ლლონტმა, - ობოლადე როგორმე უნდა გამოვიტყუოთ ქალაქიდან და, ისიც, აუცილებლად დავსით, დილით. მოსახერხებელ ადგილზე ჩაუშავრდეთ და თავს მოვახვებით ბრძოლა.

- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ ფიქრობ, ყველაფერი ეს განახორციელო? - დაინტერესებით იკითხა გუნთაიშვილმა.

- დღისით, მზისით, ვითუ ძალები არ გვეყოს, ობოლადე ხომ მარტო არ გამოვა სახლიდან! - დაეჭვებით იკითხა ხათუნამ და შუბლზე ჩამოყრული კულულები ზევით აინია.

- ჯერ ბოლომდე დამიგდეთ ყური და გეგმის დაზუსტებაში შემდეგ მომეხმარეთ. აი, როგორ მაქვს ობოლადესთან შეხვედრა გააზრებული. ჯალათი ნასაკირალის გზით უნდა გამოვიტყუოთ. ამას კი ჩვენი მიგზავნილი კაცი გააკეთებს. ჩვენი ძმობის წევრი. ჩვენზე თავდასასხმელად ნამოსული ჯარი ნასაკირალის ვინროგში გაიწვდება. თავდასხმა ნაგომარის ველზე ჩასვლამდის უნდა განახორციელოთ, ვინორ ხევის გასწვრივ, სადაც ძიმითისკენ მიმავალი გზა-შარა იწყება. ყოველი შემთხვევისათვის, თუ ბრძოლის ველიდან ადრე მოგვიხდება გასვლა, გზა ყველა მიმართულებით გახსნილი უნდა გვექონდეს: სამხრეთით - ასკანის ტყისაკენ, ჩრდილოეთით - ჯგუმთის მთისაკენ. ის ადგილი, სადაც თავდასხმის მოწყობა მაქვს ნაფარადევი, ტყით არის დაფარული და ჯარისკაცები შიშით ტყის სიღრმეში შესვლას მოერიდებიან. სუფსის ხიდს წინანაწარ დაენალმავე და, თუ ამ მიმართულებით მოგვიხდება უკან დახევა, ავაფეთქებ და მტრის დევნაც შევრჩებოდა. სამშვიდობოსაც ადვილად გაეაღწევთ.

გოგიამ სიტყვა დაამთავრა, მშვერბებს გადახედა, შემდეგ წამოადგა, ზურგზე ხელები დაიწყო და კარვიდან გარეთ გამოვიდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა. მზე უკვე ამოსულიყო და სუფსის გაღმა სოფლებს მოჰფენოდა. სადაღაც ჩხიკვი ყვავს აჯავრებდა, ჩხაოდა, ონავრობდა, კოდალა კი კლდის თავზე

ამართულ ტოტემშიმმარ ფიჭვის ხეს ნისკარტს გამალბობით უკაკუნებდა, დღლის საუზმეს იზადებდა. ხევს გაღმა ორი მოლაღური ერთმანეთს სამძიმარს ეუბნებოდნენ, „შეილო გოგია“ დასტოროდნენ და მოტირლებს მოლოდინში ხმას ინწებდნენ.

გოგია ღლონტი ჩქარა შებრუნდა ქოხში. მეგობრები ჩუმად, გაუძნრეულად ისდნენ და ფიქრების ხეულეში გზას იკვლევდნენ.

- ა, როგორ მოგნონთ გეგმა? რა შესწორებებს შეიჭანთ? - დაარღვია სიჩუმე გოგიაში.

- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რამდენი კაცი მივიღებთ მონაწილეობას თავდახსმამში? - ცნობის-მოყვარეობით იკითხა გუნთაიშვილმა.

- სულ ოთხი: მე, შენ, ხათუნა და ქიქოძე.

- ეს როგორ, ოთხი კაცი კბილებამდის შეიარაღებული ასულელებისა და, შეიძლება მთელი პოლკის წინააღმდეგ?! - ოდნე შეშფოთებით გამოსცრა კბილებიდან გუნთაიშვილმა.

- მთავარია არა რაოდენობა, არამედ რწმენა და გამბედაობა. უშიშარი ყოველთვის იმარჯვებს, მშობრა და ღაზარი განწირულია. ეს კარგად უნდა დაემახსოვროთ.

- კარგად ვერ მოვაბი ფიქრებს თავი, ოთხმა კაცმა როგორ უნდა ვიმოქმედოთ? უბრალო შეფერხება და ნამის დაკარგვაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს! - ჩაილაპარაკა მუხახაზურია.

- აი, როგორ ვიმოქმედოთ. გუნთაიშვილი ხევს შემოსასვლელ ვინროში ჩასაფრდება, მარჯვენა მხარეს, ქარიშხლის მიერ მოხეტიალი წიფელთან, რაც თავისთავად შესანიშნავ საფარს წარმოადგენს, იქიდან ხავსით მოფენილი თხრილი გასდევს, ტყის სიღრმეში მიიწვს და სადღაც სუფსის ნაპირებთან იკარგება. ქიქოძე ძიძითის გზის გასაყარის ზემოთ, მარჯვენა მხარეს დაიცავს. იქ, ბეჭობის თავზე, რცხილების კორომი და ხშირი ბუჩქნარია, შესანიშნავ საფარს წარმოადგენს ხავსმოდებული ლოდი, რომლის იქით ვერაფერ ვერაფერს დაინახავს და გაარჩევს. მე და ხათუნა თქვენგან ოციოდე მეტრზე დაშორებით დაუყვდით ჯალათს, სადაც ნაბლის დიდრონ ხეებს ტოტები აქვს ჩახლართული. ჩვენ საფარი არ გეჭირდება, პირდაპირ და აშკარად შეუუტვტეთ. როგორც დაგპირდი, უნდა დაგვინახოს, ისე უნდა ამოვხადო სული, რომ სახეში გვიფურებდეს და დამბლადაცემულივით ხელს ვერ აწბრედდეს. ამას ყველაფერს ისე გუებნებით, საერთო გარკვევისათვის. ხვალ კი, თუ ჩემს შემოთავაზებულ გეგმას მივიღებთ, ადგილზე მივალთ და ყველაფერს მისხლობით და სანტიმეტრობით ავწონით და გავგზომავთ.

- სხვებმა, ჩვენმა მეგობრებმა რა უნდა აკეთონ ამ დროს, ისინი რა მონაწილეობას მიიღებენ თავდასხმამში? - იკითხა ხათუნამ.

- რვა კაცი ძიძითის მისადევარ ტყეში დაგვხვდება და, თუ აუცილებელი იქნება, ერთად გავიკაფავთ გზას, ეს - იმ შემთხვევაში, თუ ჯუმათისაკენ მოგვიხდება დახვევა. დანარჩენი შვიდი ნასაკირალის თავში, ხშირ ნიფლნარში დაგვიცდის და, თუ მათ შევეუერთდებით, მტერი ორჯერ მეტია რომ იყოს, ვერაფერს დაგვაკლებს.

- ბიჭებს როდისლა მიველაპარაკოთ, გოგია? - იკითხა გუნთაიშვილმა.

- ერთ საათში ყველანი აქ იქნებიან, სადაცაა გამოჩნდებიან კიდეც.

ბიჭებს არ დაუგვიანებიათ. ყველანი მოგროვდნენ. თითო-ოროლა გამოდიოდნენ უღრან ტყიდან. მოუყვებოდნენ ხევს, ჩამორბოდნენ დაღმარაში, ეფარებოდნენ ხეებს, ლოდებს, კლდეს, ბუჩქებს. მოდიოდნენ ნელა, ზერაგდნენ მიდამოს, დაფთეული ნადირივით ღრმად იყნოსავდნენ პაერს, ხან ყოვნებოდნენ, მინას ეკუროცივით, ხან გაბედულად მოიწვდნენ წინ, ქურბოდნენ, ხან გაბედულად დაბრკოლებებს. ხელში საკეტგახსნილი კარაბინები ეჭირათ, მზად იყვნენ ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევისათვის.

შეგროვდნენ ბიჭები. ყველაფერზე დაწვრილებით მოილაპარაკეს, უმნიშვნელო წერილმანებზედაც კი მნიშვნელოვნად იდავეს. ყველაფერი დააზუსტეს. თითოეულმა თავისი დავალება მიიღო, მოქმედების დრო და არე განსაზღვრა, საერთო გეგმას შეუფარდა.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ ერთად ისაუზმეს გატყურებულმა ბიჭებმა. მტერთან გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის წინ ვაჟკაცური ფიცი დადეს, ხათუნასაგან დაძმური დალოცვა მიიღეს და ისევე ცალ-ცალკე გაუჩინარდნენ ტყეში, როგორც შეკრებაზე მოდიოდნენ უხმაუროდ და ფრთხილად.

შეტევაზე გადასვლის ნიშანს გოგია ღლონტი მისცემდა ყუმბარის პირველი აფეთქებით, შემდეგ კი ყველაფერი თავისი გზითა და წესით წარიმართებოდა. ოპრაციის დამთავრებას სამი წყვეტილი გასროლა ანიშნებდა ბრძოლის მონაწილეებს, ძიძითის მიმართულებით გასვლის ნიშანი კარაბინდან კნტი გასროლა იქნებოდა, ნასაკირალის თავისაკენ - ორი.

ღლონტმა გუნთაიშვილი და ქიქოძე დაიტოვა, რომ ღამით ნასაკირალში ასულიყვნენ და ყველაფერი ადგილზე მოეჩხრიკათ და შეემონებინათ.

●  
ობოლადე არ იყო ისეთი გამოუცდელი ჩიტი, რომ ყველას ადვილად ნდობოდა და ყველას სიტყვა გაულუბრყვილოდ მიელო. ხებედე ჩხიკვიშვილის გასტუმრების შემდეგ დიდხანს ეთათბირა სამაზრო ჩეკას უფროსს და თბილისიდან სპეციალურად მამარებულ მოხელეს. ყველაფერი აწონ-დაწონეს,

ყველა ვარიანტი და შესაძლებლობა ათასნაირად მოზომეს. ყაჩაღებზე თავდასხმის გეგმასთან ერთად სამოქმედო რუკაც მოხაზეს. ჩოხატაურის მილიციის უფროსს დაწვრილებით გამოჰკითხეს ზებედე ვინაობა, ადგილსამყოფელი, სამსახური, ისიც შეამონწეს, რამდენად სანდო იქნებოდა მის ცნობებზე დაყრდნობა, დაწვრილებით გამოიძიეს, გუთურის ბოლოს მართლა ჰქონდა მცველობას ადგილი თუ არა და მოკვლევი იყო თუ არა მართლა მეურნეობის გამგე გიტო შარაშიძე.

ლაშხმა გორა-ბერეჟოვლის ტექნიკუმის გამგესთან, სიმონ ქარცივაძესთანაც მოახერხა საიდუმლო კავშირის დამყარება და ბევრი მათთვის საინტერესო რამ გამოიძია.

საეჭვო არაფერი იყო. კვირას, დაახლოებით ორ საათზე, გორა-ბერეჟოვლში თავყრილობა ექნებოდათ გურიის ყაჩაღებს და დამსჯელ ექსპედიციას შესაძლებლობა მიეცემოდა ერთი ხელის მოსმით მოესპო ტყეს თავშეფარებული დევნილები. შემთხვევა და მოსალოდნელი შედეგები მეტად სახარბიელო იყო და ობოლაძე-ლაშხმა გადაწყვიტეს, თავის მხრივაც ემოქმედათ, არავითარ მსხვერპლს არ მორიდებოდნენ, ოღონდ გამარჯვებისათვის მიეღწიათ.

გადაწყდა, მთელი ძალები დაერაზმათ და აემოქმედებინათ.

გამოიწვიეს ლანჩხუთ-ჩოხატაურის ჩეკა-მილიცია. დამსჯელი პოლკის ქვედანაყოფებს საგანგებო და საიდუმლო დავალება მისცეს.

შაბათ ღამით სუფსა-გუბაშოლის სამკუთხედი ერთიანად შეიკვრებოდა და გორა-ბერეჟოვლიდან გამოსასვლელი ყველა გზა, ბილიკი, ეზოები და პატარა ლელე-ნაკადულების მისადგვარი მთლიანად ისე ჩაიკეტებოდა, რომ იქიდან ჩიტიც ვერ გამოადნეკვდა. სუფსა-ბერეჟოვლის გაღმა-გამოღმა ნაპირები საგანგებოდ გაამაგრეს, ზოგიერთი გასასვლელი გარკვეული მოსაზრებით ღიად დატოვეს, მაგრამ დანაძიმეს. ბერეჟოვლის, ხიდისათვის, იანუღ-ბუკის ციხის გზები დაქოქირებული მცველები ჩახერგეს, ის რამ ამ მიმართულებით ყაჩაღებს უკან დახევა ვეღარ მოეხერხებინათ.

ობოლაძე-ლაშხის ვარაუდით, ხაფანგში გაბმული მხეცი განწირულად მიაჩნდათ და წარმოდგენილი გამარჯვების მიღწევით წინასწარ ტკებობდნენ და ზეიმობდნენ.

ობოლაძე-ლაშხი, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ორმოცდაათი რჩეული ცხენოსანი ჯარისკაცი დილის ცხრა საათზე გამოვიდა ოზურგეთიდან. თვითონ ეტლში ჩაბრძანდნენ და, საზეიმოდ გამოწყობილნი, გამოემართნენ ბრძოლის ველისაკენ. მეეტლის გვერდით ყველაზე მეტად გამოცდილი და საგანგებოდ შეიარაღებული ჩეკისტი მოთავსდა, ისე,

სხვათა შორის, ყოველი შემთხვევისათვის, მიღებული წესის დაცვა-შენარჩუნებისათვის.

რაზმს ებრძანა ორად გაყოფილიყო, ოცდახუთ-ოცდახუთი ჯარისკაცი. თითოეულ მათგანს შემონმნებული, უშუშარი და გამოცდილი მეთაური ჩაუყენა სათავეში. ეტლი მთელ გზაზე რაზმებს შორის ივლიდა. ჯარისკაცთა წინა და უკანა ჯგუფი ოცი-ოცდაათი მეტრის დამორებით მოპყვებოდა ეტლს და ეს მანძილი ობოლაძის განკარგულების გარეშე არ უნდა შეცვლილიყო, მცველ ჯარს განკარგულება მიეცა, საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყო დანიშნულ ადგილზე მისვლამდის.

გორა-ბერეჟოვლის ირვლევი განლაგებული ძალები თავიდანვე იყვნენ გაფრთხილებული, რომ საგანგებო განკარგულებამდის თავი არ გამოემუღვანებინათ, ყაჩაღებისათვის მოესპოთ შეტევაზე გადმოსვლის საშუალება.

შეტევის დაწყების ნიშანს ობოლაძე მისცემდა ჩასაფრებულებს და შემდეგ ყველაფერი წესითა და რიგით წავიდოდა.

გასცდნენ სოფლებს, ნატანების ხიდი უკან მოიტოვეს, მუდგდნენ მქმხერი ტყით დაფარულ ნასაკირალის აღმართს, მიაღწიეს ოდნავ შემადლებულ გადასასვლელს, დაღმართი უფრო შესამჩნევი გახდა, გზა დაფიწროვდა, მოსახვევით გახშირდა. ცას თანდათან შავ-ნაცრისფერი მოეძალა, ნისლი ტყისა და გზის გასწვრივ შედედდა, ხილვადობა ისე შემცირდა, რომ წინა და უკანა რაზმი ძლივს უნდნენდა თვალს ერთმანეთს. წერილი, ბუტყა ნიშმა შემპარავად წამოვიდა. ისედაც ძნელად სავალი გზა ატალახდა, ცხენებს ამოწრილ ქვებზე ფეხები უსხლტებოდათ და ეტლიც ხმაურითა და გრუსუნით მიიკვლევადა გზას წინ.

ნისლოდებულ ტყე და ბუჩქნარი უფრო შემჭიდროვდა, ჩაშავდა, ჩაზნულდა. უხმაუროდ მიინევიდნენ რაზმები წინ. სამწყობრო სელა არ დაურღვევიათ, ეტლამდის თავიდან დაჭერილი მანძილი არ შეუცვლიათ. მაგ ზაერნიც არ შეხვედრიათ გზაზე. ასე გაგრძობდა, ამ მთავარ გზა-შარაზე ფეხი ყველას ამოეკვიათ, მხოლოდ ერთადერთი ტვინთმოკიდებული დედაბერი შემოხვდათ გზაზე, ისიც – სოფლიდან გამოსვლის დროს. ეს იყო და ეს. გასაკვირი ის იყო, რომ ფრინველებიც საღლატე ვადაკარგულიყვნენ, მხოლოდ შაშვის ქახქახი მოისმოდა ტყის პირიდან; იშვიათად მარტოხელა ყვავი ვადაუფრინდა ხის კენწეროებს და სუფსის ქალებისაკენ მიემუხრებოდა.

გოგია ლლონტის რაზმი გარეგნული სიმშვიდით, მაგრამ შინაგანი მიღწევარებით მოელოდა მტრის გამოჩენას. გოგამ კარგად იცოდა, რომ ვინც ასწრებდა, ის ბრძოლის შედეგს თავის სასარგებლოდ წყვეტდა. ეს ალღო თავიდანვე გამოუმუშავდა ლლონტს და მარცხი ერთხელაც არ განუცვია. მაგრამ ახლა სულ სხვა იყო. ასეთ მრავალრიცხოვან,

ც/ს/ა

საგანგებოდ შეიარაღებულ, საბრძოლოდ განწყობილ და ბრძოლაში ნაწრთობ რაზმებს არასოდეს შეხედრიდა. გოგიას ჯერ კიდევ ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლიდა ამ გადაამწყვეტ უთანასწორო შებმა-შერკინებას ასე საგანგებოდ მომზადებულ მტერთან.

ამგვარ ფიქრებში იყო გოგია ლლონტი, მაგრამ სიფხიზეს ერთი წამითაც არ კარგავდა. სწორედ ამ დროს მოესმა აჩქარებული ცხენების ფლოქვების ერთობლივი და შეწყობილი ხმა, ეტლის ბორბლების გრუსუნია. მოსახვევში, შეთხელებულ ნისლში, ცხენოსანთა მწკრივების ლანდი გამოჩნდა. დამსჯელი რაზმის ნაწილები და ობოლადის დიდაკაცური ეტლი სწრაფად უახლოვდებოდა დევნილთა საფარს.

ბრძოლის დაწყების ნიშანი გოგია ლლონტს უნდა მიეცა.

კიდევ სამი წამი... ორი... ერთი... და ეტლი სანიშნეს გაუსწორდა. გოგიამ ალქაჯური სისწრაფით ყუმბარა ეტლის წინ გადააგდო და აფეთქების ხმამ არემარე შეარყია. დაეცნენ დაჭრილი ცხენები, კოვოზე გადაეკიდა დაჭრილი მეეტლე. მცველმა ჩეიქტმა მოხლოე გასროლა მოასწრო რევოლვერიდან, მაგრამ ზუსტად უნია ხათუნას ტყვიამ და მოცელილივით მიწაზე განერთხა.

აფეთქებამ ეტლი ხათუნას მხარეზე გაისროლა და გზის ნაპირს მიანარცხა. ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ გაცნძვდა და მდგომარეობაში გარკვევა ცოცხლად დარჩენილებმა ვერ მოასწრეს.

ამ დროს ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით კიდევ ორი ყუმბარა აფეთქდა. რაზმის წინ და უკან მავალი ნაწილები ჰაერში ავარდა და ცხენაკაცთან დახოცილები მიწაზე დანარცხნენ. აფეთქებას მალურის ჯერიც მოჰყვა. აბობოქრებულ დევნილთა შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეეძლო. ახლა მთავარი იყო, როგორ შე სიკვდილის ბრჭყალებიდან დაეღწიათ თავი, უფროსების მიშველება-გადარჩენაზე არავინ ფიქრობდა. ორი კილომეტრით რომ დაშორდნენ აფეთქების ადგილს, მაშინ მოეგნენ გონს, მაგრამ უკვე გვიანდა იყო, საქმის გამოსწორება აღარავის შეეძლო.

ცოცხლად გადარჩენილი ობოლადე-ლაშხი ნახვრად დაღვნილ-გადაბრუნებული ეტლიდან, როგორც იქნა, გამოძვრნენ, მტერი არსად ჩანდა, რევოლვერმეორთულები მცველებს მოუხმობდნენ, ტყვიებს ჰაერში ისროდნენ, მაგრამ ირგვლივ შიშმა და სიკვდილს გაეშალა ფრთა და აღარაფერი ჩანდა.

ორჯერ გაისროლა ხათუნა მუხამავრიამ და ორივეს მარჯვენა გადაემხვრათ მავაში. მარტოდ დარჩენილ ჯალათებს. არ დაიბნენ ობოლადე ლაშხი, ტყვილის სიმწარე დაძლიენ და მარცხენა ხელი ნაგანები იშოშველეს. მარცხენა ხელი ობოლადეს ლლონტის ტყვიამ ნაწყვიტა. ხათუნას ტყვია ლაშხს მოხვდა და ამართული ხელი ძირს დაუცურდა.

ვეფხვებოვით მიიჭრნენ ეტლიან გოგია და ხათუნა, გოგიამ ძირს დაცემული ობოლადე ფეხზე წამოაყენა, ყბაში ნაგანი მძლავრად ამოჰკრა და მრისხანედ შესძახა:

- ხომ მიცანი, ლაჩარო ჯალათო! რასაც დაგპირდი, შეგისრულე! ახლა რომ ილოცო, ხელებიც აღარ დაგემორჩილება, ვეღარ ალაყვრო ზეცისაკენ, ვაჟაკცმა რომ ამოგახადოს სული, ამის ღირსიც არა ხარ. ხათუნა! - მიმართა ცოლს გოგია, - გაისტუმრე ეს სულაყროლებული მიქელ გაბრიელიანს! ხათუნამ ქმრის სიტყვას დასრულება არ აცალა, ისე დაახალა ორი ტყვია გულის არეში.

მაგრამ... ერთდროულად მესამე გასროლაც გაიგონა ხათუნამ და გოგიას მარცხენა მკლავიდან სისხლმა გადმოსჩქეფა. ახლა შეამჩნია ცოლ-ქმარმა, რომ ლაშხს დაჭრილ მარცხენაში რევოლვერი ეჭირა, მეტის შეკავება ვერ შეძლო და ძირს დაუვარდა.

გოგია ლლონტმა სახეში მძლავრად ჩაარტყა რევოლვერი, შემდეგ ნიხლი ამოჰკრა და იქვე თხრილივით გადაავლო. მერე ხათუნას უბრძანა:

- ობოლადეს მიქელ-გაბრიელი უმეგობროვდ არ მიიღებს. ამ ლაჩრის აქოთებული სული და ხორცი ძმაცაცს მიანიე.


შუბლში მოხვედრილმა ტყვიამ კეფა გაარღვია და ობოლადის უძრავ გვამს დაემხო ლაშხის უსულო სხეული.

ხათუნა მუხამავრიამ ყბაღახი მოხიდა. გოგიას ტყვიით გაკანრული ხელი შეუხვია, მკვდრებით მოფენილი ბრძოლის ველი სწრაფად დატოვეს და ტყეში გაიჭრნენ.

გოგიამ სამეჭერ გაისროლა მალურად ნყვეტილად. ხათუნამ კი მცირე პაუზის შემდეგ კარაბინი დაცალა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მთელი ოპერაცია წარმატებით დამთავრდა და დევნილი ძმები ძიმი-თის მიმართულებით გასწევენდნ და იქ, წინასწარ დათქმულ მუხნარში, შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

გადარჩენილი დამსჯელი რაზმის ნაწილები, ჩეიქტები, მილიციელები დაგვიანებით და უნეს-რიგოდ მოაწყდნენ ნაომარ ადგილს. საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ. უსახელოდ დახოცილებს აღარაფერი ემველებოდათ. საკაცებე დასვენეს და ოზურგეთის გზას გაუყვნეს.





## ელგუჯა მატღია

### ბავშვობის მდინარის – ენაშრის მონატრება

ვერ ბრუნდებიან სათავისკენ ორაგულები  
ქვირითობისას... მერე მშვიდად ველარ კვდებიან;  
როგორც პატიმარს ნართმეული თავისუფლება,  
ძველი სილალე და სიურჩე მოგნატრებია.

მახსოვხარ ოდით მქუხარე და დაუდეგარი,  
თევზით მდიდარი, აყვავებულ ქალით ზვიადი...  
დაპატარავდი ისე, როგორც შენი ქვეყანა,  
დაპატარავდი, მეგობარო, და დაჩიავდი...

შენი ხმა უკვე აღარ მესმის დიდი ხანია,  
შენი შრიალი... და გაბმული შორი ძახილი...  
და დაღონებულს ზღვისკენ შვებით მიგიხარია,  
ზღვამ ჩაგიხუტოს მდუმარე და პატივყარილი.

ზღვა არის შენი სამუდამო, მყუდრო სავანე,  
შეგისრუტავს და სილურჯეში აითქვიფები...  
ტანზე მზის სხივთა დაგეყრება იასამანი,  
ხსოვნის რეკვიემს გიმღერებენ თეთრი ნიშვები.

## რიზისპურიზა

*დავით თედორაძის, ვახტანგ ლლონჯის  
სანდრო ბერიძისა და ჩემი მონაწილეობით.  
ერვე, 2 ივლისი, 2004 წელი.*

ცოტა ხანი აქ დამტოვეთ, ნუ წამიყვანთ ერგედან,  
სადაც ბუდობს პოეზია, ზღაპარი თუ ლეგენდა...

ამ გარემომ დამატყვევა, უცებ მომაჯადოვა,  
სიტყვით რალას გავაკვირებ ფერადსა და ხატოვანს...

აქ თავს უნდა ჩავუღრმავდე, თვალი რომ ავუხილო,  
ალალი და მალამოა მასპინძელის პურ-ღვინო...

მასპინძელი მხიარულო, ნაქები გაქვს საუფლო,  
ცასთან ისე ახლოსა ხარ, ლამაზი ჩანს ცა უფრო...

აქ სხვა სხივი იბადება, ქრის სხვაგვარი ნიავი  
და აქ აღარ მეშინია ლალატის და სიავის;

აქაც გალობს მაფშალია, ჩემი სიყრმის ფრინველი,  
აქ აჭარას ესიტყვება ამერიც და იმერიც...

აქ სხვა დილა გათენდება, სხვა იქნება სისხამი,  
მომღერალი ჩანჩქერის ხმა, იდუმალი ტყის ჩქამი...

შევაბიჯებ სიჩუმეში, როგორც წმიდა საყდარში,  
და ბუნების ვრცელ ბიბლიას სასოებით გადავშლი...

ცოტა ხანი აქ დამტოვეთ, ნუ წამიყვანთ ერგედან,  
სადაც ბუდობს პოეზია, ზღაპარი თუ ლეგენდა...

## ტრემლის სერენადა

მოხეტიალე, ვით ბედუინი,  
შენ მაინც სხვისთვის არ გემეტები;  
და იცრემლები... თითქოს ბუდიდან  
ამოფრენილან თეთრი მტრედები.  
ისე ვილევნი და ვიფანტები,  
როგორც სველ თოვლზე ნაფეხურები...  
ჰა, ჩემი სულიც – თოვლის ფანტელი,  
საცხე ქარებით და ბელურებით...

საით მიერეკება  
 ზედაზნიდან ქარი  
 ღრუბლებს... ან ეს ღრუბლებიც  
 საით მიიქარის...  
 სხვის ცაში არ იქროლო,  
 ჩემი ზეცის ქარო...  
 სხვის მინაზე ვინ ხარობს,  
 შენ რომ გაიხარო...  
 ჩემი ზეცის ღრუბლებო,  
 ზედაზენზე დარჩით...  
 და ზეციურ მხედრობას,  
 წარუძეხით მარშით...  
 ჩემო ზღვაე და ხმელეთო,  
 თუ არ მოგიარე...  
 ბობოქარი ჩავითრევს  
 ბოლოს ოკეანე...

### ზამთრისპირის საღამო

ნეტა, მთანმინდაზე ამიყვანა,  
 თბილისს გადავხედო მთანმინდიდან...  
 თოვს და ჰაერივით ეს ქვეყანაც  
 თითქოს ცოდვებისგან გაიმინდა.

უცებ ნოემბერმა გააოცა,  
 ყველა უბანი და ყველა ქუჩა...  
 თოვლით მოზეიმე საღამოს ცამ  
 ლამის სატკივარიც გააყურა.

თუმცა მარადიულ ცოდვის ტალახს  
 შენც ვერ მოგვაცილებ, ნატვრისთვალო...  
 მინდა, თოვლში ვიდგე, თოვლში, ახლა,  
 მინდა, ფანტელები დავითვალო...

ბარდნის გაბმულად და ნება-ნება,  
 ფანტელს მონატრების დარდიც მიაქვს...  
 ახლა ადვილია პატიება,  
 ახლა შეყვარებაც ადვილია...

ახლა ლამაზია ეს ქვეყანა,  
 თოვლის მკლავებში რო გაირინდა...  
 ნეტა, მთანმინდაზე ამიყვანა,  
 თბილისს გადავხედო მთანმინდიდან...



ციკლიდან: „სიჯლის ხანასაწყობი“

## ეტიუდი

საოცარია ზამთრისპირის  
 დილა სისხამი:  
 კაკლის ხეები ნაყოფივით  
 ჩიტებს ისხამენ...  
 და ბუხრის კვამლიც  
 იტოტება, მიიკლაკნება  
 ნაკადულივით ცის წიაღში  
 და... იკარგება.  
 ძალლი ყეფს...  
 შორით ხრინიანად ყვივის მამალი...  
 თვლემს ირგვლივ თეთრი მდუმარება –  
 თოვლის ტრამალი.

## წუხილი

ცივა. ბუხართან ვზივარ  
 მთვრალი და მოზუზული;  
 მამა აბოლებს...  
 დედაჩემი ჩემად ბუზლუნებს...

რამ გამოლიოს  
 საფიქრალი და სანუხარი?..  
 რალაც ვერ ათბობს ძველებურად  
 ოთახს ბუხარიც...

სერავს ყიამეთს  
 ლამპის შუქი, ჭრაკის ციმციმი,  
 არც ძველებური ქეიფია,  
 აღარც სიცილი...

იხსენებს მამა  
 უწინდელი დროის პურ-მარილს –  
 სანატრელიც კი გამიხდაო  
 უკვე სტუმარი,–

წუხს... და სოფელი –  
 ლხინის შემწე, ჭირის გამტანი –  
 ისეთი ცივი მეჩვენება,  
 როგორც ზამთარი.

## მიპატიჟება

წამო, განახო, ჩემი პალური,\*  
 ბავშვობა – აქვე გადამალული...  
 ჩემი ნერჩი და ჩემი სავანე,  
 მე რო ნიადგ ზრუნვას მავალებს...  
 წამო, განახო ვრცელი ცარგვალი  
 და ჩავახუტო ნაღდი მარგალი.  
 განახო ცის და მიწის კავშირი, –  
 კავკასიონი ლალად გაშლილი...  
 წამო, შეეახტეთ ცხენებს უბელოს,  
 მშობლიურ კერას სული ვუბეროთ...  
 განახო ტყის და ყანის შრიალი  
 და ვარსკვლავების იალკიალი...  
 გავშალოთ ტაბლა ლაზათიანი,  
 ვიკითხოთ ლადო ასათიანი...  
 მამისეული ვწრუპოთ ადესა,  
 მერე ენგურზე გავშლით ბადესაც;  
 განახო, რაც არ გქონდა ნანახი,  
 როგორ მოჰყვება ბადეს კალმახი.  
 როგორ თენდება, როგორ ლამდება,  
 რა მიხარია და მენატრება...  
 წამო, განახო ჩემი აკანი,\*  
 ვიგრძნოთ სურნელი სათიბ-სამკალის;  
 მოგასმენინო მამლის ყივილი  
 და ბელურების ჟივილ-ხივილი.  
 მოგასმენინო შაშვის გალობა,  
 განახო, ღმერთმა რაც გვიწყალობა...  
 განახო, თუ სად მედგა ჯარგვალი,  
 სად საზედაშე თვლემდა ლაგვანი.\*  
 განახო მზის და მთვარის ქორნილი,  
 სახლი ალალი და დალოცვილი.  
 რაც არ გინახავს, წამო, განახო,  
 მინდვრად ნახირი როგორ ბალახობს.  
 განახო, ფურებს როგორ წველიან,  
 დედის ხელებს რომ მიწის ფერი აქვს.  
 განახო ყველი, თოთო ბავშვივით  
 სვენებ-სვენებით ამოყვანილი...  
 მე რომ ამ ლექსის წერას მკარნახობს,  
 წამო, მთა-ბარი ჩემი განახო.  
 და წაღენჯიხა რითაც ამაყოფს –  
 ჩემი გულუხვი ხალხი განახო.

\*პალური – ერთ-ერთი უძველესი სოფელი წალენჯიხის რაიონში, სადაც აღმოჩენილია ნეოლითის დროინდელი სამარხები; სულხან-საბას განმარტებით, „პალური“ არის სათევზაო ადგილი, სადაც კალმახი იცის...

\*აკანი (მეგრ.) – მხარე

\*ლაგვანი (მეგრ.) – ქვეური

## ოდა ოდას

მე რაც ახლა მბაბდია  
 ან აქამდე რაც კი მქონდა;  
 მირჩევნია ნაბადივით  
 გათელილი ძველი ოდა...  
 იმ ოდაში სხვანაირი  
 სიყვარული ნადიმობდა  
 და ბაბუას მარანივით  
 მხიარული იყო ოდა.  
 ბაჩაჩია\* მერეკელა\*  
 ვარსკვლავებით იცინოდა;  
 ბარბანჩია\* იყო კერა  
 და გულთბილი ჩემი ოდა.  
 ბირკული რო ბირკულობდა,  
 ბოკონი რო ბოკონობდა;  
 სიბერიტაც დიდგულობდა  
 და როკივით\* იდგა ოდა.  
 სხვანაირი წვიმა წვიმდა,  
 სხვანაირი ქარი ქროდა;  
 იმ შატარა აივნიდან,  
 თვალი ცისკენ გამირბოდა.  
 დაბზარული კრამიტიდან  
 ალიონი ილიმოდა;  
 ჭირვეული ამინდივით  
 მოქუფრულიც მახსოვს ოდა.  
 წლებისაგან ფერწასული  
 უამმა აღარ შეიცოდა;  
 იმ ოდიდან მე წარსულის  
 მონატრება მეძახოდა.  
 ის სიმღერაც ყურში ჩამრჩა:  
 „ჰოუ, ნანა, ჩქიმი ცოდა...“\*  
 სადღა არი ჩამიერი,\*  
 ბაბუშული\* ძველი ოდა...

\* ბაჩაჩია (მეგრ.) – მშვიდი

\* მერეკელა (მეგრ.) – მთვარიანი ღამე

\* ბარბანჩია (მეგრ.) – გულზე ზა ცეცხლი


\* როკი (მეგრ.) – ძელქვა

\* „ჰოუ, ნანა, ჩქიმი ცოდა“ (მეგრ.) – „ჰოუ, ნანა, ჩემი ცოდა“

\* ჩამიერი (მეგრ.) – პურადი

\* ბაბუშული (მეგრ.) – მამაპაპეული

●  
 შემოგეჩვია მწუხარება და ფორიაქი  
 და ტვინში ღვივის ფიქრი-ტანჯვა,  
 როგორც თრიაქი...  
 ფიქრი, რომელიც ხან გაფითრებს,  
 ხანაც გაოცებს...  
 ფიქრი ყოფითზე,  
 სიცოცხლეზე,  
 სასაფლაოზე...  
 ახლა ქარია,  
 ჩამოძენძეს ქარი კედრებმა...  
 როცა მთვარეა,  
 ფიქრი მთვარეს შეეკედლება.  
 როცა თოვია  
 (თოვია ზამთარს როგორც შეჰფერის...)  
 გახშიანდება ფიქრი,  
 როგორც ლექსის რეფრენი...  
 ამ წყვილიადიდან  
 სინათლისკენ მიემართები,  
 მოაქჟამამდე გზას გინათებს  
 ფიქრი-სანთელი.  
 ფიქრი-ოცნება,  
 ფიქრი-ლოცვა,  
 ფიქრი-ვედრება.  
 ... ახლა ქარია,  
 ჩამოძენძეს ქარი კედრებმა.  
 ... რადგანაც მიწა საესავი  
 ბრმა და ყრუ არი,  
 ცაში მთავრდება ფიქრიანი  
 გზა უტყუარი...



# გნტი ღმლიძე

## სევდიანი სალალგო ბათუმს

*ვახტანგ ლლონტს*

ბათუმი არის წვიმის აფიშა  
 და ღმერთის გულის ფეთქვა მკაფიო.  
 ლექსამდე სველი ვზივარ კაფეში,  
 ფინჯანი ყავის ორთქლთან ვკაფიობ...  
 მავსებს წვიმების აპლოდისმენტი –  
 ჩემი ომეგაც და ჩემი ალფაც...  
 ასე გულდასმით არ მოვისმენდი  
 ზეციდან რომ არ წვეთავდეს, ალბათ...  
 ასე მზესავით არ მოვიწყენდი  
 (და სხვა მონყენის სურვილი არც მაქვს)...  
 გულით ვატარებ ყელზე მიწყვეტილ  
 ჩემი ძმის ნაქონ თითბერის ჯვარცმას...  
 ხშირად ვიხსენებ ფეხით გათელილ  
 და მოყინული კვირტების მარშებს  
 (ო, რა ამაყი, ო, რა ნათელი,  
 ო, რა მართალი იყავი მაშინ...)  
 და ვერ ვივიწყებ ამ ძველ ბიჭებსაც  
 სულ რომ არ ჰგვანდნენ სახით იმ ახლებს...  
 ხელში გვეკავა მზე და ბეჭებზე  
 გვედგა ბათუმურ ზეცის სიმაღლე...  
 რა დაბალია მთვარე ამალამ,  
 ზღვისპირას ღრუბელს ბეჭი აჰკარი...  
 ყველა ობოლი ბიჭის მამა ხარ  
 და უბინაო კაცის სახლ-კარი...

ღამაში ქალის სუფთა აურა,  
 უდედო ბავშვის საღამოს ლოცვა,  
 მზის სიმფონია, ზღვა და აუუ რააააააააააააააა  
 სანახავი ხარ ყოველთვის, როცა  
 მზეს შემოიდებ ღომის თათივით  
 და ზღვაში სიზმრებს ააციმციმებ,  
 მე შენი ქუჩის დეპუტატი ვარ  
 შენი კაცური სიტყვის სიმძიმე!  
 წვიმა წვიმაში დგომით გაცივდა...  
 მზე ზეცას

მ

ო

ს

ნ

ყ

დ

ა

როგორც ატომი...

მადლობა უფალს, რომ ვარ კაცი და

ჩემი სახელი არის

ბ ა თ უ მ ი!

## ნაავღრალი

*ჩემს ძმას, გიორგი გაბაიძეს*

ღამპიონები თითებს უთბობს ორთქლით ნოემბერს  
 და შემოდგომა ზამთარს უთმობს წვიმას, ქოლგასაც,  
 რადგანაც ანწყო უკვე აღარ ესათნოება,  
 მეტეხთან ცხენით შეუტოპავს მტკვარში გორგასალს,

ჰა, ფიქრი ისევ შევახიე ბარდისფერ ეკლებს...  
 გამეჭრა ლექსი და სტროფიდან წვეთავს გულისთქმა,  
 ხელმოცარული ბლავის ჩემში მეფე ერეკლე,  
 ამდროს ვიღაც კი სამ ასოს და სინდისს ურითმავს...

მე მეჩვენება სადღაც ჩვენში ყვირის დავითი...  
 და სადღაც სხვაგან სხვა დავითი გლოვობს ცუდ ამინდს,  
 ამდენ ტკივილებს ორ მჯილ გულში მანამ დავიტევთ,  
 სანამ სამყაროს გადაუღლის ცრემლის ცუნამი...

სანამ დასავლეთს დაატყდება მეორე წარღვნა,  
 აღმოსავლეთით გამოჩნდება ისევ მესია.  
 მითხარი ერთი, საქართველო ასე რამ გარყვნა?!  
 რამ დაამგვანა ნასახლარს და ნაეკლესიარს?!..

ცხვირიდან წვიმა ძმრად აღინა ამინდმა ზამთარს,  
 დღემ თავის ნებით გაითხარა ღამით სამარე...  
 გადაიკეთა სახელი და დაირქვა თამთა...  
 და აატირა ნაფრესკალი წმინდა თამარის...

გოგომ, რომელმაც სიყვარულის იწამა ამწამს,  
 გოგომ, რომელიც თითებს იბობს სანთებულათი...  
 გოგომ, რომელიც საშუალებას, შეილისგან დამცავს,  
 თანმიმდევრობით მოიხმარდა სპექტრულ-ფერადი...

ბედმა ინება – ნადრევად დაგვჩემდა გლოვა,  
 ველარ დავუცდი, სანამ ვინმე სანთელს ამინთებს...  
 თბილისურ ზამთარს სადაცაა წასკდება თოვაც,  
 რა დაგვრჩენია – დაველოდოთ მზიან ამინდებს.

## ქა-რთული

ამოვიღე მკერდიდან და უკან არ ჩამეტია...  
 მოვატარე ზეცა, ანუ ქვეცის ზედა სართული...  
 ჩემს გულს ჩემზე გაცილებით ტრაგიკული ბედი აქვს:  
 ჩემი ბედი რთულია და მისი უფრო ქა-რთული.  
 შემოღამდა... ღრუბელივით გადავაფენ სატიკვარს  
 ღამეს ვარსკვლავმთვარიანს თუ ღამეს ვარსკვლავმტვერიანს.  
 გული აბედ კვესია და მისი მეხის ზათქი ვარ.  
 გული ჩემი ძმა არის და გული ჩემი მტერია –  
 ჩემი თანამოტიკვილე, ჩემი თანამოაზრე.  
 ჩემი თანა, ჩემისთანა, ჩემი დანა ---- ნარცხები...  
 არ დანებდე, იამბოხე, გულო, სანამ მოასწრებ...  
 სანამ ფეთქვას შეიძლებ და სანამ სისხლით გაძლები...  
 უკანასკნელ დაკვნესებას შენვე ფონი დაადე,  
 ისევ ბაგაბუგითა და არა ფოფოეთი...  
 დანიყება მალე ერთი ბენდინერი საათი,  
 დამთავრდება როცა ერთი უბედური პოეტი...  
 შევცოდე და მაინც უფალს, მაინც უფალს ვუგალობ,  
 ახლა სადღაც დავმთავრდი და სადაც ვიწყებ თავიდან...  
 გვედრები მხოლოდ ეს „ქა“ მომირჩინე უფალო  
 „რთული?“ ამიტანია და, ალბათ, ანიც ავიტანა!..  
 ამოვიღე საგულედან – უკან არ ჩამეტია –  
 უნებართვოდ მემამბოხე ფეთქვანებადართული.  
 ჩემს გულს ჩემზე გაცილებით ტრაგიკული ბედი აქვს,  
 ჩემს გულს ჩემზე გაცილებით ვაჟაკური ბედი აქვს,  
 ჩემს გულს ჩემზე გაცილებით საამაყო ბედი აქვს –  
 ჩემი ბედი რთულია და მისი უფრო ქა-რთული...

## ერთი ხელით

ერთი ხელით ცოტნე ვზარდეთ, მეორეთი – ბალვაში.  
 ერთ ხელს ომში ვიყენებდით, თოხნასა და ბარვაში,  
 მეორეთი ძმას ვახრჩობდით, თითს ვუქნევდით ნათესავს,  
 ხან ვანგრევდით წინაპართა ნალაციცარ-ნაკვესარს.  
 იყო დრო და ვიკაენეთ, ხანაც ვიიაფეტეთ,  
 ხან მტერს თავი დაუხარეთ, ხან ძმას მუშტი ვაფეთეთ...  
 ერთი ხელით სადედოფლოდ გამოვზარდეთ ლომქალი,  
 მეორეთი წინამურთან საქართველო მოვკალით...  
 ხან ვუცქერდით მზიან ღამეს, ხან უმზეო აისებს,  
 ხანაც ვიცხრააპრილეთ და ხანაც ვიექესმაისეთ.  
 თავს რომ ვიქებთ, გაგვიზრდია აკაკი თუ ილია...  
 გავისხენოთ, საფარბეგიც ჩვენი გამოზრდილია...  
 ცალი ხელით ზარებს ვრეკდით, იალბუზი დავძარით,  
 მეორეთი დავანგრეთ სამრეკლოც და ტაძარიც...  
 მეორდება ისტორია თავიდან და ბოლოდან,  
 ალბათ, ჯობდა თავიდანვე ცალი ხელი გვექონოდა.

## ათას ცხრაას ოთხმოც და

*ქველნება პურის რიგში ბავშვობადაკარგულ  
 80-იანების და 90-იანების თაობას.*

დაბადების თარიღი – ათას ცხრაას ოთხმოც და...  
 დაბადების ადგილი – დასანგრევი ქვეყანა.  
 ყველას თავის ანგარიშს ისტორია მოთხოვს და  
 გული არ გამიძლებდა, ცოტა რომ დაგვეხანა.  
 ვთამაშობდით ქვიშაში და ბავშვობა წაგვგლიჯეს  
 (ეგებ, ვინმე თუ არა, ქარი მაინც მომიტანს)...  
 ვისხედით და ვუთვლიდით საქართველოს ნაბიჯებს.  
 ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს – გაქცეულს აფხაზეთის ომიდან.  
 ისტორია თავისას თავისთავად აგვარებს,  
 ბავშვი ყველა ბავშვია – ქართველიც და აფხაზიც...  
 რადგან მეც ხომ სხვასავით, საქართველოს მაგვარად,  
 ქვეშინურით გამყვეს და განაყოფთან გამხაზეს.  
 ყველა, ვინც კი გულმკერდის ძმათა სასაფლაოზე  
 ვაგნებთ გულის საფლავს და არ მივიჩნევთ თავს ობლად –  
 ვდგავართ პურის რიგში და ვიცით თითო დაოსილს  
 გვინევს თითო პური და ასი გრამი ბავშვობა...  
 ო, რა გემრიელი და ცრემლიერი ძღვენია,  
 ცრემლში ცურავს ტივი და იმედია მეტივე...  
 დახეული ოცნებით დავდივარ და მრცხვენია,  
 რადგან ჩემს სამშობლოზე სამშობლოთი მეტი ვარ!



## ბაბუ

მზე ჰკივდია ზღვების გაღმა გაღვივებულ ბუხართან,  
 როგორც ახლად გამომცხვარი ცხელი კეცის მჭადი...  
 ძველ ნაბადზე ნანოლილი წარსულელებზე ვწუხვარ და  
 მთვარე, როგორც წველა ყველი, მყინვარწვერში ჩადის.  
 სანამ ცეცხლი საბოლოოდ წითელ თვალებს მინაბავს,  
 ურწევს არწივს ჩემი ცოლი კავკასიურ აკვანს  
 და კედლიდან გადმომზირალ ვერმოსწრებულ წინაპარს  
 ვეუბნები: – აქ ვარ, ბაბუ! მოვედი და აქ ვარ!  
 მოვედი რომ ავაშენო, ავაჩემო თავიდან  
 ოსმალთაგან გადამწვარი მუხის ძველი ოდა.  
 ბაბუ, ის დრო აღარ არის, ბაბუ, ის დრო წავიდა!  
 – დანგრეული ეკლესიაც ავაშენეთ, ჰოდაააა,  
 ჰოდა, ბაბუ, წელს პირველად შენი თოფიც ვაჭექე,  
 ომში არა, მაშინ, როცა შემეძინა ვაჟი...  
 მერე ჩვენი იზაბელაც მივაცალე რვა ჭიქა,  
 სიხარულით მე და სუფსა თავს ვიღრჩობდით ზღვაში...  
 ამ მხარეში რომ იყავი სიმღერებით ცნობილი,  
 მეც შენსავით ნამეტარი ნამეხარი ხმა მაქვს...  
 ბაბუ, მეც მყავს ერთი კაი აჭარელი ძმობილი  
 გულიანი, ქრისტიანი, ათი შვილის მამა...  
 სანამ ცეცხლი საბოლოოდ წითელ თვალებს მინაბავს,  
 ურწევს არწივს ჩემი ცოლი კავკასიურ აკვანს  
 და კედლიდან გადმომზირალ ვერმოსწრებულ წინაპარს  
 ვეუბნები: – აქ ვარ, ბაბუ! მოვედი და აქ ვარ!

## ბალაკტიონის უკანასკნელი ლოცვა

შევცოდე და მაინც უფალს,  
 მაინც უფალს ვუგალობ...  
 თუმცა ამ გულს გულზე ცრემლმა  
 ბევჯერ გადაუარა,  
 გვედრები, ფანჯარასთან  
 ნუ მიმიშვებ, უფალო,  
 თორემ მერე სულ ერთია,  
 გადავბტები თუ არა.



# იბმა მებრძვიშვილი

## სატკივარი აფხაზური...

*მეტეხის ტაძრის  
წინამძღვარს მამა აკაკის.*

დავცქერ ჩემი ქვეყნის რუკას,  
სისხლით როა დახაზული,  
როგორ უნდა მოაცილო  
მინა და ზღვა აფხაზური...

ვის ვუმტკიცო – მომხდურებს თუ  
ხიზანს, დავა აღარ მსურის,  
ოდითგან რომ ქართულია,  
რასაც ჰქვია აფხაზური...

იქ დარჩენილ ძმათა ჩვენთა  
აშვებული აფრად სული  
მაიმედებს, გაგვამთელებს  
სატკივარი აფხაზური...

აღდგენილა წირვა-ლოცვა  
და ამ ლოცვის საფასური  
ის მინაა, რაც ყოფილა  
და იქნება აფხაზური...

## გვანამის საქართველო...

*გუდუნი ასი ათასი თბილისელი მონაშის ტაძრის  
წინამძღვარს ლუკა სუპატაშვილს.*


წაგვრილი ქალაქები და  
წაგვრილი სოფელ-დაბანი,  
ვით გითხრათ, რა ტკივილია  
ან სინანული რაბამი.

რისთვის ვისაჯეთ, რა იყო  
ომების მიზეზ-საბაბი,  
სადაა განსაცდელების  
სასრული ან დასაბამი.

მომხდურს არ შევუეხებვართ,  
არ შევუკრთივართ არც როდის,  
ლოცვით და მარხვით შევძელით  
დაძლევა საცდურ-საცდომის.

მეფეთა საგალობელით –  
ომის წინ ცასმინანდომით –  
„შენ ხარ ვენახით“, სამშობლოვ  
ჩემო, რამდენჯერ გაცხოვლდი...

გაბრწყინდი, საქართველო...  
გამბრწყინებელი ან ყოვლის  
ლოცვაა, სიყვარულია  
ჩვენთვის წამებულ მაცხოვრის.



პრიტიკა

# გზგი ღვლიბე

გლახა ჭრიაფვილის არლანი,  
ანუ

**ვინ ამოგდო გრ. როზაქიქის პირველივე პიესები („ლონდა“, „მალფტრამე“) რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან?**

*„გრ. როზაქიქე, რეჟისორების - კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის - და „დურუჯის“ პლუადის მსახიობების გვერდით, ქართული თეატრის განმახლებელია. ის გარდატეხა, რაც 20-იანი წლების ქართულ თეატრში მოხდა, ისევე უკავშირდება გრ. როზაქიქის სახელს, როგორც კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელისას“.*

აკაკი პაქრაძე

„ამ დღეს რუსთაველის თეატრი არ ჰგავდა თავის თავს. ჩვენ თითქოს მივეჩვიეთ, თეატრში არ უნდა ველოდეთ ნამდვილ დღესასწაულს, მაგრამ კოტე მარჯანიშვილის მაგიური ხელი ჩვენ თვალწინ ახდენს სასწაულს სასწაულზე“, - წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი გაზეთ „რუბიკონს“ (11. III. 1923) ფურცლებზე.

მართლაცდა, რა მოხდა იმ დღეს რუსთაველის თეატრში, რამ აღაფრთოვანა ასე ცისფერყანწელთა ერთ-ერთი, გარეგნულად მაინც მუდამ მშვიდი და თავშეკავებული ლიდერი, რომელსაც არც პაოლო იაშვილივით შეეძლო მეორე იარუსიდან იმპროვიზებულად მიემართა მგზნებარე სიტყვით კ. მარჯანიშვილისთვის, ვერც ი. გრიშაშვილივით შეხტებოდა პარტერში სკამზე და ექსპრომტს წაიკითხავდა...

არა, ეს არ იყო „ცხვრის წყაროს“ ლეგენდარული პრემიერის (25. XI. 1922) გახსენება - იმ დღეს (27. II. 1923) უპირველეს ქართულ დრამატულ თეა-

ტრში კიდევ ერთი ახალი დღესასწაული გამართა კოტე მარჯანიშვილმა, როცა ირაკლი გამრეკელის მხატვრობითა და თამარ ვახვახიშვილის მუსიკით განახორციელა გრიგოლ როზაქიქის დრამატურგიის პირმშო „ლონდა“ აკაკი ვასაძის, გიორგი დავითაშვილის, აკაკი ხორავას, ელენე დონაურის, შალვა ღამბაშიძის, ვეჭე ჯიქიას და სხვათა მონაწილეობით.

კ. მარჯანიშვილი ჩვეულებრივი ენთუზიაზმით, მაგრამ საოცარი შემოქმედებითი შიშითა და თრთოლით შეეჭიდა „ლონდას“, რაკი მასში ახალ რიტმს ხედავდა, ახალ პლასტიკას, ახალ არქიტექტონიკასა და ახალ განცდას. „ლონდა“ ნამდვილი დაბრუნებააო მზესთან, მასში ყველაფერი მზისგანაა და შევძლებთ კი მე და ჩემი მეგობარი მსახიობები ამ სირთულის დაძლევას, ნუხდა სცენის დიდოსტატი, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, მაინც უნდა შევეჭოდო და, თუ გადმოვვარდები, ისევ დიდი ცხენიდან სჯობს გადმოვარდნაო...

ც. ს. ა. ნ.

აი, უფრო სულიერ ჭიდილში გაიმართა ეს პრემიერა და, საბედნიეროდ, „მზის სადიდებლად დაწერილმა ტრაგედიამ“ (ცალკრიან ვაფრინდაშვილი) „თვალი აუხილა ქართულ საზოგადოებას, რომელიც გადაევიდა თეატრში ნამდვილი სიტყვის მისმენას და მისტერიის განცდას“ (ტიციან ტაბიძე).

ალფროთევატულია მთელი ინტელიგენცია, განსაკუთრებით სულიერი ძმობითა და ახლოლოებით გამორჩეული ცისფერყანწლები, რომელთაც ძალიან კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა გრ. რობაქიძისთვის „ლონდა“ – იგი ხომ თავის ერთადერთი შვილის, სეროოდ და მილოდობილად დაღუპული ბატარა გოგონა ალას სსოვნას უძღვნა საკუთარი უწნეობით შეძრწუნებულმა მამამ, რომლის პიროვნული ტრაგედია სწორედ აქედან დაიწყო და მარადიულ გიმნად და გოდებდა გაჰყვა. დავიმონმოთ ტიციანი: ამ პიესაზე ვიცი, გრიგოლ რობაქიძისათვის ის სანაცვლოა თავისი ბავშვის – ალასის“.

პრემიერამ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. პრესამ ასე გამოხატა საერთო აზრი: „ქართული საზოგადოება ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ჩვენს დღეშიც შესაძლებელია სასწაული...“ სრულიად საქართველოს ახალი მწერალთა კავშირის ყოველკვირულმა ორგანომ, ოთხგვერდიანმა გაზეთმა „რუბიკონმა“ (11. III. 1923) გამოცემის ნახევარი, ანუ მთელი პირველი ორი გვერდი, მიუძღვნა ამ „სასწაულს“, მაგრამ...

ჩვენმა თანამედროვე თეატრმცოდნემ, პროფ. ვასილ კიკნაძემ, რომელსაც „ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქად“ აცხადებს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (2011, №2, გვ. 3), თავის 1500-გვერდიან მონოგრაფიაში („ქართული დრამატული თეატრის ისტორია“, რედაქტორი – პროფ. ნოდარ გურაბანიძე) ერთი გვერდიც არ დაუთმო „ლონდას“ (რა მოხდებოდა?! – 1500-1=1499)...

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

საქართველოს თეატრალური საზოგადოება (პირდაპირი და ფიგურალური გაგებითაც) ალფროთევატული შეხვდა პროფ. ვ. კიკნაძის ამ მონოგრაფიას: დედა, ამას რას მოგესწარით! რა ბედნიერებაა, რომ ჩვენს სტუდენტებს ექნებათ „ქართული თეატრის ისტორია“! ვანა მარტო სტუდენტებს, ჩვენთვისაც დიდი შენაძენიაო, თავი მოიკლეს პროფესორებმა; აქამდე რაღაც-რაღაცები ეი დაინერა, მაგრამ, როგორც ასეთი, „ქართული თეატრის ისტორია“ ჯერ არ გამოცემულა, – არადა, სული ცოდვილიო, როგორ არ გამოცემულა, მაგრამ ახლა, ამ საერთო აჟიოტაჟში, ვისლა გაახსენდა პროფ. შალვა მჭავარიანის მშვენიერი ნაშრომი, ისეთი ვი-უშეულებელი ატეხეს „ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქის“ მამიბლებმა, არიქა, ახლავ ნარვადგინით სახელმწიფო

პრემიაზე, თუმცა სახელმწიფო პრემია არ გამოვა, რადგან ბ-ნი ვასო მეორე წინგს წერს და გვეტყვიან, ჯერ დამთავროს, ბატონო, და მეორე წარმოადგინეთო; ასე რომ, ახლა უმჯობესია, მეცნიერებათა აკადემიის პრემიაზე ნარვადგინით; თანაც, რას ჰქვია, 300 ცალი გამოვიდაო, სასწრაფოდ მეორეჯერად გამოვეცეთ და გამოსცეს კიდევ და ა. შ. და ა. შ. (ვინმეს რომ არ ეგონოს, რომ ვაჭარებზე ამ ვიგონებ რაიმეს, იხ. იმ მრგვალი მაგიდის 29-გვერდიანი სტენოგრაფიული ანგარიში, რომელიც მისმა ორგანიზატორმა, ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა 2001 წლის მე-4 ნომერში).

ჯერჯერობით სრულიად შეგნებულად ვტოვებ დასმულ კითხვას უპასუხოდ, რადგან ახლა ის მექანიზმები უნდა გაგაცნოთ, რომლითაც კიკნაძე-გურაბანიძის ტანდემმა „ლონდა“ (ისევე, როგორც გრ. რობაქიძის რიგით მეორე პიესა – „მალტრემ“) ჯერ რუსთაველის თეატრის 1921-1924 წლების რეპერტუარიდან ამოაგდო, შესაბამისად – კ. მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან და საბოლოოდ (ცხადია, მათი მოკლე ტყუილი) – ქართული თეატრის ისტორიიდანაც. ყოველივე ამასთან დაკავშირებით დიდი კრძალობით მივმართებ მკითხველს, ერთი ისეთი უსიამოვნო პროცედურის გავლა მოგვიწევს, ჩემი ძვირფასო მეგობარო, რომ მხოლოდ თქვენი დიდსულოვნების იმედად თუ შევუდგები ამ უმაღლეს საქმეს.

დავიწყით იმით თუ „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ როგორ ეპატივება მკითხველს რუსთაველის თეატრის პირველი ნაბიჯების გასაცნობად:

„გადახვედით რუსთაველის თეატრის 1921-1924 წლების რეპერტუარს და ნათელი გახდება, თუ რა აუცილებლობამ წარმოქმნა კორპორაცია „დურუჯი“ და საერთოდ, რა ხდებოდა საბჭოთა ეპოქის საწყის ეტაპზე“, – მოგვიწოდებს ავტორი (გვ. 512) და აბზაცის დასასრულად ერთხელ კიდევ გვიმორებს, – ჯერ თვალი გადავახლოთ რეპერტუარსო.

კეთილი და პატიოსანი! გადავავლოთ – მართლაც შესანიშნავი მონტაჟური სკლაა: ჯერ რეპერტუარი (რა, სად, როდის დაიდა და ა. შ.), ხოლო შემდგომ, ალბათ, საუბარი თითოეულ მაგანზე, ცხადია, იმისდა მიხედვით, თუ როგორი წარმატებით, აღინიშნა ესა თუ ის სპექტაკლი. ვიმეორებ, ჩანაფიქრი სწორი და ლოგიკურია – ჯერ რეპერტუარი, მერ მსჯელობა, მაგრამ გაუგებარია, ერთ ნინადგებამი ორჯერ რატომ ითხოვს ასე დაუთინებით რეპერტუარს გავცენოთ?! ეს რეპერტუარი ხომ კარგა ხანია დადგენილი და გამოქვეყნებულიცაა ქართულ და რუსულ ენებზე?! ახლა რა, „თავის ინტერპრეტაციას“ ხომ არ გვთავაზობს, რაც, სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილია?!

წარსული წლების რეპერტუარი უკვე ისტორიის საკუთრებაა და მას ვეღარ შეცვლი, თუ ფალსიფიკატორი არ ხარ! მაგრამ, მოდი, მეტს ნულარაფერს ვიტყვით ნინასწარ, თუმცა ერთია – თავდაპირველად უნდა გაეცნოთ ვ. კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ გამოქვეყნებამდე რა სახის პუბლიკაციები არსებობდა რუსთაველის თეატრის 1921-1924 წლების რეპერტუარზე:

პირველი პუბლიკაცია ამ მხრივ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იყო შალვა აფხაიძისა და ნინო შვანგირაძის რუსულენოვანი ნიგნი რუსთაველის თეატრზე, რომელიც მოსკოვში დაეგმილ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადას მიეძღვნა 1958 წელს. რაკი მხოლოდ 1921-24 წლებში გვიანტრეკსებს, შეგახსენებთ, რომ ამ ნიგნის მიხედვით 1921-1924 წლებში რუსთაველის თეატრში დადგმულა 55 სპექტაკლი (გვ. 117-122).

II. ღვანდომოსილი რუსი ხელოვნებათმცოდნის, პროფ. ალექსანდრ ფერალსკის (იგი ქართველების სიძე იყო და, სხვათა შორის, თქვენი მონა-მორჩილის სამეცნიერო ხელმძღვანელიც საკანდიდატო დისერტაციაზე – „მაიაკოვსკი და კინო“ მუშაობისას. ამდენად, უნდა მომიტყეოთ, თუ ჩემს უღრმეს მადლიერებასა და პატივისცემას ერთხელ კიდევ გამოვხატავ მის მიმართ) ფუნდამენტური და ამდღეული მეცნიერული კომენტარის აღჭურვილი მონოგრაფია (მოსკოვი, „ისკუსსტვა“, 1959) – 31 დადგმა (გვ. 425-427).

III. „ტეტარლანია ენციკლოპედია“ (მოსკოვი, 1963, ტ. II) – 45 სპექტაკლი (გვ. 210).

IV. ეს უკვე ქართული გამოცემაა (1981, ავტორ-შემდგენელი ვ. ნინიკაშვილი), რომელიც რუსთაველის თეატრის დაარსების მე-100 წლისთავს მიეძღვნა – 41 სპექტაკლი (გვ. 350-351).

აი, ასეთი „მემკვიდრეობა“ დახვდა ვ. კიკნაძეს 1921-1924 წლების რუსთაველის თეატრის რეპერტუარის მხრივ და რით შეიძლება საინტერესო ყოფილიყო უკვე მის მიერ შედგენილი ვარიანტი (სხვაგვარად ვერ იტყვი) რუსთაველის თეატრის მითითებული წლების რეპერტუარისა? მოხდა მასში რაიმე დაზუსტება-დაკონკრეტება-შეჯერება-გაანალიზება, თუნდაც აშკარად სხვადასხვა ციფრობივი მონაცემისა, რაც ახლახან გაგაცანით? საერთოდ, რა აზრი ჰქონდა ამ რეპერტუარის ჩანას შუაგულ მონოგრაფიაში, რა დატვირთვა?

დავინყოთ იმით, რომ, სამწუხაროდ, ავტორი რელიურად გვთავაზობს არა მართლაც შეპირებული წლების (1921-1924) რეპერტუარს, არამედ ათელას ინეტს „ცხვრის წყაროს“ პრემიერთი (25. XI. 1922) და, ამდენად, ხელ მიიჩქამდა პერიოდი 1921 წლის იანვრიდან 1922 წლის ნოემბრამდე. არადა, ამ თი-

თქმის ორი წლის განმავლობაში ჩვენი უპირველესი დრამატული თეატრი გამოკეტილი როდი ვახლდით სამოქალაქო ომის ეპოქისთვის დამახასიათებელი ყბადაღებული წარწერით „Все ушли на фронт“ (ყველანი ფრონტზე წავიდნენ)... როგორ გვეკადრებათ! მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ არ უნდა მოგვეცეს იმის უფლება, რომ ახლა ჩვენც მაინცდამაინც ისე აუგად მოვიხსენიოთ ბოლშევიკები, როგორც საბჭოთა პერიოდში ვწერდით მენშევიკებზე, მაგ საზიზღრებმა ეკონომიკაც დაგვიგნირეს და ეროვნული კულტურაცო და ა. შ. და ა. შ.

რუსეთის მიერ განხორციელებულმა ანექსიამ (25. II. 1921) ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება, ანუ მთელი სახელმწიფო წყობის არსებითი შეცვლა გამოიწვია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საომარი მოქმედებების გამო 15 თებერვალს შეწყვეტილი სპექტაკლები პრაქტიკულად გასაბჭოების მეზობელ დღესვე (1 მარტს) განახლდა. ზედიზედ დაიდგა: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „გუმბინდელი“, „სამშობლო“, „ალალატი“, „ქრისტიანი“, „გაყარა“, „თამარ ცხვირი“, „სინათლე“, „ვიწ არის დამნაშავე?“, „ვიდრე მხვალ, უფალა?“, „გარტიუფი“, „ედმუნდ კინი“ და რომელი ერთი ჩამოგითვალთ.

როგორ, ეს სპექტაკლები, რომლებიც „ცხვრის წყარომდე“ განხორციელდა 1921-1922 წლებში, არ ქმნიან იმ ერთობლიობას, რომელსაც „რაპარტუარს“ ვუნდობთ, თუ თეატრმცოდნეობაში სხვაგვარად ესმით ეს ტერმინი?! რაღაც არა მგონია! თქვენი მონა-მორჩილი თუნდაც მხოლოდ ასაკისა და გამოცდილების მხრივ კარგა ხანია აღარ უნდა საჭიროებდეს რაიმე ციტატის მოწვევლებას ელემენტარულ თეორიულ საკითხებზე, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა საგანგებოდ უნდა მოვიხმო პირო. **მარაბ ბაზიას** საავტორო გამოცემა – „**ამოფლიო თეატრის ისტორიული ლექსიკონი**“. ამით, უპირველეს ყოვლისა, მივესალმებით ამ უაღრესად საჭირო გამოცემას, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, სწორედ ამაზეა ნათქვამი და ამასთან – საგანგებოდ-მეთქი იმიტომ, რომ ამ ლექსიკონის რედაქტორი ვ. კიკნაძე და 198-ე გვერდზე ვკითხულობთ: „**რაპარტუარი**... – თეატრში შესრულებულ ნაწარმოებთა ერთობლიობა...“ ე. ი. ბატონმა ვასომ, თუნდაც ამის გამო კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს „**რაპარტუარი**“ და ისიც, რომ, როცა გვთავაზობს 1921-1924 წლების რუსთაველის თეატრის რეპერტუარს, არ ჰქონდა უფლება „ცხვრის წყარომდე“, ანუ 1922 წლის 25 ნოემბრამდე, განხორციელებული სპექტაკლები (სულ 30-მდე ერთეული) საერთოდ ამოეყარა რეპერტუარიდან, ხოლო „ცხვრის წყაროს“ შემდგომ განხორციელებული დადგმები, როგორც მოემართა-

ნებოდა, ისე შეეტანა-გამოეტანა, კერძოდ, რომ იტყვიან, უაპელაციოდ ამოავადო გრ. რობაქიძის „ლონდა“ და „მალტრემი“ (პირველი დადგა კ. მარჯანიშვილმა 1923 წელს, მეორე კი ს. ახმეტელმა 1924 წელს).

ჩემს ძვირფას მკითხველს მინდა დაფუსვა ერთი კითხვა, რომლის წინაპირობა ასეთია: ჯერ კიდევ 1959 წელს, რომ იტყვიან, გაგანია საბჭოური იდეოლოგიური რეაქციის დროს, რუსმა პროფესორმა ალ. ფერვალსკიმ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში, წელან რომ ვახსენე, შეძლო და რუსთაველის თეატრის 1923-1924 წლების რეპერტუარში შეინარჩუნა „ლონდაც“ და „მალტრემიც“, ჩვენი თანამედროვე პროფ. ვ. კიკნაძის თბილისში ქართულ ენაზე უკვე ორჯერ გამოცემულ რუსთაველის თეატრის 1923-24 წლების რეპერტუარში კი არც „ლონდა“ და არც „მალტრემი“. კითხვას პროვინციული პატრიოტიზმით კი არ ვსვამ, რომელი უფრო დიდი ქართველია – ქართველების სიძე, პროფ. ალ. ფერვალსკი თუ ჩვენი თანამემამულე, პროფ. ვ. კიკნაძე, არამედ მეცნიერული და მოქალაქეობრივი შემართების თვალსაზრისით – რომელი უფრო ნამდვილი მემატანენა ვასული საუკუნის 20-იანი წლების ბობოქარი ქართული კულტურისა? ეს სი, როგორც ბატონი კონსტანტინე გამახსურა და იტყვოდ, ლირიკული ინტერმეცოს სახით...

ახლა კი, მართლაც, გადავხედოთ, რასაც ავტორი გვთავაზობს, თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას გარკვეულად, რომ ვ. კიკნაძისეული რეპერტუარი იმდენ უაქტობრივ შეცდომას შეიცავს, ახლავე თუ არ მიუთითა თითოეულ მათგანზე, შემდეგში ვაგვიჩივრდება ყოველივე ამის თავმოყრა და დაზუსტება. ამ მიზნით მთელი ეს რეპერტუარი ციტატის სახით უნდა გადმოვიღო. მასში კი იქნება, როგორც შეგპირდით, ჩემი რემარკები ამ შეცდომების გასასწორებლად. თუმცა ჯერ იძულებული ვარ, ავტორს, რომელმაც, კატეგორიულად ვაცხადებ, არც „ციტატა“ იცის რა არის და არც „რემარკა“, უნდა განვუშარტო ეს ტერმინები:

**მიშატა**, როგორც ცნობილია, რაიმე ტექსტიდან უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ადგილია.

**რემარკა** – ავტორისეული, ამ შემთხვევაში თქვენი მონა-მორჩილის შენიშვნა, ჩვეულებრივ, ფრჩხილებში მოქცეული, თანაც, თქვენი ნებართვით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ციტატის ტექსტს სხვა, განსხვავებული შრიფტითა და ფერით შემოგთავაზობთ, რათა მკვეთრად გამოირჩეს. იმასაც წინასწარ გეტყვით, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ფორმით იქნება რემარკა, არსებითად კი კომენტარი, რადგან, ვიმეორებ, მთავარია ამ უამრავი და უხეში ფაქტობრივი შეცდომის დროული და საქმიანი ჩასწორება.

მამ ასე, გადავშალოთ ვ. კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ 512-ე გვერდი და დავიწყით ციტირება კომენტარითურთ:

**„1922 წლის 25 ნოემბერს დაიდგა ლოკა და ვიზას „ცხვრის წყარო“.**

**1922 წლის 16 დეკემბერს პიერ დე კონსე-ლის „ორი ზიზბირი“ –** შეცდომითაა დრამატურგის გვარი. **პიერ დე კორსელი** კი არა, უნდა იყოს – **პიერ დეკურსელი**, ცნობილი ფრანგი რომანისტი და დრამატურგი – Decourcelle, 1856-1926.

**1923 წლის 1 იანვარს – ზ. ანტონოვის „მზის დაგანალება საპარტიველოში“ რეჟისორი კ. მარჯანიშვილი** – (შეცდომით არის მითითებული პრემიერის თარიღი და ეს შეცდომა თეატრცოდნისთვის, თეატრის ისტორიკოსისთვის უპატივებელია შემდეგ გარემოებათა გამო: 1 იანვარი ჩვენში ახალი წლის დღესასწაულია, მაგრამ მხოლოდ ამიტომ არ დანიშნა პრემიერა მეორე დღისთვის – 2 იანვარი გ. ერისთავის თეატრის გახსნის დღეა, ამასთან, მას შემდეგ, რაც 1920 წლის 2 იანვარს შალვა დადიანის რედაქტორობით გამოვიდა ერთდღიური გაზეთი „მსახიობის დღე“, ფაქტობრივად, დანესდა კიდევ ასეთი სახელწოდების დღესასწაული და, ამდენად, 1923 წლის 2 იანვარს ერთდღიულად უნდა აღნიშნულიყო როგორც ქართული თეატრის აღდგენის 73-ე, ისე „მსახიობის დღის“ დაარსების მესამე წლისთავი. კ. მარჯანიშვილმა, რომელიც უკვე ოფიციალურად იყო დანიშნული რუსთაველის თეატრის მთავარ რეჟისორად (7. XII. 1922), გადაწყვიტა, ამ საზეიმო დღისთვის სწორედ გ. ერისთავის თეატრის რეპერტუარიდან აეღო რაიმე პიესა. ასე შეირჩა საიუბილეო სექსტაკლად ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“. ამ საშუადისზე საზოგადოება დროულად იყო ინფორმირებული, პრემიერის შემდეგ კი გაზ. „კომუნისტი“ აქვეყნებს (4. 01. 1923) საკმაოდ მოზრდილსა და შინაარსიან სტატიას, რომელსაც ასე დამახასიათებლად ასათაურებს: „ქართული თეატრის ზეიმი“. 2 იანვარი, 1923 წ. საგანგებოდ უნდა შემოგთავაზოთ ის ფრაგმენტები, სადაც ხაზგასმულია, თუ რატომ სწორედ 2 იანვარს გაიმართა კ. მარჯანიშვილის ახალი პრემიერა:

... არასდროს გამოვსულვარ ქართული თეატრიდან ისეთი კმაყოფილი, როგორც 2 იანვარს.

... ეგზომ ძვირფასი და დაუფიწყარი არ გამძღარა ქართული თეატრი ჩვენთვის, როგორც 2 იანვარს.

... 2 იანვარს ქართულმა თეატრმა გადაიხადა თავისი ბრწყინვალე ქორწილი.

... 2 იანვარს გამართული წარმოდგენა კიდევ ერთი დამტკიცებაა, რომ ქართული თეატრი არ მომკვდარა.

... ბოლო „2 იანვარი“ ნამდვილი დღესასწაული იყო ქართული თეატრისა“.

ურიგო არ იქნება იმის შესენებაც, რომ გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა მკო საფაროვა-აბაშიძისამ ამ სპექტაკლს, არც მეტი, არც ნაკლები, „ქართული თეატრის მზის ახალგაზრდა“ უწოდეს...

**1923 წლის 5 თებერვალს – ს. შანშიაშვილის „როდამი“ (რემისორი ს. ახმეტელი) –** ყოვლად შეუძლებელია ასეთი პრემიერა (და ისიც 5 თებერვალს) განხორციელებულიყო. ჯერ კიდევ წინა – 1922 წლის მინურულში გახდა ცნობილი, რომ ს. ახმეტელი საგანგებოდ ემზადებოდა თავისი პირველი დამოუკიდებელი დადგმისთვის რუსთაველის თეატრში. ამიტომაც ორ სპექტაკლს აერთიანებდა ერთ დადგამში: ოსკარ უაილდის „სალომეას“ და ს. შანშიაშვილის ერთიმეორეობიან „როდამს“. ინფორმაცია იმაზე, რომ ეს ორი პიესა „ერთ ნარმოდგენად“ დაიდგმებოდა, გამოქვეყნებულია პრესაში (გაზ. „ლომისი“, 17. XII. 1922) და შეტანილია იმ კრებულში (ალ. ახმეტელი, დოკუმენტები და ნარკვევები სამ ტომად, ტ. I, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1978, გვ. 200), რომელსაც რედაქტორად ანერია... ვასილ კიკნაძე! მეტი რა კომენტარია საჭირო, რომ ბ-ნ ვასილს უნდა სცოდნოდა – ერთიმეორეობიანი „როდამი“ (ცალკე არ დაიდგმებოდა!) უფრო მეტიც, ამ („ერთ ნარმოდგენად“) დადგმის პრემიერის თარიღიც კი (6 თებერვალი) წინასწარ იყო გამოცხადებული (გაზ. „რუბიკონი“, 21.01.1923; გაზ. „ტრიბუნა“, 28.01.1923 და ა. შ.). სხვათა შორის, ეს ინფორმაციაც დადასტურებულია და შეტანილია ახლახან ნახსენებ კრებულში (ალ. ახმეტელი, დოკუმენტები და ნარკვევები, ტ. I, გვ. 204), რომლის რედაქტორია, – ერთხელ კიდევ შეგახსენებთ – ბ-ნი ვ. კიკნაძე...

სამუშაოდ, პირველ თებერვალს ს. ახმეტელმა, როგორც დოკუმენტშია მითითებული, „შექმნილი პირობების გამო“ (კერძოდ, რამდენიმე მსახიობი არ გამოცხადდა რეპეტიციაზე; არადა, როგორც ვიცით, 5 დღეში პრემიერა ჰქონდა დანიშნული), რეპეტიციაც მოხსნა და განაწყენებულმა განცხადებაც დაწერა თეატრიდან წასვლაზე – „სალომეასა“ და „როდამს“ (ხედავთ, ისევ ერთად მოიხსენიებს ამ სპექტაკლებს) სამშაბათს ჩაგაბარებთ, ხოლო ყოველივე პასუხისგებას ნარმოდგენის მხატვრული დადგმის შესახებ თავიდან ვიცილებ, თანაშემწეს (დოკ. ანთაძე – გ. დ.) კი ვთხოვე, რაც უნდა დავალებული, თუ შეუძლია, ჩემგან დამოუკიდებლად შეასრულოსო... ს. ახმეტელის ეს განცხადებაც იმ დოკუმენტების კრებულშია გამოქვეყნებული (გვ. 205), რომლის რედაქტორია – ვინ? არ თქმა უნდა, ვ. კიკნაძე და როგორ გგონიათ, თუ პირველი თებერვლისთვის ასეთი მდგომარეობა იყო თეატრში,

5-ში გაიმართებოდა პრემიერა?! ელემენტარული დაფიქრება საჭირო, რომ სიტუაცია გააანალიზო და არ შეეცადო მკითხველის მოტყუებას, „როდამის“ პრემიერა 5 თებერვალს გაიმართაო...

ამასობაში თეატრი იძულებული გახდა, განცხადება გაეკეთებინა, რომ 6 თებერვლისთვის დანიშნული პრემიერა „გადადიო გამოურკვეველ დროდევ მსახიობი ქალის თამარ ჭავჭავაძის ავადმყოფობის გამო“. იხ. 209-ე გვ. ისევ იმ კრებულისა, რომლის რედაქტორია ვ. კიკნაძე.

ასეთ მიმე მდგომარეობაში კ. მარჯანიშვილი ნამოუშველა თავის ახალგაზრდა და საიმედო კოლეგას – სანდრო ახმეტელს და მის გასამხნეველად შესანიშნავი სტატია – „უქრისტიანის თეატრი“ („სალომეას“ დადგმის გამო) გამოაქვეყნა გაზეთ „რუბიკონში“ (11. II. 1923)... მხოლოდ ამის შემდეგ, 15 თებერვალს, განხორციელდა ს. ახმეტელის პირველი დამოუკიდებელი დადგმა რუსთაველის თეატრში და ამ ნარმოდგენის (სამ საათს რომ გაგრძელებული) სრული დღიურიც გამოქვეყნებულია – სად? რა თქმა უნდა, იმ კრებულში (გვ. 208-209), რომლის რედაქტორია ესოდენ გულმავინი ბ-ნი ვ. კიკნაძე.

და კიდევ ერთი გარემოება: ვ. კიკნაძეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაედგინა, რომელია სწორი სახელწოდება ს. ახმეტელის სპექტაკლისა – „როდამი“ (გვ. 513) თუ „როდამ“ (გვ. 760). რატომ ხმარობს იგი ამ ორ, განსხვავებულ ფორმას? აუცილებელი იყო კომენტარიც იმის თაობაზე, თუ რეკლამაშიც სპექტაკლის სახელწოდებად რატომ იფიქსირებდა ყოველთვის „როდამ“ მაშინ, როცა ზედასა ეწოდება „როდამი“? მკითხველს პატივსაცემა უნდა, მით უმეტეს, როცა 1500-გვერდიანი მონოგრაფიას სთავაზობ.

**1923 წლის 15 თებერვალს – ო. შაილდის „სალომეა“ (რემ. ს. ახმეტელი) –** როგორც ახლახან ითქვა, 15 თებერვალს მარტო „სალომეა“ კი არა, „როდამიც“ იხილა მაყურებელმა, რადგან ორივე სპექტაკლი ერთ ნარმოდგენად განხორციელდა ს. ახმეტელმა და ამით ეს საკითხი აიშორა, თუმცა წინა რემარკაში დანყბნული საუბარი სახელწოდების შესახებ უნდა გაევაგრძელო – კერძოდ, დასაზუსტებელია სპექტაკლის სახელწოდება და ეს, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ვ. კიკნაძეს უნდა გაეკეთებინა. ხომ არ შეიძლება ერთსა და იმავე სპექტაკლს ერთსა და იმავე ნაშრომში ორი სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდეს: „სალომეა“ (როგორც აქ, ისე სხვაგანაც – გვ. 500, 501, 550, 760 და ა. შ.) და „სალომე“ (გვ. 494, 501, 741 და ა. შ.)? ერთი სიტყვით, შესანიშნავი ქართული ფილმის „ცისფერი მთების“ ამბავი მეორდება...

ამასთან, სასურველი იყო, თუნდაც ერთგვარი თემატური სისრულისთვის, თუ გნებავთ, სულაც



**თეატრი**

თეატრალურ-ადამიანური ინტრიგისთვის, ვ. კიკნაძეს არ გამოჩნებოდა ის ამბავი, რომ „სალომეა“ მანამდეც დაიდგა ვერიკო ანჯაფარიძის საბუნებისმეტყველოდ და მთავარ როლს, ანუ სალომეს, ცხადია, თავად ვერიკო თამაშობდა, იოქანანას – შალვა ლამაშიძე და ა. შ. აკაკი ვასაძე ამ სპექტაკლს „ნაჩქარევად დადგმულს“ უწოდებს და ეს ყველაფერი წერილი მისი მოგონებების წიგნში (გვ. 120-132), რომლის რედაქტორია თავად ვ. კიკნაძე.

უფრო კატეგორიული ვიქნები იმის მიმართ, რომ ავტორი ვალდებული იყო, კომენტარი მაინც გაეკეთებინა იმაზე, თუ იმდროინდელ ქართულ პრესაში რატომ იყო ამ სპექტაკლის სახელწოდება **შესაძვე** ვარიანტიც („სალომეი“). იხ. თუნდაც მარტო გვ. „კომუნისტის“ 1923 წლის თებერვლის ნომრები, ანუ იმისი თქმა მინდა, რომ, ფაქტობრივად, ქართულ პრესაში ს. ახმეტელის ეს სპექტაკლი რეკლამირებული იყო, როგორც – „სალომეი“. არც ეს იქნებოდა ურიგო, ავტორის იმისთვისაც მიექცია ყურადღება თუ ერთ-ერთი გაზეთში („ლომისი“, 8.IV.1923) რატომ უნდა გამოჩენილიყო პიესის პაოლო იაშვილისეული თარგმანის კრიტიკა? უფრო მეტიც – რატომ არ ისარგებლა ს. ახმეტელმა „სალომეას“ გრ. რობაქიძისეული თარგმანით, რომელიც ჯერ კიდევ 1919 წელს გამოქვეყნდა და რომელიც, სხვათა შორის, ი. გრიშაშვილმა დაიწუნა და ამაზე მათ შორის (იგულისხმებანი გრ. რობაქიძე და ი. გრიშაშვილი) პოლემიკაც კი გაიმართა? მაგრამ, სამსუხაროდ, ასეთი სიღრმეებისკენ ვ. კიკნაძე არასდროს მიდის, იგი მხოლოდ გლახა ჭრიაშვილის არღანს ატრიალებს და ატრიალებს და „გვაბოლებს“, რის განსაკუთრებულ ნიმუშადაც მომდევნო კომენტარი გამოდგება:

**1923 წლის 27 თებერვალს – ბ. შვანლაშვირ-ბის „ცისფარი ოპოზა“ (რამ. მარჯანიშვილი)** – ეს სარეპერტუარო ერთეული ფრიად საყურადღებოა და უნდა მასპიროს მკითხველმა, თუ ფამილარულად ვიცნო, რომ ყველაფერი ეს პირდაპირ ანეკდოტია. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ვ. კიკნაძის ლინგვისტური ცვლილების უცილობელი „მარგალიტი“, ასე ვთქვათ, კომპოზიტი – ბ. შვანლაშვირ. გახსოვთ, „ლიტერატურაზე გაზეტას“ რომ ჰქონდა ერთი რურბიკა – „საგანგებოდ ვერ მოიფიქრებ“, სწორედ ვერა, მე და ჩემმა ღმერთმა.

მაშ ასე, გავანალიზოთ კიკნაძისეული კომპოზიტი – ბ. შვანლაშვირ:

I. ინიციალი „ბ“ საერთოდ ზედმეტია – „ცისფერი ოპოზა“ ავტორს არც „ბესარიონი“ ერქვა და არც „ბიქტორი“;

II. დარჩა „შვანლაშვირ“, რომელსაც პირველი ასო „შ“ უნდა ჩამოვაშოროთ და ინიციალის ადგილას

დავსვათ, რადგან პიესის ავტორს ერქვა „შარლ“;

III. დარჩა – „ვანლაშვირ“. აქედან წინა სამი ასო „ვან“ („Van“), როგორც აუცილებელი ატრიბუტი ზოგი ევროპული გვარისა, ისეც უნდა ჩამოვაშოროთ კიკნაძისეულ კომპოზიტს და წინ გადავიტანოთ;

IV. დავვრცა – „ლერბერგი“. პირველი ორი ასოს („ლე“) შემდეგ, უნდა დავუმატოთ ასო „რ“ და ასე მივედით იქამდე, რომ, როგორც იქნა, ჩამოვაგვირისტეთ ცნობილი ბელგიელი ფრანგულენოვანი პოეტისა და დრამატურგის სახელი და გავრ: შარლ ვან ლერბერგი (Van Lerberghe, 1861-1907).

მაგრამ ბატონი ვასო ამით არ კმაყოფილდება, ერთ ნაირსახეობას კიდევ გვთავაზობს ამ გვარისას, თან გვარწმუნებს, ეს ციტატა აკაკი ვასაძის მოგონებებიდანაა. ნუთუ მართლა ასე უწერია-მეთქი ბატონ აკაკი ვასაძეს, გავიფიქრე და თან გამეღიმა – ვ. კიკნაძის „გულმავიწყობის“ ამბავი რომ ვიცი (ისეთ სამეცნიერო აპარატს გვთავაზობს, პირველკურსელს თუ ეპატიება პირველ... სემესტრში), სქოლიოში გვერდი არ ექნება-მეთქი მითითებული და ისეც? ყველაფერი კარგად ავიხედო – ხელახლა შევეუდექი ბატონი აკაკი ვასაძის მშვენიერი მოგონებების კითხვას (აკ. ვასაძე, „მოგონებები, ფიქრები“, 1977). ღვთის წყალობით, 41-ე გვერდზე აღმოვაჩინე ეს ვაი-ციტატა (აკი წელან მოგახსენეთ, ვ. კიკნაძე აზრზე არაა-მეთქი, რა არის „ციტატა“) და ვნახე, რომ ავტორმა ვერც ამჯერად შეძლო ამ ბელგიელი მწერლის გვარის გადმოტანა ისე, როგორც ბატონ აკ. ვასაძე აქვს („ვანლაშვირ“ – ცხადია, ესეც შეცდომაა და უნდა იყოს – „ვან ლერბერგი“, მაგრამ ეს თვით დამოცემის რედაქციას უნდა მოეკითხოთ და ვინაა რედაქტორი? რა თქმა უნდა, ჩვენი „ფიგარო“ – ვ. კიკნაძე!). მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ვ. კიკნაძემ მაინც თავისებურად გადმოიტანა ეს გვარი და კიდევ უფრო დაამახინჯა იგი – „ვანლაშვირ“ (გვ. 442). რას იზამ, ამაზეა ნათქვამი, ჩვეულება რჯულზე უმეტეცვისაო...

ეს, რაც შეეხება კიკნაძისეულ ლინგვისტურ ნებებზე, მაგრამ მხოლოდ ამის სათქმელად, დამეთანხმებით, წინამდებარე სტატია არ დაინერგოდა – ქმნის ეს კაცი თავისთვის რაღაც კომპოზიტებს, თქვენ წარმოიდგინეთ, სიტყვებსაც კი „გზასაყარი“, „ზეიმური“, „თანადამთხვევა“, „ნააზრი“, „ნაკალმევი“ და ა. შ.) და რა მოხდა მერე, გაერთო, რაკი ეს გაუხვდა პროფესიად და, ამდენად, სულაც არ მიკვირს, რომ „ლონდას“ ველარ შეწვევებოდა – „ლონდას“, რომელმაც, როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, სიტყვისა და რიტმის ორი დიდი ოსტატი, ორი დიდი მესაიდუმლე (გრ. რობაქიძე და კ. მარჯანიშვილი) შეხვდა ერთმანეთს და რომელიც სწორედ იმ დღეს (27. II. 1923) წარმოადგინა პირვე-

ლად კოტე მარჯანიშვილმა „ცისფერ ობობასთან“ ერთად, თუმცა კიკნაძისეულ რეპერტუარში იგი არ მოხვდა – ბრავო! ბრავო! „ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქი“, ბრავო!

თემატიკური სისრულისთვის აქვე უნდა ითქვას შემდეგიც – რაკი ასე ნანატრი „ისტორია“ იწერებოდა ქართული დრამატული თეატრისა, ავტორს კეთილი უნდა ენებებინა და ცოტა აქეთ-იქით უნდა მიმოხედდა, თუ მანამდე რა მასალები იყო გამოქვეყნებული ამ საკითხზე უცხოეთში, როგორ იყო მათში წარმოდგენილი ქართული დრამატული თეატრი. უპირველეს ყოვლისა, რუსული გამოცემები მაქვს მხედველობაში, დიახ, დიახ, რუსული და თავს ნუ დავებრძალებთ ახლა, თითქოს ეს არ იყო მთავარი იმ დროისთვის. რუსული ენციკლოპედიური გამოცემებით უმჯობესი ეცნობოდნენ საზღვარგარეთელი კოლეგები თუ საერთო თაყვანისმცემლები ჩვენი კულტურის ისტორიას, მის წარსულს, დღევანდელსა და ა. შ. და ა. შ. ის ცნობილი „სარკმელი ევროპასაკენ“ რეალობა იყო და ახლა ამაზე აღარ უნდა ვიკამათოთ...

რატომ მიმყავს საუბარი ამ კუთხით? რუსულ გამოცემაში (სტატარალნაია ენციკლოპედია“, 1963, ტომი II), ცხადია, არის დიდი და მრავალფეროვანი მასალა ქართულ თეატრზე, კერძოდ, რუსთაველის თეატრზეც და, ბუნებრივია, იმ რეპერტუარზეც (1921-1924 წლებისა), რომელსაც ვ. კიკნაძე გეთავაზობს თავისი კადნიერი ინტერპრეტაციით. მაგრამ აქ (სტატარალნაია ენციკლოპედიაში“) ნათქვამია, თითქოს „ცისფერი ობობას“ ავტორია არა შარლ ვან ლერბერგი, არამედ მასავით ფრანგულენოვანი ბელგიელი მწერალი – კამილ ლემონიე (Lemonnier, 1844-1913), რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის რომანისტად არის აღიარებული, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მას თავის დღემდე ერთი პიესაც არ დაუწერია... სამი წლის შემდეგ გამოდის ასევე, რომ იტყვიან, სახელმძღვანელო გამოცემა „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია“ (მოსკოვი, „ნაუკა“, 1966, გვ. 234), სადაც თვით ჩვენი უძვირფასესი დიმიტრი ჯანელიძეც იმერებს, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ შეცდომას.

იცით, რატომ ვამახვილებ ყურადღებას „სტატარალნაია ენციკლოპედიისა“ და „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის“ ამ მონაცემებზე? იმიტომ, რომ მთელი ეს მასალა ქართულ თეატრზე, ცხადია, თბილისში მზადდებოდა და შემდეგ იგზავნებოდა მოსკოვში. ამასთანავე, ნურავის ჰგონია და ნუ იტყვის, რა მოხდა მერე, ერთ გვარსა თუ შეცდომა გაიპარაო და ა. შ. საქმე ის გახლავთ, რომ ეს არის, უმნიშვნელოვანესი ენციკლოპედიური გამოცემები და ყველა, ვისაც აინტერესებდა

ჩვენი თეატრის ისტორია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გამოცემებით სარგებლობდა და მსგავსი ფაქტობრივი შეცდომები მექანიკურად გადადიოდა სხვადასხვა ნაშრომში, მეგუარებში და ა. შ. რალა შორს წავიდეთ, გადაშალეთ ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწის, ბ-ნი დლო ანთაძის მეგუარებში („დღეის ახლო წარსული“, წიგნი პირველი, 1962, გვ. 130) და ნახავთ, რომ თურმე „ცისფერი ობობა“ კ. მარჯანიშვილს დაუდგამს ფრანგი მწერლის (გავიგეოროთ, რომ კამილ ლემონიე ფრანგი კი არა, ფრანგულენოვანი ბელგიელი მწერალი იყო – გ. დ.) ლემონიეს მიხედვით...

კი, მაგრამ, იტყვის მავანი, დ. ანთაძე როგორ ისარგებლებოდა აღნიშნული საკავშირო გამოცემებით, როცა ისინი (სტატარალნაია ენციკლოპედია“ და „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია“) 1963-66 წლებში გამოვიდა, დ. ანთაძემ თუ თავისი მეგუარების I ტომი 1962 წელს გამოაქვეყნაო? დიახ, დიახ, მეც მანდა ვარ, ჩემო ბატონო, სწორედ აქ არის დამარხული ძალის თავი... საქმე ისაა, რომ დ. ანთაძეს ერთი „უპირატესობა“ ჰქონდა და გამოიყენა კიდევ ის წიგნი, რომელშიც „ცისფერი ობობას“ ავტორად კამილ ლემონიეა გამოცხადებული და რომელიც თბილისში გამოცემა 1958 წელს – მხედველობაში მაქვს შალვა აფხაიძისა და ნინო შვანგირაძის უკვე ნახსენები ნაშრომი რუსთაველის თეატრზე. ასე რომ, უცხო ენაზე თუ უცხოურ პუბლიკაციებში რაიმე უზუსტობას წავანყებდით ჩვენთვის სასურველ საკითხზე, ტრადიციულად სხვისკენ ნუ ვიშვერთ ხოლმე თითს...

როცა ცნობილია ფრანგმა კინორეჟისორმა ჟორჟ სადულმა „მსოფლიო კინოს ისტორია“ დაწერა, ბუნებრივია, ასეთ მასშტაბურად ჩაფიქრებულ მრავალტომულში სხვადასხვა ხასიათის ფაქტობრივი შეცდომები გაიპარებოდა. ამ ფუნდამენტური მონოგრაფიის რუსული გამოცემის მთავარმა რედაქტორმა, გამოჩენილმა რუსმა კინორეჟისორმა და თეორეტიკოსმა სერგეი იუტკევიჩმა გაითვალისწინა ეს საგულისხმო გარემოება და განაცხადა, თუ აქ რაიმე ფაქტობრივი შეცდომები აღმოჩნდება ჩვენს კინოზე, ამაში ავტორი კი არ უნდა დავადანაშაულოთ, არამედ ჩვენზე თავი, რაკი მას სრულფასოვანი მასალები ვერ მივანოდეთ მრავალტომულ საბჭოურ კინოზე (იხ. ჩემი სტატია ქართულ და რუსულ ენებზე: „ჟორჟ სადული და ქართული კინო“, გაზ. „უკრანის ამბები“, 16. IX. 1970). აქედან მორალი: იმ შეცდომებსა თუ ლაფსუსებზე საუბრისას, რომლებიც უცხოურ გამოცემებში გვხვდება ქართული თეატრისა თუ კულტურის სხვა დარგებზე, აქცენტები სამართლიანად უნდა განანილდეს და ყველაფერი სხვებს, ანუ

უცხოურ გამოცემლობებსა თუ ავტორებს კი არ უნდა დაეპარალოთ, არამედ მეცნიერული კეთილსინდისიერებით, მოთმინებითა და სიღარბასილით აღვუხსოთ, რასაც შევნიშნავთ, და შევეცადოთ, ერთობლივად ჩავასწოროთ.

განიხილა კი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ოდესმე მის მასალები, რომლებიც იმ დროს ქვეყნდებოდა საკავშირო გამოცემებში და იქიდან შემდეგ მთელ მსოფლიოს ეფინებოდა ენციკლოპედიური ლექსიკონებისა თუ სხვადასხვა ნარკვევის სახით მრავალეროვნული საბჭოური თეატრის ისტორიის საკითხებზე? ვერ გეტყვი, მაგრამ ეს კინემატოგრაფისტთა კავშირმა რომ გააკეთა და დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ძალიან კარგად ვიცი – ყველაფერმა ამაზე ჩემს თავზე გადაიარა, მოსკოვიც ფრთად გამინაცყნდა, ე. წ. საკავშირო პლენუმზე ტრიბუნიდანაც ჩამომავდეს, ნაციონალისტად გამოამაცხადეს და იმავე საღამოს (21. XII. 1971, სტალინის დაბადების დღეს) ყველაფერი ეს რადიო „ამერიკის ხმაში“ გადმოსცა და გასაგებიცაა, რაც მოჰყვებოდა ამ სკანდალს, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას – ამის შემდეგ თბილისიდან მხოლოდ და მხოლოდ სრულფასოვანი მასალები მიდიოდა საკავშირო კინემატოგრაფიულ უბუბლიკაციებში გამოსაქვეყნებლად.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ბატონ დ. ანთაძეს, როგორც კ. მარჯანიშვილის უახლოეს თანამებრძოლს, მემუარების წერის დრო რომ დაუდგა, თითქოს სულაც არ უნდა დასჭირებოდა ისტორიული წიგნებისა თუ ენციკლოპედიური გამოცემების გაცნობა, მაგრამ, ბუნებრივია, თავის თავს ვერ მისცემდა უფლებას, რომ მხოლოდ მესხიერებას მინდობოდა. ამიტომაც სრულიად ლოგიკურად მეჩვენება, რომ იგი გავეცნო იმ ეპოქის დოკუმენტურ მასალებსა და თუ არსებულ ავტორიტეტულ უბუბლიკაციებს, რომლებიც არაერთხელ მოვიხსენიებ სხვაგვარად ეს პრაქტიკულად არ ხდება და აი, ასე გაჩნდა მის საინტერესო მემუარებში, ვთქვათ, ვან ლერბერგის ნაცვლად კამილ ლემონიე, რომელთაც, უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ ის აერთიანებდათ, რომ ფრანგულენოვანი ბელგიელი მწერლები იყვნენ...

ახლა რა გვგონია, ბატონ დ. ანთაძე გამოეპოკოი ის იქნებოდა ამ მხრივ და სხვა ვინმე ჩვენსიც და უცხოეთშიც არ ისარგებლებდა ამ გამოცემებით, როცა სართოდ რუსთაველის თეატრი ან, გენბავთ, კ. მარჯანიშვილისა თუ ს. ახმეტელის შემოქმედება დაინტერესებდა? აი, ამიტომაც, თუ პრეტენზია გაქვს, რომ დარგის „ისტორიას“ წერ და არა, ვთქვათ, სასწრაფო-საგაზეთო ნარკვევს ან სტატიას, კეთილ უნდა ინებო, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, თავიც მოიფხანო და კარგად მიმოიხილო ყველაფერი, რაც ამ დარგში შენამდე გაკეთებულა...

ამასთან, ისიც უნდა შევნიშნო, რომ ვ. კიკნაძეს ერთხელ მაინც, თუნდაც კომენტარის სახით, უნდა მოეწოდებინა შარლ ვან ლერბერგის პიესის სრული სახელწოდება: „მადმუაზელ ფოშე, ანუ ცისფერი ობობა“ (Mademoiselle Le Fauchoux ou l'Araignee bleue)“. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ნიუანსია, რომ, მაგალითად, რუსულ და ქართულ ენციკლოპედიებში შარლ ვან ლერბერგის პიესის სახელწოდება მოცემულია როგორც მხოლოდ „მადმუაზელ ფოშე“ და მისი ქვესათაური, ვიმეორებ, ქვესათაური („ცისფერი ობობა“) სულაც არაა ნახსენები.

**1923 წლის 6 მარტს – სუპრინის და გურამინის „მადამ“ (რეჟ. მ. ძორაძე).**

**1923 წლის 3 აპრილს – შიშო და დიურის „მასკობა“ (რეჟ. პ. მარჯანიშვილი)** – რაც შეეხება „მასკობას“, აქ უკვე აღარაფერია საბოდიშო, რადგან ეს ანეკდოტი კი არა, ტრაგედიაა, ნამდვილი ტრაგედია! როგორც ჩანს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ს. ახმეტელისა და კ. მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატმა, პროფ. ვ. კიკნაძემ არ იცის ელემენტარული საკითხი თუ ვინ ითვლება ოპერისა თუ ოპერეტის ავტორად. ასე რომ, ახლა მაინც გავავებინოთ „ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქს“, ვინ არის ამ კლასიკური ოპერეტის ავტორი, ოპერეტისა, რომელიც გასცენიერების პირველ 7 ნელინადმი (პარიზის ერთ-ერთ თეატრში) 1700-ჯერ დაიდგა, ანუ ნელინადმი 242-ჯერ?! დაის, ამ გასამარებელი ოპერეტის ავტორია არა შიშო და დიური, როგორც აქ წამოუკუწელებია ვ. კიკნაძეს, არამედ გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი, ლევენდარული სენ-სანდრის ლირსული მოსწავლე – ედმონ ოდრანი (Audran, 1842-1901), რომელიც ვ. კიკნაძემ, როგორც ხედავთ, საერთოდ არ ახსენა. ნუთუ მას არ გაუგონია, ვინ იყო ედმონ ოდრანი, და რომ სწორედ ის არის „მასკობას“ ავტორი?!

ნუთუ ვ. კიკნაძემ არ იცის, ედმონ ოდრანის ეს ოპერეტა რა წარმატებით იდგებოდა ჩვენში ჯერ კიდევ მე-19 ს-ის 80-იანი წლების დასაწყისიდან, როცა ეროვნული მუსიკალური კომედიის ფორმირებისა და განვითარების საქმეში ვასო აბაშიძემ აუცილებლად მიიჩნია უცხოური გამოცემლების გაზიარება, კერძოდ, იმ ოპერეტების ჩართვა რეპერტუარში, რომელთაც მაშინ წარმატებით უჩვენებდნენ თბილისში მოღვაწე რუსული დასები და ამ უანრის საგასტროლოდ ჩამოსული ევროპელი მსახიობები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ გადაამწყვეტი იმპულსი იყო გამოჩენილი ფრანგი მსახიობის, ყველა პარამეტრით იმდროინდელი ნამდვილი ვარსკვლავის – ანა ჟუდიკის (Judic, 1850-1911) გასტროლები, რამაც გამოავნებელი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინ-

დელ თბილისში. ანა უილდკი თვით ოფენბახის (Ofenbach, 1819-1880) მიერ აღმოჩენილი და გაბრწყინებული ვარსკვლავი იყო, ხოლო მეორე საოპერეტო კლასიკოსმა – ფლორიმონ ერვემ (Herve, 1825-1892) სწორედ საგანგებოდ მისთვის შექმნა გახმაურებული ოპერეტა – „მადმუაზელ მუნუში“, რომლის მიხედვით კინემატოგრაფის რიტუჯ პერიოდშივე დაიწყეს ფილმების გადაღება... მაკო საფაროვა-აბაშიძისას, რომელიც დიდი ტრფიალი იყო ამ ჟანრისა, როგორც ამბობენ, სახელოვანი გასტროლოირის არც ერთი სპექტაკლი არ გამოუტოვებია...

ვასო აბაშიძემ, როგორც ამ თაოსნობის ინიციატორმა, ზედიზედ რვა ოპერეტა თარგმნა, უფრო სწორად, გადმოაქართულა და მათ შორის, რა თქმა უნდა, „მასკოტას“, ანუ „ნატერის თვლი“, როგორც ის იყო რეკლამირებული მასინაც და შემდგომაც. რაც შეეხება ამ ოპერეტების მუსიკალურ მხარეს, ეს მთლიანად ითავს ზაქარია ფალიაშვილის დამძებმა (როგორც ცნობილია, ზაქარიას 17 და-ძმა ჰყავდა) – პირველ სპექტაკლებს დირიჟორობდა ივანე ფალიაშვილი, – შემდგომში საქართველოს სახალხო არტისტი; 1905 წლიდან კი პოლიკარპე ფალიაშვილი, რომლის სპექტაკლებში, კერძოდ, „მასკოტაში“ მთავარ როლებს ასრულებდნენ თვით ვასო აბაშიძე, მისი უნიჭიერესი ქალიშვილი – ტასო აბაშიძე და ქართული დრამის კიდევ ერთი გამოჩენილი ოსტატი – ალექსანდრე იმედაშვილი. ანა ფალიაშვილი კონცერტმეისტერი იყო, ხოლო მეორე და – ანა მსახიობობდა.

სპეციალურ ლიტერატურაში ისიც ხაზგასმულია, რომ, თუ ერთმომქედებიანი ოპერეტები ვოდევილის სტილში იდგებოდა, „პერიკოლასა“ და „მასკოტას“ ვასო აბაშიძე მიუდგა, როგორც დიდ მუსიკალურ-თეატრალურ ფორმას და ა. შ. და ა. შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა პერიოდში – 1935 წელს, როცა ოფიციალურად დაფუძნდა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი, აქ განხორციელებული „მასკოტა“, რომლის დადგმა არჩილ ჩხარტიშვილმა დაიწყო, მაგრამ იგი მალე გადაიყვანეს ბათუმის თეატრში და სპექტაკლი არსებითად განახორციელა ჩვენი მუსკომედიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა (მიხეილ ჭიაურელით ერთად), ცნობილმა მსახიობმა (კინოსიც) და რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ – დედე ძნელაძემ (1891-1971); ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ სპექტაკლში გაბრწყინდნენ პირველად სრულიად ახალგაზრდა ვახტანგ სალაჩიძე და ნიკოლოზ მოსესვილი და ა. შ. და ა. შ.

ახლა ისიც გავიხსენოთ, თუ რა სიყვარულით გვიამბობს ამ ოპერეტაზე საქართველოს სახალხო

არტისტი ტასო აბაშიძე მეშუარების წიგნში, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ იმ წელს (1954) გამოვიდა, როცა ვ. კიკნაძემ დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი, რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა სალიტერატურო ნაწილის გამგედ და ვასო აბაშიძის-100 წლისთავთან დაკავშირებით პირველი სტაჟიაც გამოაქვეყნა ქართული თეატრის ამ ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეზე; ნუთუ კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატმა, პროფ. ვ. კიკნაძემ არ უნდა იცოდეს, რომ კ. მარჯანიშვილმა იდე. ოდრანის ეს ოპერეტა ჯერ კიდევ რუსეთში მოღვაწეობის დროს დადგა 1919 წელს? მართალია, მას უცხო ენებთან ტრადიციულად ჰქვს პრობლემები, მაგრამ ეს საკითხი და, საერთოდ, თემა – „ედ. ოდრანი ქართულ სცენაზე“ საკმაოდ არის გაუქუბებული ქართულ თეატრმცოდნეობაშიც: გავისენოთ შალვა მაჭავარიანის მშვენიერი მონოგრაფიები: „ქართული საბჭოთა თეატრი“ (ორივე წიგნი, 1962-66) და „ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია“ (1973); დლო ანთაძისა (ორივე გამოცემა, 1962-1971 წელი) და თამარ ვახვახიშვილის (1976) მეშუარები; ოთარ კასრაძის მონოგრაფია – „კოტე მარჯანიშვილი (1978); ეთერ გუგუშვილის მონოგრაფია „კოტე მარჯანიშვილი“ (1979); საცნობარო-საინფორმაციო გამოცემა – „რუსთაველის თეატრის რემიტური და გასტროლოგი“ (2005); განსაკუთრებით უნდა შევასენო ბატონ ვასოს ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და თანამშრომლის, ქალბატონი მირა ფიჩხაძის საყურადღებო გამოკვლევა – „ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი“ (1983), რომლის რედაქტორია უდრწყინვალესი მუსიკათმცოდნე და ჩვენი საერთო მეგობარი, დაუვიწყარი ტატული – ანტონ ნულუკიძე და, რაღა შორს ნავიდეთ, აკაკი ვასაძის მოგონებების წიგნი, რომლის რედაქტორი თავად – ვ. კიკნაძე გახლავთ.

ამ ზოგადი მიმოხილვინადაც ნათელია, რომ უკვე მესამე საუკუნეა, რაც ედმონ ოდრანის შემოქმედება ცნობილია ქართველი მაყურებელ-მკითხველისთვის. ამ საკითხზე ისეთი მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რომ ერთ სადისერტაციო ნაშრომს დაწერდა კაცი და, ამდენად, მიაკვებს, „ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქისთვის“ რატომ არის ყოველივე ეს უცნობი?!

ამით არსებითად შეშეძლო კიდევ დამემთავრებინა კომენტარი „მასკოტას“ თემაზე, მაგრამ ნამით გავიფიქრე, ხომ შეიძლება მავანმა თქვას, შეკაი დედამამიშვილო, გასაგებია, რომ „მასკოტას“ ავტორი ედმონ ოდრანი ყოფილა, მაგრამ, ბარემ, მოაყარე მადლს მარილი და გაგვიმოხეცე, ეს შიოე და დიური ვინდა არიან ბოლოს და ბოლოს... შეიძლება კი არა, მე და ჩემმა ლმერთმა, ნამდვილად

დაისმება ასეთი კითხვა და მართალიც იქნებან – რაკი ასე ნანატრ „ქართული დრამატული თეატრის ისტორიაში“ თვით კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთ სპექტაკლთან დაკავშირებით, მართალია, შეცდომით, მაგრამ მაინც არიან დასახელებული ეს პიროვნებები, ბუნებრივია, ამ საკითხის მიფუძვინება აღარ შეიძლება – რას იზამ, ლოგიკას ვერ გავეტყვი?!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ტანდემი (სრსებითად ერთი და იმავე სახელებით, მაგრამ განსხვავებული ნოუსანებით: „შიკო, დიური“, „შიგო, დიურული“, „შიკო, დიურ“, „შიგო და დიური“, „ე. შიკო და რ. დიური“) პირველად ასეთი გაგებით – ოპერეტის ავტორების რანგში გამოჩნდა შალვა აფხაძისა და ნინო შვანგირაძის უცვლელ არაერთხელ ნახსენებ ნიგნში და ეს ფრიად მათეცხს. ბატონი შალვა აფხაძეც (1894-1968) და ქალბატონი ნინო შვანგირაძეც (1917-1997) ერთობ ღვაწლმოსილი თეატრალური მუშაკები იყვნენ; უფრო მეტიც, ბატონი შ. აფხაძეც კ. მარჯანიშვილისეულ „მასკოტას“ დადგმის უშუალოდ მომხსნე იყო, რადგან იგი იმ დროს განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდა ე. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის თეატრთან, შემდგომ მონოგრაფიებიც კი გამოაქვეყნა ვერკო ანჯაფარიძეზე, სანდრო ახმეტელზე, აკაკი ხორავაზე და ა. შ. ერთი სიტყვით, დამუშავებულ იქნა გემინტარული შეცდომა, რომელმაც 1958 წლიდან გამოიარა თიქეშის ნახევარი საუკუნე და 2001 წელს ე. კიკნაძის მონოგრაფიაში აშოყო თავი.

შეცდომის რა მექანიზმზეა საუბარი? საქმე ის არის, რომ დრამატული თეატრის რეპერტუარის პირველ გრაფში ტრადიციულად ისმება ჯერ პიესის ავტორის, ანუ დრამატურგის გვარი და შემდეგ მოდის რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი და ა. შ. „მასკოტას“ შემთხვევაში ვერ იქნა გათვალისწინებული, რომ ოპერეტის (ისევე, როგორც ოპერის) ავტორად ითვლება კომპოზიტორი, ვინც ეს ოპერეტა (ოპერა) შექმნა და არა ის, ვინც ლიბრეტო დაწერა. რაკი კომპოზიტორი ბოლოში უნდა მოქცეულიყო, ვიღაცის დაუდევრობით ლიბრეტოს ავტორებმა ნინ გადმონაცვლეს „ავტორის“ გრაფაში და ასე „გახდნენ“ შიგო და დიური „მასკოტას“ ავტორები. სამწუხაროდ, ამ შეცდომას არავინ მიაქცია ყურადღება – აფხაძე-შვანგირაძის ნიგნიდან იგი, ამჯერად მხოლოდ ნ. შვანგირაძის ხელმოწერით, მოხვდა „ტეატრალური ენციკლოპედიაში“, რომლიდანაც გადავიდა ე. ნინიკაშვილის მიერ გამოცემულ საიუბილეო კრებულში, აქედან კი ე. კიკნაძის მონოგრაფიაში. ცხადია, ეს შეცდომა ე. კიკნაძეს, თუკი მისი მონოგრაფიის პირველ გამოცემას ვინმე მართლაც განიხილავდა, მეორე გამოცემაში (2003) უნდა გაესწორებინა, მაგრამ კიკნაძე-გურაბანიძის ტანდემმა ამისთვის ვერ მოიცალა და ახლა ამ პრინ-

ციპით შეიძლება ვალერიან გუნია გამოცხადდეს ოპერა „დაისის“ ავტორად, პეტრე უმიკაშვილი – ოპერისა „აბესალომ და ეთერი“ და ა. შ. და ა. შ. აი, სადამდე შეიძლება მივიყვანოს უყურადღებობა! დაბოლოვ, ისიც უნდა მეთითებინა ე. კიკნაძეს, რომ „მასკოტას“ ერქვა აგრეთვე „ნატურისთვლი“ და იგი უფრო ხშირად სწორედ ამ სახელწოდებით იყო რეკლამირებული, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით პრემიერის დღესაც.

**1923 წლის 19 აპრილს – შექსპირის „მაკბეტი“ (რეჟ. ა. ქორაქლი).**

**1923 წლის 24 აპრილს – შელდონის „რომანი“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი)** – შეცდომა პრემიერის თარიღში: 24 აპრილს არანაირი პრემიერა რუსთაველის თეატრში არ გამართულა – იყო დიდი სახეობი შეხვედრა, რომელიც მიქდუნდა, როგორც პრესაშია რეკლამირებული, დამსახვებული პედაგოგის აფრასიონ ჯაფარიძის მოღვაწეობის 50-ე წლისთავს. ეს იმდენად დიდმნიშვნელოვანი საიუბილეო საღამო გახლდათ, რომ მასში თვით ვანო სარაჯიშვილიც კი მონაწილეობდა და ე. ფოცხვერაშვილისა და მ. თარხნიშვილის მომღერალთა გუნდებიც... რაც შეეხება სპექტაკლ „რომანის“ პრემიერას, იგი, როგორც პრესაშია გამოცხადებული, გამართა ორი დღით ადრე – 22 აპრილს. პიესის ავტორია ნაყოფურებით სიღვიძ გამოჩენული ამერიკელი დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ე დ უ ა რ დ შ ე ლ დონი (Edward Sheldon, 1886-1946). ამდენად, ვერაფრით დავეთანხმები დ. ანთაძეს, რომელიც თავისი პირველების პირველი გამოცემის ნიგნში წერს ამ სპექტაკლზე, რომ „დაიდა კიდევ ერთი უზრალო პიესა – „რომანი“ ვიღაც (ხაზი ორივეგან ჩემია – გ. დ.) ამერიკელი ავტორისა [1962 წლის გამოცემა, გვ. 153]. მეორე გამოცემაში არსებითად იმავეს იმორებს, მხოლოდ სიტყვებია გადაადგილებული („დაიდა კიდევ ვიღაც ამერიკელი ავტორის ერთი უზრალო პიესა – „რომანი“ [1971 წლის გამოცემა, გვ. 138])... როგორც ხედავთ, ამაოდ არ მინიანსწარმეტყველებია ის პროცესი თუ როგორ მიმართა წყაროებს ბატონმა დ. ანთაძემ მემუარების წერილსას, მაგრამ ახლა უკმარისობის გრძობა გამოჩნდა – როგორც ჩანს, ბატონი დ. ანთაძე კიდევ უფრო უნდა ჩაღრმავებოდა საინფორმაციო მასალებს და მაშინ ნახავდა, რომ, თუ ენციკლოპედიაში გამოცემებში რომელიმე შემოქმედის დასახასიათებლად საკმაოდ მიიჩნევენ 3-4 ნაშრომის დასახელებას, „ვიღაც“ ამერიკელი ავტორის შემოქმედებით აქტივით ამ მხრივ ჩამოთვლილია 17 პიესა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ედუარდ შელდონი სუცდომა არ არის ასე ხელნაწომსაკრავი დრამატურგი. სხვათა შორის, ბატონ დ. ანთაძეს მისი სახელი და

გვარი საერთოდ არც მოჰყავს, როგორც ჩანს, არ მიუწვდია ხელი სათანადო წყაროებზე...

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ პიესას ეწოდება „Romance“, რაც ითარგმნება, როგორც რაინდული, გმირული რომანი, მაგრამ ეგ სხვა საკითხია, თანაც რუსულიდან მიღის და ყველგან რუსულ თუ ქართულ ენაზე სწორედ ასე („რომანი“) იყო რეკლამირებული. არც იმას დაგვიმაღეთ, ძალიან დიდი ეჭვი გამიჩნდა, რომ ამ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორად კ. მარჯანიშვილი გამოცხადდეს, მაგრამ ამის თაობაზეც ცალკე საუბარია საჭირო.

**1923 წლის 6 მაისს – გ. სუნდუქიანის „აპაო“ (რეჟ. ვ. აბაშიძე).**

**1923 წლის 22 ივნისს – შიქსაძის „აპაო-ბი“ (რეჟ. ა. შალვა).**

**1923 წლის 29 ივნისს – გოფომანსტალის „ელაქტრა“ (რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი)** – შეცდომით არის დრამატურგის გვარი: უნდა იყოს არა „გოფომანსტალი“, არამედ „ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი“ (Hofmannsthal, 1874-1929) – ცნობილი ავსტრიელი მწერალი, ნეორომანტიზმისა და სიმბოლისტების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი „ზობიედას ქორწინება“ ვერ კიდევ 1909 წელს დადგა ვალერიან შალიკაშვილმა ცნობილი ქართველი პოეტის იროდიონ ევდოვილის თარგმანით.

**1923 წლის 31 ივნისს – ბ. შალიკაშვილის „უნიადამონი“ (რეჟ. მ. ქორაძე).**

**1923 წლის 18 ოქტომბერს – გ. ერისთავის „გაყრა“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი).**

**1923 წლის 29 ოქტომბერს – ხ. ბანავატის „ინტარესთა თამაში“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი)** – არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო, სახელგანთქმული ესპანელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი ხასინტო ბენავენტე ი მარტინესი (Benavente y Martinez, 1866-1954) „ქართული დრამატული თეატრის ისტორიაში“ ხან ასეა („ბენეგტი“) მოხსენიებული, ხან როგორც „ბენავენტა“ (509) და ხანაც – „ბენეგტი“ (543).

**1923 წლის 19 ნოემბერს – ჯ. სინავის „გმირი“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი, ს. ახმატალი)** – სულ რაღაც 6 გვერდის შემდეგ ნათქვამია, „გმირის“ პრემიერა 15 ნოემბერს შედგაო – რომელს დავუჯეროთ? ცხადია, მეორე ინფორმაციას, რადგან „გმირის“ პრემიერა, მართლაც, 1923 წლის 15 ნოემბერს გაიმართა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა (გაზ. „ტრიბუნა“, 20.XI.1923). თარიღის (15.XI.1923) უტყუარობა იმითაც მტკიცდება, რომ დადასტურებულია მრავალგზის მითითებულ დოკუმენტების კრებულში (გვ. 236), რომლის რედაქტორია, რა თქმა უნდა, ბატონი ვ. კიკნაძე.

**1923 წლის 4 დეკემბერს – ბ. ტოლარის „კა-ცი-მანა“ (რეჟ. მ. ქორაძე).**

**1924 წლის 2 იანვარს – მოლიარის „ბაზა-ნაშარბული მდაბიო“ (რეჟის. კ. მარჯანიშვილი)** – შეცდომა ამ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორად მხოლოდ კ. მარჯანიშვილის გამოცხადება, რადგან იგი კ. მარჯანიშვილთან ერთად დადგეს მიხეილ ქორეზმა და სანდრო ახმეტელმა. ისიც შეცდომაა, როცა ამ სპექტაკლის დამდგმულად კ. მარჯანიშვილთან ერთად ზოგჯერ მოხსენიებულია მხოლოდ მ. ქორელი (გვ. 558). ყოველზე ამის შესახებ იხილეთ ისევ და ისევ ისეთი უტყუარი წყარო, როგორც არის ჩვენი ძველი ნაცნობი დოკუმენტების კრებული (გვ. 288), რომლის რედაქტორია ვ. კიკნაძე.

**1924 წლის 14 თებერვალს – გ. კაიზერის „გაზი“ (რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი)** – თუმცა მომდევნო გვერდზე ნათქვამია „კ. კაიზერი“, ანუ სხვა ინიციალია. რომელს დავუჯეროთ? ცხადია, უნდა იყოს: ცნობილი გერმანელი ექსპრესიონისტი მწერალი – გეორგ კაიზერი (Kaiser, 1878-1945) და ამასთან, რაკი 1500-გვერდიანი „ისტორია“ ინერგობდა, კარგი იქნებოდა იმის მინიშნებაც, თუ, კერძოდ, რომელი, ასე ვთქვათ, „გაზი“ იგულისხმება აქ: „გაზი I“ თუ „გაზი II“? როგორც ცნობილია, გ. კაიზერის კალამს ეკუთვნის ტროლოგია „გაზი“, რომელშიც შედის: „მარჯნები“ (1917), „გაზი I“ (1918) და „გაზი II“ (1920). აქედან ჩვენს სვენაზე ვალერიან გაფრინდაშვილის თარგმანით დაიდგა „გაზი I“.

**1924 წლის 24 აპრილს – დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟის. ა. შალვა)** – (აქ ერთი არსებითი ნოუანსი აკლია – „სამანიშვილის დედინაცვალი“, ცხადია, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებია, მაგრამ იგი თავად ავტორს კი არ გაუსტყვიურებია, არამედ ეს გააკეთა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და ომპირისტმა – შალვა შარაშიძემ (1880-1934), რომელიც „თაგუნას“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა და რომლის პიესა „აგაგროზი“ 1921 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა. უნდა შევახსენოთ, რომ ბატონ დიმიტრი ვანელიძის სტაჟებში, რომელიც გამოქვეყნებულია „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიაში“, ეს სპექტაკლი ყოველთვის მოხსენიებულია (გვ. 234, 255), როგორც დ. კლდიაშვილის მოთხრობის ინსცენირება ან ად. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით და არა ისე, როგორც ვ. კიკნაძე გვთავაზობს, თითქოს პიესაც დავით კლდიაშვილს დაწეროს.

**1924 წლის 29 ოქტომბერს – ს. შანშიაშვილის „ამთარსის პანაშვილი“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი)** – ოო, აქაც ნამეტანი არეულობაა: დავინყოთ იმით, რომ ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი მარტო კ. მარჯანიშვილი კი არაა, არამედ – ს. ახმეტელიც; ამდენად, სპექტაკლის ავტორებად ორივე უნდა მოვიხსენიოთ და ეს ყოველაფერი დასტურდება იმ კრებულითაც (გვ. 308, 318, 319, 322), რომლის რედაქტორია ისევ და ისევ ვ. კიკნაძე.

ამასთან, 29 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში ვერაფრით ჩატარდებოდა ს. შანშიაშვილის პიესის პრემიერა, რადგან სწორედ ამ დღეს იქ გაიხსნა სომხური დრამის სეზონი და წარმოდგენილ იქნა „მქრეთვის დაღუპვა“ – შევასხენეთ მითთველს, რომ ამ დროისთვის ყოველ ოთხშაბათს (და 1924 წლის 29 ოქტომბერი სწორედ ოთხშაბათი გახლდათ) რუსთაველის თეატრის სცენა ეთმობოდა სომხურ დასს, პარასკეობით კი თურქულს და ეს უნდა იცოდეს „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ ავტორმაც და რედაქტორმაც.

რაც შეეხება ვ. კიკნაძის მიერ მითითებულ პრემიერას, იგი გაიმართა არა 29 ოქტომბერს, არამედ 4 დღით ადრე – 25 ოქტომბერს, როცა რუსთაველის თეატრმა გახსნა თავისი მორიგი სეზონი. იხ. ისევ ის კრებულთა (გვ. 318-319), რომლის რედაქტორია ვ. კიკნაძე.

ერთ საგულისხმო გარემოებაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება: როგორც ცნობილია, კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ამ სპექტაკლს ჰქონდა ორი სახელწოდება, რომელსაც, ასე ვთქვათ, მონაცვლეობით იყენებდნენ. ხან იწერებოდა „მათრახის პანაშვიდი“ („ჰერეთის გმირები“), ხანაც – „ჰერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვიდი“) და არც ერთ ვარიანტში დიდი ტრაგედია არ იყო, მაგრამ მხოლოდ რომელიმე მათგანის გამოყენება, როგორც ეს ვ. კიკნაძემ შემოგვთავაზა, არ შეიძლება, მით უმეტეს, თუ რომელიმე სახელწოდების პრიორიტეტულ გამოყენებაზე მიდგება საქმე, ტრადიციულად აქ აშკარად „ლიდერობს“ „ჰერეთის გმირები“. გაეზიხვნით, რომ სწორედ მხოლოდ ამ ფორმით არის მოხსენიებული კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ეს ერთობლივი სპექტაკლი ისეთ გამოცემებში, როგორცაა: ს. ამაღლობელის „ქართული თეატრი“ (ან. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობით), რომელიც რუსთაველის თეატრის მოსკოვში საგასტროლოდ გამოვიდა 1930 წელს რუსულ ენაზე; პროფ. ალ. ფევერალსკის მონოგრაფია რუსთაველის თეატრზე (მოსკოვი, 1959, აქ ცალკე თავია სათაურით „ჰერეთის გმირები“, გვ. 100-103); პროფ. შლავა მაჭავარიანის „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორია“ (თბილისი, „განათლება“, 1973, აქაც ცალკე ქვეთავია „ჰერეთის გმირები“); 1981 წელს გამოცემული ქართული ენციკლოპედიის საგანგებო ტომი საქართველოზე (ქართულ და რუსულ ენებზე – დ. ჯანელიძის სტატია „ქართული თეატრი“ და ა. შ.).

ამ პერიოდში არც ვ. კიკნაძე იყო გამოწვევისი ამ მხრივ და ისიც ასეთი სათაურით („ჰერეთის გმირები“) წერდა აღნიშნულ სპექტაკლზე. ამის საილუსტრაციოდ შეგიძლიათ გაეცნოთ ს. ახმეტელისადმი მიძღვნილ მის სტატიას „ქართული ენციკლოპედიაში“ (1977, ტ. II, გვ. 107) ან შესავალ წერილს (გვ. 27) იმ კრებულისთვის

(ალ. ახმეტელი...), რომელიც არაერთხელ მოვიხიბეთ და რომლის რედაქტორიც თავად არის. მაგრამ, თუ მავანი იტყვის, ეს წინათ იყო, საბჭოთა პერიოდში, მაშინ შევასხენებთ, რომ ვ. კიკნაძე არც ამ მონოგრაფიაში ღალატობს უპრინციპობის პრინციპს და ხან „მათრახის პანაშვილს“ ვეთავაზობს (გვ. 514) და ხანაც ისევ „ჰერეთის გმირებს“ (გვ. 550, 691). დასკვნა ადვილი გასაკეთებელია თუ ქართული თეატრის მომავალი ისტორიკოსები მეტ ყურადღებას გამოიჩენენ.

დაბოლოს, აქვე განსაკუთრებით უნდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზეც, რომ დროის სწორედ ამ მონაკვეთში – 28 ოქტომბერს გაიმართა გრ. რომაქიძის მეორე პიესის („მალშტრემი“) პრემიერა, რომელიც განახორციელა სანდრო ახმეტელმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრემიერაც, ისევე როგორც „ლონდაზე“ ითქვამს, საერთოდ ამოაგდო ვ. კიკნაძემ რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან, თუმცა ამის შესახებ, შეპირებისამებრ, თავის დროზე ვისაუბრებ...

**1924 წლის 30 ოქტომბერი – ს. შანშიაშვილის „ლატაპრაბა“ (რამ. ს. ახმატელი).**

**1924 წლის 20 ნოემბერი – შანშიაშვილის „უნიქორალი მხინარული ქალბავი“ (რამ. კ. მარჯანიშვილი, ს. ახმატელი) – გვ. 512-514, არასწორია სპექტაკლის სახელწოდება – პრემიერაც და შემდგომი წარმოდგენებიც რეკლამირებული იყო როგორც „უნიქორის მხინარული ქალბავი“ (როგორც ეს სწორად მითითებულია მხოლოდ ორ პუბლიკაციაში. იხ. პროფ. ვიქტორ გუგუშვილის სტატია „ქართულ თეატრზე“. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. VII, 1976, გვ. 884 და საცნობარო-საინფორმაციო გამოცემა – „რუსთაველის თეატრის რეპერტუარი“, 2005, გვ. 3) და არა როგორც „უნიქორელი მხინარული ქალბავი“. თავად ფრანზა „უნიქორელი“ გაცვლითი გვიან გაჩნდა, თუ არ ვცდები, 1955 წელს, როცა ბატონმა ვახტანგ ქვიციანიძემ უწინააღმდეგარაოდ გამოაქვეყნა ამ კომედიის საკუთარი თარგმანი. რაც შეეხება უშუალოდ ელ. ორბელიანის თარგმანს, რომლითაც დაიდგა სპექტაკლი, მასზე ხელი ვერ ვერობთ ვერ მიმიწვდა. მაგრამ ერთი რამ ისედაც ნათელია: „უნიქორელი მხინარული ქალბავი“ მაშინ ვერ კიდევ არ გამოიყენებოდა. ეს პიესის მონაცემებითაც მტკიცდება და იმ დღიურითაც, რომელიც ტრადიციულად შედგა რუსთაველის თეატრში პრემიერის დღეს, თუმცა აქ სულაც მესამე ვარიანტი წერია – „უნიქორელი მხინარული ქალბავი“. ეს დღიური კი იმ დოკუმენტების კრებულშია გამოქვეყნებული (გვ. 23), რომლის რედაქტორია ვ. კიკნაძე, ანუ ამით იმის თქმა მინდა, ბატონი ვასო უკვე აღარც მყარდნად ვარცა – ფიროვნიტი გაცეცითა და მარტო სახელური ატრიალედ რამდენიც გინდა.**

ასეთია ჩემი შენიშვნები რუსთაველის თეატრის 1921-1924 წლების რეპერტუარზე, რომელიც პროფ. ვ. კიკნაძემ გამოაქვეყნა თავის მონოგრაფიაში „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“. ეს წიგნი, ვიმეორებ, უკვე ორჯერ (2001-2003) გამოვიდა და ერთხელაც არ გამხდარა სერიოზული განხილვის საგანი, თუ არ ჩავთვლით (და ნამდვილად არც შეიძლება ჩაითვალოს!) იმ ფარსს, რომელიც ე. წ. მრგვალი მაგიდის სახით მოაწყო ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება...“

ა. წ. 2 მაისს ერთობ კრიტიკული რეპლიკა გამოვაქვეყნე გაზეთ „რეზონანსში“ ამ, ძალზედ მსუბუქად რომ ვთქვათ, გამოსაცემად მოუმზადებელ წიგნზე, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ავტორმა გამცა პასუხი და არც რედაქტორმა. მაშინ წერილობით მივმართე ჯერ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას (გ. ქავთარაძე) და შემდეგ ჟურნალ „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციას (გ. ბათიაშვილი), რომ წამოგვეწყო საუბარი, რათა შემდგომში მაინც აღარ მიეწოდოს მკითხველს ასეთი უპასუხისმგებლო გამოცემები, მაგრამ ამაოდ... ასე რომ, ახლა პირდაპირ უნდა ვთხოვო ჩემს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, შესანიშნავ ქართველ

თეატრმცოდნეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორსა და კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატს, პროფ. მერაბ გეგეას თავისი კომპეტენტური აზრი გამოთქვას ყოველივე ამის თაობაზე, რაც შეეხება წინამდებარე სტატიაში დასმულ მეორე საკითხს, თუ როგორ განახორციელეს კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა (ცალ-ცალკე) გრიგოლ რობაქიძის პირველივე პიესების („ლონდა“, „მალსტრემი“) დადგმა რუსთაველის თეატრში 1923-1924 წლებში და როგორ ამოაგდო ეს დადგმები კიკნაძე-გურაბანიძის ტანდემმა რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან, თავიანთი ჭკუით – ქართული თეატრის ისტორიიდანაც, ამაზე მომდევნო სტატიაში ვისაუბრებთ, როცა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება გლახა ჭრიაშვილის აჩრდილი როგორ დაძრწის „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის“ გასაცოდავებულ ანალებში... ყველაფერი, რასაც თქვენი მონა-მორჩილი ვთავაზობთ ვ. კიკნაძის წიგნთან დაკავშირებით, მიღებულ და განხილულ უნდა იქნეს, როგორც ე.წ. მასალები ქართული თეატრის ისტორიისთვის – სხვა პრეტენზია, ბუნებრივია, ჩემი ხელობის კაცს არც შეიძლება ჰქონდეს.

P. S. როგორც ხედავთ, არსებითად მხოლოდ ერთი საკითხი („რეპერტუარი“) განვიხილეთ. ასე რომ, ის უამრავი ფაქტობრივი შეცდომა, რითაც ასე დახუნძლულია ვ. კიკნაძის ნაშრომი (თუ ფაქტობრივია თუ ჩამომერთმევა, შემიძლია სანაძლეოც დაედო, რომ ამ ვებებერთელა წიგნში არათუ ერთი გვერდი, ერთი წინადადებაც კი ვერ მოიძებნება უშეცდომო), სხვა საუბრის თემაა.



## უცნობი ავტორი

*მადლი შენ მასვლას, აპრილო...*

მადლი შენ მასვლას, აპრილო, ვგრძნობ სუნთქვას ჩემი მთებისა, არაგვის კალაპოტაი წყლის სმით ველარა ძღებისა. არაგვს მთა მასძულებია, გული მიუწევს ზღვებისა, ზღვებმა ჩაყლაპვა იციან პატარებისა, სხვებისა. შენც ზღვა გახდები სიმდოვრით, ზღვისავე თვისებებისა, დამმონებელი ბუნების ბოროტი გააზრებისა. ვერასდროს ნახავ, ბედშავო, ჯიხვ რო კლდეს გადმადგებისა. ველარ იყურებ თოფის ხმას, ტყვია რომ გამასტყვერებისა. ან მშიერ მგელთა ნატირალს, მთვარე რო იბადებისა, ამ მთების ჟრჟოლას, თბილ სუნთქვას, დილა რო იბადრებისა. თვალს ვაჟებრ ვერ შამავლებ მდელოსა ყვაილებისა – სამშობლოს მიტოვებაი წყლისგანაც არ იქნებისა. სამშობლოს მიმტოვებელი ჯოჯოხეთ ცეცხლში დნებისა. წყალო, შენხელა არა ვარ, თუმც სიმძიმე მჭირს წლებისა. აპრილი მე რას მიშველის, ძარღვი წყდებისა, შრებისა, სული კი როგორ მიდგია დამმარხავს მეგობრებისა, ქისტეთ ლაშქარში დამკარგავს ჩემი ძმებისა, მტრებისა. ჩემი სიცოცხლის სანთელიც იღვეის, იღვენთებისა, საიქიოს არაყით გონი ბრუევების, თვრებისა. თუ იქაცა ხარ, არაგვო, გულს ჯავრი არ ექნებისა გასაბან-გამოსაკეებად მტრის ხელით მაკლულებისა. ღიმილით მივალ იმათთან, მორჩილი ცათა ნებისა, სხვა საქართველოს ვიხილავ, სხვარიგის ვაჟკაცებისა. მაგ ლექსის ამამწვალები, თუ დაჯდა, ველარ დგებისა, მამული სატრფოდ უცვნია, სატრფოსთვის იდაგებისა.

*თამაზ ტყემალაძისგან ჩაინერა  
ბაბუა ალუდაურმა.*

# ინტერვიუ

## ინტერვიუ საქართველოს გარემოსდაცვითი სამსახურის სამსახურის სამსახურის სამსახურის



რედაქციისგან:

შემოქმედებითი მუშაკები ნაკლებად იწუხებენ თავს კანონმდებლობის გაცნობით, არადა, საქართველოს კანონმდებლობით შემოქმედი დაცულია მპარავეებისა თუ ლიტერატურული შუღლერებისგან. ჩვენ ცოტა რამ ვიცით ჩვენივე უფლებების შესახებ. ჩვენი კორესპონდენტი ნინო ქობინაძე შეხვდა და ესაუბრა სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარეს პ-ნ ირაკლი ღვებელიძეს.

ბატონ ირაკლის სასახელიდან გვინფორმირებ, რომ მან თავისი საქმიანობა ამ პოსტზე შემოქმედთა უფლებების პრიორიტეტის ხაზგასმით დაიწყო. ვთავაზობთ დეპარტამენტის თავმჯდომარესთან მოკლე ინტერვიუს.

საქართველოში ყოველი მეორე პოეტია, ყოველი მესამე – კომპოზიტორი და ლამის ყველა – მომწერალი...

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ბევრი დრომოჭმული სახელმწიფო დანესებულება გვაუქმებდა და ევროპულ სტანდარტებზე მოსარგებად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას მივყავით ხელი. თითქმის უკვე მივხვდით, რომ ამ დედამისზე ადამიანებმა ისე უნდა ვიცხოვროთ, ერთმანეთის მორალური თუ იურიდიული უფლებები არ დაეარღვიოთ დემოკრატიულ ქვეყანაში (თუ მის მშენებლობაზე გვაქვს პრეტენზია).

ევროპას რა ენაღვლება, – ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი ხომ უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი და ახლა უკვე ნიანგების და პინგვინების უფლებათა დაცვაზე ფიქრობს და ზრუნავს.

ჩვენ ვიკითხოთ, თორემ...

როგორი წარმოსადგენია, ერთ დილას გაველვით, ერთი პოეტური შედევრი შეთხზა უცებ და მეორე დღეს ვილაღ უნიჭო შემოგვადგავს – ეგ შენი კი არა, ჩემი დაწერილიაო – ეს საავტორო უფლებების დარღვევაა, რაც საზღვარგარეთ, კანონით ისჯება და მის დამრღვევს სათანადო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

– ახლა შედეგებს ვინდა თხზავსო, – გაცივებდა ბევრს. ლიტერატურის დარგში თუ მოვიკოჭლებთ, მუსიკის სფეროში ხომ უკეთ გვაქვს საქმე: კარგი საქმიანობა და სატრფიალო სიმღერა რომ დაწეროს ვინმემ და რომელიმე რესტორანმა მისი ნებართვის გარეშე შეასრულოს და არც არაფერი გადაუხადოს ავტორს, ხომ უსამართლობაა? რა, რესტორნები დაიღვევა ჩვენთან თუ ქეიფისა და გართობის მოყვარული საზოგადოება. ამისთვის შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ინტელექტუალურ საკუთრებათა ეროვნული ცენტრი – საქეპტენტი.

მე, პირადად, ქვეყნისა და ერის ინტელექტუალურ საკუთრებად უფრო სხვა ფასეულობები წარმოვიდგენია და რა საერთო აქვს ამას, მაგ. ყველის დაპატენტებასთან, ვერ გავიგე, ამიტომ ვითარებაში გასარკვევად ამ ცენტრს ვენვი, რომელმაც რუსთაველის გამზირზე, ყოფილი იუსტიციის სამინისტროს შენობაში დაიდო ბინა.

მამ ასე, ვისაც განტერრესები, რას ემსახურება საქმატენტი, გთავაზობთ საუბარს ამ ცენტრის ხელმძღვანელთან, მატონ ირაკლი ლვალაძესთან:

- ბ-ნო ირაკლი, რა ნიშნით შეიქმნა ინტელექტუალურ საკუთრებათა ეროვნული ცენტრი და რა ფუნქცია აკისრია მას?

- ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქმატენტი იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელშიც შედის სასაქონლო ნიშნები, პატენტები, დიზაინი, ადგილწარმოშობის დასახელებები, გეოგრაფიული აღნიშვნები, საავტორო უფლებები... ყველაფერი ეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტია და მათზე დამცავი დოკუმენტების გაცემა ხდება ჩვენთან დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეული ამ ობიექტის უკან დგას ბევრი საერთაშორისო შეთანხმება, რომლებშიც საქართველოც მონაწილეობს. მთელი კანონმდებლობა გულისხმობს თითოეული ობიექტის დაცვის პროცედურებს. მარტივად რომ გითხრათ, საქართველოში დაცულია ევროკავშირის სამი თისამდე დასახელების სხვადასხვა პროდუქცია, მათ შორის კონიაკი და შამპანური, ანუ კონიაკი და შამპანური უნდა იყოს მარტო ფრანგული, ქართული ვერ იქნება იმიტომ, რომ საერთაშორისო კანონმდებლობით შამპანის და კონიაკის რეგიონი - ყველაზე ტიპური ადგილწარმოშობის დასახელებებია... იგივე სტატუსი და წესი უნდა გავრცელდეს სულაგუნზეც და სხვა ჩვენი ადგილწარმოშობის დასახელების პროდუქტებზე, ისეთებზე, როგორც არის წინანდალი, ქინძმარაული და ა.შ. ამ ეტაპზე სულ ოცდაჩვიდმეტი ასეთი დასახელება გვაქვს.

- ეს დეპარტამენტი, თუ იცით, კომუნისტურ ეპოქაში არსებობდა?

- კომუნისტების დროს ცალ-ცალკე იყო - საავტორო უფლებებზე ცალკე იყო კომიტეტი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთათვის ცალკე სტრუქტურა არსებობდა და ა.შ. ეს სტრუქტურა გაერთიანებული სახით არ არსებობდა. ასევე, მაშინ არ ხდებოდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაც.

- ინტელექტუალურ საკუთრებათა ეროვნული ცენტრი მოიცავს რამდენიმე დეპარტამენტს, რომელთაგან ერთ-ერთია საავტორო უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. საავტორო უფლებათა კანონის მიღების აუცილებლობა რითია განპირობებული?

- XIX საუკუნის ბერნის კონვენცია ერთ-ერთი უძველესი კონვენციაა. მას შემდეგ, რაც საქართველო ამ კონვენციას მიუერთდა, რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა, დღის წესრიგში დადგა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიღება, რომელიც არეგულირებს ამ სფეროში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას,

ანუ როდესაც ხდება ნაწარმოების შესრულება, მომიჯნავე უფლება გულისხმობს, რომ დაცულია შემსრულებლის უფლებებიც. ეს კანონი არის აბსოლუტურ შესაბამისობაში ყველა იმ საერთაშორისო შეთანხმებასთან, რომლის წევრიც საქართველოა. ეს ურთიერთობები ჩვენი ჩარევით ბოლო პერიოდში უკვე რეგულირდება და ამ კუთხით სამართლებრივი შეგნებაც გაიზარდა.

- რას ნიშნავს საავტორო უფლებების დაცვა და რა სახით შეიძლება დაირღვეს ხელოვან ადამიანთა უფლებები? მაგ. კომპოზიტორთა ან მხატვართა?

- ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ამისი, მაგალითად, კომპოზიტორთა საავტორო უფლების დარღვევისა. პირველი არის სახელის უფლება, მეორე - ქონებრივი უფლება, ანუ უფლება იმისი, რომ ავტორს ჰქონდეს შემოსავალი. როდესაც ამა თუ იმ ნაწარმობს ავტორის უნებართვოდ ასრულებენ, მას შემოსავალს არ უხდიან. ამ შემთხვევაში ირღვევა ავტორის ქონებრივი უფლება; შეიძლება ვინმემ მითვისოს მისი ნაწარმოები, ამ შემთხვევაში საავტორო უფლებაც ირღვევა, ანუ ირღვევა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური უფლებაც. ამ ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით არსებობს ავტორთა საზოგადოება, რომელიც ჩვენი მხარდაჭერით შეიქმნა - ავტორებს დელეგირებული აქვთ თავიანთი უფლებები ამ საზოგადოებაში და ის ახორციელებს ამ უფლებების დაცვას.

- თუ ხელოვანი ადამიანის საავტორო უფლება დაირღვა, მან თქვენ უნდა მოგმართოს?

- მას შეუძლია ჩვენც მოგმართოს, მაგრამ უმჯობესია, თავისი პრეტენზიები განაცხადოს ავტორთა საზოგადოებაში, რომელიც დაქმნარება უფლებების დაცვაში. სწორედ ამიტომ შეიქმნა ეს ორგანიზაცია და სასურველია, ყველა ავტორი განეწიანდეს ამ საზოგადოებაში, რათა უფრო ქმედითი იყოს იმ უფლებების დაცვა, რაც მიწიჭებული აქვს კანონმდებლობით.

- რა სახის დარღვევები გხვდება ხშირად?

- ახლაც ხშირია და რამდენიმე წლის წინათ უფრო მეტი იყო ისეთი სახის დარღვევები, როგორც არის ბაზრობებზე არალეგალური სიდეხისა და ფონოგრამების გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში ავტორის და შემსრულებლის არანაირი მატერიალური მოგება არა აქვთ; ირღვევა როგორც მომიჯნავე უფლება, ასევე საავტორო უფლება - ქონებრივი უფლებაც მოგახსენებთ.

- ხომ არ არის ეს იმის ბრალი, რომ ჩვენ თავად არ გვაქვს იმის მოქალაქეობრივი თვითშეგნება, რომ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები?

- ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. ამის კულტურა ჩვენთან ძალიან დაბალი იყო. ჩვენ შევიშუბავით

შემცენებით პროგრამა, გავაჩაღეთ მუშაობა ამ კუთხით, – გვექონდა ბევრი შეხვედრა, სემინარი, მრავალი სატელევიზიო თუ რადიოგადაცემა და ბოლო პერიოდში უკვე ერიდებიან ასე აშკარად საავტორო უფლებების დარღვევას, თუმცა ცალკეული ფაქტები კიდევ არის და ეს ბუნებრივია, რადგან საზღვარგარეთაც კი, სადაც ეს ურთიერთობები დიდი ხნის მოგვარებულია, მრავალია საავტორო უფლებათა დარღვევის ფაქტი. წინათ ასეთი დავები დაკავშირებული იყო სასამართლო ხარჯებთან და ბევრი ერიდებოდა ამას, ამიტომ ვფრჩევ შემოქმედ ადამიანებს, რომ პირველ რიგში მოახდინონ თავიანთი ნაწარმოებების დეპონირება – ნაწარმოების ნარმოდგენა ჩვენთან. ჩვენ გავცემთ საბუთს, როდის შეიქმნა ეს ნაწარმოები და ავტორს გადავცემთ დეპონირების მოწმობას. ეს მოწმობა და, ამავე დროს, ავტორთა საზოგადოების წევრობა უზრუნველყოფს შემოქმედი ადამიანების ინტერესების დაცვას და მათ აღარ დასჭირდებათ სასამართლოში სიარული და ხარჯების გაღება.

– მწერლებმა როგორ უნდა დაიცვან თავიანთი უფლება?

– რაც შეეხება მწერლებს, ნაწარმოების შექმნის მომენტიდან მასზე წარმოიშობა საავტორო უფლება, მაგრამ დაცვის მიზნით სასურველია, აიღონ დეპონირების მოწმობა, ანუ ჩვენთან შემოვიდეს ეს ნაწარმოები და მასზე განაცხადი. ბოლო პერიოდში დიდი რაოდენობის ნაწარმოებები შემოდის ჩვენთან დეპონირებაზე – ლექსები, სცენარები და სხვა. ამავე დროს, მწერლებიც აუცილებლად უნდა გახდნენ ავტორთა საზოგადოების წევრები.


– სტამბები თუ არღვევენ საავტორო უფლებებს? მაგალითად, რომელიმე სახელმძღვანელო დაბეჭდეს იმაზე მეტი რაოდენობის, ვიდრე შეიკვეთს სურდა, და გაყიდეს ჩუმადა?

– ალბათ, ასეც ხდება; არის ხოლმე დავები, როდესაც ავტორის თანხმობის გარეშე დაიბეჭდა ან გამოიცა რომელიმე ნაწარმოები. ასეთი შემთხვევები ჯერჯერობით კიდევ გვხვდება, თუმცა იმედია, როცა კანონმდებლობით განსაზღვრული ეს მექანიზმები ამოქმედდება, ასეთი შემთხვევები ძალიან მოიკლებს. თუ დადასტურდება, რომ სტამბამ ხელშეკრულების პირობები დაარღვია, დაზარალებულმა უნდა მიმართოს ავტორთა საზოგადოებას, ხოლო, თუ კრიმინალთან გვაქვს საქმე, მან უნდა მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს. საავტორო უფლების დარღვევისას ვლინდება როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის კოდექსის კანონთა უგულებელყოფის ფაქტები. ეს კანონი უკვე მოქმედებს, ოღონდ მის რეალიზებას სჭირდება ინიციატივა ავტორის მხრიდან. კანონში რაიმე ცვლილების შეტანა უახლოეს მომავალში არ იგეგმება.

– დასკვნის სახით რას ურჩევთ შემოქმედ ადამიანებს?

– მივუწოდებ, პირველ რიგში გაეცნონ კანონმდებლობას, გაიცნობიერონ თავიანთი უფლებები, განეკრიანდნენ ავტორთა საზოგადოებაში, დაამყარონ ურთიერთობა ჩვენთან – საქპატენტთან, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან. ჩვენ გვაქვს ცხელი ხაზი, რომლითაც შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ. ამასთან, ჩვენს საიტზე შეუძლიათ გაეცნონ მათთვის საინტერესო ყველაწარმოებულ ინფორმაციას, მოგვმართონ კითხვებით, მოვიდნენ ჩვენთან. ნებისმიერ დროს ჩავუტარებთ კონსულტაციებს, ავუსხსნით ყველაფერს. საქართველოში ამ თვალსაზრისით კანონმდებლობა სრულყოფილია და მისი ცხოვრებაში გატარება ავტორთა ინიციატივაზეა დამოკიდებული.

ქართული მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანია ლიტერატურული შენაკადებით, რომლითაც სხვადასხვა კუთხეებიდან იკვებება და ძლიერდება; მათ შორის არის საქართველოს ძირძველი მხარე – მესხეთ-ჯავახეთი, სადაც არაერთი ღირსეული პოეტი, პროზაიკოსი, მეცნიერი, მხატვარი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს. დღეს ჩვენი უურნალი „ლიტერატურული მესხეთის“ რუბრიკით ზოგიერთი მათგანის შემოქმედებას გაგაცნობთ.



# ავთანდილ ბჭიბჭე

## როზაიები

როცა სასწაულს სასწაულზე ახდენდა ღმერთი, როს ცა და მიწა გაიმეტეს წილხვედრად ჩვენთვის, ის კი არ უთქვამთ, მხარ-თეძოზე წოლა ირჩიეთ ანდა ერთმანეთს დაუშინეთ ტყვია და დენით.

როდესაც ღმერთის სადიდებლად სიტყვა დავძარით, უფლის სახელით ავაშენეთ საყდარ-ტაძარი, ახლა რა ხდება, რატომ მძლავრობს ისევ კაენი, სისხლმა და ცრემლმა რისთვის მორწყო ტურფა მთა-ბარი.

უღმერთო ღმერთის მოციქული როდი წამხდარა, ზეცას ღრუბლები ასე ვიღამ ჩამოაფარა, რომ მზის სხივები ვეღარ ატანს ძვალსა და რბილში, და სათნოება ბოროტების მონა გამხდარა.

თუკი სამყაროს შემოქმედი მაღლა ღმერთია, მისგან შობილნი, ნეტავ, უფალს რაღად ებრძვიან, თუ ყველაფერი მაინც მისი ხდება ხელდასმით, მის უარმყოფელთ ღატაკები რატომ ეტრფიან.

ღმერთო მაღალო, განკითხვის დღე ყველას მოგველის, ჩვენ აქ ვინა ვართ, მოკვდავნი ვართ მაინც ყოველი, პირუჯვარის წერით სტომაქები ვინც ამოივსო, ის ზიარებას, ნეტავ, მაინც რატომ მოელის.

უიმედოთა იმედი ხარ, თვალის ამხელი, გმონებს, გმორჩილებს, შენითაა ის მუდამ ხელი, უპოვართათვის შემწეობაც მათი ვალია, ვისაც სულ პირზე აკერია შენი სახელი.



სამშობლო მოგვეცე, – რომ იმისთვის გავწიროთ თავი, მამულისათვის მოვილოცოთ წმინდა ტაძარი, თუკი გვარგუნე, სამუდამოდ დაგვწერე ჯვარი, მერე, უფალო, რად ნაგვართვი, რად გაგვიყავი.

მტყუნ-მართალის გარჩევა ხომ შენი ვალია, ცხოვრება ჩვენი წამია და წარმავალია, ადამის ძენი იმედით რომ შეგლალადებენ, უგუნურები გონიერთა წინ რად არიან!

თუკი იმედი ჩაგვისახე, რატომღა გვართმევ, რად არ ვუსწორებთ ჩვენც სიმართლეს ყოველთვის თვალებს, მართალი კაცი რატომ არის მუდამ დევნილი, რატომ ანიჭებ არაკაცებს მეტ სითამამეს.

ადამ და ევას ერთი ცოდვაც კი არ შეუნდე, აქ ყველა ცოდვილს რად ჰპატიობ, ჩემო მეუფევე, ნუთუ სამოთხის ერთი ვაშლი სამყაროდ ღირდა, რომ არ დაინდე, განირე და შხამად შეურგე.

როცა ყველაფერს თავის სახელს მაშინ არქმევდი, კეთილს და ბოროტს ერთურთისგან რად არ არჩევდი, ყველას რომ ერთად მიუჩინე ამქვეყნად ბინა, კეთილს რატომღა აწყველინე მერე თავბედი?


შიშველ-ტიტველი მომავლინე ქვეყნიერებას, მეც ჩემი წილი ხომ მიწოდდა ბედნიერება. მადლი, უფალო, შენეული არ იწონება, გზა ახლობელი შორეულად რად მეჩვენება.

მე, მონა ღვთისა, რატომა ვარ მუდამ მოშიში, – რაც ჩამინერგე, მას ვერასდროს ველარ მოვიშლი, შენს მაგინებელს რად აყენებ მაინც ჩემს წინა, – ხვალის იმედით ამომხადე სული ლოდინში.

ნეტავ, რად გინდა დამავინყოფ ჩვევა, ადათი, რომ შხამის შემდეგ მომანოდონ ტკბილი შარბათი? შენ გეაჯები, მოწყალეო, მონა ვარ შენი, რაც კი მომეცი, მერე ისევ რატომ წამართვი.

ბედნიერებამ თუკი ჩემთან დაისადგურა, შვება მომგვარა, სიყვარულთან მომიმსახურა, რად არ მასვენებ, ხვალინდელის დარდს რად მიმატებ და რად მაბრუნებ, ზეციერო, წყეულ წარსულთან.

რა ვქნა, უფალო, არ მასვენებს ფიქრი და დარდი, ცოდვილ მიწაზე შენ ყოველთვის იმედად მყავდი, როცა უგუნურს წამიურად გამეჭვა სიტყვა, შემინდე, ღმერთო, სითამამე წრფელი და ნაღდი!



მეცნიერება

# ვახტანგ ინაუტი

## სარგის თომოგველის ისტორიულ-ლიტერატურული სახე

სარგის თომოგველი XIII საუკუნის შუა წლების ერთ-ერთი ცნობილი სახელმწიფო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეა. იგი საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობაში მოიხსენიება, როგორც პოეტი, დიდად განათლებული და ფართო ერუდიციის მნივნილობარი. სარგისის ზედწოდება თომოგველი მიგვანიშნებს, რომ ის იყო თმოგვის ციხესიმაგრის მფლობელი, ანუ თმოგვი მისი სამეკვიდრეო ქალაქი ყოფილა. ეს დიდებული და მტერთაგან შეუვალი ციხე-ქალაქი მესხეთში ხერთვისსა და ვარძიას შორის დგას და მისი მტკიცე ბასტიონები დღესაც სიამაყის გრძობას აღძრავს მწახველში. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციულ-საფორთიფიკაციო ნაგებობა იყო სამცხე-ჯავახეთში, რომელიც აკონტროლებდა მტკვრის ხეობას ხერთვისიდან თითქმის არტანუჯის და ამ მონაკვეთის საქარაუნო გზას. თმოგვის კულტურულ დონეზე მეტყველებს ვარძია, ვანის ქვაბი, ზედა ვარძია, წყაროსთავი და მრავალი ეკლესია-მონასტერი, რომელიც ფუნქციონირებდა თომოგველთა სამფლობელოში.

სარგის თომოგველის სახელი გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, ჟამთააღმწერლის მატყინეში და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულში. XX საუკუნის მწერალთაგან სარგის თომოგველის

ისტორიულ სახეს ასახავს გრიგოლ აბაშიძე თავის რომანში „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“, რომელშიც იგი წარმოჩენილია, როგორც მეორეხარისხოვანი პერსონაჟი და ისიც ფრამენტულად, მაგრამ ეს ფაქტიც მნიშვნელოვანია თომოგველის ისტორიული სახის მხატვრულად გააზრებისთვის, რადგან ქართველი მკითხველი არ არის განებივრებული ჩვენი ისტორიული გმირების და გარდასული საუკუნეების მწერალთა და პოეტთა ცხოვრების შესახებ უხვი წყაროებით. გრ. აბაშიძის აღნიშნული რომანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულებაა მონგოლთა ბატონობის ძნელი პერიოდისა და თომოგველის მხატვრული სახის წარმოსაჩენად.

მწირია, აგრეთვე, ჟამთააღმწერლის მიერ შემონახული ცნობა სარგის თომოგველის შესახებ. იგი მას იხსენიებს, როგორც კობტასთავის შეთქმულების მონაწილეს.

ჩვენი მემატყინე სიტყვაქუნნია, საერთოდ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოცდაერთი საუკუნის ისტორიას ამდენივე ვრცელი წიგნი სჭირდება, მეტ-ნაკლებად სრულყოფილად რომ აისახოს ერის წარსული, სიტყვაქუნნობა ამ კონტექსტში პირობითია და არა შეუფარდებითი. მატყინეში მრავალი მეფე მოიხსენიება მხოლოდ ერთხელ ერთი-ორინინადადებით და, ცხადია, სარგის თომოგველის

გამო ნაკლები სასაყვედურო გვაქვს ჟამთააღმწერლისადმი. იგი ხუთჯერ მიანიც იხსენიებს მას: ერთხელ, როგორც აღწინაშეთ, კობტასთავის შეკრების დროს, მეორედ – დაეთო ლაშა გიორგის ძის მოძებნისა და გამეფებასთან დაკავშირებით გამართულ ბჭობაზე. მესამედ სარგისი მოიხსენიება დევნილი უფლისწულის ჩამოსაყვანად ნარგზანდელ დესპანებთან – ანგურად წონით და ვარამ გაგმელთან ერთად...

საყურადღებო ფაქტია, რომ მონგოლ-დამპყრობელთა სისასტიკე ცნობილია მთელ მსოფლიოში, მათ არაერთი ქვეყანა გაუნადგურებიათ და ქალაქები მოუსპობათ და ამ დროს მონგოლი ნოინი – და არამარტო ერთი ნოინი, ოთხივე, ჩორმალანი, იოსური, ბიჩუ და სხენებული ანგურაგი – მომხრეა, საქართველოს მეფე ჰყავდეს და კიდევაც გაუკვირდათ რუსუდანის ავი მოქმედება ძმისწულისადმი. მათ შანსი ჰქონდათ, ქვეყანა უმეფოდ დაეტოვებინათ და შემდეგ იოლად მიესპობთ. მაგრამ, პირიქით, თვითონ ზრუნავენ ქართველთა უფლისწულის გადარჩენასა და გამეფებაზე, რასაც აბსოლუტურად საპირისპიროთ აკეთებს XIX საუკუნის მათი მემკვიდრე რუსეთის იმპერია, იგი საქართველოს ანექსიისთანავე აუქმებს ქართულ საეფროს, ხოლო მონგოლები უმეფოდ დარჩენილ საქართველოსთვის მეფეს ეძებენ. ცხადია, ამას ისინი თავიანთი სამხედრო პოლიტიკური მოსაზრების გამო აკეთებდნენ, მაგრამ აღნიშნული პარალელი მეტად ნიშანდობლივია. ამით ცნაურდება დამპყრობლის სახე; აქედან ჩანს, ვის დაპყრობა უნდოდა და ვის – მოსპობა. მართალია, ორივე დამპყრობელია, მაგრამ მიზანი, როგორც ჩანს, სხვადასხვა ჰქონდათ.

ჟამთააღმწერლის მონაცემები მოწმობენ სარგის თმოგველის მალა ავტორიტეტს, მის ერთგულებას ქვეყნისადმი და მალალ მამულიშვილურ შეგნებას.

კობტასთავის შეკრების აღწერისას ჟამთააღმწერელი სარგის თმოგველს რვა უპირველეს ნარჩინებულთა შორის ასხენებს. ესენია: „ეგარსლანი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, კუპრი შოთა, თორდაი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი“ (ქ. თბ. ტ. II. გვ. 215), სავარაუდოა, რომ ისინი ძირითადად დუმნის თავები, ანუ ბევრის (100000) თავები არაა. თუმცა ივანე ჯავახიშვილი ზოგიერთ მათგანს და მათ შორის სარგის თმოგველს დუმნის თავად არ ასახელებს. მაგრამ საექვოა, რომ ერთი ციხის მფლობელი ისე აღიარებული ყოფილიყო და ისეთი გავლენიანი ქართველთა და მონგოლთა შორის როგორც თმოგველი იყო.

კობტასთავის შეთქმულებაში მონაწილეობა, თავისთავად, მის პატრიოტულ მრწამსზე მეტყველებს, ამავე დროს მის სიმაძაცესა და თავგანწირვას უსვამს ხაზს სამშობლოსა და ქართველი ერისათვის.

დიდი რისკი იყო, მონგოლებს ამოწვევით არა მხოლოდ შეთქმულების მონაწილენი, არამედ მათი ოჯახები, საგვარეულო და მამული. ცხადია, კობტასთავის შეთქმულებიდან, ძირითადად, ყველა იყო ქვეყნის ერთგული და თავდადებული გმირი, რაც არ ჩანს გრიგოლ აბაშიძის რომანში, მწერალს ეს საბედისწერო შეთქმულება მკრთალად აქვს ასახული – აქ არ იგრძნობა არც დრამატუზმი, არც დაძაბულობა, არც პასუხისმგებლობა და მობიძგუება. არ ჩანს მათი მოქმედების გეგმა და სამხედრო სტრატეგია ძლიერ მონგოლთა არმიის წინააღმდეგ. კობტასთავის შეკრება ძალიან ჰგავს 1832 წლის შეთქმულებას. ორივე შემთხვევაში არ იკვეთება მოქმედების რეალური მიმართულება. ეს უფრო მამაციობის დემონსტრირებაა და არა ბრძოლისთვის მზადყოფნა. კობტასთავის აქტი შედარებით ნათელია, რადგან აქ უპირველესი ამოცანა გარკვეულია: ეს არის ლაშქრის შეკრება, ბევრის თავთა გავრთიანება, ერთიანი ლაშქრით მონგოლებზე იერიშის მიტანა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ამ შეკრებაზე გადაწყდა ომი თათართა წინააღმდეგ. „...შეკრებით ყოველნი, და ევბრძოდით თათართა. დაამტკიცეს ომი, და დადეს პედიანი ქართლს შეკრებას“, – წერს მემპტიანი. (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 215).

ცხადად იკვეთება ქართველთა ბრძოლისუნარიანობა, სულიერი სიმტკიცე, რასაც ვერ ვიტყვი 1832 წლის შეთქმულებით, რომელთა შორის „რუსეთშიცა“ საკამარისი იყო. ამდენად, გაცემითაც ჰგავს ერთმანეთს ეს ორი შეთქმულება. კობტასთავის მონაწილეთა დასმენა უფრო ბუნდოვანია. მატანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეჭვი ეგარსლანზე მიდის: მას ჰქონდა მონგოლთაგან დავალებული საქართველოს მართვა და, ცხადია, ის ამ პრივილეგიების შენარჩუნებას შეეცდებოდა. მით უმეტეს, მეორე შეკრებაზე, სადაც ლაშას ძე დავითის მოძებნა გადაწყდა, ეგარსლანი აღარ ესწრებოდა და არც მათ შორის იყო, ვინც ტყვეობიდან დაბრუნებულ უფლისწულს შეეგება.

სარგის თმოგველი ცოტნე დადიანთან ერთად ამ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი, სანდო და მეფის ერთგული გმირია. კობტასთავზე, ცხადია, როგორც ღრმად განსწავლული ბრძენი და დიდებული ორატორი, საინტერესოდ გამოჩნდებოდა და დიდ გავლენასაც მოახდენდა დამსწრეებზე სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისას. მემპტიანი ამ საკითხზე დუმს და უფრო მეტად დუმს მწერალი გრ. აბაშიძე, რომელიც თავის რომანში, თითქოს, შეგნებულად უწლის გვერდს სარგის თმოგველის პიროვნებას. მართალია, მას კონტრტი ცოტნე დადიანზე აქვს გადატანილი, მაგრამ არც ცოტნეა ნათლად და მკაფიოდ ასახული. მწერალი



## ლიტერატურული მისხეთი

აკაკი შეთქელის „ნათელას“ ცენტრისა და სხვა შეთქმულთა გამოსხნის აღწერისას, სადაც ცოტნეს ცოლი ასრულებს გადაწყვეტ როლს სტოქ-მულთა გამოსხნაში, მაგრამ არც მათიანეში, არც „ნათელაში“ და არც გრ. აბაშიძის რომანში გადმოცემული არ არის ცოტნეს შემდგომი ბედი. მემატინანე წერს, რომ „განუშენეს ყოველი ესე წარჩინებული. და განიყვეს მთავარი საქართველოსანი და ნინალმდგომ იქმნეს ურთიერთას“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 217). მაგრამ ამ განყოფასა და დაპირისპირებაში რა ადგილი უკავია ცოტნეს, ეს აღარ ჩანს, სარგის თმოგველი კი კვლავ იბრძვის ქვეყნის გადასარჩენად – იგი წარმატებით აგრძელებს დავით ლაშას ძის ძებნას. ცოტნეს კი საერთოდ აღარ ახსენებს ფამთაალმწერელი. იგი აღარ ჩანს მეორე შეხვედრისას – დავითის მოძებნისა და გამეფების მიზნით შეკრებილ ქართველ მთავართა შორის. ამ შეხვედრაზე არიან „შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, კაცი მეტენიერი და ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელინი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 217). აქ აღარ არიან ცოტნე დადიანი, ევარსლანი, კუპრი შოთა, თორღაი. შეკრებილთა შორის მხოლოდ გრიგოლ სურამელია ქართლიდან, სხვა ყველა მოწინააღმდეგე სამცხე-ჯავახეთის მთავარია. როგორც შემდეგში გამოჩნდება, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტი სარგის თმოგველია. ჯერ ერთი, მემატინანე ახასიათებს მას, როგორც მცოდნე და განათლებულ კაცს, ამავე დროს, მას უწოდებს ფილოსოფოსსა და რიტორს. იგი სხვა არც ერთი მონაწილის ღირსებებს არ აღნიშნავს და არაფერს წერს მათ გონებრივ მონაცემებზე. და, მეორეც, დავითის წამოსაყვანად სულთანთან სწორედ სარგის თმოგველი მიდის ანგურაზე ნოინთან და ვარამ გაგელთან ერთად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამეფოს უპირველესი პრობლემა – მეფის ჩამოყვანა მიენდო ყველაზე სანდო და უნარიან ადამიანებს – სარგის თმოგველს ვარამ გაგელთან ერთად. ამ პერიოდის მთავართა შორის ურთიერთდაპირისპირების ფონზე ძნელი იყო მეფის ერთგულისა და ქვეგამხედველის გარჩევა. მაქსიმალური სიფრთხილე იყო საჭირო, შერჩეულიყო კაცი, რომელიც ჯერ თურქთა ტყვეობიდან მოიყვანდა უფლისწულს, რაც სარგისმა ბრწყინვალედ შეასრულა, და მერე უფლისწულს წაიყვანდა ბათო ყაენთან ურდოში მეფობის დასამტკიცებლად. ეს მეორე, უფრო რთული მისია, ისევე სარგისს დაეკისრა. თანხლები პირები შეიცვალა: მას ახლა შანშეს ძე ზაქარია და ვარამის ძე აბუღულა ახლავს, ხოლო სარგის თმოგველი კვლავ დარჩა მეფის შვილის ურდოში ჩაყვანასა, მეფედ დადგენასა და უკან დაბრუნებაზე მთავარ პასუხისმგებელ პირად.

ეს უფრო მკვეთრად გამოჩნდა ბათო ყაენის კარზე: ბათომ ყაყაურუში მანუღ ყაენთან გაგზავნა სარგისი და დავით ლაშას ძე, ხოლო თავისთან დაიტოვა ზაქარია შანშეს ძე და აბუღულა ვარამის ძე. ცხადია, მხოლოდ სარგის თმოგველს მოუწია მარტოდმარტოს ბრძოლა დავით ულუს გამეფებისთვის. მის პოლიტიკურ დონესა, დიპლომატიასა და მჭკვერმეჭკვევლებზე იყო დამოკიდებული, ლაშა გიორგის ძეს, თამარ მეფის შვილიშვილს, ყაენი მეფედ დაადგინდა, უარით გამოისტუმრებდა თუ დაატყვევებდა ან მოკლავდა. მას უნდა ეჯობნა დავით ნარინის ირგვლივ შეკრებილი ოპოზიციისთვის, რომელიც რუსულენოვან ძესთან ერთად სარგის თმოგველსა და ლაშა გიორგის ძე დავითზე დიდი ხნით ადრე იყო ყაენის კარზე და ცდილობდა მამით თურქი დავით ნარინის გამეფებას. დავით ნარინს ახლდნენ იმ პერიოდის წარჩინებულნი. „ათაბაგი ავაგ, სურამელი, გამრეკელი, ამირჯები ბუქენ“. აი, ამათ წინააღმდეგ უნებს სარგისს გამოსვლა ყაენის წინაშე. იგი უპირისპირდება მასთან შეზრდილ ერისთავებს, ამ დროს ვლინდება მისი ლოკალური აზროვნება, პოლიტიკური ალღო და მონგოლთა ტრადიციების საფუძველიანი ცოდნა. მან კარგად უწყის, რომ მონგოლეთში მამაკაცის კულტი ძლიერია, ხოლო ქალს პოლიტიკასთან კავშირი არა აქვს, ამიტომ ამ ტრადიციას და თავის შეხედულებას მეფის შერჩევის თაობაზე ერთმანეთთან აკავშირებს და მყარი არგუმენტებით ამტკიცებს დავით ულუს გამეფების აუცილებლობას. „თმოგველი სარგის ძლიერად წინ აღუდგებოდა თვით ნარინ დავითს და რომელი მის წინაშე იყენეს თანაზრდილი მისნი, რამეთუ ეტყოდა: არა ჯერ არს, რათამაჲ ნამოხმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თვითმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 225).

დავით ნარინის მომხრეთა არგუმენტი, დავით ნარინი, მარალია, დედოფლის ნაშობია, მაგრამ რუსუდანი გიორგის მიერ იყო მეფედ დატოვებული და ნარინიცა მეფისავე ძეაო, სარგისის არგუმენტებთან შედარებით არამტკიცე და არადამაჯერებელი ჩანს. მათი აზრით, ისე გამოდის, თითქოს ლაშას თავისი დის გამეფება უნდოდა და არა ძემან თვითმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 225). დავით ნარინის მომხრეთა არგუმენტი, დავით ნარინი, მარალია, დედოფლის ნაშობია, მაგრამ რუსუდანი გიორგის მიერ იყო მეფედ დატოვებული და ნარინიცა მეფისავე ძეაო, სარგისის არგუმენტებთან შედარებით არამტკიცე და არადამაჯერებელი ჩანს. მათი აზრით, ისე გამოდის, თითქოს ლაშას თავისი დის გამეფება უნდოდა და არა ძემან თვითმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 225).



ჟამთააღმწერლის მატჩანეში შემონახულია ცნობა სარგის თმოგველის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ. იქ, სადაც იგი მოგვითხრობს ყაენის კარზე სარგისის დავით წარწერის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ, არაბთა მინერალია: «ესე სარგის თმოგველი იგი არს, რომელმან დილარიანი აღნაქება» (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 224), რაც იმას მიგვანიშნებს, რომ იმ პერიოდის ქართული საზოგადოება კარგად იცნობდა სარგის თმოგველის პოეზიას, მის პოემას და დიდად აფასებდა მას.

მატჩანეში შემონახული სარგის თმოგველის ისტორიული სახე სულ სხვაგვარად ასახა გრ. აბაშიძემ რომანში «ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება». იგი ისტორიულ სახეთა გათხარდრობობას ცდილობს – მას მკითხველი კი არ გადაყავს წარსულში, არამედ გმირი გადმოყავს წარსულიდან აწმყში. ეს მეთოდი გარდასული პერიოდის და გმირების სრულყოფილად აღქმისთვის არცთუ მომგებიანი გამოდგა. ეს არის საბჭოური მიდგომა ისტორიული რომანისადმი, რაც გულსხმობდა წარსულის საბჭოური იდეოლოგიისთვის მორგებას. ამ გზით გმირი წყდება თავის ისტორიულ გარემოს და აღარ ემთხვევა ერთმანეთს პერსონაჟის ქცევა და ცხოვრებისეული მრწამსი. ერთმანეთს შორდება მხატვრული სივრცე და დრო. ამიტომაც წარმოჩნდნენ სარგის თმოგველი და თვითონ ცოტნე დადიანიც გაფერმკრთალებულნი და თავიანთი ეპოქის პრობლემებს მოწყვეტილნი, ამიტომ დაემსგავსა რომანში კობცასათვის შეთქმულება პროფკავშირის კრებას.

რომანის იდეა საინტერესო და სასურველია, მაგრამ მისი ხორცშესხმის ფორმამ არ ივარგა. იდეა ქართული ზნეობისა და სულიერი ამაღლების ჩვენებაა, ხოლო მისი გადმოცემის ფორმა – საბჭოური თანამედროვეობის იდეოლოგიური პრინციპი. ისტორიული ფაქტები და გმირები მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ეპოქას ძნელად შეესაბამება, ამიტომ მწერალს უწევს ისეთი ფაქტების და პასაჟების ასახვა, სადაც მათი ერთმანეთთან შეხამება შესაძლებელია. ასეთ ეპიზოდად ისახება ჯვაროსნების მიერ მართლმადიდებელთა მონასტრის დარბევის გამო თბილისში მოედანზე შეკრებილი ხალხის წინაშე კონსტანტინეპოლის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის გამოსვლა, სადაც პირველად ჩნდება სარგის თმოგველი, როგორც პერსონაჟი – ახალგაზრდა კაცი, ცოტნესთან დაახლოებული და მისი მეგობარი, რომელთან ერთადვე სწავლობს თბილისში ათონის იბერთა მონასტრიდან მოწვეული მოღვაწის ხელმძღვანელობით, რომლის სასულიერო წოდებას აცხორი შედგებულად არ ასახელებს. – როგორც ჩანს, არ უნდა, მასწავლებელი ძველი ეკლესიური სტატუსით მოიხსენიოს, რაც ხელს შეუშლის, თავი თანამედროვეობა აჩვენოს.

სარგის თმოგველი ამ ეპიზოდში ავლენს თავის მართლმადიდებლურ ხედვას ჯვაროსნებისა და ბერძენთა ურთიერთობაზე. იგი ამკარად არ ემხრობა ჯვაროსნებთან ერთად ომში ჩართვას, უარყოფითად უყურებს რომის პაპს და მხარს უჭერს წინამძღვრის გამოსვლას ხალხის წინაშე, რომელიც ბრალს სდებს პაპსა და ჯვაროსნებს კონსტანტინეპოლის გაძარცვასა და ქართველთა მონასტრის დარბევა-გადაღწევის გამო. «თვითონ ფრანგი ჯვაროსნებიც თავს იმით იმართლებენ, რომის პაპის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით გადავდგით ეს ნაბიჯი» – ეუბნება სარგისი ცოტნე დადიანს (გრ. ა. აბაშიძე, გვ. 151). ამავე კონტექსტში ვლინდება მისი ხელოვნებისადმი დამოკიდებულება – წუხს ჯვაროსანთა მიერ ქანდაკებების დამსხვრევის გამო: «ეს გაცილებით დიდი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, ვიდრე ეკლესიების ძარცვა და სასახლეების დარბევა» (გვ. 154). ეს მოსაზრება, რომელაც მწერალი სარგის თმოგველს აძენს, XX საუკუნის 70-იანი წლების ათეისტური აზრია და არა XIII საუკუნის მორწმუნე ერისთავისა, რომლისთვისაც, საბჭოთა მოქალაქის შეხედულებათა საპირისპიროდ, ეკლესია სულიერ სიმშენებლად ერთად ყველაზე წმინდა მატერიალური სიმდიდრეა. ეს მწერლის მხატვრული ლაფსუსია, მაგრამ კეთილი განზრახვით განპირობებული – მას უნდა, სარგისი წარმოაჩინოს თავისი დროისთვის დამახასიათებელი სულისკვეთით. ამდენად, სარგის თმოგველი, ცოტნე დადიანი, ბექა ჯაყელი, თორღვა პანკელი და სხვები სუფრაზე შეკრებისას მსჯელობასა და ურთიერთობაში სტუდენტურად უფრო ჰგვანან, ვიდრე ქვეყნის ერთგულ ერისთავებს, რომელთაც სამშობლოს ბედი უნდა წარმართონ ისტორიის რთულ პერიოდში.

სარგის თმოგველი რომანში კვლავ ფრაგმენტულად გამოჩნდება ლამა გიორგის სიკვდილის დროს, როდესაც ლამა რუსთაველის სიტყვებით მიმართავს სარგისს და თან შკითხავს, სწორად ხომ ვთქვი შოთას სტრიქონებში. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ თმოგველი აღიარებული ლიტერატორია მეფის თვალში.

რომანში ფრაგმენტულია აგრეთვე, სარგისის სახე ანისში, მოედანზე, როდესაც მას ვხედავთ შეთქმულებთან ერთად გათოკოს, ტანშიკოვს, თაფლნასმულსა და ბუზებითა და ფუტკრებით დაფარულს. ალოგიკურია, რომ გრ. აბაშიძე მას არ ასახელებს კობცასათვის შეკრების მოწანილთა შორის და დასჯილებში კი აღწერს მის ყოფას.

ჟამთააღმწერელი ხუთჯერ იხსენიებს სარგის თმოგველს, მწერალი გრ. აბაშიძე კი თავის რომანში სულ სამჯერ ასხენებს მას და ისიც ფრაგმენტულად. მაგრამ ეს ფაქტები მნიშვნელოვანია ვერ კიდევ შეუსწავლელი და გამოსაკვლევი სარგის თმოგველის ცხოვრებისა და შემოქმედების გასაზრებლად.

# ლიტერატურული მისხმითი

სარგის თმოგველის შემოქმედების შესახებ საყურადღებო ცნობაა შემონახული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. პოემის დასასრულში ცნობილ ბოლო სტროფში მოხე ხონელთან, შავთელთან და რუსთაველთან ერთად მოხსენიებულია სარგის თმოგველი, როგორც პოეტი:

*ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,  
აბულ-მესია – შვეთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,  
დიღარჯეთ – სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრობელსა,  
ტარიელ – მისსა რუსთაველსა, მისთვის  
ცრემლ-მეუმრობელსა.*

ამ სტროფში მოხსენიებული პოეტების შესახებ დღეისთვის ძალიან მცირე და უმნიშვნელო ცნობებია შემონახული. გამონაკლისი აქ მხოლოდ „ვეფხისტყაოსანია“, რაც შეეხება მოხე ხონელისა და შვეთელის თხზულებებს, მათ სახეცვლილი ვარიანტებით მოაღწიეს ჩვენამდე. სამწუხაროდ, სარგის თმოგველის „დიღარჯანი“ დაკარგულია, რაც ძირითადად მონგოლ დამპყრობელთა მოქმედებით უნდა იყოს გამოწვეული. მათ მიერ ქართველ და სხვა ერთა დაუნდობელი რბევა, ხოცვა-ჟლეტა, აოხრება ანგრევდა ქვეყნის კულტურას. ამ პროცესებს ნათულად და რეალურად აგვიღწერს ფამთაალმწერელი თავის მატინაეში. მონგოლთა უკულტურობით და ბარბაროსობით განადგურებული და დაცემული ერი უდანაკარგოდ ვეღარ შემოინახავს და ვერ განავითარებს კულტურასა და მწერლობას. სწორედ მონგოლთა უღელქვემ მოუწია სარგის თმოგველს მოღვაწეობა და, ბუნებრივია, მისი პოემა ვეღარ გამრავლდა, – ვერ გადაწერეს გადაშენებმა. ამისთვის ვერც სამეფო კარი იცლიდა და ვერც ეკლესია, სამეფო კარი დარბეულია, მეფე – ექსორიაქმნილი; აღარც მწიგნობართუხუცესია ქვეყანაში და აღარც მწიგნობრობა. მონგოლთაგან გაპარტახებულ სახელმწიფოში აღარავის ჰქონდა საშუალება და შესაძლებლობა, რომ „დიღარჯანი“ გადაწერონ.


შოთა რუსთაველის ეპოქაში, პირიქით, საქართველო ძლიერი, განვითარებული, დამოუკიდებ-

ბელი და სხვა ქვეყანათა მპყრობელია. მწერლობა, სამეფო კარის კულტურა უმაღლეს დონეზე განვითარებული, „ვეფხისტყაოსანს“ რუსთაველის სიცოცხლეშივე გადაწერდნენ მწიგნობარნი. სარგის კი, რომელიც რუსთაველის შემდგომი თაობაა, რუსთაველზე და ლაშა გიორგიზე უმცროსი, სხვა, ავბედით დროში მოუწია მოღვაწეობა. საინტერესოა, უშუალოდ შოთა შემოქმედებით ტრადიციებზე გაზრდილი თმოგველის პოემა როგორ იქნებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული სტროფით თუ ვიმსჯელებთ და მის სტრუქტურასა და პოემების სახელთა განლაგების თანმიმდევრობას დაფუძვნილებით, შეიძლება გავარკვიოთ სარგის თმოგველის ადგილი ამ ოთხ მწერალს შორის.

სტროფი რუსთაველისაა თუ ინტერპრეტატორისა, ნათლად წარმოაჩენს, რომ ყველაზე მაღლა დგას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. სტროფი ამ პოემას ერთვის და, ცხადია, პირველ რიგში მისი ავტორი უნდა შეაქოს. ამდენად თანმიმდევრულობა უნდა ავითვალთ ბოლო სტრიქონიდან, რომელშიც შოთა რუსთაველია ნახსენები, ხოლო მესამე სტრიქონში სარგის თმოგველი, თანაც ბრწყინვალე ეპითეტით „ენადაუშრომელი“, რაც გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ სარგისის პოემას ამ სტროფის ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ მიაკუთვნებს ადგილს დასახელებულ ოთხ ნაწარმოებს შორის.

„ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული სტრიქონების გარდა, სარგის თმოგველის ადგილზე შეიძლება ვიმსჯელოთ ფამთაალმწერლის მონაცემების მიხედვით. დასახელებული ოთხი მელექსიდან, და არა მარტო მათგან, მატინაეში მხოლოდ სარგის თმოგველის სახელი ფიგურირებს, სამწუხაროდ, სხვები და, მათ შორის, თვით შოთა რუსთაველიც არ მოქცეულა მემატინანის თვალთახედვის არეში. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სარგისი, გარდა იმისა, რომ პოეტი იყო, თავისი პერიოდის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეური მოღვაწე, ერისთავი და ეროვნული გმირიც არის.



# ალიოზ ოკოშვილი

## ფიქრები ბალაკტიონზე

იყავ რამდენად მიუსაფარი –  
 ან ეს სიტყვები რამ გათქმევინა;  
 „მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,  
 მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა“.  
 „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,“  
 აპრილის კაბებს მთები იცვამენ;  
 შენს პოეზიას აქვს ანდამატი,  
 შენს სადღეგრძელოს რითმებით სვამენ.  
 „მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება,  
 შენი თოვლივით მკრთალი ხელები,“  
 ოცნება გქონდა მთელი ცხოვრება,  
 გადარეული ლურჯა ცხენების.  
 და, თუ ოცნებას გინუნდა ქარი,  
 მზეც ხომ გიმზერდა „მერის თვალებით,“  
 როცა ვარსკვლავებს შეახე ქნარი,  
 პირველად იქნებ რა მოკრძალებით!  
 მერე რად გახდა ველი უდაბნო,  
 სასმისი – სავსე „უმძაფრეს შხამით“?  
 ან შეილთაშვილებს როგორ უამბობ,  
 რატომ იწყება დღე „მე და ლამით“?

### ჩემს მასწავლებელს

შენ ღიმილით „აი ია“ შეგვასწავლე,  
ფრიამულით გული ზამთარს გაებზარა;  
დედასავით ამდენ სიბოხს როგორ ავლენ,  
ამდენ „გიჟთან,“ ამდენ ცელქ და აბეზართან?  
გაჯავრება იმავ წუთში გავინყდება,  
როცა უკვდავ სტრიქონებთან შეგვაჭიდებ!  
ჩაგჭირინებ, რომ ცხოვრება აქ იწყება,  
ბედნიერი გაზაფხულიც მოვა კიდევ.  
ჩვენ ღიმილი დაგვთამაშებს უწყინარი,  
შენს სიბოხსთან რა ზამთარი შეგვამცივნებს?  
მოდის ცოდნა უთქმელი და უჩინარი,  
მოდის ცოდნა და მზესავით მოასხივებს.

### მრავალწერტილი

დაგვმოდერა ერთგან  
სათაყვანო დიდმა მუხრანმა,  
ყოველთვის, ყველგან,  
რომ დროულად დავსვით წერტილი...  
მაგრამ იჩინა თავი ურვამ და სანუხარმა,  
იმდენად ბევრმა,  
წერტილს მოსდევს მრავალწერტილი...  
რომ აღარ დამრჩა  
აღარც სისხლი,  
არც ცრემლი,  
არც ხმა...  
ამ ჭირ-ვარამთა შესატყვისი  
და სამყოფელი,  
გულს,  
გულს ვაპურებ,  
დარჩენილა რომელიც სახტად,  
თორემ დიდ მუხრანს ვეკამათო  
- ჭკუათმყოფელი?



# ბედა მთანაბე

## ყველა გზა სოფლისკენ

დალბა ეს ცხოვრება უკვე რახანია  
 და ჩვენც მივეჩვიეთ შმორის სურნელებას,  
 რალაც ახალია,  
 ყველა ენაფება,  
 რალაც ძველია და...

ყველამ დაიკიდა სოფლის სურათები...  
 ოთახს ამშვენებსო, – კარგი მიდგომაა,  
 ახლა ვილაცები მტერს გზას უნათებენ,  
 ახლა ვილაცებზე ახი მიტომაა,  
 რომ გზა აღარ არი ჩემი სოფლისაკენ.  
 რომ გზა არ იციან თავის სოფლებისა,  
 ვცდი მე, მოდი, ცალკე  
 გავჭრი ბილიკებსა და  
 მივალ ჩემს სოფელში.  
 მაგრამ მე რა ვიცი, თქვენ თუ წამომყვებით,  
 ან თქვენ უმკურნალებთ კერას სახადიანს?  
 ყოფავ, უსოფლოოდ ყელში ამოხვედი,  
 ყელში ამოხვედი უკვე რახანია!


## ალბათ, მეც გიჟი ვარ

გვანციოლა ვივალდის

ხელიდან წაგართვი ნახშიარი მაჩეტე,  
საგიჟეთს ოთახებს ვუღებავ ნაცრისფრად...  
და გრძნობებს აჩერებს  
ჭრელი გისოსები...  
თეთრად ვიმოსები...  
ალბათ, მეც გიჟი ვარ,  
გადამდე სიგიჟე, -  
მუხლებზე ხელები,  
თავი - წინ,  
მოხრილი  
გულზე ფეხს ვიბიჯებ,  
ცოტათი დანყნარდეს  
დამსკდარი მაცები.  
გიჟი ვარ!  
მიმიღე!  
მექნება ოთახი  
თეთრი და  
ჩვეულად ყველაფერს ვუღიმი,  
ზურგს უკან ჩემივე ხელები მოვნახე  
და ჩემს თავს ვეხვევი,  
მენწყება დუღილი!

## მთვარეს პოეტები აუფარნენ

იმ დღეს ჩვენი იყო ნარიყალა,  
მთვარემ დაგვითმო და გაიწია,  
მერე დალალები გადმოყარა,  
მიკვირს, უნდოდა და არ იწვიმა.  
მთვარეს პოეტები აეფარნენ,  
უჩანს დალალები (ღმერთო ჩემო),  
მერე მიაცილეს კარებამდე, -  
ყველას სასახლეში ეჩქარება!  
იმ დღეს ჩვენი იყო ნარიყალა,  
მთვარემ დაგვითმო და გაიწია,  
მერე დალალები გადმოყარა,  
მიკვირს, უნდოდა და არ იწვიმა.



## შალვა კელაშვილი

### ადიგენში, ჭულეს ახლოს

- ადიგენში, ჭულეს ახლოს,  
სოსნისთვალა გოგო სახლობს,  
ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,  
გადაუწუნავ სამოსახლოს.

- ზარზმის ბოლოს, იქვე ტაფობს,  
ატამს სახლეჩს, საკებერ-საპობს  
სურნელეზა ისე სჭარბობს,  
ფერთა ზღვაში ხევეებს ახრჩობს.

გოგო ფიქრობს,  
ბიჭი დარდობს,  
ერთი ყვავის,  
ერთი ვარდობს.

ისიც ნატრობს  
ესეც ნატრობს,  
მათი ცრემლი  
ქვა-ლოდს ადნობს.

მზე გაზაფხულს ძუძუს აწოვს,  
- ფუტკარი კი აპრილს თაფლობს,  
მე რად მანვიმს, მე რად მათოვს  
ამისთანა გოგოს პატრონს.

- ადიგენში, ჭულეს ახლოს,  
სოსნისთვალა გოგო სახლობს.  
ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს,  
გადაუწუნავ სამოსახლოს...



# ტანკა ენიკობა მთღებაძე



## ბერყენა

ვინ დააცადა ბერყენს სიბერე?  
რტოზე დაკლანჭულ შაშვის გალობა?  
დააბჯენს კორდზე მითრთოლარე ხელებს  
და ტყისმცველისგან ელის წყალობას.  
ლივლივებს ცული და ტიალდება  
ბოლო იმედის პატარა სხივი,  
მტარვალთა ფრთამალ ამ თავდადებას  
ეძებს და ეძებს ფლორის სიკედილი.  
ფოთოლდაცვენილ რტოთა ხელები  
მოსჭვივის, როგორც სუნთქვაჩამქრალი,  
და შობს სიყალბედ ბედნიერების  
ნიღბით მოსული შავი სატანა.  
რადას უშველის სულმტეს სიცოცხლე?  
- დამსხვრეულ ლამპარს მზის ამონთება?  
დამჭკნარ ხელების ასეთ სიობლეს  
აუდევენება მხოლოდ გოდება.  
ვინ ჩაუმნარა ფრინველთ მოლხენა  
ან მდელოს ჩრდილი ვინ დაანება?  
შემოესევა მტარვალთ ხელად,  
უტევს და უტევს შეუბრალებლად.



## თამაზ ლომინძე

### ზღვარი გამოღმიდან

მარტია ახლა...  
ქარი ნაგვემ ფიქრებს მიკენწლავს  
და სტრიქონებში  
უშენობის მასწავლის როკვას.  
ბილიკი ისე დამიმძიმდა,  
აღარად ვაგდებ,  
დაბზარულ მთვარეს ავყურებ თუ  
უფსკრულებს ვლოკავ.

ახლა თუნდ წვიმდეს...  
ნაკვალევებს მიშლიდეს სულში,  
და სინანულში  
მინათლავდეს გაცვეთილ ნილას,  
ყალბი ღიმილით  
სიზმარშიაც გავინაპირებ,  
ტკივილზე უფრო  
რადგან... მწარე ტკივილი მიყვარს...

ასეა...  
ზოგჯერ შენც გბეზრდება  
სულის ნანწალი,  
ოქროს საკანში  
დაამწყვდევ რამდენჯერ ქარი...

ფიცით შეკარი  
და ზღვის ფსკერზე წონე უარით  
პირქუში ყოფა -  
რუხ ფერებად დანაფერფლარი.

# ლიტერატურული მისხმეტი

გამოფიტული სურვილებით  
ხეები კაზმე,  
არ ილექები...  
ცხადში ყველგან გითვლიან წამებს.  
სახეშეცვლილი  
შემუხიხარ საკუთარ ცხედარს,  
წინაპრის ძვლებსაც  
საკუთარი ნებით აწვალე.  
მე არ ვციმციმებ...  
ეკალ-ბარდში ჩაეგდე თესლი,  
დროდაკემსილთა  
გაორებულ სიტყვებს ვცოხნი და  
ხელებს ვიქარგავ  
ვერცხლისფერი თოვლის ფიფქებით,  
რომ  
ექოსავით გავიპარო ბრბოთა მწუხრიდან.

ყაყაოსავით არ ვინთები  
და აღარ გკოცნი...  
რისთვის დაგთუთუო სიყვარული  
მწველი აღერსით...  
არავის ვწირავ  
უშფოთველი ქალის ცხოვრებას,  
არ ვიფერფლები  
სხვისი ტანჯვით ამონალესი.

## ჩემი საფოტო

*წერილი ნორვეგიელ მუღლეს*

ახლა კარგად ვარ... აღარ მცვივა, აღარც მწყურია...  
თუმცა ძნელია, მარტო ქალმა მართო უღელი...  
მანდ ამომშრალი ყანნი ვიყავ, ცალ ფეხზე მდგარი,  
აქ კი სული ვარ, მტევანი ვარ გულდანურული.  
შენს სამშობლოში წარსულიდან ამოდის მთვარე,  
მე კი თვალებით მხოლოდ ნედლი წარსული დამაქვს,  
აქ ფეხებიდან მითენდება ყოველ ცისმარე,  
მანდ ლერწამით ვირწევი და გავურბი ქალაქს.  
აქ გაზაფხულის, შემოდგომის მაცვია ფერი,  
მანდ უცხო თევზი სულთიმობრძავი რიყეზე ვფეთქავ...  
ხმაურიანი სიჩუმე ვარ, ნაყოფს ძლივს ვისხამ, –  
აქ ჩამოდი და აქ მითხარი, რაც უნდა გეთქვა...

შენს სამშობლოში როსინანტით ვებრძვი ქარიშხალს,  
აქ ჩემი რაში ზეცას სწვდება, სისხლი უყივის...  
მგლეჯენ, მფლეთენ და... მსანსლავენ და მაინც მთელი ვარ,  
იმდენი ძალა შემრჩენია... მტერსაც ვუღიმი.  
აქა მაქვს მხოლოდ ის ყრჟოლა და ისეთი ცრემლი,


დამწვარი მიწის ოხშივართი რომ თუთქავს ფიქრებს...  
 აქ უფლისციხე კედლებიდან მაცხუნებს მზეს და...  
 და სიზმარ-ცხადსაც შეუცნობი დუმილით მიგებს.  
 მანდ მე ხომ მხოლოდ თავს ვუკვებდი, მტვერივით ვქრები...  
 აქ კი სიკვდილშიც... დამარხული კვლავ ვიბადები...  
 აქ ნამუსივით დამიხურავს ვარძიის სევდა  
 და ყველა სათქმელს გუმანითაც იოლად ვხვდები.  
 შენს სამოთხეში მაინც ჩემი სამოთხით ვსუნთქავ,  
 აქ მე სანუთრო ისე შემსვამს და ისე დამცლის...  
 ოდისევსივით დავამარცხებ სცილა-ქარიბდას,  
 მაინც არაფრით არ გავატან შენს არგოს სანმისს...

შენს სამშობლოში მხოლოდ ქოთნის ყვავილსა ვგავარ,  
 ვამშვენებ სახლს და... და არაფრით არ მაქვს სურნელი,  
 ჩემს სამშობლოში აპრილივით მასკდება კვირტი,  
 ნატვრის ხეს ვგავარ, ოცნებები მაცვია ჭრელი...  
 აქ მე კარგად ვარ... მერე რა, თუ მაკლია სარჩო,  
 ველი, მოვიმკა ის, რაც მხოლოდ აქ დამირგია...  
 შენი სამშობლო ჩემთვის არის ტკბილი ზღაპარი,  
 ჩემს სამშობლოს კი ნეტარების ტკივილი ჰქვია...



პროტიკა

# მეტაბ ბეტიბე



## მორიელის სინდრომი

„ერთი კუ და ერთი მორიელი დამშობილდენ, ნავიდენ გზასა, გასავალი წყალი დახვდათ.

მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: ზურგს შემეჯექე, მე გაგიყვანო!

შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუნყო.

კუმ ჰკითხა: ძმაო, რას იქმო?

მორიელმა უპასუხა: რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრამ ასეთი გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველას უნდა ვუკბინოთ.

კუმ დაიყურეუმელავა და მორიელი წყალს მისცა და უთხრა: ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდება“.

ეს იგავი დიდ ქართველ მწერალსა და ლექსიკოლოგს სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის. მართალია, ძნელად თუ დააჯერებ ზოგიერთ სომეხ ჟურნალისტს და მეცნიერს, რომ ორბელიანები ქართველები არიან, მაგრამ ეს ასეა.

ორბელთა (ორბელიანთა) ფეოდალური საგვარეულო XII-XIII საუკუნეების საქართველოში ფლობდა ორბეთის ციხეს ქვემო ქართლში, საიდანაც მოდის მათი გვარი [ივანე... 2002: 508]. ორბე-

თი გამჭირვალე სახელია, ორბების ადგილს დაერქმეოდა ხოლმე. მასში -ეთ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი სუფიქსია, რომელიც ჩამოსცილდება ტოპონიმს, თუ მას დაერთვის ნარმომავლობის სუფიქსი -ელ-ი. ვთქვათ: კახეთი და კახელი, იმერეთი და იმერელი, ბანძა (სოფელი) და აქედან გვარი ბანძელაძე. თუმცა, შორს რომ არ წავიდეთ, თვით დიდი სომეხი ისტორიკოსი, სტეფანოს ორბელიანი, წერს ამის შესახებ: „განუტყეველი იგი სიმაგრე ორბეთი, რომელი აღშენებულ იყო ჴელითა ქართლომისისათა, მისცნეს მათ სახლად სამყოფად მათდა და ადგილად სიმაგრისად... დაიმკვიდრეს ორბეთი და სახელისა მისგან ციხისა მისგან მრავლით ჟამითგან ეწოდნეს ორბელიანი, ესე არიან ორბეთელნი, რამეთუ ჩვეულება არს ნათესავისა ამის სახელითა ადგილისათა სახელისდებად მთავართა, ვითარცა მთეულთა – მთეულნი, მრატყელთა – მრატყელნი და ჰერელთა – ჰეროსთონი, და ჯავახთა – ჯავახნი, და კახთა – კახნი და ლიხელთა – ლიხელნი და მრავალნი“ [სტეფანოს... 1978: 28 – 29].

ტოპონიმთა დამახინჯება სამწუხარო ტენდენციაა. ტენდენციურობა შეიძლება განაპირობოს საკუთარი ქვეყნის ისტორიის გადაჭარბებულმა

\*. ასეთი რამ არცთუ იშვიათად გვხვდება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ა. სანოსიანის სტატიების კრებული [Саносян, 2006.];

შეფასებამაც და მეზობელი ხალხების, ქვეყნების წარსულისა და დღევანდლობის შეუფასებლობამაც. ტოპონიმთა ეტიმოლოგიის არასწორი ინტერპრეტაცია ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ახვედს ზოგიერთ მეცნიერს. მინდა მივუთითო ფაქტზე, როგორ ცდილობს ორი მეცნიერი, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელი, თავიანთი ქვეყნების ენობრივ-კულტურულ არეალში მოაქციოს ქართული სოფლის სახელი, **ანყური**. აზერბაიჯანელი მეცნიერი წერს: «Также с гурами связаны сел Азгур (по-груз. Ацкури) в Меххетии (Ахалцихский район) и Ацкури около г. Телави. Именно в этом регионе в IV-V в. действовали и проживали упоминавшиеся сабиры» (А. Юнусов, 1999).

ამ მეცნიერთვის მნიშვნელობა არა აქვს სიტყვის ფუძეს, მანარმობლებს, საერთოდ, ლინგვისტურ მორფემებს. სიტყვის ნებისმიერ ნაწილში თუ დაინახავს ბგერათა მისთვის მისაღებ თავყრილობას, იმ წუთში მისთვის სასურველ ეტიმოლოგიაზე იწყებს მსჯელობას. ა. იუნუსოვი არ მიუთითებს, საიდან აიღო ფორმა **Азгури** (არ არის გამორიცხული, რომ თავადვე შექმნა), რომელშიც გამოყოფს **гур-**ს და მას უკავშირებს თურქული მოდგმის ტომებს საბირებს, რომლებიც, თურმე, მაინცდამაინც **ანყურში** ცხოვრობდნენ IV-VI საუკუნეებში. მათ დაარქვეს ანყურის სახელი. **гур-**ს კი გამოყოფს, მაგრამ, რადგან მისთვის სასურველ ფორმას ყოფს 2 ნაწილად, აღარაფერს ამბობს **Аз-**ნაწილზე. ეტყობა, მასში გულისხმობს **Азербайджан-**ს, რომლის ცნობილ შემოკლებასაც წარმოადგენს **Аз-**ელემენტი.

მის აზრით, **Азгур-**ის ვარიანტი არის **Ацкури**, ოღონდ არაფერს ამბობს, რატომ დასჭირდათ ქართველებს **Азгури-**ის **Ацкур-**ად ქცევა. ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა (განსხვავებით აზერბაიჯანულისგან, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს **ანყურის** წარმოთქმას), წარმოთქვას **ანყურიც** და **აცკურიც**, მაგრამ არ სჭირდება ამის გაკეთება, რადგან ეს ფორმები მეორადია, ერთი მოგონილია, ხოლო მეორე (აცკური) რუსული ტრანსკრიფციის შედეგია და მას ქართულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ახლა მოვუსმინოთ სომეხ მეცნიერს: «Топоним Ацкур, несомненно, армянского происхождения. Как мы полагаем, это сложное слово состоявшее из корней Ац и Кур» [Саносян, 2006: 35]. იქვე მიუთითებს პატივეცემული მეცნიერი, რომ არსებობს თურმე **Ацкур-**ის გაქართულებული ფორმა **Асқурет(и)** თუ **Соқурет(и)** და თითქოს ეს ფორმები ქართულ საისტორიო წყაროებშია დადასტურებული. ეს არის რეალური ფაქტების დამახინჯება, რადგან ქართულ სინამდვილეში ანყურს აქვს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი თავისი არსებობის განმავლობაში: **ანყური**, **ანყვერი**, **ანყუერი**.

ა. სანოსიანის აზრით, მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ ანყურში და მათვე დაარქვეს სახელი ამ ადგილს. ამ ორი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მცადარი ეტიმოლოგიები ამახინჯებს ისტორიას და ქართველბისთვის ადგილს აღარ ტოვებს. ორივესთვის მთავარი ფონეტიკური პრობლემა არის ყ ბგერა, რომელიც ამ ტოპონიმის ფუძეში უმნიშვნელო როლს არ ასრულებს. ეს ბგერა არც სომხურს, არც აზერბაიჯანულს, არც სხვა თურქულენოვან ენებს ფონემის სახით არ გააჩნიათ. ამიტომაც მათი ეტიმოლოგიის მთავარი შეცდომა არის ის, რომ **кур** – არასოდეს ყოფილა ანყურის ფუძეში. არც კლავილის პტილოემოსის შექმლა ანყურად დაენერა ეს სახელი თავის რუკაზე, რადგან არც მას ჰქონდა თავის ენაში ყ ბგერა, ამიტომ წერს იგი Ackur-ს. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართულ ენას ჰქონდა საშუალება Ackur-ი ვადმოეტენა ასკურად.

სამწუხაროა, რომ ამ გეოგრაფულ სახელს ბევრი თავისებურად „კითხულობს“ და აკეთებს შესაბამის „დასკვნებს“, რომ სახელი ამ ადგილს დაურქმევიათ თურქებს ან სომხებს. თურქებთან დაკავშირებით შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ ანყურში თურქებს არასოდეს უცხოებიათ. რუსულ აღწერის დავთრებში (1907) მოხსენიებულ აქაურ თურქებში იგულისხმებიან გამაჰმადიანებული ქართველები. ისინი მე-19 საუკუნეში ქართველებად იწოდებოდნენ. მათი „თურქობა“ მხოლოდ ოსმალურ-რუსული პოლიტიკის შედეგია.

**Ацкур**, **Асқур**, **Азгур** ფორმები მეორადია, ყველა მიღებულია ქართული **ანყურიდან**, რომელიც, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით არის ცნობილი [ჭერიძე, 2008; ბერიძე, 2010].

ანყური დაიშლება ასე: ა-ანყურ-ი, რომელშიც ა არის პრეფიქსი [Март, 1935: 163], ხოლო ნყურ ფუძე დაკავშირებულია წყალთან. ამოსავალია **წყ** – ძირი. ეს ძირი გვხვდება წყალთან დაკავშირებულ ისეთ ქართველურ სიტყვებში, როგორებიცაა: **წყალი**, **წყარო**, **წყარ-წყურ**, **წყორ** [ჭერიძე, სარჯველაძე, 2000: 657; შენგელია, 2006: 147]. იგივე **წყ** ძირი გვაქვს სიტყვებში: **ნე-რწყე-ი**, **რ-წყე-ა** [ქ. ჩუხუა, 2003: 370].

ანყური ნიშნავს **წყლიან ადგილს**, **წყლის ადგილს**. ორი ანყურია საქართველოში და ორივე მდინარის პირას მდებარეობს. სამცხის ანყური, რომელზეც ჩვენი ვმსჯელობთ, დღესაც მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობს და ასე იყო ოდითგანვე, როგორც ეს ბოლო დროის არქეოლოგიამ გათხრებამც დაადასტურა და არა «на правом берегу р. Куры», როგორც ეს ა. სანოსიანს ჰგონია. ასევე მდინარე ბენურხვის ორივე ნაპირზეა გაშენებული მეორე ანყური, რომელიც ამჟამის რაიონში მდებარეობს.

რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის, რომ არც სომხეთსა და არც აზერბაიჯანში, არც თურქეთში

# ლიტერატურული მისხმითი

მსგავსი სახელის ტოპონიმი (თუნდაც მათთვის სასურველი სახელის ვარიანტით) არ მოიძებნება. არც ის არის შემთხვევითი, რომ, როგორც ეს ა. სანოსიანისა და ა. ოუნუსოვის წერილებიდან ჩანს, თავიანთ საისტორიო წყაროებში ვერავითარი ინფორმაცია აწყურის შესახებ ვერ მოიძებნა, რადგან იქ ასეთი ინფორმაცია არ არის. ერთადერთი ფაქტი, რომელიც დასტურდება, ეხება სომეხ ოვანეს აწყურელს, რომელიც წარმოშობით აწყურიდან იყო და მე-15 საუკუნეში მოღვაწეობდა. ამ ფაქტზე დაყრდნობით სომეხი მეცნიერი აკეთებს შემდეგ დასკვნას: «И город, и крепость Ацкур всегда были заселены армянами. В дальнейшем здесь обосновались также евреи, грузины и турки» [Саносян, 2006: 36].

ამ „ფაქტთან“ დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სომეხები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ. ისინი, მტრების მიერ დარბეულნი, სამშობლოდან გამოქცეულნი, ხშირად შემოგვეკედლებოდნენ ხოლმე. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასაბუთებლად, რომ ისინი განსაკუთრებით აქტიურად სახლდებოდნენ ქალაქ ადგილებში, სადაც ებრაელებთან ერთად მისდევდნენ ვაჭრობას. დღეს რომ აწყური სომეხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ, ამას თავისი ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აწყურის მოსახლეობა დაიცალა ქართველთა დიდი ნაწილისგან – ზოგი რუსების წინააღმდეგ ომში დაიღუპა, ზოგიც საზღვარგარეთ წავიდა. „1830 წელს აწყური დასახლდა არზრუმელი სომეხების 166 ოჯახი...“ მათ დახვედრა 461 კომლი ქართველი მამამადანი და 31 კომლი ებრაელი [ლომსაძე, 1975: 487]. „ახლად დასახლებული კოლონიისტები ადგილობრივ მოსახლეობას არ შერვიან. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მტკვრის მარჯვენა მხარეს ცხოვრობდა, ხოლო ახალჩამოსახლებულები მტკვრის მარცხენა მხარეს“ [ლომსაძე, 1975: 487].

„სომეხები და ებრაელები ეწეოდნენ მხოლოდ ვაჭრობას, ისინი მფურნეობის არც ერთ დარგს არ მისდევდნენ. არ ჰყავდათ არც საცხენლო, გარდა ცხენებისა და სახედრებისა, რასაც თავიანთი სავაჭრო საქმიანობაში იყენებდნენ...“

1840-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ახალციხის საღაშოს ნაცვლად შეიქმნა ახალციხის მაზრა და გაუქმდა საწვავები, აწყური აბასთუმნის უბანს დაემორჩილა და მისი ბურჟუაზიულ ქალაქად გადაქცევის პერსპექტივებიც შეწყდა. აწყური წინასახლებული სომეხი ვაჭარ-ხელოსნები 40-იან წლებში აიყარნენ და ახალციხეში გადასახლდნენ. აწყურიდან ახალციხეში გადავიდნენ ებრაელი ვაჭრებიც. ამის შემდეგ აწყური სამცხის ტიპურ სოფლად გადაიქცა“ [ლომსაძე, 1975: 488].

სამწუხაროდ, არც ერთი ზემოთ მოხმობილი აზერბაიჯანელი და სომეხი მეცნიერი არ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აწყური არ იყო მხოლოდ ციხე და ეკლესია, იგი იყო საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სასულიერო ცენტრი. აწყურის საეპისკოპოსო საქართველოს ეპარქიათა შორის ერთ-ერთი უძველესია. აწყურის ეპისკოპოსი ინოღებოდა მანყვერელად. პირველი ეპისკოპოსი, ვისმა სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის იოსები, რომელიც მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის დასაწყისში [Православная... 2002: 221]. ბოლო ეპისკოპოსი, ვისი სახელიც ვიცით, იყო გვედონი, რომელმაც უკვე ულთინიგან მიიღო აწყურის კათედრა [Православная... 2002: 221].

ეპისკოპოსთა შორის გამორჩეულია ეფრემ დიდი მანყვერელი (იგი კათედრას უძღვებოდა 855-895 წლებში), გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს: „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ იქნა ქუეყანა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათოლიკოსთა მიპრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმეორითა ბრძანებითა მიპრონისა კურთხევითა ქართლსა განაწესა იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა და ნაშებითა სისარულითა“ [მერჩულე, 1949: 97]. ა. ოუნუსოვის მიხედვით, როდესაც გურგამა აზგური დააარსეს, საბირები ცხოვრობდნენ მთელ მესხეთში და, რა თქმა უნდა, აწყურშიც. საინტერესოა, საეპისკოპოსო ცენტრები რა სარწმუნოებისანი იყვნენ საბირები ან რა ენაზე ლაპარაკობდნენ? აწყურის საეპისკოპოსოში, ბუნებრივია, მრველიც ქართველი ქრისტიანი იყო.

ზოგიერთი მეცნიერი საბირებისა და გურგამის კვალდაკვალ ქართველების ადგილს აღარ ტოვებს ისტორიის არც ერთ მონაკვეთზე. ისინი ცდილობენ, უგულვებელყონ, რომ ოსმალების ან რუსების მიერ აღწერილია არა მარტო საქართველოს ესა თუ ის კუთხე, არამედ ისინი მოიხსენიებენ იქ მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასაც. სამწუხაროა, რომ ბატონი ა. სანოსიანი ქართველ მეცნიერზე, აკადემიკოს ხ. ჯიქიაზე, ასე წერს: «В 1595 г. здесь была произведена перепись населения и составлен налоговый реестр дымов (семей). В реестре приводится имена представителей семей, в большинстве своем армянские. «Большой давтар (реестр) Джорджистанского вилайета» перевод с турецкого на грузинский и издал в 1941 г. С. Джикия. Сей ученый муж не пожалел сил и стараний, дабы извратить армянские имена, сделать их грузинскими, а если не удавалось – непонятными» [Саносян, 2006: 36].

ამ საკითხში ზოგიერთი სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი მეცნიერი მეტად ტენდენტუორია. ისინი ფურადღებებს არ აქცევენ იმ ფაქტს, რომ



რომ ოსმალებმა კარგად იცოდნენ, ვინ ცხოვრობდა საქართველოში. მათ იცოდნენ, რომ იქ მცხოვრები სომხები მიგრანტები იყვნენ. მიგრანტთა შთამომავლები არიან დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის მოსახლე სომხებიც, რომლებიც საქართველოს ამ კუთხეთ შეიკრება მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და გადაარჩინა ცნობილი გენოციდის.

ოსმალები, როდესაც აღწერდნენ გურჯისტანის ვილაიეთს, დიაკრეტიული ნიშნებს იყენებდნენ მათთვის გაუგებარი ქართული ბგერების აღსანიშნავად, რამაც საშუალება მისცა ს. ჯიქიას, სწორად ნაეკითხა და გადმოეცა სახელები.

ა.სანოსიანი აცხადებს: «Как у же сказан, большинство имен и топонимов армянские: (1. Купра? 2. Манвел, его брат. 3. Вардзел. 4. Мазман. 5. Егия. 6. Геворк и др.) [Саносиян, 2006: 37]. ჩამოთვლილი სახელებიდან (კუპრა, მანველი, ვარძელი, მაზმანი, ეგია, გევორქი) გამოსაყოფია გევორქი, რომელიც, მართლაც ჰქვიათ სომხებს, მაგრამ 1595 წელს, როდესაც ოსმალებმა აღწერეს ანყურის რაიონი ახალციხის ლივანში, ამ სახელის ქონე ადამიანი ანყურში არ ცხოვრობდა [გურჯისტანის... 1941: 89-90]. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაფთრის“ მიხედვით ანყურში სომხური ეთნოსის წარმომადგენელი ჩანს ერთი ოჯახი, რომლის უფროსის სახელიც ამოუკითხავია, მამით კი არის ტერ-აკოფას ძე, დასახელებულია, აგრეთვე, ტერსიმონი, რომელიც სომხური წარმომავლობისა უნდა იყოს.

რატომღაც ა. სანოსიანმა კითხვის ნიშანი დაუსვა კუპრას. ამ სახელის მნიშვნელობა მისთვის გაუგებარია. „კუპრა“ ქართული ანთროპონიმა, ცნობილი სახელია. მისგან გვაქვს ცნობილი ქართული გვარები: **კუპრავა, კუპრაძე, კუპრაშვილი, კუპრეიშვილი** და სხვა. მე-9 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ერქვა **კუპრა**, რის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. „წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქვა კუპრა, წინაშე დედოფლისა და მის შენდობისა თხოვა“ [მერჩულე, 1949: 108].

მე-13 საუკუნეში მესხეთში ცხოვრობდა **კუპრას ძე**. „დავით ნარინის თანამეცხედრემ, თამარ დედოფალმა, იგი საღვინედ შესწირა გელათის მონასტერს (1260 - 1270 წწ.) [პირია... 1999: 540]“. შემდეგ საუკუნეებში გვხვდებიან **კუპრაძე ბერა, კუპრაძე დათუნა, კუპრაძე ნასყიდა, კუპრაძე პაატა** და სხვანი. მე-17 საუკუნეში მოხსენიებული არიან: **კუპრაშვილი გიორგი** - „მოწმე მთაწმინდის მონასტრის მამის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულბუღაბისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა“; **კუპრაშვილი გოგია** - „ცუცხათს მცხოვრები გლეხი, ქაიხოსრო ავიაშვილის ყოფილი ყმა, იგი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით უწყალობა

გიორგი მეფემ ვახტანგ აგაშვილს“ [პირია... 1999: 540] და სხვ. ასე რომ, „კუპრა“ ნამდვილად არ არის სომხური სახელი. „კუპრაში“ - ა არის სუფიქსი, რომელიც მსგავსებას აღნიშნავს. „კუპრა“ „კუპრიდან“ მომდინარეობს. **კუპრა** შეერქმეოდა ხოლმე ადამიანს შავი ფერის გამო ისევე, როგორც **შავა** (შავაძე, შავიშვილი, შავიანი, შავიძე...). ა. სანოსიანი არც იმ ფაქტს აქცევს ყურადღებას, რომ **კუპრა კაკას ძეა**. ცხადია, კაკაც გაუგებარი სახელი იქნება მისთვის. შორს ნავიყვანს იმ ქართველთა ჩამოთვლა, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში და ერქვათ კაკა ან იყვნენ კაკაშვილები, კაკაურიძეები და სხვა. ამ სახელისგან ნაწარმოები ბევრი ტოპონიმი საქართველოში, მათ შორის დავასახელებ საქართველოში კარგად ცნობილ **კაკას ხილს**, რომელიც მესხეთთან იმერეთში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ასევე გამორჩენია პატივცემულ მეცნიერს კაკას ერთ-ერთი შვილის სახელი, **ყვავილა**. **კუპრა** რომ სომეხი ყოფილიყო, თავის შვილს ყვავილას კი არ დაარქმევდა, არამედ **წალიკას**, როგორც ჰქვია და ერქვა ბევრ სომეხს.

ა. სანოსიანი სომხურ სახელად მიიჩნევს კუპრას მეორე შვილის სახელს, **მანველს**. მანველი არის ფონეტიკური ვარიანტი ძველბერაული **ემანუელ/ემანუელი**. მისგან არის წარმოქმნილი ქართული გვარები: მანველიშვილი, მანველაშვილი, მანელიშვილი, მანველიძე, მანელიძე [ჭუმბურიძე, 2003: 151 - 152].

ასევე სომხურ სახელად აცხადებს ა. სანოსიანი ისეთ ქართულ სახელს, როგორც არის **ვარძელი**. „ვარძია“ ჰქონდა ფონეტიკური ვარიანტი „**ვარძა**“ („ვარძია“ ერთადერთი სახელი არ არის მესხეთში). „ვარძელი“ ნიშნავს ვარძიდან წამოსულს და მისგან არის ნაწარმოები ქართული გვარი ვარძელაშვილი ისევე, როგორც კახეთიდან წამოსული არის **კახელი** და მისგან ვგარა - **კახელიშვილი**, იმერეთიდან წამოსული იმერელი და მისგან ნაწარმოები - **იმერელიშვილი** და სხვა მრავალი.

„მაზმანი“ აღმოსავლური სიტყვაა, შემოსულია ქართულში როგორც ხელოვნის აღნიშვნელი ტერმინი. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა, რომ მაზმანი არის „ბალნის მრთველი“. ბალნის თოკის მგრეხელად განმარტავს მას დ. ჩუბინაშვილი. მაზმანი არის მესაბლე. ამგვარი „გურჯისტანის დიდ დეაოზონი“ დადასტურებული **მაზმანი** არ უნდა იყოს სახელი, ის აღნიშნავს ხელობას. ოსმალი მოხვეწერს, რომ ანყურში ცხოვრობდა **მაზმანი გიორგი**, ე.ი. მესაბლე გიორგი, ბალნის თოკის მგრეხელი გიორგი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაზმანი არ შეიძლება ქცეულიყო სახელად. ხელობის აღნიშვნელი ტერმინები დაერქმეოდა ადამიანებს



სახელებად ან მეტსახელებად და შემდეგ ვიღებდით მისგან გვარებს. ასე გვაქვს მიღებული გვარი მაზმანიშვილი. როგორც, ვთქვამთ, მენალარე და მენალარიშვილი. ზ. ჭუმბურიძე წერს: „სხვადასხვა ხელობის მიხედვით შერქმეული გვარებია: დალაქიშვილი, დურგლიშვილი, ხარატი, ხარატიშვილი, ხარაზი, ხარაზიშვილი, ხუროძე, ხუროშვილი, ზეინკლიშვილი, კლათოზიშვილი, მენაბდე, მეტივიშვილი, მეცხვარიშვილი, მეხრიშვილი, მებალიშვილი, მზარეულაშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზიშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი (საბელი – „თოკი“, მესაბლე – „თოკის მგრეხელი“), მაზანაშვილი (მაზმანაშვილი). მაზმანი საბას განმარტებით „ბალანის მრთველი“... [ჭუმბურიძე, 2003: 87]. ხელობის აღმნიშვნელი გვარებიდან ზოგი ქართული იყო, ზოგიც ხელობასთან ერთად შემოსული ტერმინი და მისგან მიღებული გვარები. ასეთი ტერმინები შედიოდა სომხურშიც და ვიღებდით ერთნაირფუძიან გვარებს. მაგ. ხარატიშვილი და ხარატინი, მაზმანიშვილი და მაზმანიანი, დალაქიშვილი და დალაქიანი და ა.შ.

ქართულ გვარებში არანაკლებ პროდუქტიულია – იან სუფიქსი, ამიტომ ხშირად არა მხოლოდ ფუძეთა დამთხვევა ხდება, არამედ მთლიანად გვარისაც.

მაგ.: დავითიანი შეიძლება იყოს სომეხიც და ქართველიც, ამ შემთხვევაში ოჯახმა და გვარმა ძალიან კარგად იცის, ვინ არის, სომეხია თუ ქართველი.

ანყურის მცხოვრებლებში დადასტურებულ კიდევ ერთ სახელზე მიუთითებს ა. სანოსიანი. ეს არის ეგია. შეიძლება, ავტორმა ვერ ამოიკითხა სახელი ელია და საქმე გვაქვს არასწორ დანერვილობასთან, რადგან ასეთი სახელის კაცს მე-16 საუკუნის ბოლოს ანყურში არ უცხოვრია.

„დაეთარში“ სხვა ქართული სახელებიც გვხვდება. მაგ., იგი გვამცნობს, რომ ვენახი დედისიშვილისა და მანყვერელი ბერისა გადავიდა მაჰმადიან დიდგაროვანთა ხელში [გურჯისტანის... 1941: 90]. დედისიშვილი მესხეთში გავრცელებული სახელია. მანყვერელი ანყურის მკვიდრის, სასულიერო პირის წოდებაა, რაც, რა თქმა უნდა, გვიჩვენებს, რომ სასულიერო და საერო ფენების წარმომადგენლები ქართველები არიან.

ამგვარად, ზოგიერთ სომეხ და აზერბაიჯანელ მეცნიერს აერთიანებს ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის არცოდნა, რის გამოც ეადვილებათ მათთვის სასურველი დასკვნების გამოტანა. ანყური, მისი ისტორია, ეტიმოლოგია, ქართული ენისგან, საქართველოს ისტორიისგან განუყოფელია.





## მატიწა ჯიქია

### ქალის მონოლოგი

მე შენი ნეკნით ვიქეცი ქალად,-  
 უფლის განგებით შეიქმნა ქალი,-  
 შენი მონყენა რომ დამეფარა  
 და დღემდე შენი მომყვება ვალი.  
 გამოდის, რომ ვარ შენი ნაწილი  
 (ხერხემლის მალა მაინც გაგელო);  
 მომეცა შენთან საუფლო წილი,  
 სამოთხის კარი ღმერთს რომ გაელო.  
 და საპასუხოდ გაქციე კაცად.  
 ცდუნებაც ჩემგან იგემე პეშვით,  
 სამოთხეც მაშინ დაკარგეთ, ალბათ,  
 ვნების მორევეში რომ გადავეშვით.  
 ზოგჯერ მგონია, გამოგიგონე  
 უმწეო სულის დასაურევებლად,  
 სხეული ტანჯვით გამოვიგლოვე,  
 ქილიაზმებს რომ შევხვდეთ უვნებლად.  
 და პირველქმნილი მოგყვები გვერდით,  
 ისევ მესობა ტერფში ეკლები,  
 შენ ისევ დაგაქვს ჭრილობა ფერდით,  
 მე შენთან ერთად ისევ ვევენები.  
 და მეტანიის აუხსნელ რულში,  
 განკვეთის შიში მზეერავს სასტიკი...  
 და ქადაგივით ტროპარში ჩავდე  
 ჩვენი ცოდვების გამოსასყიდი...

# ლიტერატურული მისხმეი

ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს ლიტერატურული წრე, რომელიც სასწავლებლის დაარსების დღიდან დაფუძნდა და რომელიც აერთიანებს როგორც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტებს, ასევე ლიტერატურის მოყვარულებსა და კრიტიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

წელს უნივერსიტეტში პირველად გამოდის ყოველწლიური ლიტერატურული კრებული „ახალციხის სტუდენტური ლირიკა“. კრებულის პირველი ნომრისთვის განკუთვნილი მასალიდან ჟურნალი „ცისკარი“ მკითხველს სთავაზობს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტის ლექსებს.



## მანია ბლიაძე

### ისევ ზენე

მიჭირს გამხელა, მაგრამ გული წუხს უმიზეზოდ, ქვეყნის ვნებებმა ტალღებივით გადამიარეს, მომეცი ხელი, რომ მონაქროლ ნიაჯს მივენდოთ, თორემ დაფშვნილი ქვამარილი სცვივა იარებს.

ჩვენ ორი ხელით ვერ ვიფარავთ სულის სიშიშვლეს, მაგრამ ამასაც მძიმე უღლით მაინც გავიტან და, თუმცა იგრძნობ უკვე მხრებზე წელთა სიმძიმეს, დაგელოდები და დავინწყებ ისევ თავიდან.

და, თუკი ზეცა უცაბედად შემეკრა რისხვით, დაუნდობელი და უგულო, როგორც არასდროს, მე შემიძლია, მაგრამ მხოლოდ შენი გულისთვის, სიკვდილს უშიშრად კვლავ შენობით ველაპარაკო.

ლამის წყვილიაღში, როცა ჩრდილი ამედევნება, შენი თვალების იდუმალი ნათება მიხმობს. ჩემში სურვილი და ოცნება არ იდევნება, მე ხომ გულის ბალს უთვალავი ყვავილი მიმკობს.

# ნინო ჯიქიაშვილი

## წვიმა

წვიმს...  
 ცა ნაზად ტირის...  
 გარეთ სიჩუმე გამეფდა...  
 ვილაც დაკარგულ დღეებს ითვისის,  
 ცხედართან დროს შერცხვდა და გაჩერდა.  
 ცრის...  
 ფიქრებს ოცნება ცვლის...  
 ქრის...  
 ქარი სასტიკად რბის...  
 ცრემლები – გარეთ, ცრემლები – შინ.  
 წვიმს, წვიმს, წვიმს...  
 ცრის, ცრის, ცრის...  
 დრო უმოწყალოდ მდლის.  
 წვიმს...

# ნინო გვიტჯიშვილი

●

აქ გაზაფხულმა მთებს შეუცვალა ფერი,  
 იქ, სადღაც ტყეში, ალბათ, თუ ტირის მელა.  
 ჩუმად მოჰარულს, ალბათ, სიმღერას მღერის  
 და ინურება ზამთრის ზღაპარი ნელა...  
 მიიზღაზნება აქ ჩუმი დრო და ჟამი,  
 ცად გაპარულა იმ თოვლთან ერთად სევდაც.  
 დაგენანება ის დაკარგული წამი  
 და იმ გარდასულს მხოლოდ სიზმრებში ხედავ...



საქართველოს  
ლიტერატურის

# ნინო კაქკაქიშვილი

●  
რა?! სიყვარული?!  
ნუთუ კიდევ გჯერათ ზღაპრების? –  
ცა მზით მოსილი, და ფრიალი ფერად აფრების...

განა სიყვარულს შეუძლია ძლიერად ღელვა,  
განა მას კოცნის დაშვებული ზეციდან ელვა.

მოგონილია ყველაფერი მარტოსულ კაცის,  
ვერ იარსებებს ვერაფერი, მსგაფხია ნაცრის...  
არა, მედეას არ ჰქონია გულში სინაზე,  
ჰქონდა დიდების აგონია უცხო მიწაზე.

რა? – სიყვარული?  
ახალ ზღაპარს კვლავ ვიღაც ყვება.  
სასაცილოა საცოდავი, ფერადი ვნება.

●  
მიყვარს, როდესაც ღამდება,  
მწუხრი მოიცავს ცას;  
შენ რომ მოხვალ და მაკოცებ,  
აღარ ვინატრებ სხვას.  
ვიქნები შენი ფერია,  
გაგიფერადებ გზას,  
მუქ ფერებს ვერ დაინახავ,  
ვერც ნაცრისფერს შავს,  
მხოლოდ ვარდისფერს შეამჩნევ,  
ჩემი ტუჩების მსგავსს...

# ჩვენს წინაშე არსებულ მოკონებზე

## კოცე ცინცაძე

### ჩემი მოგონებანი

1903 წლიდან 1920 წლამდე

მატარებელი დაიძრა. ძნელია იმ გარემოების გადმოცემა, რომელსაც განვიცდიდით: თითქო რევოლუციონური ტალღები ნელდებოდა რამდენადაც ვმორდებოდით პეტროგრადს. თითქო ხმაურობა, რევოლუციის დუღილი, რომელსაც პეტროგრადში ვგრძნობდი, თან და თან წყდება და რაღაც მშვიდობიანად განწყობილ არე მარეში გადავდიოდი. ამასთანავე ვფიქრობდი, ვოცნებობდი, რომ იქ, სადაც მივდივარ, დაიწყება ისეთივე ხმაურობა, რევოლუციის დუღილი, ურიამული, საქმიანობა პატარა მასშტაბით მაინც, და ჩრდილოეთის რევოლუციონური ცეცხლის ნალვერდალი ჩქარა შეუერთდება სამხრეთისას: დიახ! ეს ასე უნდა მოხდეს. ეს აუცილებელია, განა ამიტომ არ ვბრუნდებით ასე ჩქარა უკან? განა ცეცხლის დასანთებათ არ მივდივართ ყველანი ჩვენ?! ასე ვფიქრობდი, ასე ვმსჯელობდი თავისთვის. ფრიად მძიმე მგზავრობა განვიცადეთ, კიდევ კარგი, რომ ყველა გზაჯვარედინზე დიდ დახმარებას გვინევდა პეტროგრადიდან წამოდებული მონერილობანი. ძილზე ან ნოლაზე ფიქრი ოცნებობა იქნებოდა, სხვა არაფერი.

რის ვაი ვაგლახით და გაჭირვებით ხარკოვამდის მოვალნიეთ. ხარკოვიდან რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე ფრონტია. მატარებლებს მხოლოდ ცარიცინის ხაზზე უშვებენ. დიდი ნაწილი ცარიცინის ხაზისაც დაჭერილია კაზაკების მიერ თითქმის ეკატერინოგრადამდის. გარდა თვით ცარიცინისა და ტიხორეცკაისი, ზოგ ადგილას ერთ სადგურზე წითელი მოლაშქრენი დგანან, მეორეზე ყაზახები, მესამეზე წითელი არმია, მეოთხეზე კონტრ-რევოლუციონერები. არც კი იცი, როცა შედიხარ, რომელ სადგურზე ვის ნააწყდები. მხოლოდ ამ ხაზზე ჯერ აშკარა ბრძოლა-შეტაკებები არ არის: ემზადება ომისათვის ორივე მხარე. ხარკოვში საჭირო იყო ფულისა და დოკუმენტების ისე გაკეთება, რომ გზაში ვერ ეპოვათ. ვიყიდეთ ორი დიდი ხის კოლოფი. ერთისათვის ორი ძირი უნდა გავკეციეთინა – მეორე მასალად გვეხმარა. ხარკოვში ამხ. ანტონოვ-ოვსენკომ, რომელიც მაშინ წითელ ლაშქარს უფროსობდა თეთრების წინააღმდეგ, გვიჩრია ჯერ სარატოვზე წავსულიყავით და სარატოვიდან ასტრახანის რკინის გზით. იქი-

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №3-4. 5. 6. 7-8. 9, 2011.

## ჩემას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

დან კი ზღვით ბაქოში. ჩვენც დაუფერეთ, რადგან სხვა ცნობები არც მას და არც ჩვენ არ გვექონდა. მივედით სარატოვში. მივმართეთ აღმასკომს დახმარების აღმოსაჩენად. ბინა თვით აღმასკომში მოგვეცეს. ცნობები შევკრიბეთ მარშრუტის შესახებ, გამოირკვა, რომ ასტრახანზე შეუძლებელია წასვლა. ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ და ცარიცინის ხაზით ვიმგზავროთ. ცხადია, რომ თეთრების ტერიტორიაზე მოგვიხდება გავლა, მაგრამ სხვა გზა არ არის, თბილისში ჩასვლა კი აუცილებელია. აღმასკომის თავმჯდომარეს ვთხოვეთ ერთი ცხელკე ოთახი მოეცა და ცოტა რამ ინსტრუმენტები, კოლოფები გაგვეშაბდინა და ფული და დოკუმენტები ჩაგვემალა. თავმჯდომარე (ანტონოვი იყო) მოგვცა, მაგრამ თან „შერლოკ ჰოლმსობაც“ უნდა გამოეჩინა. ჩვენ გავამზადეთ ყველაფერი, ორი ძირი გაუკეთეთ კოლოფს. შიგ მოვაქციეთ, რაც ზედმეტი და საიდუმლო დოკუმენტები იყო, ამის შემდეგ შემოდის თავმჯდომარე სამი-ოთხი ამხანაგების თანახლებით და მოითხოვენ კოლოფის გახსნას. თურმე თვალ-ყურს გადავინებდენ, როცა ვუმშობდით და, ეგონათ, რომ ჩვენ მტრის ბანაკიდან შემოპარულეს გვინდა ავაფეთქოთ აღმასკომი. ბოდიში კი მოიხატეს, მაგრამ „დროს ბრალია“, „რა ვქნათ“. ერთი მხრით მართლები იყვნენ, მხოლოდ მეორე მხრით არა, რადგან სანამ გავაკეთებდით, მანამდის უნდა მოეთხოვათ დოკუმენტებიც და ჩვენი „შუშობის“ მიზეზებიც. ჩვენ სასტიკი პროტესტი განვაცხადეთ, ბოლოს ერთ-ერთს გაუტყდით, თუ რაში იყო საქმე. თავი დაგვანებეს და გამოვსნით ისევ უკან, ხარკოვისკენ. რომელიღაც სადგურზე გადავჯექით ცარიცინზე მიმავალ მატარებელში. თეთრების ტერიტორიაზე ცოტათი კი ვუშობდით, რომ ჩვენი საიდუმლოება არ აღმოჩინათ, მაგრამ რას იზამ: ცდა ბედის მონანილეოა“ ნათქვამია და ჩვენც აღარ ვერიდებით დაბრკოლებებს. ცარიცინში მშვიდობიანად მოვედით. აქ აღმასკომის თავმჯდომარის საშვავლებით შესესძლოთ მატარებელში ადგილები დაგვეჭრა და გავსნით ტიხორეცკაიაზე. აქ უნდა გავიყოთ ის თუ არა გზა კავკაზე. თუ არ არის, ან საჭჭოა, მაშინ ნოვოროსისკზე წავალით და იქიდან ზღვით ბათუმში. ხაზზე მდგომარეობა ასეთია: ცარიცინიდან ორი სადგურის შემდეგ თეთრებია სადგურ „ტორგოვიაიმდე“, შემდეგ ჩვენები (32 დღეიზია) ტიხორეცკაიაიმდის. შემდეგ ორი-სამი სადგურისა კვლავ თეთრები სადგურ კრიმსკაიაიმდის, შემდეგ ნოვოროსის რესპუბლიკა იწყება.

კავკაზე გზა არ აღმოჩნდა. გავსნით ნოვოროსისკენ. გზაში ვიღაცის ხმა ვაერცვლებია, რომ პეტროგრადიდან კომისრები მოდიანო. ერთ-ერთ სადგურზე ყაზახები გვესტუმრა. „თქვენა

ხართ კომისრებიო“ – შეგვეკითხნენ, ჩვენ გაკორიფებული სახით მიუგეთ: „რის კომისრები, რა კომისრები, ჩვენ უბრალო მგზავრები ვართ, სამშობლოში ვბრუნდებით“. ცარიცინის სადგურის ადმინისტრაციამ დათვორი სამსახური გავგინია. ალბად იმიტომ, რომ კონდუქტორებს ყურადღება მიექციათ და ჩვენს უკუბი კარავინ შემოვრვათ, – ჩვენ დიდი კაცების სახელით მოგვანათლა. კონდუქტორებმა კი ხმა გააერცვლეს და ეს ხმები ყაზახებამდის მივიდა.

მაგრამ გვიშვლა ჩვენმა პოლკოვნიკმა შერემეტიევმა, მან ამოიღო ძველი, ნიკოლოზ II მთავრობის დოკუმენტები და მიანოდა ყაზახების უფროსს. თან უთხრა, რომ საქმიოდ მიდიოდა ამიერ-კავკასიაში. ჩვენ კი სამშობლოში მივდევართ. – კამო თავი ვაჭრათ გავაცნო. ალბათ იმიტომ, რომ დამოკიდებულება ისე გამწვავებული არ იყო თეთრებსა და ნითლებს შორის, თავი დაგვანებეს და წავიდნენ. კამომ რალაც ქრთამიც კი მიაჩნა მგონია. ერთი თვის შემდეგ რომ შეხვედროდით იმავე კაზაკებს, ალბათ ნაკუნ-ნაკუნად გვაქცევდნენ: ერთი თვის შემდეგ უკვე ბრძოლები დაიწყო და დამოკიდებულება ძალზე გამწვავდა.

მშვიდობით ჩამოვიდით ნოვოროსისკში. გემეზი მიმოსვლა მატროსებზე იყო დამოკიდებული, მთავრობასა და ადმინისტრაციას არავითარი გავლენა არა აქვთ: უნდა წავლენ მატროსები, უნდა არა, საჭირო იყო მატროსებთან მოლაპარაკება. მე და შერემეტიევი წავდით გემ „იერუსალიმზე“, რომელიც წავთ-სადგურში იდგა. სხვა გემები არ ყოფილა და თუ იყო, უვარგისი. ენახეთ მატროსების კომიტეტის წევრები. აუხსენით საქმის მდგომარეობა. იმათ მოუყარეს თავი ყველა მატროსებს: საერთო კრებად უნდა გადასწყვიტონ წავიდეს გემი თუ არა და მოითხოვს თუ არა გარემოება ჩვენს წასვლას. საერთო კრებაზე დიდებული სიტყვა წარმოიტქვა ამხ. შერემეტიევმა. ნაუკითხა ყველა დოკუმენტები პეტროგრადიდან წამოღებული. ორიოდე სიტყვა მეც უთხარი. ბოლოს ითათბირეს და ერთმანდ გადასწყვიტეს წასულიყვნენ ბათუმში იმიტომ, რომ ჩვენ წავეყვანეთ. ამგვარად ბათუმში ამოყვებით თავი. ბათუმიდან თბილისამდის მენშევიკების თეთრ-გვარდიელებია სამიში. მართლაც, მენშევიკური „სოციალისტური“ მთავრობის აგენტები გაცილებით უფრო უდიერად, უხეშათ მოგვეყვრო, ვიდრე კონტრ-რევოლუციონური ყაზახები. სადგურ სამტრედიამი ყველანი გვაგწმრიკეს. იარაღები წავგართვეს, გვაგინეს, შეურაცყოფა მოგვაყვეს. განსაკუთრებით ვარჯიშობდა ვიღაც ოფიცერი დონდუა (სახელი არ მახსოვს). ცხადია, ლანდლა-გინება არც ჩვენ დავგვიკლია, მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ „დემოკრატიის“ წარმომადგენლებმა და დემოკრატიულ მთავრობამ მენშევიკებისა უხეშობაში მა-

ნარქისტებს, (ჩრდილო კავკასიისას) გენერლებს და აფიცრებს ნააჭარბეს. ნახვით მენშევიკების წესიერების დამცველებმა ვერაფერი გვიპოვეს. ყველაფერი, რაც ვეკონდა, უსტეხილი თბილისში ჩამოვიტანეთ და საოლქო კომიტეტს ჩავაბარეთ.

7 თუ 8 იანვარია. დამფუძნებელი კრების გარეკის ამბებიც ჩამოვიდა. მენშევიკები, ესერები და ყველა პარტიები ერთმანეთს ეხეთქებიან, ბოლშევიკების ასეთი „თავზედობა“ ვერ წარმოედგინათ, ოპორტუნისტული პარტიების წმიდათა-წმიდა აღარ არსებობს. შეიარაღებულმა მუშამ შეუგინა ის. გინებას, ლანძღვას, პროვოკაციას ხომ საზღვარი არა აქვს. დამფუძნებელი კრების გარეკის აქტი მენშევიკებს სურდათ გამოეყენებიათ ერთ-ერთ მძლავრ სადემოგოგიო მასალათ ჩვენს წინააღმდეგ, მასალა მართლაც სერიოზული იყო. მაგრამ ვისთვის?! მუშების და გლეხების უმრავლესობის ფართო მასები სრულიად გულ-გარლად შეხედენ ამ აქტს. პირქით, ჩქარა დარწმუნდნენ, რომ დამფუძნებელი კრების გარეკამ დიდი სარგებლობა მოუტანა მათ: ყველა ის მოთხოვნილებები, რომლებიც რევოლუციის უნდა გაეწადებინა მშრომელთათვის, მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ განახორცილა ცხოვრებაში, მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ დააყენა კითხვები პრაქტიკულ ნიადაგზე. დამფუძნებელი კრება კი მზრუნველი იქნებოდა რევოლუციისათვის. საზოგადოების „დემოკრატიული“ ნაწილი, როგორც მაგ. ინტელიგენცია, წერილი ბურჟუაზია, კულაკები, „დემოკრატიული“ აფიცრობა და სხვა მაგვეარი ხროვა მუშების და გლეხების სისხლის მწოველთა - ფრიად ააღელვა ბოლშევიკების არა დემოკრატიულმა“ მოქმედებამ. ყოველ შემთხვევაში, მენშევიკებმა საკმარისად ისარგებლეს საქართველოში ამ მასალით და ატმოსფერა ძლიერ გაახურეს, ერთგვარი ანტი-ბოლშევიკური განწყობილება მასის დიდ უმრავლესობაში შექმნეს.

ფრიად ძნელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ერთი მხრით მხოლოდ ბოლშევიკური პარტია უმცირესობის თანაგრძნობით და მეორე მხრით ყველა დანარჩენი პარტიები და ჯგუფები მოტყუებული უმრავლესობის თანაგრძნობით. ამ მხრით რუსეთში თითქმის წინააღმდეგი მდგომარეობა იყო. იქ ბოლშევიკური პარტია მუშათა და გლეხების უმრავლესობის თანაგრძნობით თავს მაგრად გრძნობდა, მტრების სისინი კი არაფრად მიაჩნდათ. ასე არ იყო მაშინ საქართველოში. მხოლოდ ჯარის ნაწილებში თანაგრძნობა ბოლშევიკების მხარეზე იყო. ალბათ ამას ხელს უწყობდა ლოზუნგი ზავის ჩამოგდებისა. საოლქო კომიტეტმაც ეს გარემოება უყურადღებოთ არ დატოვა, მან კიდევ უფრო გააძლიერა ჯარებში მუშაობა, მათი ორგანიზაციულად დარაზების საქმე საუკეთესო ამხანაგებს მიანდო. თანაგრძნობა იყო როგორც რუსულ ჯარების ნაწი-

ლებში, ისე ქართულშიაც. მხოლოდ სომხური ნაციონალური ჯარები, რომლებიც „დამნაკლების“ ხელმძღვანელობით შესდგა და მთელი უფროსების შემადგენლობა დამნაკლებები იყო და მენშევიკური გვარდია, წარმომადგენდნენ ეს თუ ისე მაგარ დასავარდნობ ძალას მთავრობისათვის, რომელიც მაშინ კიდევ ამიერ კავკასიის კომისარიატის სახით არსებობდა. მხოლოდ ამიერ-კავკასიის კომისარიატში ტონის მიმეცე ძალას მენშევიკები წარმოადგენდნენ. ჩვენ ვცდილობდით „გაგვეზრნა“ ჯარების ყველა ნაწილები, შევსძელით ეს სომხური ჯარის ნაწილებშიაც. ჯარის კაცთა უბრალო მასის საგარძობი ნაწილი გავხადეთ აშკარა მომხრე და თანამგრძნობი ჩვენი პარტიისა.

როდესაც მენშევიკებმა (უმთავრესად მენშევიკებს მიტომ ვახსენებ, რომ მაშინდელი პოლიტიკის ხელმძღვანელ როლს ისინი ასრულებდნენ) იგრძნეს თითქმის ყველა ჯარის ნაწილებს მერყევი განწყობილება ხელი მიყვეს ეგრედ ნოდებულ წითელი გვარდიის შეიარაღების გაძლიერებას, მის ორგანიზაციულად დაწყობას, გამოყვეს აგრეთვე მოსასკუთრებელი რაზმი, რომელიც 9/10 შემადგენლობით სანდო და კაცი-ჭამია, უმთავრესად ქართველი აფიცრებისგან შესდგებოდა. განსაკუთრებულ რაზმში ბევრი სხვა ეროვნებებისაგან იყვნენ მოსამსკუთრები (რაზმის წევრები). ეს განსაკუთრებული რაზმი გადაიქცა ნემდეგ მენშევიკების ჟანდარმურად.

ჩვენი პარტიის, ცდამ, დაეპყრო ჯარის ნაწილები, ნაყოფი გამოიღო. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო. საოლქო კომიტეტის მუშაობა ამ მხრით თბილისით და საქართველოთი არ თავდებოდა. მას ინსტრუქტორები და ორგანიზატორები ჰყავდა დაგზავნილი თითქმის ყველა ფრონტზე - სარაყამიშის მიმართულებით, სპარსეთის, ტრაპეზუნდის და სხვა. სარაყამიშის მიმართულენით უმთავრესად მუშაობდნენ ახს. ს. პეტრენკო, მშუღვეიჩი და სხვები, რომელთა გვარები აღარ მახსოვს. ტრაპეზუნდში გაგზავნილი იქნა ძმები ლევან და პეტია აღნიაშვილები, ადგილობრივად მუშაობდნენ ბესო კვიციკელი, სტანსკი და სხვები.

საოლქო კომიტეტის მიზანი იყო: 1) გამოეწვია აჯანყება საქართველოს მუშებში და გლეხებში, 2) ამ აჯანყების გასამარჯვებლად გამოეყენებია ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის ნაწილები. მაგრამ ვინაიდან შეიარაღებულ ძალას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლაში, საოლქო კომიტეტმა უმთავრესი სიმძიმე თავის მუშაობისა ჯარში გადაიტანა.

სარაყამიშიდან და სპარსეთიდან მომავალი ჯარები აუცილებლად თბილისს გაივლიდნენ, საჭირო იყო ტრაპეზუნდიდან დაბრუნებული ჯარი, რომე-

ც. ს. კ.



# ჩემას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

ლიც თითქმის ყველა ნოვოროსისაკენ მიდიოდა, ბათუმისკენ ნამოგვეყვანა, რომ ბათუმი ხელში ჩაგვგედო. ამ მიზნების მისაღწევად საოლქო კომიტეტმა გამოყო კვლავ სამხედრო შტაბი, რომლის წევრებათ არჩია: ამხ. ლადო ლემბაძე, კოტე ცინცაძე, ამხ. შერემეტევი (კეტროვრადიდან ჩამოყვანილი). ეს იყო უმთავრესი სამეული. თუ მეხსიერება არ მალავს, შტაბი ხუთი წევრისად შესდგებოდა — მხოლოდ ორი დაინაჩრენის გვარები აღარ მახსოვს. შტაბის უფროსათ მე ვითვლებოდი, მხოლოდ ტეხნიკურ სამხედრო აპერაციების ხელმძღვანელად ამხ. შერემეტევი. შტაბმა დაისა მიზნათ ხუთი უმთავრესი საგანი: 1) საჭირო იყო ჯარების ფრონტიდან ორგანიზაციულად მოხსნა და დარაზმული ნამოყვანა. ამ შემთხვევაში უმთავრეს როლს ორგანიზატორისად და ავიატატორისად ასრულებდა ამხ. ს. პეტრენკო, რომელიც საოლქო კომიტეტისგან დანიშნული იყო კომისრათ სარაყამიშის რაიონის ყველა ჯარების. ამხ. პეტრენკო დიდს ენერჯითა და გულწრფელობით ასრულებდა დავალებას. 2) საჭირო იყო ამ დარაზმული ჯარის საშუალებით თბილისის ხელში ჩაგდება, ძალით, რასაკვირველია. ამ შემთხვევაში უმთავრეს როლს ასრულებდა ამხ. ლადო, კოტე, კუზნეცოვი. ამათ განკარგულებაში იყო მთელი რიგი ამხანაგებისა რაიონებიდან, რომელთაგან ზოგი ორგანიზატორის როლს ასრულებდა, ზოგი ავიატატორის, ზოგი ტეხნიკურ მომზადებას ეწეოდა (იარაღი, სანიტარული ნაწილი და სხვა), ზოგი კონტრ-შვერავების (разведка) და სხვა და სხვა. 3) ნაწილები ჯარისა, რომელიც ბაქოსკენ გაემართებოდნენ, მათ გზა და გზა უნდა დაეჭირათ სადგურები და უმთავრეს ძალას კი ბაქო ჩაეგდო ხელში. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა იმ დროს ბაქოსთან კავშირი. თბილისი სასახებით მონყვეტილი იყო ბაქოზე. 4) ტრაპეზუნდიდან მომავალ ჯარის ნაწილებს ბათუმი უნდა დაეჭირა. ხელმძღვანელებათ იყვნენ დანიშნული ბ. კვირკველია, პეტია აღნიასვილი. 5) მახრებელი გლეხების დაჯანყების მოწყობა. ამ დროს გლეხობაში უკვე დაიწყო უკმაყოფილება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ასე რომ ნიადაგი მომზადებულიყო. ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხ. ლადო ლემბაძე. უმთავრეს პრაქტიკულ მუშაობას ადგილებზე მახრებში ასრულებდნენ ამხ. თომა ჩუბინიძე, ვიქტორ ცინცაძე, მიხა პაპუნასვილი.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოში მიდიოდა იგივე მუშაობა, სადაც მთელი სიმძიმე მუშაობისა ამხ. ბუღუ მდივანს, დათიყო ლორთქიფანიძეს და სხვებს ანვა კისერზე. დასავლეთ საქართველოს მახრებში ამ დროს დიდი მოძრაობა იყო გლეხებში. ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა კუთხეებში მუშაობა გაცხოველებული იყო. თითქმის ყველა

მახრებში როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთში, პატარ-პატარა შეტაკებები ხდებოდა ერთი მხრით მთავრობის ძალებსა და რევოლუციონერ ჯარისა და გლეხებს შორის, მეორე მხრით. მაგრამ საოლქო კომიტეტი ცდილობდა დაქსაქსულ გამოსვლებისათვის ბოლო მოეღო და მოძრაობისათვის უფრო ორგანიზაციული, გეგმიური ხასიათი მიეცა. თუ სადღე ამას ვერ შესძებდა, მაშინ იძულებული იყო ხელმძღვანელობა გაენია. ასე იყო თელავში, გორში, დუშეთში, ქუთაისში, სოხუმში, შორაპანში და სხვაგან. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში შევედექით გეგმის განხორციელებას: სარაყამიშიდან მომავალი ჯარები თავს მე-300-სე ვერსზე იყრიდა. იქ ჩვენი ორგანიზატორ-ინსტრუქტორებიც ხვდებოდნენ და ჯარს ამიერ-კავკასიის კომისარატის ჩამოსაგდებათ მოუწოდებდნენ. აქავე მენშევიკები ხვდებოდნენ და წინააღმდეგ ავტიტაციას ეწეოდნენ. თბილისი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. რაც შეიარაღებული ძალები ჰყავდა მთავრობეს, ყველა ფეხზე იდგა. თბილისის გარშემო მალლობები ზარბაზნებით და ტყვისმფრქვეველებით იყო მოყვანილი. ჯარი როდესაც ფრონტიდან მოდიოდა, მზათ იყო თბილისის ასაღებათ, მხოლოდ, როდესაც თბილისს უახლოვდებოდა და მე-300-ე ვერსზე ისმებდნენ მენშევიკების დემაგოგიურ სიტყვებს, სულიერი განწყობილება ეცვლებოდა და იეგია სახლში წასვლისა, ცოლ-შვილის ნახვისა, დასვენებისა სჭარბობდა რევოლუციონერ ალტყინებს. და ბოლოს უარს ამბობდნენ და სტიქიურად რუსეთისაკენ, შინისაკენ მისწრაფებოდნენ. იმდენად ძლიერი იყო სახლისაკენ სწრაფვა, რომ ჯარზე არ იმოქმედა არც 10 თებერვლის სისხლის ღვრამ ალექსანდროვის ბაღში, სადაც ორი სამი ჯარის კაციც მოკვდა მესამასე ვერსტიდან მიტინგზე ჩამოსვლით. ამგვარად რამდენიმე ათეულმა დივიზიებმა, პოლკებმა გაიარა თბილისის ახლოს, მაგრამ ჩვენ ვერ შევსძელით მათი გამოყენება თბილისის ასაღებათ. ყველა შინისაკენ მიიქტაროდა. ლოზუნგი „სახლისაკენ“, „იმი გათავად“ რალაქ ვადლოსნურათ მოქმედებდა ჯარისკაცებზე და მენშევიკებიც ფრიად სარგებლობდნენ ამ ლოზუნგით. მხოლოდ ამ ლოზუნგს უნდა მიენეროს ამიერ-კავკასიის მთავრობის გადარჩენა იმ ხანაში. იმდენად ძლიერ სწყუროდა ჯარს დასვენება და სახლის ნახვა, რომ ბაქოსაკენ მიმავალ ჯარს, რომელიც თურქებს თხეზით ერეკებოდა ომის დროს, აზერბაიჯანელთა უმნიშვნელო ბანდები (ბეგების და მენშევიკების მიერ მონყობილი და შედგენილი) იარაღს ჰყრიდა, ხოცავდა ათასობით, მაგრამ ისინი მაინც შინისკენ მიდიოდნენ: იარაღს აძლევდნენ, დახოცილებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ ერთმა დივიზიამ მოახერხა იარაღით ხელში, პრძოლით გზის გაკაფვა

და ბაქომდე მიღწევა. აღსანიშნავია ამ მხრით მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების საზიზღარი მოქმედება: მესამასე ვერსზე ჯარს მუხლ-მოდრეკილი ეხვეწებოდნენ სახლში წასულიყო და ამავე დროს გზაში ბრბოებს ახვედრებდნენ და სისხლის აბანოს უშზაფებდნენ.

ასე და ამგვარად უშედეგოთ მიმდინარეობდა ჩვენი გემების განხორციელების საქმე სარავაშიშიდან მომავალი ჯარის მხრით 10 თებერვლამდის.

აღსანიშნავია 10 თებერვალი 1918 წლისა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ატმოსფერა საშინლად გახურებული იყო. მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელები აშკარად დაადგენენ ანტი-რევოლუციონურ გზას, სასტიკ ზომებს მიმართავენ პროლეტარული პარტიის წინააღმდეგ, მათ მონდომეს რუსეთიდან სასუბით გამოითიშვა და ამიერ-კავკასიის მთავრობის შექმნა სეიმის სახით. ჩვენი პარტია სასტიკ მუშაობას ეწეოდა ამის წინააღმდეგ. დიდი პოლიტიკური კამპანიის შემდეგ კომპარტიამ განიზრახა დემონსტრაციების და მიტინგების მოწყობა. დემონსტრაციის დღეთ დანიშნულ იქნა სეიმის გახსნის დღე. რამდენიმე ათასი კაცი, 15-20 ათასი მუშები და ჯარისკაცები წითელ დროშით ხელში თავს იყრის ალექსანდროვის ბაღში. მთავრობის მხრით ქუჩაში სიარული დემონსტრაციის სახით აკრძალული იყო. მაგრამ მოუხედავათ ამისა აუარებელი ხალხი მოისწრაფდა ალექსანდროვის ბაღისკენ მიტინგზე. საათის 12 იქნებოდა მიტინგი გახსნა ამხ. სერგო ქავთარაძემ. საოლეო კომიტეტი თითქმის მთელი თავისი შემადგენლობით ტრიბუნაზე იყო. პირველმა ორატორებმა სიტყვები წარმოთქვეს. იმ დროს, როდესაც ამხ. ნ. ცერცვაძე ლაპარაკობდა, ბარიატინის ქუჩის მხრით გამოჩნდნენ მთავრობის რაზმელები. წინ მოუძღოდა იმნაძე (სახელი არ მახსოვს), ავაიანი და რამდენიმე უცნობი აფიცერი. იმათაც „წითელი“ დროშა უჭირათ ხელში. როდესაც მიტინგს დაუახლოვდნენ, რაზმის ერთი ნაწილი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ გაეჩქარე მიტინგის ირგვლივ. მესამე შუა ნაწილი კი მიტინგს უახლოვდებოდა. მიტინგი შედგა. მაგრამ ამხ. თავმჯდომარემ (ს. ქავთარაძემ) დააწყნარა და უთხრა: „არ შეშინდეთ, ამხანაგებო, მიტინგს უერთდებიან“, მართლაც ასე გვეყოდა, რადგანაც მთავრობის რაზმის ხელმძღვანელი გვიცნობდნენ და ხელეობით განიშნებდნენ „წუ გემწინათ ჩვენიო“. ამხ. სერგო ქავთარაძეს სიტყვა დამთავრებული არ ქონებია, რომ მოულოდნელად სამინილო სროლა ასტეტეს, ტყვიისმფრქვეველებისაგან. პირველი გასროლა ტრიბუნას დაუმიზნეს, ხალხს არ სჯეროდა, რომ „სოციალისტური“ მთავრობა მუშებს ტყვიით გაუმასპინძლებოდა მშვიდობიანი მიტინგის მოწყობის გამო. ამიტომ პირველ სროლაზე ხალხი არ განბრუნულა. მხოლოდ არეუ-დარევა ეტყობოდა. პირველს მეორე მწყობრი გასროლა მოყვა ისევე ტყ-

ვიისმფრქვეველებისაგან, როდესაც ხალხმა დაიხანა სისხლი, დაიძრა და არეულად გაიქცა-გამოიქცნენ. მიტინგის საგრძნობი ნაწილი იქვე დანვა. სროლა გრძელდებოდა. დაწილილ ხალხს - თევზებით ჩანყობილებს ესროდნენ თოფებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან. თითქმის ათი წამი გაგაგრძელდა სროლა. დაჭრილ-დახოცილების, სისხლით მოსერილი მოედანიც არ აჩერებს ჯალათებს. ერთი წამით სროლა შეწყდა. ზეზე წამოვდექით. ისევ სროლა ასტეტეს. ისევ დაგნენით. ამხ. თოდრა წამოვარდა და სამინილო ლანძღვა-გინებით მიმართა მტარვალებს. ექიმებს დაჭრილების დახმარების უფლებასაც არ აძლევდენ. ზოგი მკედარი, ზოგი დაჭრილი სულთ-მობრძავი ჰყრია მიწაზე. გულშემზარავი. სურათი იყო. როგორც იქნა, ადგომის უფლება მოგვეცეს. ხალხს ვერ ამაგრებენ - გაქცევა უნდათ, უნდათ მოშორდენ მტარვალების თვალებიდან. წასვლის ნებას აძლევენ, მაგრამ ზოგი კიდევ ვერ ბედავს: ჰგონიათ პროვოკაციას მოუწყობენ. ასე თუ ისე ხალხი სასწრაფოთ დაშობდა. მე და ამხ. ნაზარეტინი დაგატყვევეს და იქვე გაგაჩერეს. თავზე დაგაყენეს ორი ქართველი ჯარისკაცი - ალბად განსაკუთრებული რაზმის წევრები. ეტყობოდა უბრალო ჯარისკაცები იყვნენ. მომხდარ ამბავს ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე. სულ ცახცახობდნენ ადუღებისაგან, ორი თუ სამი წამით თავს გვადგენ და შემდეგ ერთმა უთხრა მეორეს: „წავიდეთ, წავიდეთ ძმაო, რა ჩვენი საქმეა ამათი დარაჯობაო“. დაგეტოვეს და წავიდენ. ჩვენ გადავწყვიტეთ ხელიდან დავძრომოდით გამხეცვლები ოფიცრებს. ჯერ კიდევ დაჭრილები მოკრეფილები არ იყვნენ. ჩვენც სხვებთან ერთად მოვიკიდეთ ხელი ერთ დაჭრილს და გვინდოდა ამ სახით ალექსანდროვის ბაღიდან გავსულიყავით, მაგრამ დაგვიანაბა თუ არა დაჭრილი მიგვაქვს, ავაქიანმა (ესქერობდა), გამოგვიდა, გამოგვეყო მე და ნაზარეტინი და ისევ დაგვატყვევა. აქვე ამ დროს ესერი მერხა-ლევი გაჩნდა საიდგანლაც. დაგვიანაბა დატყვევებულებით თუ არა, მივიდა რაზმის უფროსთან და ავაქიანთან და სთხოვა ჩვენი განთავისუფლება თავის თავმდებობის ქვეშ. ავაქიანი უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ, როგორც იყო, დაითანხმა (მერხალევიმა ალბათ, სინდისის გასარეცხათ მომიძქმედა ასეთი ლმობიერი საქციელი). ჩვენ წინადადება მოგვეცეს ნავსულიყავით და ვორონცოვის ხიდისაკენ გასავლელ კარებში გავსულიყავით, იმ დროს, როდესაც ბარიატინის ქუჩის გასავლელ კარებთან ახლოს ვიდექით. ალბათ უნდადეთ ისევ ბაღის ტერიტორიაზე გაგვევლო და უკანინად ტყვიით მოეყოლებინათ. ჩვენ არ დავთანხმდით იქით წასვლაზე და გამოვედით ბარიატინის ქუჩაზე.

## ჩემას პირველი თავგაჯღოვარის მოგონებები

როგორც იყო, თავი დავალწიეთ ჯალათებს, მაგრამ გული არ ისვენებს. არ ვიცი, ვინ გადარჩა ცოცხალი, ვინ დაიხოცა.

ათმა თებერვალმა ამკარად დაუშტკიცა ყველას, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკების „დემოკრატიული“ მართვებობა. ბევრს ურმუნყო თომების თვალში აუხილა, ილიუზიები გაუქრო: ვისაც სჯეროდა კიდევ მენშევიკების სოციალისტობა, ისინიც დარწმუნდნენ წინააღმდეგობაში. იმავე დღეს საოლქო კომიტეტიც შეიკრიბა. საოლქო კომიტეტის სხდომაზე პირველ საქონზე შექმნილი მდგომარეობა დაისვა. საჭირო იყო მომენტის დაფასება, ძალების გადაჯგუფება.

იდეა და გეგმა ფრნტიდან ჯარების გამოყენებისა პრაქტიკულად ვერ გამოდგა. რამოდენიმეჯერ ცდამ სავსებით დაამტკიცა ამ ტაქტიკის შეუფერებლობა. რომც რომელიმე ჯარის ნაწილი თბილისში შემოსულიყო, დაეჭირა ის – არავითარი გარანტია არ იყო, რომ ხვალ ის სახლში არ წაივლიდა და ქალაქი არ დატოვებდა, მით უმეტეს, რომ ჯარის დემობილიზაცია უკვე კაი ხანია გამოცხადებული იყო. საჭირო იყო შინაური ძალების დარაზმვა, ადგილობრივი მუშებისა და გლეხების საშვალებით და მისი ძალ-ღონით ბრძოლა მენშევიკების მთავრობასთან. ამ უკანასკნელ გზას დაადგა საოლქო კომიტეტიც: უარყო ჯარების გამოყენების იდეა და მუდგა აჯანყების მზადება თვით საქართველოს მმართველთა შორის. ის ძალები, რომელიც პარტიამ ჯარებში გადაისროლა – ახლა მაზრებსა და სოფლებს მოეგვინა სამუშაოთ. ხანგრძლივი მუშაობა კი დასჭირდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ შემთხვევით მომენტებს ადგილი აღარ ექნებოდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ მიმართულებითაც იყო მუშაობა, მაგრამ ჯარში მუშაობას იმ ხანებში უფრო დაკვირვითი ხასიათი ჰქონდა. სულის კვეთება გლეხობაში ფრიად ხელ-საყრელი იყო. მენშევიკების მთავრობამ ვერ გაამართლა რევოლუციის დანაპირები, ეკონომიური მდგომარეობა დაეცა, გლეხები დამშვიდა, მუშებიც ფრიად ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მუშებში მენშევიკებმა შექმნეს მუშათა არისტოკრატია, რომლის საშვალებით ისინი იმორჩილებდნენ მუშათა უმრავლესობის თანაგრძნობას. შედარებით გლეხებთან მუშებს გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ და ცდილობდნენ მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას: ამავე დროს სიტყვიერი თუ ნერილობითი აგიტაციის საშვალებით, პირდაპირი ტყუილებითა და სიცრუით უხატავდნენ მუშებს და გლეხებს რუსეთის ცხოვრებას კომუნისტური პარტიის მართვებობის ქვეშ. საშინელ სურათებს უშლდნენ თვალ წინ საქართველოს მმართველთა რუსეთის ცხოვრებიდან: პირდაპირ მოგონილი ამ-

ბები კვებავდნენ ხალხის გონებას და შეგნებდა. ცილის ნაშებს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. რამდენათაც შეგვეძლო არალეგალურ პირობებში, ჩვენ ვცდილობდით გაგვეფანტა ეს ცილის ნაშებანი, მაგრამ ძნელი იყო ეს, რადგან სახელმწიფო აპარატი მათ ხელში იყო და ბოროტათ იყენებდნენ მას.

ათი თებერვლის შემდეგ მენშევიკებმა ჩვენი დევნა ერთი ასად გააძლიერეს. შეიქმნა საშინელი პირობები მუშაობისა. ზოგიერთი ამ ხანებში იძულებული იყო, თავი მოეფარებინა, ზოგი უკვე „იატაკ-ქვეშ“ გადასულყო სამუშაოდ. ამავე დროს ოსმალეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა. მენშევიკები ომის გამოცხადებას ჩვენ, ბალშევიკებს, გვაბოძებდა, რომ ამით მასა ჩვენითვის გადაემტკიცებინა. მათი მხრით ეს იყო პოლიტიკური ხრიკი მასის განწყობილების მოსაბრუნებლად ბალშევიკების წინააღმდეგ. მათ აგიტაციას ცოტათი ხელი შეუწყო ბრესტის ხელშეკრულებამ, რომლის ძალით ბათუმი ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა. მენშევიკებმა კარგად ისარგებლეს ამ ვარგელობით და ბათუმის გამყიდველებთან ჩვენ, ბალშევიკები, გამოგვიყვანეს. მათ იცოდნენ, რომ ქართველ ხალხს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს ბათუმი ძლიერ უყვარდა. უყვარდა მისი სილამაზისათვის კი არა, არამედ მისი ეკონომიური სიძლიერისთვის. ბათუმი ეს ერთადერთი ქალაქი იყო დასავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით, სადაც ლარბი გლეხ-კაცობა სამუშაოს შოულობდა, საიდანაც გაჭირვების დროს საექიმოთ მიემგზავრებოდნენ, გასასყიდათ რაიმეს ნაიღებდნენ და სხვა და სხვა. იცოდნენ რა ასეთი სულისკვეთება გლეხობისა – მენშევიკები სარგებლობდნენ და საზიზარა აგიტაციას ეწეოდნენ ამ ნიადაგზე. ასეთმა აგიტაციამ ნაწილად გასჭრა. შეიქმნა წარმოუდგენალი ვახურებული ატმოსფერა ბალშევიკების წინააღმდეგ. „სამშობლოს მოლაღალეები, ბათუმის გამყიდველები, ქვეყნის დამანგრეველი, „ურჯულეობის“ (ოსმალეთის) აგენტები და სხვა და სხვა – აი მენშევიკების სალაპარაკო საგანი ჩვენს წინააღმდეგ. ფრიად რთული და სერიოზული მდგომარეობა დაგვიდგა. საჭირო იყო გზის გაშლანახვა, წინაზივის გარკვევა. ამ შემთხვევაშიაც საოლქო კომიტეტმა სწორი, ნათელი და რევოლუციონური ხაზი გამოიწვია და ორგანიზაციებს მიანოდა. საოლქო კომიტეტმა მუშებს და გლეხებს მოუწოდა ომის წინააღმდეგ, მოუწოდა ბრესტის ხელშეკრულების დასაცველად, მენშევიკების მხრით სამხედრო მზადება და ომის გამოცხადება ოსმალეთისთვის დაგმო; მაგრამ მენშევიკური ავანტიურის შეჩერება არ მოხდა. გამოცხადდა ომი. მთელი მცხოვრებლები საომრად იყო მონოწივნილი მენშევიკების მიერ. ზოგ-ზოგ ადგილას ჩვენი შეიარაღებული ძალები,

რამზები იძულებული დარჩა ამაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ცდილობდნენ, რომ ძალები არ დაექსპლათა და მენშევიკებში არ გათქვეფილყვნენ.

ამავე დროს ჩვენ ვცდილობდით ომის გათავებისას - კარგათ დაშიავრდებოდა თუ ცუდად - ძალები შეგვენარჩუნებია და დაგვეცხო მენშევიკებისათვის. საომარი ხანა დიდ-ხანს არ გაგრძელბულა. პირველ შეტაკებისთანავე მენშევიკები დამარცხდნენ. ისინი იძულებული გახდნენ სამარცხენო ზავზე ხელი მოეწერათ, რომ ოსმალეთი უფრო შიგნით, - საქართველოში, არ გამოიწეულიყო. არა თუ ის, რასაც ოსმალეთი საქართველოდან მოითხოვდა, არამედ კიდევ ზედმეტი დაუთმეს მენშევიკებმა. ამიტომ მასში ერთგვარი უწყაყოფილება დაიბადა. ერთგვარად გამართლდა ჩვენი პოზიცია, რომელიც ომის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა უსისხლოდ დათმობას ამა თუ იმ მოთხოვნილებებისას. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი ჯარები ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ოსმალეთის ჯარებს. მენშევიკები კი ამ შემთხვევაში ისე მოიქცნენ, როგორც საშვალო საუკუნოების რაინდები: როგორ შეუძლია საქართველოს მთავრობას ერთი გოჯი მიწა-წყალი დაუთმოს მტერს უბრძოლველად, მაგრამ მოქნეული მუშტი ჰაერში დატრიალდა და ომის გამოცხადებით ხალხის თვალში ბეცი პოლიტიკოსების სახელი გაუყარდათ. ზავის შეკერის შემდეგ ჩვენ ვისარგებლეთ შეიარაღებული ძალებით და მშრომელთა უკმაყოფილებით. სადაც კი შესაძლებელი იყო, საოლქო კომიტეტმა ნება დართო შეიარაღებული გამოსვლებისა. განსაკუთრებულ როლს ამ გამოსვლებში ძველი ჯარისკაცები თამაშობდა, რომლებიც ბოლშევიკური სულის კვეთებით გაუღივლინ ჩამოვიდნენ იმპერიალისტური ომის გათავების შემდეგ.

ეს გეგმა საოლქო კომიტეტმა მიიღო ქუთაისის თათბირზე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1918 წელს მარტში თუ აპრილში. ამა თათბირს დაესწრნენ აშხ. ბუღუ მდივანი, ფ. მახარაძე, ლადო დუმბაძე, დათოკ ლორთქიფანიძე, კოტე ცინცაძე, ს. ქავთარაძე, მ. ტორთქიფანიძე, გეგეჭკორი და სხვები, რომელთა გვარები აღარ მაგონდება. დაახლოებით ასეთი იყო გადაწყვეტილება: მენშევიკების მთავრობის ასარეგულსკვეთილად, დეზორგანიზაციის შესაქანად, მასის სულისკვეთებით კიდევ უფრო ასანეად - **სადაც შესაძლებელია** შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა, ნება დართულ იქნეს. **ამავე** თათბირმა აირჩია სამუელი ამ გამოსვლების სახელმძღვანელოდ: ლადო დუმბაძე, კოტე ცინცაძე, აღ. გეგეჭკორი და დათოკ ლორთქიფანიძე (რამდენადაც მასხსლე, მგონი ზუთუელი იყო). ჩქარა დაიწყო გამოსვლებიც. პირველად სამეგრელოში იჩინა თავი ამ გამოსვლებმა. შემდეგ შორაპნის მაზრაში, ქუთაისის სხვა-დასხვა რაიონებში, სოხუმის ოლქში, ლეჩხუმში და

სხვა და სხვა. სამეგრელოს გამოსვლებს ხელმძღვანელობდა საშა გეგეჭკორი და შალიკო ასკურავა, რომლებიც პასუხის მეტელები იყვნენ საოლქო კომიტეტის წინაშე. ასეთივე გამოსვლები იყო გარის მაზრაში და ნაწილობრივ დუშეთში და თბილისის მაზრაში. მენშევიკური მთავრობა ამ გამოსვლებმა ფრიად დააფიქრინა. გლეხების წინააღმდეგ თოფ-ზარბაზნებით გამოსვლა, სახლების გადაბუგვა, რევოლუციონური გლეხების ხოცვა-ჟლეტვა, მთელი მაზრების კანონს გარეშე გამოცხადება (ლეჩხუმის მაზრა) და სხვა ამგვარი რეპრესიებით გამასპინძლება მათი ძნელი საქმე იყო, მაგრამ ძალა-უფლებით მთვრალი მენშევიკები, ბურჟუაზიის ლაქაი პარტია, რას დაგიდევდა გლეხი იქნებოდა თუ მუშა. მენშევიკური მთავრობაც დაადგა ცეცხლითა და მახვილით დამშვიდების გზას. სადაც გაუჭირდა თავისი ძალით გამკლავებოდა ადამანებულთ, იქ გერმანულ ჯარებს იმეყოლებოდა. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ რას გაანყობდა გლეხები თავიდან ფეხებამდის შეიარაღებულთ მთავრობის წინააღმდეგ. გლეხები ძლიერ ცუდად იყო შეიარაღებულნი: თუ თოფები საკმაოთ იყო - ვაზინები აკლდათ, სადაც ვაზნები ჰქონდა, თოფები არ იყო. აი ამიტომ ამ უსწორო ბრძოლაში გლეხები კვლავ დამარცხდნენ. მხოლოდ ერთი იყო ყველასათვის აპკა: მენშევიკური მთავრობა იმ ხანებში მხოლოდ ხომტების საშვალებით ბატონობდა. აქა-იქ საქართველოს კუთხეებში მიანიც გაისმოდა თოფებისა და ტყვიის მფრქვეველების ტკაცანი - ეს მთავრობა ებრძოდა უკვე ტყეებში გადამაღულ რევოლუციონერ რაზმებს. საოლქო კომიტეტის წინაშე კვლავ დადგა ახალი საკითხი: რა ტაქტიკას დაადგეს რევოლუციონური ორგანიზაციები ამ „დამშვიდების“ შემდეგ. ხელ ახალი გამოსვლების იმედი აღარ იყო. საუკეთესო ამხანაგები „იატაკ ქვეშ“ გადავიდნენ, ბოლშევიკური შეიარაღებული ძალები ტყეების სტრუქტურებით გახდნენ, სადაც საშინელ გაჭირვებასა და შიმშილს, სიცივეს და სიტყველეს განიცდიდნენ. აუცილებელი იყო ამ რაზმების შენახვა, ზოგიერთა ამხანაგების, რომელთაც, თუ მთავრობას ხელში ჩაუვარდებოდნენ, სიკდილით დასჯიდნენ, გადარჩენა და სხვა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ცოცხალი ძალების მანარჩუნება ახალი და მომავალი ბრძოლისათვის. ამავ დროს მთავრობის მხრივ რეპრესიებმა ყოველ საზღვარს გადააჭარბა. დატყვევებულ იქნა აშხ. ბუღუ მდივანი, ეს უმთავრესი ხელმძღვანელი მოძრაობის დასავლეთ საქართველოში. დატყვევებულ იქნენ სხვებიც. დატყვევება მოქლოდა ყველას, რადგან ძნელი იყო ჩვენთვის საქართველოში თავის შენახვა: ჩვენი პიროვნებანი ძლიერ ნაცნობი იყო მთავრობისათვის და მისი აგენტებისათვის...

ც. ს. ჯ.

## ჩეკას პირველი თავმჯდომარის მოგონებები

მიიღო რა საოლქო კომიტეტმა ზემოაღნიშნული პირობები, დაადგინა: მთელი სიმძიმე მომავალი მუშაობისა და ბრძოლისა გადატანილ იქმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში — ქ. კავკაში. იქ უნდა გადასულიყო საოლქო კომიტეტიც. ცხადია, საქართველოს დატოვება უმუშაკებთა შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ მოუყარეთ თავი ასე თუ ისე ახალ, მთავრობისათვის უცნობ ამხანაგებს, მივეციით მათ სათანადო დირექტივები, დავტოვეთ აქ საოლქო კომიტეტის თბილისის ბიურო, რომელსაც დაუკავშირეთ პროვინციებში არსებული ორგანიზაციები და საოლქო კომიტეტი გადაბარგდა ჩრდილო კავკასიაში. თბილისის ბიუროში შედიოდნენ: 1) ახ. ლოლა წულიკიძე, 2) საშა დარახველიძე...

ამასთანავე ყველა ჩვენ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც იმალებოდნენ, საოლქო კომიტეტმა მისცა შემდეგი დირექტივები: ის ამხანაგები ან მთელი ჯგუფები, რომლებსაც არავითარი იმედები არა აქვთ ლეგალურად გამოსვლისა და მშვიდობიანად ცხოვრების, შეჯგუფულიყვნენ ერთად და გადასულიყვნენ თავისი იარაღით ჩრდილო კავკასიაში — თავი საბჭოთა მთავრობისათვის შეფერებინათ. ვისაც კი შეეძლო მთავრობის თვალის ახვევა და სოფელში დარჩენა, უნდა დარჩენილიყო. უმთავრესად ასეთი რაზმები დასავლეთ საქართველოში არსებობდნენ. შეძლებისა-და გვარად ამ რაზმებს მატერიალური დახმარებაც ეძლეოდათ გზაში თუ ადგილობრივად. დეფექტები ასეთ ტაქტიკას, ცხადია, რომ ჰქონდა. რადგან საუკეთესო ძალები იხიზნებოდნენ და ახალი ძალები კი საქართველოში ფრიალდ სუსტი იყო: გარდა ამისა სხვა სახელმწიფოდან მუშაობის ხელმძღვანელმა ძნელია და ნაკლებათ ნაყოფიერი, მაგრამ სხვა გზა არ იყო; ნაკლები ბოროტება სჯობდა დიდს.

ამ გვარად მენშევიკებს საშვალბა მიეცათ შედარებით „მშვიდობიან“ პირობებში განეგრძოთ ბატონობა.

1918 წლის ივნისში ზემოხსენებული გადაჯგუფება ჩვენი ორგანიზაციისა უკვე დამთავრებული იყო. ვინც წასავლელი იყო, წავიდა, ვინც დასარჩენი, ყველამ თავის ადგილი დაიჭირა და მუშაობას შეუდგა. საოლქო კომიტეტის აზრი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გაიხიზნულ ყველა ამხანაგებისათვის თავი მოეყარა, შეჯგუფდებინა ისინი, იარაღი შეეძინა საქმოდ, ნაწილი იარაღისა სხვა და სხვა საშვალბებით საქართველოს ორგანიზაციისათვის გადაეწოდებინა, თვით ჩრდილო კავკასიაში მოემზადებინა მაგარი მუშეტი რევოლუციონური რაზმისა და ხელ-საყრელ მომენტში აშკარა ბრძოლა გამოეცხადებინა მენშევიკების მთავრობისათვის. ჩრდილოეთ კავკასიაში შეიარაღებული რაზმების მომზადება ტენიკურად, კავშირი საქართვე-

ლოსთან, იარაღის შექმნა და სხვა ამ საქმესთან დაკავშირებული მუშაობა მინდობილი ჰქონდა ახ. ლადო დუმბაძეს, კოტე ცინცაძეს, ვასო ელერდოვს. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ვანო კარაბეტოვი, მარტინოვი, ბენო კლანდაძე. შემდეგ ამ ამხანაგებს მოემატა სხვა გენგჟკორი, რომელმაც კავკაში ჩამოიყვანა სამეგრელოს, ლჩხუმის და რაჭის შეიარაღებული რაზმები, არკადი ელბაქიძე, ყრუაშვილი, ბენო კალანდაძე (საჭიროა აღნიშნოს, რომ ახ. ლადო დუმბაძე ერთი თვით ადრე იყო წასული ამ ნიადაგზე სამუშაოთ). მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ასეთი დიდი საქმის მოსამზადებლად საოლქო კომიტეტს ცოტა დრო დარჩა, სულ რაღაც 1 1/2 თვე. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში, დუშეთის მაზრაში, მოულოდნელად, სტიქიურად იფეთქა გლეხობის აჯანყებამ მთავრობის მიერ განიარაღების ნიადაგზე. დუშეთის მაზრის ასეთი სულსკვეთება ჯერ კიდევ ადრე იცოდა საოლქო კომიტეტმა, იცოდა ეს კავკაში გადასვლამდის, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, უდროო გამოსვლა არ მომხდარიყო და მთავრობას საშვალბა არ მისცემოდა, აჯანყებულ გლეხებს ცალ-ცალკე გამკლავებოდა: საოლქო კომიტეტი ფიქრობდა ერთდროულ გამოსვლებზე მაზრებში. ამიტომ დუშეთის მაზრის გლეხების სურვილს აჯანყების საშვალბით გამოსვლისას აჩერებდა. ამ დროს დუშეთში მუშაობდნენ ახ. თონა ჩუბინიძე, ვიქტორ ცინცაძე, მისა პაპუნაშვილი, შუშიაშვილი, რომელთაც საოლქო კომიტეტიდან დავალებული ჰქონდათ მაზრაში მოძრაობის ხელმძღვანელობა. მაგრამ როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ გლეხებს იარაღის აყრა მოუწოდო, ზემოჩამოთვლილმა ამხანაგებმა ველარ შესძლეს ხალხის დამაგრება. არც შეიძლებოდა, რადგან განიარაღებულ გლეხები შემდეგ აჯანყებისათვის აღარ გამოდგებოდნენ. დაინახეს რა ამხანაგებმა, რომ მოძრაობა სტიქიურ ხასიათს იღებს, სათავეში ჩაუდგნენ და ხელმძღვანელის როლი ითამაშეს. ბოლშევიზმი სწორედ ამით განირჩევა მენშევიზმისაგან: თუ შესაძლებელია სტიქიის უდროოდ გამოსვლა შეაჩერონ — შეაჩერებენ უფრო ხელ-საყრელ მომენტამდის, თუ არა, სათავეში ჩაუდგებიან და ხელმძღვანელობას გაუწევენ. დუშეთშიც ასე მოხდა. სწორედ ამ აჯანყების წინა დღეებში ახ. ლადო დუმბაძეც გამოემგზავრა თბილისში ორგანიზაციის მუშაობის გასაცნობათ (ის გამოყვა ახ. საშუელ ბუაჩიძის ცხედარს), მაგრამ დაბრუნებისას უკვე აჯანყება გაჩაღებული იყო და ახ. ლადოც სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. აჯანყება ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ მთელი მაზრა აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში, აირჩიეს გლეხთა საბჭოები, აღმასკომი, გზა გახსნეს კავკავამდის და მჭიდროდ

კავშირი დაიჭირეს საოლქო კომიტეტთან კავკავში. მიუხედავად იმისა, რომ მათი მთავარი მიზანია მთავრობის დახმარება, მხოლოდ ჩქარა-ჩქარა გონის მოვლით და დაინყო შეტევა გლეხების წინააღმდეგ. საუკეთესო ჯარები, გვარდი, და თოვ-ზარ-ბაზნები მიუშვირა გლეხებს მთავრობამ. გლეხები სასტიკი წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ რას გაანყობდა კიბლბამდის შვითარებულ უმარავ უმარავ, აჯანყებულნი, როგორც ყოველთვის, ბრძოლის გახანგრძლივების დროს - იარაღი აკლდებდა, განსაკუთრებით ვაზნები. გავიგეთ თუ არა კავკავში მენშევიკების შემოტევა და აჯანყებულთა უკან დახევა, მაშინვე მოვკრიბეთ თუ რამ გავგანჩინდა მომზადებული: იარაღი, ვაზნები, რაზმები, ორი ზარბაზანი და გამოვამზადებთ დასახმარებლად, მაგრამ კარგათ მომზადებული და საკმაო სამხედრო მასალა არც იქ მოგვეპოვებოდა. ჩვენი დახმარება პირველ ხანებში საკმარისი აღარ გამოდგა. საჭირო იყო კიდევ გაგვეწია დახმარება. ამ დროს ახალ ჩამოსული იყო სამეგრელო-ლეჩხუმ-რაჭის შვითარებულ რაზმი ს. გეგეჭკორის მეთაურობით. ამ რაზმს უფროსობა ოფიცერი (ბოლშევიკების თანამგრძობი) ჭავჭავიძე. სხვა ხელმძღვანელთა შორის აღსანიშნავია ამხ. მიშა გეგეჭკორი. ამ რაზმს საოლქო კომიტეტის რაზმი ეწოდებოდა.

საოლქო კომიტეტმა რაზმს წინააღმდეგ მისცა, აჯანყებულთა დასახმარებლად გამზადებულიყო და გზას გადაგომოდა. ბრძანება ფიცხლავ შესრულებულ იქნა და რაზმიც საქართველოს სამხედრო გზას გაუდგა. გამოანგარიშებული იყო, რომ ეს რაზმი აჯანყებულთა მიუსწრებდა გულდარები, მაგრამ რაზმი დაბნდნდა ყაზბეგში, რამაც დაავიანდა დახმარება. აჯანყებულები იძულებულნი იყვნენ ეს უკანასკნელი (გულდარის სიმაღლე) სიმაგრე დაეტოვებინათ.

საოლქო კომიტეტის რაზმის ყაზბეგში დაბანდნა ამ რაზმის ხელმძღვანელთა შეცდამა იყო. ჩემის აზრით (და მაშინ საოლქო კომიტეტიც ასეთი აზრის იყო), არავითარი სერიოზული საბუთი არ იყო რაზმის ყაზბეგში შესაჩერებლად. იმის თქმა, ცხადია, არ შეიძლება, თითქო რაზმი რომ დაბნდნა დროზე მიშველებოდა, აჯანყება გამიარაგებდა, მაგრამ ბრძოლა უფრო გახანგრძლივდებოდა, მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა და გლეხებში ერთგვარი რევოლუციონური ტრადიცია შეიქნებოდა. გულდარის გადმოლახვის შემდეგ მენშევიკების ჯარის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, უკანასკნელი ბრძოლა აჯანყებულთა მისცეს ყაზბეგსა და დარიალის ხიდის შუა.

ამ უკანასკნელ ბრძოლაში დაილუპნენ ამხანაგები: თამა ჩუბინიძე, მიხა პაპუნაშვილი, მიშა გეგეჭკორი, ჭავჭავიძე და მრავალნი სხვანი.

გადარჩა ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ამხ. ვიქტორ ცინცაძე, მსუბუქად დაჭრილი. თითქმის მთ-

ლი თვე მოუნდა მენშევიკების ჯარს და გვარდიას ამ აჯანყების ჩასაქრობათ. საგულუსხმიეროა ის, რომ ჯარის ნაწილები ისე მკაცრად არ მოქმედებდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ, როგორც გვარდია. საქართველოს სხვა კუთხეებში ამ დროს სიჩუმი იყო, რადგან არც ორგანიზაციები და არც ხალხი მთავრობად არ იყვნენ მომზადებული აჯანყებისათვის.

ეს იყო უკანასკნელი ხმა ქართველი გლეხებისა 1918 წლის განმავლობაში. ბევრი აჯანყებული გლეხები კავკას შემოეხიზნენ, რადგან სამშობლოში მათ ჟღერდა და ხერცხა მოელოდა. საბჭოთა მთავრობამ საოლქო კომიტეტის წინადადებით ყველანი მიიღო, ბინა მისცა, სურსათით და ტანსაცმლისით შეძლებისა დაგვარდა დააკმაყოფილა შეთარაღა. საოლქო კომიტეტმა თავი მოუყარა ისევ გადმომხიზნულ რევოლუციონურ გლეხებს და შექმნა ახალი რაზმი.

საქართველოში კი ახალი დირექტივები მისცა ორგანიზაციებს ბრძოლის გასაგრძელებლად. ცხადია, რომ კვლავ აჯანყებებზე იმ ხანებში ზედმეტი იყო ლაპარაკი. საჭირო იყო ახალი მზადება ახალი გამოსვლებისათვის.

ამავე დროს თერგის ოლქში დაინყო კონტრ-რევოლუციონური გამოსვლები. საბჭოთა მთავრობის ბედიც ბენზე ეკიდა. ამ რაზმმა ჩინებული როლი შეასრულა კონტრ-რევოლუციისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით სახელმა გაითქვა ამ რაზმზე დაღუპილთა მახრის გახელება - კახელბებმა.

ჩემი მუშაობა ჩრდილო კავკასიაში და კერძოდ თერგის ოლქში იწყება 1918 წლის ივლისიდან; თერგის ოლქში გარდახვევის მიზეზი ის იყო, რომ ტფილისში არსებული მენშევიკური მთავრობა წარმოუდგენელ რეპრესიებს მიმართავდა საქართველოში არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციების მიმართ. ამიტომ კომპარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტი, რომლის წევრად მეც ვითვლებოდი, იძულებული იყო საოლქო კომიტეტისთვის ადგილი გამოეცვალა, რათა უფრო მოხერხებულ პირობებში შესაძლებელი ყოფილიყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა, რაც იმ ხანებში მორიგ ამოცანას შეადგენდა. საოლქო კომიტეტმა დაადგინა, თავის რეზიდენციად გამოეცხადებია თერგის ოლქში ქალ. ვლადიკავკავი. საოლქო კომიტეტი ფიქრობდა, რომ რადგანაც თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება იყო, ამიტომ უფრო გადავიტყობოდა იმ მოძრაობის ხელმძღვანელობა, რომელიც გლეხთა აჯანყების სახით მოდებული იყო მიუხედავად საქართველოში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ თერგის ოლქიდან შევსძლებდით იარაღისა და სხვა მასალების მიწოდებას საქართველოს აჯანყებულთათვის. ტფილისში დატოვებულ იქნა საოლქო კომიტეტის ბიურო, მთავარი კომიტეტი

ც. ს. ა.

# ჩემას პირველი თავგაჯდომარის მოგონებები

კი გადავინდა ვლადიკავკაეში. საოლქო კომიტეტის იმედით, არ თქმა უნდა, საეცებოთ გამართლდა, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლების და გვარად ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინა საქართველოს ავანგუდულიათვის. ამერ კავკასიას გარდა (ახერბანიჯანი, საქართველო, სომხეთი) საოლქო კომიტეტს უნდა ეხელმძღვანელა მოძრაობისათვის მთელს კავკასიაში. ამიტომ საქირო იყო ისეთ ალაგას ყოფნა, საადნაც ადვილი იქნებოდა კავკასიაში არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულებას დაჭრა და მათთვის დახმარების აღმოჩენა. ამ შემთხვევაში საუკეთესო ადგილი იყო თერგის ოლქი.

ამ მოსაზრებით საოლქო კომიტეტის წევრები გადასახლდნენ თერგის ოლქში.

ფეიქრობი, ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩემი მოგზაურობის აღწერა „ალთოსის ქვეყნისაკენ“, — სადაც საქართველოში წარმოებული არალეგალური მუშაობის შემდეგ, უსაშინელს პირობებში, ჩვენ შეგვეყოლი თავისუფლად ამოსუნთქვა. როდესაც მე ვმოგზაურობდი 1918 წლის მაისის გასულს ჯავის ხეობით — ხან ქვეითად, ხან ცხენით, ჩემში ორი აზრი იბრძოდა — სიხარული და მწუხარება: თავისთვის ფეიქრობი — შეცდომა ხომ არ მოგვივიდა, რომ რეზიდენცია გამეფიცვალეთ მეთქი. როცა ეჭვი მეზადებოდა ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში, სევდა შემიპყრობდა ხოლმე, მაგრამ მეორეს მხრით, როცა წარმოიდგენდი თავისუფალ მოქმედებას, მომავალ რევოლუციონერ პერსპექტივებს, ეს ახარებდა, ჩემს ვულს და ასე სიხარულის გრძნობა ყოველთვის სჯობნიდა მოწყენილობას და ეჭვების გრძნობას. საოლქო კომიტეტის შემდეგმა მუშაობამ, რაც საეციალურად საქართველოს აჯანყებულთა დახმარებაში გამოიხატა და მჭიდრო კავშირის დაჭერამ კომუნისტურ ორგანიზაციებთან, დაამტკიცა, რომ საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება სწორე იყო.

როცა უღელტეხილი გადავლახეთ, თავისუფლად ამოვისუნთქეთ. ჩვენ სამი ვიყავით. (მე, აშხ. ვანო კარაპეტოვი და აშხ. მარტინოვი) და ერთიც მეგზური ახალგაზრდა ოსი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩრდილო ოსეთში, საბჭოთა მინა-წყალზე, ფეხი შევდგით. თითქოს რაღაც სიმძიმე მოგვპორდა ზურგიდან და მიხრა-მოხრაშიაც თავისუფლება ვიგრძენით.

პირველს ჩვენს სიხარულს რამოდენიმე მწუხარების ზენარი გადაეფარა როცა ვიფ. ზარამახში მივალნიეთ. აქ ჩვენ შემოგვარგებდა ვიღაც მაკაევი, სოფლის კომისარი თუ რწმუნებული, ერთის სიტყვით, „საბჭოთა“ უფროსი, რომელმაც მივვილო არამეგობრულად; დაგვიწყო დანვრილებით გამოკითხვა, ეჭვი მოიტანა, რომ ჩვენ თითქოს საქართველოს მთავრობის აგენტები ვიყავით და ს. რა

თქმა უნდა, ასეთი შეკითხვები ჩვენ არ გავკვირვებია, მაგრამ ჩვენი დოკუმენტები ის არ დამაყოფილდა. ის რაღაც მიზეზს ეძებდა. ლაპარაკის დროს შევინძნე, რომ ის, როგორც ეტყობა, არ სწყალობს კომუნისტებს, მე კი პარტიულ დოკუმენტებს გარდა არავითარი სასუთი არ მომეპოვებოდა ერთ წერილს გარდა, ჩრდილო ოსეთის ნაციონალური საბჭოს რომელიღაც წევრისადმი მიწერილი. არსებითად ჩვენ შეპყრობილნი ვიყავით, თუმცა ოფიციალურად ჩვენი დაპატიმრების შესახებ მას არაფერი უთქვამს. მეტად ახირებულად დამიჩვენა, რომ მე, კომუნისტს, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, საბჭოთა მინა-წყალზე, მაპატიმრებდნენ, მაგრამ რას გავხედებოდი. მოვსთხოვეთ, რომ წავიყვანათ ჩრდილო ოსეთის ნაციონალურ საბჭოში. ვაჩვენე ის წერილი, რომელიც თან მქონდა. ამ წერილმა იმოქმედა და უფრო ნდობის თვალით დაგვიწყო ცქერა. ამის შემდეგ სადილითაც კი გავვიმასპინძლდა. ეს კაცი პროვინციალური „პომპადურის“ შთაბეჭდილებას ახდენდა და ცენტრს ცუდად იხსენიებდა. მაგ. ამბობდა, რომ აშხ. ბუაჩიძე ქართველი ებრაელიაო, რომ ვლადიკავკაეში არ არის მაგარი მთავრობა, რომ ანგლომორიე ელემენტებს არ ეკითხებიან, რომ ინფუშები უნდა განაღდურებულ იქნას, მაგრამ მათ მხარს უჭერს ცენტრალური მთავრობაო და სხ. ერთი სიტყვით, ჩვენ შეეცხებეთ საბჭოთა ხელისუფლების შემთხვევით წარმომადგენელს, რომელიც შეცდომით იყო დანიშნული თავის თანამდებობაზე და რომელსაც სურდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი გამოეყენებია თვისი პირადი ან კლასიური ინტერესების მიზნით (ის სოფლის „კულაკი“ იყო). 1918 წელს, იმ დროს, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გამარტებული მთავრობის სათავეში, პროვინციაში ხშირად გვხვდებოდა გაუსწორებელი ავანტიურისტები. ამგვარ ტიპებს, რა თქმა უნდა, დიხანს არ შეძლოთ მთავრობაში დარჩენა.

მაგრამ უფრო დამახასიათებელი იყო ზარამაკის მცხოვრებთა მეორე ნაწილის, ნაწილი ხალხის ჩვენდამი დამოკიდებულება. ზარამაკელი ღარიბ-ღატაკნი თუმცა აღმაცნურად გვიცქეროდა, ეჭვით იყო შეპყრობილი ჩვენს მიმართ, მაგრამ, როგორც სჩანდა, ის სრულად სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. მათ გაგონილი ჰქონდათ საქართველოში მემწევიკების ბატონობის შესახებ, რომ მენმევიკები სადენიდან ყველაფერს, რასაც კი საბჭოთა ხასიათი ჰქონდა, რომ საქართველოს ოსმალეთთან კავშირსაც არ აკლებდა ხელს (სწორედ იმ ხანებში მემწევიკებმა ნება დართეს ოსმალეებს ჯარები გაეტარებიათ საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ბაქოს წინააღმდეგ), რომ ასე დაემხო საბჭოთა ხელისუფლება ჩრდილო კავკასიაში. და რადგანაც არ გვიცნობდნენ,





ასი სიმაღლესი წიგნი

# გიორგი მაისუბაძე

## დამკვერელის სიტყვა

ჩემში ხალისი შრომისადმი უფრო ილვიძებს,  
უფრო ვეკვრები წარმოების ტემპს და დიდებას,  
აღებულ გეგმებს სიხარულით ვინ დაივინყებს,  
ვინ გაექცევა ნაყოფიერ სოცშეჯიბრებას!

სავსე მაქვს გული წარმოების ენტუზიაზმით,  
როცა ვუყურებ საამქროში ხელგამრჯე გმირებს,  
ბრიგადირების თავდადება არის დიადი:  
შრომის ნაყოფი და გეგმები აჭარბებს მიზნებს.

ვიბრძვით, ვმუშაობთ, საკონტროლო ციფრებს ვასრულებთ,  
გადაჭარბებაც გეგმებისა ძალზე კარგია,  
ყოველი საქმის შესრულებით მტერს ვანადგურებთ,  
და პროდუქციის ხარისხი კი ნალღზე ნალღია.

– დამკვერელებს ჯილდო, სოცშეჯიბრში გამარჯვებულებს!  
მათ ენიჭებათ შრომის გმირის სახელწოდება,  
ამის შედეგად აძალუმებს დამკვერელი კუნთებს,  
და ჩვენ ვღებულობთ მთელ ხუთწლედის შემოქმედებას.

ასე, ამრიგად ჩვენი შრომა ტემპით მიიწევს,  
ტემპით სრულდება ეს გეგმები გენერალური,  
ამაყოფს გული, როს შეტევა გვაძლევს მიღწევებს,  
და ეს ხუთწლედის საქმე არის ჯერ არ ნახული.

მე ამ პროცესებს საკუთარი თვალთ ვუყურებ,  
 თვითვე განვიცდი წარმოების გეგმების ძალას,  
 ირგვლივ შრომაა, აღარ ვაცდენთ უბრალოდ წუთებს:  
 სოცმეჯიბრი გვაქვს, დამკვრელობა, – არ არის დაღლა.

მე ვიმუშავებ, საგუშაგოდ ამყად მდგარი,  
 მზის სინათლეზე გამოვიტან ყველა იარას!  
 არ შეჩერდება ბრძოლებისთვის საჭე მედგარი  
 და შეტევის დროს მოვიმარჯვებთ რიტმს და იარაღს.

წარმოებაში ვაძლიერებ ბრძოლას ტემპისთვის,  
 შევებრძოლები: გამცდენს, მიმომფრენს და ცრუ დამკვრელებს,  
 მოვანყობთ უჯრედს მძლე ტექნიკის დაუფლებისთვის,  
 გავანადგურებთ ახალ ქვეყნის ყველა მავნებელს!

ყურნალი „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ.



ბესიკ არბოლიშვილი

„გაზაფხული“ – ტ. ზ. 2000 წ.



ბესიკ არბოლიშვილი

„შობის ღამე“ – ტ. ზ. 2000 წ.



**მხატვარი**  
**ბესიკ არბოლიშვილი**



ბესიკ არბოლიშვილი

„ორნი

ISSN 0132-6023

9 770132 602007 >

**ხელმოწერის საფურცლები**

ხელმოწერის გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამაერთიანებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრზე:  
„პრესექსპრესი“-962 311; „მაცნე“-341 070; „საქპრესა“-518 518; 515 905; შპს „ელვა.ჯი“ ტელ: 38-26-73; 38-26-  
ინდივიდუალური ხელმოწერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ვისკრის“ რედაქციაში მისამართზე:  
თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 98-36-43; 899188